გარი ჩაფიძე

პედაგოგიური დიალოგები



გარი ჩაფიძე

პედაგოგიური დიალოგები

დამხმარე სახელმძღვანელო
პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის

თბილისი 2012

სკოლის მერხიდან – ისევ სკოლაში მასწავლებლად! – ასე დაიწყო მისი პედაგოგიური ნათლობა, ჯერ სასწავლო ნაწილის გამგე იყო, მალევე დირექტორობა ანდეს სრულიად ახალგაზრდას, რომელიც მიღწეულს არასოდეს ჯერდებოდა და დიდ აუდიტორიებში გადაინაცვლა, ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში უღრმავებდა ცოდნას მომავალ თაობას. მერე დეკანი იყო... პრორექტორი და უკვე ორ ათეულ წელზე მეტია პროფესორი გარი ჩაფიძე სხვადასხვა სასწავლებლებს ხელმძღვანელობს. მაღალი ერუდიცია, უმაღლესი დისციპლინა, წესრიგი და ახალი სიტყვა პედაგოგიკაში! ასეთია მისი ცხოვრებისეული კრედო, რომლის საილუსტრაციოდ წინამდებარე წიგნიც გამოდგება.

რედაქტორი — დარიკო ონიანი, აკადემიკოსი

ISBN 978-9941-0-4873-9

პედაგოგიური დიალოგები

– შესწევს თუ არა უნარი განათლებას, შეცვალოს საზოგადოება? პასუხი მარტივია: – დიახ! მხოლოდ ყოველივე პედაგოგიურ ხელოვნებაზეა დამოკიდებული, რამეთუ მოსმენა, ძალაუნებურად ბევრმა ჩვენგანმა ისწავლა, მაგრამ ისეთი საუბარი – მოსმენად რომ ღირდეს... ალბათ ბევრმა ვერა! არადა მოსმენით ურთიერთობა ხომ ლექციის ხარისხია, რომელშიც ლექტორის სიტყვიერი ხელოვნებაა ძირითადი, ვოცნებობ იმ დროზე, როდესაც დაიბადება მეთოდიკის ახალი ჟანრი, – ლექციის მხატვრული პუბლიკაცია, სადაც ნათლად წარმოჩინდება ორმაგი ხელოვნება: ლექტორისა და კიდევ იმისი, ვინც ნანახ ლექციას სურათად წარმოსახავს!

აღზრდის ხელოვნება ერთ-ერთი უძველესი და ურთულესია, იწყება იგი საოცრად უბრალო და უეშმაკო ამოცანისაგან: მიიღო და შეიყვარო სტუდენტი ისეთი, როგორიც ის არის! თუკი ლექცია ურთიერთობაა და არა უბრალოდ შრომა: ხელოვნება და არა მხოლოდ სასწავლო ღონისძიება; ცხოვრება და არა საერთო განრიგში ჩასმული საათები, მაშ უფრო ხშირად ჰკითხეთ საკუთარ თავს: – რატომ შევდივართ ლექციაზე? ჩვენ სტუდენტებთან მივდივართ (!) რათა ისინი ჩვენზე უკეთესები, კეთილები, ჩვენზე უფრო ჰუმანურები, ჩვენზე ძლიერები და მამაცები იყვნენ, რამეთუ წინსვლისას გამონაზონ გამოსავალი ყველა სიძნელიდან და უკან არ დაიხიონ; რამეთუ თითოეული თავად ქმნიდეს საკუთარ ბედს და არ შენატროდეს სხვის ლამაზად მოწყობილ ცხოვრებას... აღმზრდელ-პედაგოგებმა, ლექტორებმა მწვავედ უნდა დავუსვათ კითხვები საკუთარ მეს, – რა აზრები გადავეცი სტუდენტებს? რა გრძნობები გავუღვივე მათ? – რაზე ფიქრობდნენ მაშინ, როცა ვესაუბრებოდი? – იქნებ სულაც არ მისმენდნენ და არც არაფერზე ფიქრობდნენ? ან იქნებ

ფიქრობდნენ იმაზე, რაც სულ არ მითქვამს, მიყურებდნენ მე და ფიქრობდნენ თავისაზე?

ყოველი სტუდენტი ორი პროგრამით სწავლობს, ერთი სალექციოა, მეორე საშინაო და მას კარის მეზობელი, იმავე სადარბაზოში მცხოვრები ყმაწვილი ან რომელიღაც დაქალი განაგებს, ორივე პროგრამა უნდა გავითვალისწინოთ ჩვენს ყოველდღიურობაში!

ლექციაზე შესვლა ნიშნავს, ადამიანის სულში შესვლას, კაცობრიობის სულის მთავარი თვისება კი ისაა, რომ მას სწყურია ურთიერთობა, შეხება, კონტაქტი მეორე ადამიანის სულთან, ამიტომ არის რომ ბავშვების აღზრდა ასე ადვილია. ბავშვები ჩვენზე უფრო მეტად საჭიროებენ ურთიერთობებს. ვიდრე გონება არ არის განვითარებული, სულს უკავია ფსიქიკის მთელი სივრცე. ბავშვებთან ურთიერთობა არ ნიშნავს ელაპარაკო მათ, უპასუხო კითხვებზე. ეს თავისთავად მნიშვნელოვანია, ურთიერთობა სულ სხვა რამაა.

აღზრდა თავის მხრივ სამ სხვადასხვა მოქმედებას აერთიანებს: მართვას, სწავლას და ურთიერთობას. ჩვენ უნდა ვმართოთ ბავშვები, სანამ ისინი პატარები არიან, ჩვენ უნდა ვასწავლოთ მათ, მაგრამ თუ ჩვენ მხოლოდ ამითღა შემოვიფარგლეთ, გვერდზე მოვიტოვებთ ყველაზე მნიშვნელოვან პედაგოგიურ მოქმედებას – ურთიერთობას! ადვილი მისახვედრია რა მოგველის, თუ ჩვენ გამოვტოვებთ – ურთიერთობას! – ის შეუთავსებელია მართვასა და სწავლებასთან!

სწავლებისათვის აუცილებელია, რომ მასწავლებელი ცოდნით ან გამოცდილებით აღემატებოდეს აღსაზრდელს. მართვისთვის კი, მით უმეტეს საჭიროა ასაკით, გამოცდილებით ან თანამდებობით, ან ძალით, ან ავტორიტეტით მოპოვებული უპირატესობა.

რაც უფრო დიდია უპირატესობა, მით უფრო ადვილია მართვა, მართვას განამტკიცებს ძალაუფლება.

ურთიერთობა კი, პირიქით, მოითხოვს აბსოლუტურ თანასწორობას, ყოველგვარი არათანასწორობა, უპირატესობა, ძალაუფლება, აუცილებელია მართვისთვის, მაგრამ იგი შეუძლებელს ხდის ურთიერთობას...

ბევრი ფიქრობს, რომ მართვით ჩვენ ვასწავლით ბავშვს უმთავრეს კანონებს, ვუნერგავთ სასარგებლო ჩვევებს. ეს აზრი მატყუარაა. მართალია, ის, თითქოს, პასუხობს საღ აზრს, სინამდვილეში კი მხოლოდ ურთიერთობით ემორჩილება ბავშვი აღზრდას, ბავშვები დიდებთან ურთიერთობით ექვემდებარებიან მართვას და სწავლას.

ენერგიული მართვა ჭეშმარიტია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის შეიძლება დაეყრდნოს დაფარულ, მოუხელთებელ გულითად ურთიერთობას. მართვა ზღუდავს, იმონებს, ხოლო ურთიერთობა ათანასწორებს განსხვავებულებს, აადამიანურებს მათ... სადაც არ არის ურთიერთობა, იქ შეუძლებელია ბავშვების მართვა – ისინი არ უსმენენ უფროსებს, რაც უფრო ვერთობით მხოლოდ მართვით, მით უფრო ცუდი შედეგი აქვს აღზრდას, და ჩვენც ვჩივით, რომ აღსაზრდელად გვერგო ძნელი, უემოციო, სხვისი უბედურებისადმი უგრძნობელი, თანაგრძნობას მოკლებული ბავშვები...

ძნელი მშობლები ისინია, რომლებსაც არ შეუძლიათ დაამყარონ ასეთი კონტაქტები, მათ აღაშფოთებთ ბავშვებთან თანასწორობის იდეა.

სულიერი კონტაქტი ბავშვებთან, მდიდარი ურთიერთობა მათთან, სულიერი ერთობა – პირველი და საბოლოო გზაა აღზრდის პროცესის შესამოწმებლად. არის კონტაქტები – ყველაფერი კარგად მიდის. არ არის – ვერაფერს ვერ იწინასწარმეტყველებ რა მოხდება... აღზრდა ასეთ შემთხვევაში, ჩვენზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მრავალ ცხოვრებისეულ გარემოებაზე, სხვა ადამიანებზე, სკოლაზე, ანდა ქუჩაზე, სამწუხაროდ, ყველა ადამანი არ არის საკმაოდ ემო-

ციური, რომ იგრძნოს, აქვს თუ არა კონტაქტი ბავშვებთან, და ყველა არც საჭიროებს ამ კონტაქტებს. სხვები თავს მშვენივრად გრძნობენ ბავშვებთან ურთიერთობის გარეშეც და აქ უკვე ვერაფერს გახდები. რჩება მხოლოდ ერთი: შეეცადეთ! ასე გამოგივა, ისე – არა...

მაგრამ როგორაა მემკვიდრეობა? გენები? სწავლულებმა აღმოაჩინეს ადამიანს აქვს ზედმეტ ქრომოსომები.

როცა ჩვენ არ გამოგვდის, კონტაქტი ჩვენს ბავშვებთან, თავს დამნაშავედ ვგრძნობთ და გვინდა ჩვენი დანაშაული ვიღაცას გადავაბრალოთ! ყველაზე ადვილია გადავაბრალოთ საზოგადოებას.

... და მიგორავს ბურთულა სიბრტყეზე... რომ გავიგოთ მისი მოძრაობა, ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ყოველი მოცემული გაელვება, იმყოფება რაღაც მოცემულ წერტილში და არც იმყოფება... არც დასაწყისში, არც შემდეგ... არამედ ერთბაშად არის იქ და არც არის, სხვანაირად მოძრაობას ვერ გაიგებ. თანამედროვე ფიზიკა სავსეა შესაძლებლობებით „და არის და არ არის", მაგრამ ნუთუ ადამიანი ელექტრონზე და ბურთულებზე უფრო მარტივია?

მემკვიდრეობითის საკითხი წყდება, ჩემის აზრით, ასე: ადამიანში ყველფრის გადამწყვეტია მემკვიდრეობა, გენები და, რაც მთავარია, აღზრდა. მათ შორის თანაფარდობაა ორმოცდაათი-ორმოცდაათზე. ყველაფერი არის აღზრდით და მემკვიდრეობით. შეხედეთ ნებისმიერ ადამიანს, თუნდაც მეტროში, როგორ ზის და როგორ მოძრაობს, როგორი სახე აქვს და თქვენ თვალნათლივ დაინახავთ ასეთი შეხედულების მართებულობას.

მაშ როგორ – არის და არც არის დამოკიდებული?..

ასეა: ჩვენ უნდა მივცეთ ბავშვებს დამოუკიდებლობა და არც უნდა მივცეთ, უნდა გავუგოთ ბავშვებს და არც უნდა გავუგოთ, უნდა გავანებივროთ პატარები და არც უნდა გავანებივროთ, ჩვენ უნდა ვიფიქროთ მათ მომავალზე და არც

უნდა... ამბობენ: უნდა იცოდე, ზომა – ეს არის ძირითადი, მაგრამ როგორ „უნდა იცოდე“ ეს? ზომიერების გრძნობაში გამოიხატება პედაგოგიკური ტალანტი, ზომიერება კი არც ოქროს შუალედია, არც დათვლა, არამედ ცოცხალი წინააღმდეგობაა: უნდა და იმავდროულად არც უნდა: მაგრამ ჩვენ, რომელთაც კარგად ვიცით დიალექტიკა უნარი და შეგვწევს მივიღოთ, ვაღიაროთ ის, ჩვენს სამზარეულოში, ბავშვებთან ურთიერთობაში ჩვენ ვეძებთ განსაზღვრულობას და არფრით არ გვინდა დავეთანხმოთ ცოცხალ, მუდმივ, უსასრულოდ წარმოშობად, პულსირებულ წინააღმდეგობას, რომელიც უნდა მივიღოთ – როგორც წინააღმდეგობა, უსაფრთხოების მოთხოვნა ეწინააღმდეგება განვითარების მოთხოვნას, – გული გონებას, ყველგან წინააღმდეგობაა, ყველგან ერთიანობა, ყველაფერში სირთულეა და ყველაფერში სილამაზე...

ქ. თბილისის ჰუმანიტარული კოლეჯის პირველ კურსდამთავრებულთ ასეთი სიტყვით მივმართე:

– ძვირფასო სტუდენტებო, ახალგაზრდებო!

სულ ცოტა ხანიც და დარეკავს თქვენთვის ჩვენს კოლეჯში მხიარული და ნაღვლიანი, წკრიალა და წყნარი, მოკლე და ყველაზე, ყველაზე ხანგრძლივი ზარი... მას ცხოვრების გაგრძელების ახალი ეტაპი მოსდევს!

შუა საუკუნეების მემატიანის ინტონაციით თითოეული თქვენთაგანის გული, ალბათ იტყვის: – „ო, სასწავლებელო, შენ უკან დარჩი!“ – თქვენ დიდი ცხოვრება გელით, შედით მასში, როგორც თქვენს მშობლიურ აუდიტორიაში – დაჯერებულად და ერთგვარი კრძალვით! ცხოვრებას ის უყვარს, ვინც მას პატივს სცემს! სადაც არ უნდა იყოთ, ვინც არ უნდა გახდეთ, ყოველთვის იფიქრეთ ისე გულდაჯერებით, ისე თამამად, როგორც ჩვენი კოლეჯის კედლებში ფიქრობდით...

– ბევრი უნდა ადამიანს? – ბევრი! – ვამბობთ ჩვენ ფიროსმანის ჯიბრზე და მაინც, ალბათ არ უნდა საჭიროზე მეტი, რა-

მეთუ ჩვენს მისწრაფებებში მატერიალურმა არ დაჩრდილოს სულიერი, რათა ამის შედეგად სულიერი არ გაყალბდეს და არ გაუფასურდეს! თუკი ყველა პიროვნებაში არის რაღაც პატარა საოცრება, მაშინ ეს საოცრება მის მოთხოვნილებებშიც იქნება... ამიტომაც არის, რომ დიდი ადამიანების ნივთებს ყოველთვის მოწიწებითა და ყურადღებით ვათვალიერებთ... ყველას თავისი სახე აქვს: – წიგნები აკაკის კაბინეტში, იმერული ოდა გალაკტიონივით მოუსვენარი რიონის პირას, ილიას ხელჯოხი, ვაჟას ფრთის კალამი... ეს ის ნივთებია, რომელთა ღირებულება ფასსა და ხარისხში კი არ გამოიხატება, არამედ იმაში, რომ ისინი შემოქმედთა თანაშემწეები იყვნენ.. ყველას, ვისაც არ განუსაზღვრავს ნივთისა და თავისი, როგორც ნივთის მფლობელის პირადი და სოციალური ფუნქციები, მას მომხმარებლად გადაქცევა ემუქრება! აი მაშინ ნივთი დაგვჭირდება, არა იმიტომ, რომ აუცილებელია, არამედ იმიტომ, რომ იგი ვიღაცას აქვს! ასე იზრდება, ასე ყალიბდება ყალბი მოთხოვნილება... მე იმის მომხრე როდი ვარ, ცოტა ვიკმაროთ, არამედ მინდა ვიცოდეთ, რა რამდენი და რატომ გვინდა! უფრო ზუსტად – „დავაზუსტოთ ჩვენი ნდომა!“

მთელი გულით მჯერა თითოეული თქვენთაგანის კეთილი გზა და ბედკეთილობა, ამისათვის მადლობელი ვარ! მადლობელი ვარ იმისათვის, რომ თქვენ ჩვენი კოლეჯის პირველი და დაუვიწყარი, იქნებ საუკეთესო თავფურცელიც ხართ...

დაე, ჩვენი სასწავლებლის კედლებში გატარებული წლები, არასოდეს დამდგარიყოს ჩრდილში, მთელი თქვენი დარჩენილი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე!

გისურვებთ ძნელ გზებს და უამრავ გამარჯვებებს!

პირად და პიროვნულ ბედნიერებას!

– ლექტორი ცხოვრებისეული კაცია – თქვა ერთხელ ჩემმა სტუდენტმა ჩელიაბინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დიახ, ასეა, ოღონდ საჭიროა „ცხოვრების“ ფართოდ გაგება,

ცხოვრება მარტო ის როდია, რაც თავს გადაგვხვდება ხოლმე მეტროს ვაგონში ან ქუჩაში გარშემომყოფებთან ურთიერთობისას. ცხოვრებაა ისიც, რაც მეცნერის კაბინეტში, მწერლის სამუშაო მაგიდასთან, მხატვრის სახელოსნოში ხდება და ხორცს ისხამს, გამოგიტყდებით, თუ გეტყვით რომ აზრს ვხედავ ყველაფერში, სადაც კი კიაფობს შემოქმედებითი საწყისი, რამეთუ სულიერება შემოქმედებითად მიმაჩნია!

რით განვსაზღვროთ ცოდნის, ფორმის ზომა, ლექციის სტრატეგია? უთუოდ სტუდენტის ინიციატივით, მას როგორ და რამდენი უნდა მასზე უკეთ, არავინ იცის! სწორედ ამიტომ მივეცი წერილობით შესასრულებელი დავალება ჩემს სტუდენტებს, – „მე რომ კოლეჯის დირექტორი ვიყო...“ და პირუთვნელად გეტყვით, რომ ამ თემებმა ჩემს მუშაობაში ბევრი რამ შემძინა! თამამად უნდა გამოვიყენოთ სტუდენტთა მეთოდური ინიციატივა, ამ მიზნით შევქმენით სტუდენტური თვითმმართველობა, ინტერესთა კლუბები, სამეცნიერო, სპორტული, მხატვრულ-თვითშემოქმედებითი სექციები... მათ უკვე იციან, რა უნდა გავაკეთოთ, როგორ გავაკეთოთ და რისთვის უნდა გავაკეთოთ! შემოქმედი ლექტორი მეცნიერების მიღწევებს არ ჯერდება, ის უფრო მეტს ეძიებს!

დიახ, თითოეული ლექცია თავისებური პედაგოგიური პოემაა, რომლის გმირები იზრდებიან კიდეც და ხასიათიც უყალიბდებათ, ასეთ ლექციაზე მუშაობა ისეთივე რომანტიკულია, როგორც მუსიკის წერა, ლექციების თხზვა, ფრესკების დახატვა... დიახ, მთავარია პედაგოგიური ურთიერთობის ხელოვნება...

ხელოვნება, რომელსაც საძირკველი, ბავშვის სკოლაში შესვლის პირველი დღიდანვე უნდა ჩაეყაროს, ამიტომაცაა, რომ ამბობენ: – ადამიანი სკოლაში ორჯერ შედის, ერთხელ თვითონ, მეორედ თავის შვილთან ერთადო... თუმცა მოზრდილი ადამიანი ახლა სხვა საზრუნავს მიჰყავს სკოლაში,

რაც მას განსაკუთრებულ გრძნობებს უღვიძებს, მაგრამ ამ გრძნობების მიღმა არის უკმარისობის გრძნობა, გულნატკენობა, იმისა, რომ მიუხედავად მეცნიერების ძირეულ საკითხთა დაუფლებისა, ცხოვრება ვერ გაისიგრძეგანა, ამიტომაცაა ნაწყენი მათზე, ვინც ახალგაზრდობაში ზრდიდა...

– ცხოვრება არ მასწავლეს, – ამბობს ერთ-ერთი ქალბატონი ვასილ სუხომლინსკისთან საუბარში – მე და ჩემი ქმარი ხომ ერთმანეთს გავცილდით, არა იმის გამო, რომ ერთმანეთის მიმართ რაიმე რწმენა დავკარგეთ, არა იმის გამო, რომ როგორც უმეტესად ამბობენ ხოლმე: „ხასიათით ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს“. არა, ჩვენ მარტივად რომ ვთქვათ, არ ვიცით ცხოვრება. არ ვიცით ქმრობა და ცოლობა... არც იმან და არც მე არ ვიცით ერთმანეთის სიყვარული... დიახ, ადამიანური სიყვარული დიდ ცოდნას მოითხოვს, ჩვენ უბრალოდ ვერ წარმოგვედგინა, თუ რა არის ქმრისა და ცოლის სიყვარული და არც არავის უცდია ჩვენთვის რაიმე ეთქვა ამის შესახებ. ჩვენ არ ვიცით ერთმანეთის პატივისცემა, არ შეგვიძლია ვიგრძნოთ ჩვენს გვერდით ადამიანი. არ ვიცით ერთმანეთისათვის დათმობა... არ ვიცით, როგორ დავუქვემდებაროთ გრძნობები გონებას, არ ვიცით ცხოვრების გაფრთხილება, – ო, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების გაფრთხილების ცოდნას!

პედაგოგიური მოღვაწეობა პროფესიული აქტივობის ისეთ სფეროს განეკუთვნება, რომელშიც წამყვანი ადგილი ადამიანთა ურთიერთობის გონივრულად ორგანიზებულ პროცესს უჭირავს. თეორიული გამოკვლევები და არსებული პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პედაგოგი ყველაზე მეტ სიძნელეს სწორედ იქ ხვდება, სადაც საჭიროა სუბიექტთა ურთიერთგაგება, ერთმანეთზე ზეგავლენის მოხდენა, კონტაქტების დამყარება, კოლექტიური ქცევის ორგანიზაცია და სხვა. ურთიერთშეცნობის თავისებურებათა

შედარებითი გამოკვლევების მონაცემები დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ პედაგოგები საგრძნობლად ჩამორჩებიან, მაგალითად, მსახიობებს, ისეთი პარამეტრების აღქმის სისრულეში, სიზუსტესა და სიღრმეში, როგორიცაა ადამიანთა ინდივიდუალური და პიროვნული თვისებები. ამიტომ საჭირო ხდება პედაგოგთა პროფესიული მომზადების მეცნიერულად დასაბუთებული სპეციალური სისტემის შექმნა. ეს მნიშვნელოვანია, რადგანაც მათდამი უკვე ზედამიწევნით შემოწმებული მეთოდიკის საფუძველზე მიცემული რეკომენდაციები ხშირად რეალიზებული არ არის.

პედაგოგთა ამ ნაკლისაგან დახსნის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა ცხოვრების მოდელირება – პედაგოგიური თამაშები.

ცხადია, თამაში პანაცეა არ არის, რისი საშუალებითაც შეგვიძლია ყოველგვარი ნაკლოვანებებისაგან თავი დავიზღვიოთ, მაგრამ მას გარკვეული უპირატესობანი აქვს. თუნდაც ის, რომ იგი უფრო გასაგებს ხდის კომუნიკატორთა პოზიციებს, ხსნის დაძაბულობასა და აადვილებს ადამიანთა ურთიერთობებს.

იმის საილუსტრაციოდ, რომ არსებობს კავშირი მსახიობის შემოქმედებასა და პედაგოგის ოსტატობას შორის, გაგაცნობთ ნაწყვეტებს ა. ს. მაკარენკოს თხზულებებიდან: რომელიც ამას წინად ამერიკის შეერთებულიშტატებში ლინქონის უნივერსიტეტის ეგიდით გამოცემული სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოში „პოლიტიკურ ფილოსოფოსთა პანთეონი“ შევიტანე „... საჭიროა ვიცოდეთ ადამიანის სახეზე კითხვა... არაფერი მისტიკური არ არის იმაში, რომ სახის მიხედვით გამოვიცნოთ სულის მოძრაობა. პედაგოგის ოსტატობა მდგომარეობს აგრეთვე საკუთარი ხმის დაყენებაში და სახის მართვაში... მე ნამდვილი ოსტატი მაშინ გავხდი, როცა ვიწავლე მეთქვა „მოდი აქ“ 15-20 ნიუანსით, როცა ვისწავლე

მიმეცა სახისთვის 20 სხვადასხვანაირი გამომეტყველება... მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში პედაგოგიურ სასწავლებელში აუცილებლად ასწავლიან ხმის დაყენებასაც, სახის და სხეულის ფლობასაც. ასეთი მუშაობის გარეშე მე ვერ წარმომიდგენია აღმზრდელის შრომა".

დიდი პედაგოგი აშკარად ხედავდა იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც თეატრალური ხელოვნება ფლობს პედაგოგიური პრაქტიკის დასახმარებლად.

პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა იმ განსხვავების წაშლა, რომელიც არსებობს პედაგოგის ემოციურ მდგომარეობასა და იმ მოქმედებას შორის, რომლითაც იგი ავლენს თავის გრძნობას. პედაგოგის ემოციურობა მოსწავლეებთან ურთიერთობაში და, განსაკუთრებით, შთაგონებითი ზემოქმედების პროცესში, გამოხატული უნდა იყოს ზუსტი ფორმით. მსახიობისათვის ეს ამოცანა ბევრად უფრო იოლია. ჯერ ერთი, მას ყოველთვის აქვს ტექსტი და, მეორეც, იგი სხვადასხვა როლს თამაშობს. პედაგოგი კი, როგორც წესი, თავის ენობრივ, ინტონაციურ ფორმას იქვე მოცემულ, განუმეორებელ, ორიგინალურ სიტუაციაში ქმნის.

მსახიობისაგან განსხვავებით, პედაგოგი სხვა პირად არ გარდაისახება. ყოველ სიტუაციაში მან უნდა იპოვოს მისთვის, მასწავლებლისთვის დამახასიათებელი სწორი ქცევა. პედაგოგი ყოველთვის ერთ როლშია, იმ პირის როლში , რომელიც აღმზრდელობით პროცესს უძღვება. ამის გამო პასუხისმგებელი ხელმძღვანელის მუდმივ პოზიციას იგი ხანდახან აზრებისა და გრძნობების სიტყვიერი გამოხატულების სტერეოტიპამდე მიჰყავს.

სიტყვიერი შტამპებისაგან განთავისუფლება, იმ ერთადერთი ზუსტი სიტყვის თქმა, რომელიც ბავშვის სულამდე მიაღწევს, ადვილი არ არის. ეს განსაკუთრებით მაშინ იგ-

რძნობა, როცა პედაგოგი აღელვებულია და მკაცრად უნდა დატუქსოს მოსწავლე, რომელმაც სერიოზული შეცდომა დაუშვა.

პედაგოგიური ზემოქმედებისათვის მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ნათქვამის შინაარს, არამედ საუბრის ინტონაციურ შეფერილობასაც. ჩვეულებრივ საუბარშიც კი, არა მხოლოდ ინფორმაციის შინაარსი, არამედ თანამოსაუბრის ინტონაციაც აღიქმება; ხმის ფლობა, საკუთარი გრძნობების ინტონაციური ტრანსფორმაცია ისე, რომ მათ გამოიწვიონ ადექვატური ემოციური მდგომარეობა მსმენელში, – მასწავლებლის პედაგოგიური ტექნიკის მრავალფეროვნება – აღზრდის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

სიტყვა „დიახ“ შეიძლება მრავალგვარად წარმოითქვას: ხმამაღლა, ხმადაბლა, მოკლედ, გრძლად, დადებითად, გაკვირვებით, აღფრთოვანებით, გაბოროტებით, პასუხისმგებლობის ხაზგასმით ტონით, იმედგაცრუებით, საზეიმოდ... და „არას“-ს მნიშვნელობით. ასევე შეიძლება წარმოითქვას ყველა სხვა სიტყვა, ფრაზა, რეპბლიკა, მონოლოგი, შესრულდეს მოქმედება, ჟესტი. ურთიერთობის უამრავი ამ ფორმიდან ჩვენ ძალიან მცირე ნაწილს ვიყენებთ. ადვილი წარმოსადგენია როგორ განმტკიცდება მასწავლებელთა კავშირი მოსწავლესთან, რამდენად მრავალფეროვანი გახდება მათი დამოკიდებულება, ამ შესაძლებლობებს სრულად რომ იყენებდნენ.

გაკვეთილებზე დაკვირვებისას არაერთხელ თქმულა, რომ ბევრი მასწავლებელი ვერ იყენებს მიმიკისა და ჟესტის უნარს, რის გამოც მათი პედაგოგიური ტექნიკის საშუალებათა არსენალი ღარიბია, მათ საუბარში ჭარბობს ერთფეროვანი ტონი. პედაგოგიური სტაჟის ზრდა მათ გამომსახველობით შესაძლებლობებს ბევრს ვერაფერს მატებს.

ჟესტი და მიმიკა, რა თქმა უნდა, აძლიერებენ სიტყვებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებებს, მაგრამ პედაგოგს სიფრთხილე

მართებს, რადგან ყალბი პათოსი და თეატრალურობა სიტყვის აზრს და შთაგონებით ზემოქმედებას კი არ აძლიერებს, არამედ პირიქით, ასუსტებს. მოსწავლეები მას უნდობლად და კრიტიკულად შეხვდებიან. მასწავლებლის ჟესტიკულაცია თავშეკავებული უნდა იყოს. მკვეთრი ჟესტი უნდა შეესაბამებოდეს მთავარ სათქმელს, არ უნდა აკლდეს გამომსახველობითობა. ჟესტის სილამაზის და სიზუსტის სწავლა აუცილებელია.

თითოეულ მასწავლებელს სიარულის საკუთარი მანერა, მისთვის დამახასიათებელი ჟესტები აქვს. ამიტომ პედაგოგიური ტექნიკის ათვისებისას მთავარი ქცევის ინდივიდუალური სტილის გამომუშავება.

საზოგადოებრივი მოღვაწეობის არც ერთ სფეროში არ არის დაგროვილი გამომსახველობით საშუალებათა იმდენი რაოდენობა, რამდენიც თეატრალურ პრაქტიკაში, ამიტომ აუცილებელია მათი სასარგებლო გამოყენება.

მსახიობს უნდა სჯეროდეს იმ მოვლენების შესაძლებლობა, რომლებიც გადმოცემულია პიესაში და დამაჯერებელი მოქმედებებით უნდა უპასუხოს კითხვას: „რას გავაკეთებდი ჩემი გმირის ადგილზე რომ ვყოფილიყავი?“ აუცილებელი განცდების გამოვლენის ერთ-ერთ საშუალებად სტანისლავსკი ასახელებს „თუ რომ“-ს. მსახიობმა ფიზიკურად უნდა იმოქმედოს ისე, როგორც ის მოიქცეოდა ვთქვათ, ჰამლეტი რომ ყოფილიყო. როდესაც ფიზიკური მოქმედების ხერხით ვიწვევთ შესაბამის გრძნობებს, ჩვენ არ ვექვემდებარებით, არ ვემორჩილებით სტიქიურ შთაგონებას, შეგვიძლია შეგნებულად ვმართოთ ჩვენი ქცევა, კონტროლი გავუწიოთ მას. ამდენად, ფიზიკურ მოქმედებათა ხერხი აფართოებს ცნობიერ ზემოქმედებას, ემოციებზე და საშუალებას იძლევა, რაც შეიძლება სრულად შევეწყოთოთ მოცემულს როლს.

ამ ხერხს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს შთაგონებას-

თან და თვითშთაგონებასთან, რადგან აქ ადამიანით ვითონ, ცნობიერად და მიზანდასახულად ზემოქმედებს ფსიქიკის ქვეცნობიერ სფეროზე.

პედაგოგიური პროცესის არც ერთი მონაწილე – არც მასწავლებელი და არც მოსწავლე მსახიობი არ არის, არ ფლობს აქტიორულ ტექნიკას, მაგრამ ეს არც არის საჭირო. დასახული ემოციური მდგომარეობის აღმოცენებაში მათ დაეხმარებათ შესაბამისი ფიზიკური მოქმედება.

ეყრდნობოდა რა აღნიშნულ კავშირს ადამიანის ფიზიკურ მოქმედებასა და ემოციას შორის, ცნობილმა მკვლევარმა პედაგოგიური შთაგონების დარგში ი. შვარცმა თავის ცდებში სცადა პანტომიმის, მიმიკის და პოზის დახმარებით გავლენა მოეხდინა ფსიქიკის არაცნობიერ ფორმებზე.

საცდელი ჯგუფის წევრებს შესთავაზეს მონაწილეობა მიეღოთ იმპროვიზირებულ ინსცენირებებში. მათთან მუშაობას საფუძვლად დაუდეს ფიზიკურ მოქმედებათა ხერხი. აი, ორი მაგალითი:

1. კოლია, იგივე ნაკადი – 15 წლის გულქვა, ჩხუბისთავი, უხეში მოზარდი, უყვარს უმცროსებისა და სუსტების დაჩაგვრა. დათანხმდა თვითშთაგონებით ვარჯიშს, მაგრამ მალე დაანება თავი. შემდეგში სიამოვნებით მონაწილეობდა ყველა ინსცენირებაში, რომელიც მას შესთავაზეს. ერთ-ერთ სიტუაციას ეწოდება „რევმატიზმი“. ინსცენირების სიუჟეტი ასეთია: საბავშო საავადმყოფოში, ერთ პალატაში, გვერდიგვერდ საწოლებზე წევს ორი ბიჭი – სიდორენკოვი და შვედოვი. სიდორენკოვი დაავადებულია რევმატიზმით, დგება მხოლოდ ხელჯოხის დახმარებით. მას ყველაფერი მობეზრდა, ოცნებობს სახლზე, სკოლაზე. შვედოვი ქოლეცისტიტით არის ავად, იგი მოსიარულე ავადმყოფია, უნდა გაიაროს მკურნალობის ორკვირიანი კურსი. იგი ბოროტი, ეგოისტი ბიჭია, თანატოლებს ვერ ეგუება.

სცენარის მიხედვით შვედოვი ესვრის ფორთოხლის ნაფცქვენს სიდორენკოვს, აღიზიანებს მას. ისიც ასევე პასუხობს. მაშინ შვედოვი სიდორენკოვს მივარდება და სცემს.

ექსპერიმენტატორთა დავალებით კოლიამ უნდა ითამაშოს სიდორენკოვის – სუსტი, მგრძნობიარე, ინტელიგენტი ბიჭის როლი. ეს თვისებები მისთვის უცხოა. ინსცენირების სიუჟეტის გაგების შემდეგ, კოლია საშინაო დავალების სახით ამზადებს სიდორენკოვის ფიზიკურ მოქმედებას. საჭიროა მისი სიარულის მანერის ჩვენება (ცოტათი მოხრილი ტანი, მოწყენილი და დაძაბული სახე). ბიჭებს „ექსპოზიციის“ სიტყვები არ ეძლეოდათ. „მსახიობები“ თამაშისას თვითონ ახდენენ იმპროვიზირებას.

კოლიას დასაწყისში უჭირდა სიდორენკოვის ფიზიკური მოქმედებების წარმოდგენა, მაგრამ შემდეგ მან „იპოვა“ კოჭლობით სიარულის მანერა და თავისი გმირის ტანჯული გამომეტყველება. ინსცენირება რამდენჯერმე, განმეორდა. კოლია სიდორენკოვის როლში ძალიან დამაჯერებელი იყო.

კოლიას თავისი გმირის შინაგან სამყაროში გარდასახვის შედეგები ცხოვრებაში მოულოდნელად გამოვლინდა. ის ჩაეწერა სკოლის საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა რაზმში. საჩივრები მისი ხულიგნური გამოხდომების შესახებ შეწყდა.

II. ლენა – 15 წლის, VIII „ა“ კლასის მოსწავლე. მორცხვი, გაუბედავი, პასიური გოგონა. მას ხშირად აძლევდნენ საზოგადოებრივ დავალებებს, მაგრამ მათ ცუდად ასრულებდა. ლენას ძალზე მოსწონდა სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ხელმძღვანელი X კლასელი ტანია. ლენას სჯეროდა, რომ X კლასში სწორედ ასეთი იქნებოდა, მაგრამ ამისათვის არაფერს აკეთებდა, საცდელ ჯგუფში იგი უშედეგოდ ცდილობდა თვითშთაგონების გამოყენებას... მაგრამ ინტერესით მოეკიდა წინადადებას მონაწილეობა მიეღო იმპროვიზირებულ ინსცენირებაში. სიტუაციაში – „მოსწავლე-

თა თვითმმართველობის კრება“ მას შესთავაზეს ეთამაშა ტანიას როლი.

სცენარის მიხედვით კრებაზე დღის წესრიგშია საკუთარი ძალებით სპორტული მოედნის შექმნის საკითხი. ბევრი წინააღმდეგი გამოდის: „დრო არა გვაქვს“, „არ გვსურს“, „მე სპორტს არ მივსდევ“, „აგვიშენონ, რაღა ჩვენ უნდა ავაშენოთ!.. ტანია კრებას თავმჯდომარეობს, მას სურს ღირსეულად და პრინციპულად გაუძღვეს კრებას, მიაღწიოს სწორ გადაწყვეტილებას.

როლზე მუშაობას ლენა იწყებს ფიზიკური მოქმედებით. მისთვის საჭიროა ტანია გახდეს, იპოვოს შესაფერისი ჟესტი, მიშიკა, ხმა, რამდენიმე ცდის შემდეგ ეს გამოდის.

იმპროვიზაციაში – ლენამ შესანიშნავად ითამაშა. მას თამამად ეჭირა თავი, მისი ხმა მკვეთრად დაგადამწყვეტად ჟღერდა იგი დამაჯერებლად ლაპარაკობდა.

განმაორებით ინსცენირებაზე მოსწავლეები VIII „ბ“ კლასიდან მოიწვიეს, რომელშიც ლენა სწავლობდა. მისი თამაში ყველას მოეწონა. მთავარია, კლასმაც და ლენამაც გაიგო, რომ მას წარმატებით შეუძლია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა.

ჩატარებულმა ცდებმა მკაფიოდ გვიჩვენა ზემოაღნიშნული მეთოდის გამოყენების პერსპექტიულობა სააღმზრდელო პრაქტიკაში. იგი თვითშთაგონების ურთულესი ამოცანის – გრძნობების აღზრდისა და განვითარების რეალიზაციის საშუალებას გვაძლევს. შვარცის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ეს ყველაფერი თვითშთაგონებაზე ტრადიციული წარმოდგენისაგან შორსაა, თავისი არსით განხილული მოვლენა (რომლის დახმარებითაც ადამიანი თვით იწვევს დასახულ ემოციურ მდგომარეობას) თავისუფლად შეიძლება მიეკუთვნოს თვითშთაგონებას.

კვლევამ დაგვანახა, რომ ზოგჯერ მოსწავლის უშუალო ჩართვას საზოგადოებრივ საქმიანობაში საჭიროა წინ უსწ-

რებდეს სპეციალური მუშაობა შესაბამისი განწყობის შესაქმნელად, ფსიქოლოგიური მომზადება შესასრულებელი როლისათვის.

ამის გარეშე ბავშვები მიცემულ დავალებას შეასრულებენ ფორმალურად, პასიურად, გაუცნობიერებლად, აქტივობა არ დაემყარება მათ შინაგან მამოძრავებელ ძალებს. ამაში შეიძლება დაგვეხმაროს ჯგუფური ან ინდივიდუალური მუშაობა, რომელიც ხელს შეუწყობს თვითშთაგონების მექანიზმის საფუძველზე იმ როლის ემოციურად აღქმას, რომელიც მოსწავლემ უნდა ითამაშოს თავის კოლექტივში.

მასობრივი პედაგოგიური პრაქტიკა ფართოდ იყენებს როლებიან თამაშებს და პიესებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარის განვითარებისათვის და მათი გრძნობათა აღზრდისათვის. მაგრამ მზა პიესები ყოველთვის როდი გვაძლევენ შესაძლებლობას მოვაქციოთ მოსწავლე იმ სიტუაციაში, რომელიც ჩვენთვის, პედაგოგებისათვის არის აუცილებელი. ეს დაბრკოლება გადაილახება იმპროვიზირებული თამაშებით, რომლებშიც მოსწავლე იღებს პედაგოგის მიერ მითითებულ როლს და ასრულებს მას ფიზიკურ მოქმედებათა მეთოდის საშუალებით. მოსწავლის მიერ მსახიობის ტექნიკის უქონლობა წარმატებით კომპენსირდება ენთუზიაზმით და დიდი სურვილით კარგად ითამაშოს თავისი როლი. მოცემულ, არჩეულ სახესთან შერწყმა, როლის ათვისება გვევლინება გრძნობათა თვითაღზრდის საუცხოო საშუალებად, რომელიც ფსიქოლოგიურად ამზადებს მოსწავლეს რეალურ ცხოვრებაში აუცილებელი სოციალური როლის შესრულებისათვის.

აღზრდისა და თვითაღზრდის მთელი ეს გზა შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმულით: ხასიათის ნეგატიური თვისება – სიტუაცია – როლი – ფიზიკური მოქმედება – გრძნობა – ინსცენირება – ფსიქოლოგიური მზაობა – ხასიათის ნეგატიური თვისებების გადალახვა.

ბევრ შემთხვევაში ჩვენ უნარი არ შეგვწევს სისასტიკეს, უგულობას, უხეშობას ვებრძოლოთ. ზემოხსენებული მეთოდებით შესაძლებლობას იძლევა ფსიქიკის არაცნობიერი სფეროს გავლით გამოვიწვიოთ საჭირო გრძნობა, რათა ადამიანი ჩაწვდეს მეორე ადამიანის სამყაროს, დადგეს მის ადგილას, შესაბამისად იმოქმედოს და ადექვატურად განიცადოს.

დაახლოებით მსგავს მეთოდებს იყენებს ზოგიერთი უცხოელი პედაგოგიც. ერთ-ერთი მათგანი ნიგელ დოდი თავის წიგნში „დრამა და თეატრი სწავლებაში“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოზარდს ყველაზე მეტად ესაჭიროება საკუთარი პიროვნების დამკვიდრება და რომ ძნელად აღსაზრდელ მოზარდს თავისი თავის მიღება-დამკივდრება შეუძლია მხოლოდ ფიზიკური მოქმედებით, რომელიც ხშირად დისტრუქციული სახისაა. მასწავლებელმა უნდა შეძლოს ამ მოქმედების მოთოკვა და გარდაქმნა შესაფერის კონსტრუქციულ აქტივობად. „ძნელებთან“ დრამის გამოყენება ჩვეულებრივ იწყება დანაშაულისა და ძალადობის წარმოდგენით. თავისი აზრის დასასაბუთებლად მას მოჰყავს ეთნოგრაფიული ფაქტი: ახალი გვინეის ტომები პერიოდულად მართავენ ფსევდობრძოლებს, რომლებიც როგორც „უსაფრთხოების ქამარი“ ისე მოქმედებს და ახალგაზრდის აგრესიულ ტენდენციებს არღვევს.

ავტორი განარჩევს ძნელი ბავშვების რამდენიმე კატეგორიას და მიმართავს მათთან მუშაობის სხვადასხვა მეთოდს. სახელობრ, იმ ბავშვებს ან ჯგუფს, რომლებმაც ჩაიდინეს კანონსაწინააღმდეგო ქმედება და აშკარად, დაუფარავად ტრაბახობენ თავიანთი ანტისაზოგადოებრივი ქცევით, საშუალებას აძლევენ თავიანთი გამოცდილება აუდიტორიაში იმპროვიზაციის სახით გამოავლინონ. გათამაშდება ანტისოციალური როლები. ავტორის მონაცემებით, ასეთი გათამა-

შების შემდეგ დანაშაულებანი კლებულობს, რადგან ბავშ-ვებს საშუალება ეძლევათ თავიანთი მახინჯი ფანტაზია და აგრესიული ლტოლვები გამოალვინონ.

იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც ცდილობენ მასწავლებ-ლების შეურაცხყოფას ან მოთმინებიდან გამოყვანას, იგი შემდეგ მეთოდს მიმართავს: სკამებს წრიულად განალაგებს. ერთ ან ორ სკამს შუაში ათავსებს, სადაც ყველაზე აქტიური, ხმაურიანი ბავშვები სხდებიან. ყურადღების ცენტრი მომენ-ტალურად მათზე გადადის. იბადება მოულოდნელობის ელე-მენტი: „რა უნდა მოხდეს შემდეგ?“ ლაპარაკი წყდება და იწ-ყება იმპროვიზაცია პედაგოგის მიერ შეთავაზებულ თემაზე, რომელშიც თანდათანობით სხვა ბავშვებიც ერთვიან. ბავშ-ვები ხვდებიან, რომ ასეთი თამაში სასიამოვნოა და მთელი მონდომებით მონაწილეობენ მასში.

ამიტომაა აუცილებელი მოზარდის ფსიქიკის განსაზღვ-რა, მერხი ისეთი რამაა, ჭაღაროსანი ადამიანიც, რომ დასვა თავის თანატოლებთან ერთად, ისიც იცუღლუტებს... ამიტომ მიტევება და აღზრდის სპეციფიკური დამოკიდებულებაა სა-ჭირო ყოველდღიურად...

თბილისის ჰუმანიტარული კოლეჯის რექტორს, პედა-გოგიური ნათლობა საშუალო სკოლის მერხიდან ადგომის-თანავე მქონდა მიღებული, მაგრამ მაინც მოულოდნელი იყო ჩემს ტელეფონში საპატრულო პოლიციის ზარი, მატყობი-ნებდნენ, თქვენი სტუდენტები კოლეჯიდან გამოპარულან და მთაწმინდის პარკში არიანო... ფიქრის დრო აღარ მრჩებოდა, იმ წუთში მდივანს ბრძანება მოვამზადებინე, ვითომც იქ ექ-სკურსია მქონდა დაგეგმილი და მთაწმინდისაკენ გავეშურე – მანქანა დამიზიანდა, ბიჭები აღარ დავალოდე, ერთი სული ჰქონდათ როდის დაათვალიერებდნენ განახლებულ ფუნიკუ-ლიორს-მეთქი – ვუთხარი პატრულის თანამშრომლებს და ბრძანების ასლიც გავუწოდე! – იცით როგორ იმოქმედა ამან

სტუდენტებზე?! – იქედან ერთად წამოვედით, მართალია ლექციები ჩაიშალა, მაგრამ დიდი საქმე გაკეთდა – ურთიერთობა განვამტკიცეთ!

მომავალი თაობის აღზრდა ყოველთვის იყო საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი; ისტორიული განვითარების ყველა პერიოდში მხოლოდ ის ქვეყანა იყო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი, რომელსაც უკეთ ჰქონდა გადაწყვეტილი ოჯახის პრობლემა და გონივრულად ზრდიდა ახალ თაობას.

ახალგაზრდობა მომავლის სარკეა. როგორიც არის ახალგაზრდობა, ასეთი იქნება ქვეყანა მომავალში.

კარგი ოჯახი წესიერი შვილების აღზრდის კერაა. წესიერი შვილი კი კარგი და გონივრული აღზრდის შედეგია, რაც სამწუხაროდ, ყველა მშობელს ყოველთვის არ გამოუდის.

კარგი ოჯახი იქმნება მეუღლეთა თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთგაგების საფუძველზე, იგი ემყარება საღ, წმინდა და გონივრულ გრძნობას. ოჯახის ერთიანობა და მეუღლეთა უანგარო ურთიერთპატივისცემა შეგნებული სიყვარულის წინაპირობას ქმნის. წინააღმდეგ შემთხვევაში ოჯახი ფორმალური უჯრედია. დღეს, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ეპოქაში, ახალგაზრდა თაობის აღზრდა და შრომის ფერხულში ჩაბმა ერთ-ერთი კარდინალური საკითხია. ცხოვრების ახლებურმა პირობებმა მოითხოვა ახლებური მიდგომა მომუშავე კადრისადმი, მისი უფრო მაღალი კვალიფიკაცია, მეტი ცოდნა და მუყაითობა, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი გაურბის შრომას.

როგორ მივაჩვიოთ ახალგაზრდები საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას? ეს არა მარტო სახელმწიფოს, მშობელთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავიც არის.

ოჯახის, შვილების, მათი აღზრდისადმი ბევრი მშობლის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ გამოიწვია ის, რომ

დღეისათვის სისხლის სამართლის დანაშაულის ორი მესამედი 15-20 წლის ასაკის ახალგაზრდებზე მოდის. ამათგან მეტი წილი მცირეწლოვანია. საზოგადოების ამ საშიში სენისაგან განკურნებისათვის საჭიროა დაიძებნოს მისი წარმოშობის მიზეზები და მოინახოს გზა, საშუალებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

გავა წლები და ოდესღაც მხიარული და დამჯერი ბავშვი ჩვენს წინაშე წარმოსდგება უხეშ და თავხედ ადამიანად. დადგა „მძიმე", „კრიზისული" პერიოდი. მატულობს მოზარდთა ასოციალური ქცევები. ხულიგნობა, ქურდობა, ოჯახიდან და სკოლიდან გაქცევა... დაბლა იწევს სწავლების დონე... პრაქტიკოს პედაგოგს მოზარდის ნეგატივიზმი სწავლა-აღზრდის პროცესში ხელს შულის და ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, აღკვეთოს იგი. ამას მეტ-ნაკლებად კიდეც ახერხებს. გაკვეთილზე „დისციპლინის დამყარებაში" ზოგს ეხმარება ფიზიკური ძალა, მგვრგვინავი ხმა, ზოგი ფიზიკურად სუსტია, მაგრამ, სამაგიეროდ, აისბერგივით ცივი და მიუკარებელია და ა. შ. „მე შენ გიჩვენებს სეირს! ხმა! კრინტი! შეასრულე ის, რასაც გიბრძანებ!" – ასეთია უმრავლეს შემთხვევაში მშობლებისა თუ პედაგოგების ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელი რეაქცია მოზარდთა მიმართ. ერთი სიტყვით, მოზარდთა „თავაშვებულობა" აღიკვეთება იმპერატიული ზემოქმედებით, გარეგანი ფაქტორებით. ამგვარი ზემოქმედების შედეგი სიტუაციურია და იგი მოზარდს შინაგანად ვერ ცვლის, პირიქით, საწინააღმდეგოს გაკეთების სურვილით განაწყობს მას და იწყება ფარული თუ აშკარა ომი. ჩვენი საბრძოლო არსენალი ძალზე მდიდარია – სასჯელის ათასგვარი საშუალებები არსებობს: პედაგოგიური თუ არაპედაგოგიური. ამ უთანასწორო ბრძოლაში ჩვენ ვიმარჯვებთ, მაგრამ არის თუ არა ეს ნამდვილი, ჭეშმარიტი გამარჯვება, რის ფასად მოვიპოვეთ იგი, რა მოგვცა ამ გა-

მარჯვებამ, საბოლოოდ გავიმარჯვეთ თუ კვლავ მოსალოდნელია მოზარდების „ვერაგული ამბოხი და გამოხდომები“, დაგვჭირდება თუ არა საბრძოლო მზადყოფნა სადამსჯელო ოპერაციებისა და რეიდების ჩასატარებლად პროფილაქტიკის მიზნით, იქნებ სჯობდეს, როგორც დიპლომატები ამბობენ, „მრგვალ მაგიდას“ მივუსხდეთ მოსალაპარაკებლად? რათა წარმატებით გადაიჭრას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემა: მოზარდის აღზრდის, ჰარმონიულად განვითარებული, სულიერად და ფიზიკურად სრულყოფილი პიროვნების ფორმირება.

აღზრდის ამოცანაა „მოსწავლეებისათვის საზოგადოების თვალსაზრისით მისაღები ქცევებისადმი დადებითი განწყობისა და ორიენტაციების ჩამოყალიბება“. ამ ამოცანის შესასრულებლად ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად მიგვაჩნია სოციალური მომწიფებისაკენ მოზარდის ბუნებრივი მისწრაფებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

მოზარდის ფსიქოფიზიკურ მომწიფებას აშკარად ჩამორჩება მისი პიროვნების სოციალური მომწიფება. ცოდნა, რაც მან მიიღო სწავლის პერიოდში, სულაც არ არის საკმარისი მისი სოციალური მომწიფებისათვის. საჭიროა გარკვეული დრო, ზოგჯერ წლებიც კი, რათა ახალგაზრდა ადამიანი თავის ფსიქოფიზიკურ მომწიფებას სოციალური მომწიფების დონით გაუთანაბრდეს. ცხადია, ახალგაზრდა, რომელიც ჩამორჩა სოციალურ მომწიფებაში, შეიძლება ითქვას, „არასრულფასოვანია“ პრაქტიკული ცხოვრებისათვის. ჯერ ერთი, თვითონ მოზარდი უარყოფითად და მტკივნეულად განიცდის თავის „არასრულფასოვნებას“ და, მეორეც, სახელმწიფოს სჭირდება სრულყოფილი, ფსიქოფიზიკურად და სოციალურად მომწიფებული ადამიანი.

ჯერ კიდევ ამ რამოდენიმე წლის წინ, სასკოლო რეფორმის ცხოვრებაში გატარებამდე ბევრად ადრე, ზოგიერთმა პე-

დაგოგმა გამოთქვა კარგად დასაბუთებული მოსაზრება, რომ სწავლების მწარმოებლურ შრომასთან შეერთების პრინციპი აყალიბებს ისეთ პიროვნებას, რომელიც სკოლის დამთავრებისთანავე მზად არის აქტიურად ჩაებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სწავლების მწარმოებლურ შრომასთან შეერთების პრინციპი მიგვაჩნია ქმედით და ეფექტურ საშუალებად მოზარდის სოციალიზაციის რთული პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის, რადგან სწავლა, რომელიც მხოლოდ თეორიულ მოთხოვნილებას ემყარება, აყალიბებს ცხოვრების გარეთ მდგომ „თეორეტიკოსს“, „მწიგნობარ“ ადამიანს. ასეთ ადამიანს უჭირს შეძენილი ცოდნის გამოყენება, ადამიანებთან ურთიერთობის დამყარება და შრომით კოლექტივებთან ადაპტაცია. რადგან მომავალი თაობის სწავლა-აღზრდაში გატარება სწავლების მწარმოებლურ შრომასთან შეერთების პრინციპი, საჭიროა თეორიულად დასაბუთდეს ამ პრინციპის უპირატესობა, საჭიროა შესწავლილ იქნეს ის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელიც მოზარდის პიროვნების ფორმირებაზე, კერძოდ, მისი სოციალიზაციის პროცესზე მოახდენს ზეგავლენას.

შესაძლებელია თუ არა ვმართოთ, პედაგოგიურ ზემოქმედებას დავუქვემდებაროთ მოზარდის სოციალიზაციის პროცესი, გვაძლევს თუ არა ამის საშუალებას მოზარდისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა კომპლექსი?

როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე უცხოეთში ბევრი ცნობილი პედაგოგი, ფსიქოლოგი, სოციოლოგი საგანგებოდ იკვლევს მოზარდის ასაკისთვის დამახასიათებელ ფსიქოფიზიკურ თავისებურებებს, მათ მოთხოვნილებებს, მოტივებს, ინტერესებს, სოციალურ აქტივობას... გამოიკვეთა იმედისმომცემი კონცეფცია – მოზარდობის პერიოდისთვის დამახასიათებელი სიძნელეები განპირობებულია სო-

ციალური ვითარებით და იგი ექვემდებარება პედაგოგიურ ზემოქმედებას.

საყურადღებოა, რომ გასული საუკუნის პირველ მეოთხედში ბატონობდა ფროიდის იდეების ზეგავლენით აღმოცენებული ე. წ. ბიოგენეტიკური უნივერსალიზმის თეორია. ამ თეორიის მიმდევრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბავშვის სქესობრივ მომწიფებას, მათ სექსუალურ ლტოლვებს. მათი აზრით, მოზარდებში კრიზისი და თავისებურებათა კომპლექსი გაპირობებულია მათი ბიოლოგიური მხარეებით. ამიტომ ამ ასაკის ბავშვებთან კონფლიქტები და სხვადასხვა სახის სიძნელეები გარდუვალია, ისინი უნივერსალურ ხასიათს ატარებენ და პედაგოგიურ ზემოქმედებას არ ექვემდებარებიანო.

ამ თეორიის „უნივერსალობას“ ძირი გამოუთხარეს ამერიკელი ეთნოგრაფების გამოკვლევებმა. სწავლობდნენ რა „პრიმიტიულ ცივლიზაციებს“ წყნარი ოკეანის კუნძულ სამოაზე. აქაურ აბორიგენ მოზარდთა შესწავლამ დაადასტურა, რომ მათ არ გააჩნდათ ე. წ. „ოიდიპოსის კომპლექსი“, მათში არ შეიმჩნეოდა ნეგატივიზმი. ისინი ბავშვობიდან მოწიფულობაში გადადიოდნენ ჰარმონიულად, კონფლიქტების გამოუვლინებლად.

ცნობილმა ფსიქოლოგმა კ. ლევინმა გამოყო ბავშვთა ჯგუფი და მოწიფულთა ჯგუფი. მოზარდს უჩნდება მისწრაფება გადავიდეს მოწიფულთა ჯგუფში და ისარგებლოს იმ პრივილეგიებით, რითაც მოწიფულები სარგებლობენ. მოზარდი იმყოფება ჯგუფთაშორის მდგომარეობაში, რადგან იგი ჯერ კიდევ არ არის მიღებული მოწიფულთა ჯგუფში. კ. ლევინი კონფლიქტების არსებობასა და სიძნელეების ხარისხს სოციალურ მომენტს უკავშირებს – ბავშვთა და მოწიფულთა ჯგუფების არსებობას და მათ მკვეთრ გამიჯვნას.

უკრაინელმა ფსიქოლოგმა ლ. ს. ვიგოტსკიმ მოზარდობის ასაკის შესწავლისას აღნიშნა მოზარდის ცნობიერებაში ძირითადი ახალწარმონაქმნის გამოყოფის აუცილებლობა და განვითარების სოციალური სიტუაციის გარკვევა. ეს წარმოადგენს ბავშვისა და გარემოს ურთიერთობათა სისტემას და ამ სისტემის შეცვლა გარადმავალი ასაკისთვის დამახასიათებელი „კრიზისის" შინაარსია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოზარდების ასაკში შესვლისას ბავშვის პიროვნების სტრუქტურაში ხდება კარდინალური ცვლილებები, რის გამოც იმსხვრევა ბავშვსა და გარემოს შორის არსებული ძველი დამოკიდებულება. მოზარდის პიროვნებაში აღმოცენდება ცენტრალური და სპეციფიკური ახალწარმონაქმნი, თავს იჩენს მოწიფულობის განცდა, რომ იგი ბავშვი აღარაა, მოზარდს სურს გაარკვიოს თავისი სოციალური სტატუსი, სწადია უფროსებმა აღიარონ მისი მოწიფულობა.

მოზარდობის პერიოდში მოზარდების ნეგატიურ გამოვლენათა მიმდინარეობის თავისებურება განისაზღვრება ბავშვის ცხოვრებითა და განვითარების კონკრეტული სოციალური ვითარებით, მისი საზოგადოებრივი მდგომარეობით მოზრდილთა სამყაროში.

მოზარდის ცნობიერების ახალწარმონაქმნი გამოხატავს მის ცხოვრებისეულ პოზიციას, განსაზღვრავს მისი სოციალური აქტივობის მიმართულებასა და შინაარსს. მოზარდის ახალი პრეტენზიები სოციალურ მოთხოვნილებათა საფუძველზე, კერძოდ, პრესტიჟისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნილებათა საფუძველზე აღმოცენდება.

მოზარდს უჩნდება მოთხოვნილება, თავი გამოიჩინოს საქმიანობაში, რომელიც მის პიროვნულ ღირებულებას მაღლა სწევს. პრესტიჟის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მოზარდი მაშინ განიცდის, როდესაც იგი უშუალოდ ხედავს უფროსი ასაკის ადამიანისაგან ისეთ მოქმედებას, რომელ-

შიც მისი პატივისცემა და მაღალი შეფასება გაამიხატება. როცა მოზარდი აღიარებისა და პრესტიჟის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობას შეამჩნევს უფროს ადამიანებს შორის, იგი კმაყოფილია და ცდილობს ხშირად ჰქონდეს ასეთი ურთიერთობანი. აღსაზრდელისა და აღმზრდელის ასეთი ურთიერთობა ისეთი სოციალური ნიადაგია, სადაც პედაგოგიური პროცესი, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა დიდი ნაყოფიერებით შეიძლება წარიმართოს.

ასეთ „სოციალურ ნიადაგად“ აღსაზრდელისა და აღმზრდელის შესაბამის ურთიერთობათა გადაქცევას ხელს უშლის მრავალი მომენტი. უფროსი ასაკის ადამიანი ვერ ცვლის თავის პირვანდელ დამოკიდებულებას მოზარდისადმი. ძველი ურთიერთობის შენარჩუნებას ხელს უწყობს შემდეგი: ა) მოზარდის საზოგადოებრივი მდგომარეობის უცვლელობა. იგი იყო და კვლავ რჩება „მოსწავლედ“; ბ) მშობლებზე მისი სრული მატერიალური დამოკიდებულება. მშობლებიც მასწავლებლებთან ერთად აღმზრდელის როლში გამოდიან; გ) ბავშვის მართვისა და კონტროლის ჩვეულება, რომლის შეცვლაც ძნელია; დ) მოზარდის შესახედაობასა და ქცევაში ბავშვური ნაკვთების შენარჩუნება, დამოუკიდებელი მოქმედების შეუძლებლობა.

მშობლისა თუ მასწავლებლის სტერეოტიპული დამოკიდებულება მოზარდის მიმართ, მოზარდის ჩათვლა ისევ ბავშვად, მისი უფლებებისა და დამოუკიდებლობის გაფართოების შეზღუდვა, მოზარდის სოციოგენურ მოთხოვნილებათა იგნორირება ეწინააღმდეგება არა მარტო მოზარდის მისწრაფებებს, არამედ სწავლა-აღზრდის ამოცანებსაც. „იქ, სადაც მოზარდი უფროსების, მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან აღიარებას ვერ ნახულობს და სოციალურ მოთხოვნილებათა ფრუსტრაციას განიცდის, სადაც მის სოციალურ პიროვნებას, რომელიც ახლა იდგამს ფეხს და გამოდის

მოქმედების გზაზე, ანგარიშს არ უწევენ და ისე ექცევიან, როგორც ბავშვს – მისგან მხოლოდ ბრძანებისა და განკარგულების ფორმაში მიცემულ დავალებათა უსიტყვო შესრულებას მოითხოვენ, მოზარდს უმუშავდება უარყოფითი ხასიათის სოციალური განწყობა, რომლის ნიადაგზეც დადებითი სოციალური ურთიერთობების განვითარება შეუძლებელი ხდება.

მოზარდისათვის დამახასიათებელ დიდ სოციალურ აქტივობას, მის დაუოკებელ სურვილს – აღიარონ დიდად და საზოგადოებაში შესაფერისი ადგილი დაიკავოს, წინ ეღობება გარკვეული სახის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. სუბიექტურ მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ თვით მოზარდის პიროვნული თვისებები, მშობლების, პედაგოგ-აღმზრდელებისა და სხვა უფროსი ასაკის ადამიანების დამოკიდებულება მოზარდის მიმართ; ხოლო ობიექტურ მიზეზად სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში სწავლებისა და აღზრდის პედაგოგიურად გაუმართლებელი მეთოდები.

როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, მოზარდობის ასაკისთვის დამახასიათებელ სიძნელეებს იწვევს არა მათში მიმდინარე ბიოლოგიური ძვრები, არამედ მისი სოციალური აქტივობის, სოციალური მომწიფებისკენ მისი ბუნებრივი სწრაფვის ხელოვნური შეფერხება. ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოინახოს გზები და საშუალებები, რომლებიც დაგვეხმარება „ხელოვნური შეფერხებების“ შესუსტებაში და იმაში, რომ მოზარდისათვის დამახასიათებელი სოციალური აქტივობა, რაც მანამდე ნეგატივიზმის წყაროდ ითვლებოდა, ვაქციოთ სასწავლო-აღზმრდელობითი პროცესის ერთ-ერთ მძლავრ, მასტიმულირებელ საშუალებად.

სიძნელეების დაძლევის პედაგოგიურად გამართლებული გზაა სოციალიზაციის პროცესის ბუნებრივი მდინარებისათვის ხელის შეწყობა.

მოზარდობის ასაკში სოციალიზაციის ნორმალური წარმართვის მიზნით, ყველაზე ეფექტური საშუალებაა თეორიულის წავლებისა და მწარმოებლური შრომის ერთდროულობა, მათი შეერთება. ადამიანის ცნობიერება წარმოიშვა და განვითარდა შრომის პროცესში. მილიონი წლების განმალვობაში მრავალი თაობა სწავლობდა და გამოცდილებას იძენდა მხოლოდ და მხოლოდ შრომის პროცესში. ადამიანის ფსიქიკა განვითარდა და ისე „მოეწყო", რომ თეორიული ცოდნის ათვისება უადვილდება პრაქტიკასთან, შრომასთან მჭიდრო კავშირში.

მწარმოებლურ შრომასთან დაკავშირებული სწავლება მოხსნის ბევრ პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ სიძნელეს, რაც თავს იჩენს არა მარტო უშუალოდ სწავლებისა და აღზრდის პროცესში, არამედ პედაგოგ-აღმზრდელთა დამოკიდებულებაშიც. სწავლებისა და შრომის ერთდროულობა, მათი სიმბიოზლი იძლევა იმის საშუალებას, რომ აღმზრდელმა შეცვალოს დამოკიდებულება მოზარდის მიმართ, დაამყაროს მასთან თანამშრომლობა, კოლეგიალური ურთიერთობა, იყოს მისი დამხმარე და ამხანაგი სწავლებისა და შრომის პროცესში. ეს მოხსნის სპეციფიკურ, ტრადიციულ სიძნელეებს, რომლებიც არსებობს მოზარდსა და აღმზრდელს შორის.

სწავლებისა და შრომის შეერთება ხელს შეუწყობს თეორიული ცოდნის სწრაფ და ხარისხიან შეთვისებას, პროფესიის მაღალ დონეზე დაუფლებას, მოზარდს მზადყოფნას სკოლის დამთავრებისთანავე შეუდგეს დამოუკიდებელ შრომით საქმიანობას. ამიტომაც სკოლის სასწავლო პროცესის სინქრონულად, ჩვენს არაფორმალურ პროფესიული განათლების ცენტრებში გადავწყვიტეთ წინ წამოგვეწია სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები, კერძოდ მცირე მექანიზაცია და ვეტერინარია, ამ მიზნით გვინდა შევქმნათ მინი

მეურნეობები, რომელთაც თვითონ მოსწავლეები და სტუ-დენტები უხელმძღვანელებენ, მატერიალური დაინტერესე-ბის კუთხით, ფინანსურ ოპერაციებსაც თვითონ განახორცი-ელებენ.

ადამიანთა ცხოვრების, საქმიანობის და სწრაფვის სფერო იყო და არის ეკონომიკა, სწორედ აქ იქმნება მატერიალურად და სულიერად მდიდარი, საზოგადოების ახალი თვისებრივი მდგომარეობის მიღწევის წინამძღვრები. დღეს ურთულესი ამოცანების დიდი გამოწვევების წინაშეა ჩვენი ქვეყნის ეკო-ნომიკა, ბიზნესის არსს ბავშვობიდანვე უნდა მიეცეს დასაყრ-დენი.

ამერიკელი ბიზნესმენები დიდ ინტერესს იჩენენ მცირეწ-ლოვანთა მიმართ, ეს გამოწვეულია არა მათი საქველმოქმე-დო გრძნობებით, არამედ კვალიფიციური მუშახელის აღზრ-დაზე ზრუნვით. საქმე ისაა, რომ კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა აშშ-ის მწვავე პრობლემაა. აწყდება რა მზარდ საერთაშორისო კონკურენციას, აშშ-ის კომპანიებს ესაჭი-როება კარგად განსწავლული მუშახელი, ვინაიდან ბიზნესი და მრეწველობა ისე სწრაფად ვითარდება და იცვლება, რომ დღევანდელი მუშების 75 პროცენტი, რომლებიც 2020 წლამ-დე იმუშავებენ, როგორც რენდი როსი აღნიშნავს, თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე 4-ჯერ შეიცვლიან პროფესიას. აქე-დან 2 პროფესია ჯერ არც კი არსებობს. ბუნებრივია, პროფე-სიათა ცვლა გამოიწვევს ხელახალ სწავლებას, რაც თავის-თავად დიდ ხარჯებს მოითხოვს.

იმისათვის, რათა ახალ ისტორიულ ვითარებაში თავიანთი პოზიციები შეინარჩუნონ, აშშ-ის საქმიანი წრეები ეძებენ გა-მოსავალს. და აი, სწორედ ამ გარემოებით იყო ნაკარნახევი, ნიუ-იორკის ეოკნომიკური განვითარების კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული გამოკვლევა, რომელიც სახელმწიფო და კერძო სექტორებს მოუწოდებდა, დაეფინანსებინათ მცირე-

შემოსავლიანი ოჯახების 3-4 წლის ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა და სკოლამდელი მომზადების პროგრამები. ამ პროგრამის გარეშე, ნათქვამია მოხსენებაში, სიღარიბემ და უცოდინარობამ შეიძლება მომავალში გამოიწვიოს კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა და საშიშროება შეუქმნას აშშ-ის კონკურენციის უნარს მსოფლიო მასშტაბით.

კომპანია „პროექტერ ენდ გემბლის" ყოფილი მმართველის, ოუენ ბატლერის აზრით, აშშ-ის საქმიანი წრეები ბოლო 10 წლის განმავლობაში დარწმუნდნენ, რომ გაცილებით უფრო შედეგიანია ხარისხის დასაწყისშივე უზრუნველყოფა, ვიდრე მდგომარეობის შემდგომ გამოსწორება, რომ ახლა დაბანდებული ყოველი დოლარი, მომავალში ხუთმაგად ანაზღაურდება, სწორედ ამით აიხსნება, რომ ბოლო წლებში ფართო გამოხმაურება ჰპოვეს პროგრამებმა, რომლებიც ითვალისწინებენ კომპანიების თანამშრომლობას, დაწყებით და საშუალო სკოლებთან, რაც გამოიხატება ფინანსური დახმარების აღმოჩენასა და შრომით უზრუნველყოფაში.

ასე მაგალითად: რამოდენიმე წლის წინათ ბოსტონის საქმიანი წრეების ხელმძღვანელებმა განათლების სისტემის მესვეურთა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავეს პროგრამა, რომლის საფუძველზეც ადგილობრივი კომპანიები ზაფხულობით უზრუნველყოფდნენ მოსწავლეებს სამუშაოთი, ხოლო საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, შეძლებისდაგვარად, დააკმაყოფილებდნენ სამუშაო ადგილით კერძო სექტორში. ამდენად, იმისმა რწმენამ, რომ ბეჯითი სწავლა სამუშაოთი უზრუნველყოფის გარანტიაა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა გაკვეთილებზე დასწრებისა და აკადემიური მოსწრების საქმე.

განსაკუთრებით მჭიდროა კავშირის საშუალო სკოლებსა და ფირმებს შორის ჩიკაგოში. ფირმა „ბლიც კორპორეიშენი"

თანამშრომლობს მარშალის სახელობის სკოლასთან. ფირმა ბლიცის სახელოსნოებში ავტობუსებს არემონტებენ. ფირმამ გამოჰყო რამდენიმე თანამშრომელი სკოლაში შრომითი გაკვეთილების ჩასატარებლად. მოსწავლეები ამ გაკვეთილებზე სწავლობენ ბურღვას, შედუღებას, მოქლონვას. სამი წლის განმალვობაში ამ გაეკვეთილებზე დამსწრეთა რიცხვი 4-ჯერ გაიზარდა, ხოლო 100-ზე მეტი სკოლადამთავრებული ფირმამ სამუშაოთი უზრუნველყო. ფირმა „ოჯილვი ენდ მეტერი" რომელიც შეფობს რობერტ კლემენტეს სახელობის საშუალო სკოლას, სარეკლამო სააგენტოა. ფირმის წარმომადგენლები მოსწავლეებს ასწავლიან მომხმარებლის ყურადღების მისაზიდი სარეკლამო სტრატეგიისათვის პროექტების შემუშავებას. ფირმა მოსწავლეებს სთავაზობს სამუშაოს გაკვეთილებისაგან თავისუფალ დროს. ზოგი მათგანი სკოლის დამთავრებისთანავე სააგენტოს თანამშრომელი ხდება.

ეკონომიკური განვითარების კომიტეტის გამოკვლევაში ნათქვამია, რომ აშშ-ის საწარმოები ვერ შეძლებენ განვითარებასა და კონკურირებას, რადგან ერთთავად მზარდი დაბალი განათლების მქონე მოსახლეობის ფენა ვერ უპასუხებს ამ მოთხოვნებს, რომლებსაც მის წინაშე რთული ტექნოლოგია დააყენებს.

იაპონელი ბავშვების ნახევარს, რომელსაც საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული, ისეთივე ცოდნის დონე აქვს, როგორც რიგით კოლეჯდამთავრებულ ამერიკელს. თუ ჩვენი მოსწავლეები ხუთი წლის განმალვობაში სწავლობენ ფიზიკასა და ალგებრას, ოთხი წლის განმალვობაში – ქიმიასა და ბიოლოგიას. ამერიკულ სკოლებში ერთი წელიც კი არ ეთმობა ფიზიკისა და ქიმიის შესწავლას; თუმცა იაპონიის მოსახლეობა ნახევარჯერ ნაკლებია აშშ-ის მოსახლეობაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა იაპონიაში ინჟინერთა რიცხვი 9

პროცენტით აღემატება ინჟინერთა რიცხვს აშშ-ში, იმათი უმრავლესობა, ვინც ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს ღებულობს ამერიკაში, უცხოელები არიან.

აშშ-ის მრეწველობის მაგნატთა აზრით, ახალგაზრდების განათლების დაბალი დონე საშიშროებას უქმნის ქვეყნის საკონკურენციო უნარს, მის შესაძლებლობებს შეინარჩუნოს სამუშაო ადგილები და გაუმკლავდეს ეკონომიკეურ მოწინააღმდეგეებს, კომპანია „იუნაიტედ ტექნოლოჯის“ ყოფილი თავმჯომარის ჰარი გრეის აზრით, დღესდღეობით მიმდინარეობს ბრძოლა მსოფლიოს ტექნოლოგიური მომავლისათვის.

კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის დიანა რავიჩის აზრით, ამერიკელ მშობლებს მიაჩნიათ, მათი ბავშვები წარმატებას მიაღწევენ, თუკი ნიჭსა და უნარს გამოვლენენ. ხოლო იაპონელი მშობლები თვლიან რომ მთავარია ბეჯითი შრომა. იაპონელ ბავშვებს ადრეული ასაკიდან უნერგავენ მორჩილებას, ხელმძღვანელის პატივისცემას, შრომის ფანატიკურ სიყვარულსა და კოლექტივის ინტერესებისათვის ყოველგვარი პიროვნულის უგულებელყოფას. როგორც წესი, იაპონელი ბავშვები შინ სწავლობენ ანგარიშსა და ანბანს. 4 წლის ასაკიდან იაპონელი ბაშვების 90 პროცენტი ბაღებში დადის. ამერიკული სკოლისაგან განსხვავებით, იაპონურ სკოლაში საზაფხულო არდადეგები 40 დღეს გრძელდება. არდადეგების დაწყების წინ ყოველ მოსწავლეს ეძლევა 40 დღეზე გამიზნული დავალება, რომელიც მან ყოველდღიურად უნდა შეასრულოს. იაპონელი ბავშვები წელიწადში 240 დღის განმავლობაში სწავლობენ.

იაპონიის საშუალო სკოლები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სწავლების ხარისხითა და პრესტიჟით, მაგრამ ერთი რამ კი საერთო აქვთ – „ჯოჯოხეთური საგამოცდო სისტემა და სწავლების სქოლასტიკური მეთოდები მე-9 კლასის დამთავრების შემდეგ იაპონელ მოსწავლეებს

უხდებათ რთული გამოცდების ჩაბარება, რითაც განისაზღვრება თუ ვინ გააგრძელებს სწავლას საუკეთესო უფასო აკადემიურ სკოლაში, კარგ, მაგრამ ძვირად ღირებულ კერძო ან კიდევ – პროფესიულ სკოლაში. მე-12 კლასის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები კვლავ აბარებენ გამოცდებს, რომელთა შედეგებით საუკეთესოებს უფლება ეძლევათ, ტოკიოს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებისა, რაც, თავის მხრივ, მომავალში პრესტიჟული სამუშაო ადგილის დაკავების გარანტია! შედარებით უფრო ნაკლები აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს უფლება აქვთ ჩააბარონ ნაკლებად პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში და დაყაბულდნენ, ასევე ნაკლებად პრესტიჟულ სამუშაო ადგილს.

ამრიგად, მსოფლიოს წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნები ინდუსტრიულ სამყარში ეკონომიკური ძლიერების შენარჩუნების მიზნით ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა რადიკალურად გარდაქმნან განათლების სისტემა თანამედროვე ტექნოლოგიის მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

„ახალგაზრდული საწარმო“ – ასე ეწოდება სტუდენტურ კვლევით ჯგუფებს, რომლებიც თავიანთ სამსახურს სთავაზობენ სხვადასხვა ფირმებს. ამასთან, სტუდენტები ისახავენ ორ მიზანს. ჯერ ერთი, ამ გზით ცდილობენ უფრო გაიმდიდრონ თეორიული მომზადება და მეორე – კავშირი გააბან იმ ფირმებთან, სადაც შესაძლოა სამუშაოდ მიიღონ.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში პარიზის მახლობლად მდებარე უმაღლეს კომერციულ სასწავლებელში გაჩნდა საფრანგეთში პირველი „ახალგაზრდული საწარმო“. მაშინ არავის ეგონა, თუ ეს სიახლე ფართოდ დაინერგებოდა. დღეს სტუდენტური კვლევითი ჯგუფები მოქმედებენ საფრანგეთის 109 უმაღლეს სასწავლებელში. ისინი გაერთიანებულნი არიან ახალგაზრდულ საწარმოთა ნაციონალურ კონფედერაციაში.

„ახალგაზრდულ საწარმოთა“ ნაწილი საკონსულტაციო ფირმებია, რომლებიც დასპეციალიზებულია მარკეტინგის, რეკლამის, ფინანსების, ინფორმატიკის, პროდუქციის ხარისხზე კონტროლის, წარმოების ორგანიზაციის სფეროში. მაგრამ სტუდენტურ კვლევით კოლექტივთან უმრავლესობა დასაქმებულია ტექნიკური და ტექნოლოგიური დამუშავებებით, რაც დღეს ნაციონალური კონფედერაციის საქმიანობის მთელი მოცულობის 60 პროცენტს შეადგენს.

მაგალითად, ტულუზის აერონავტიკისა და კოსმოსის უმაღლესი სკოლის სტუდენტთა ჯგუფმა კომპანია „მატრასის“ შეკვეთით დაამუშავა ელექტროგამტარის სისტემა დედადმიწის ხელოვნური თანამგზავრისთვის, ცენტრალური პარიზის სკოლის „ახალგაზრდულმა საწარმომ“ დააკონსტრუირა დისტანციური მართვის სისტემის ელემენტები კონცერნ „აეროსპასიალის“ დაკვეთით.

ასეთ თანამშრომლობას მომავალი ინჟინრებისა და ეკონომისტებისთვის როგორც ინტელექტუალური, ისე მატერიალური სარგებლობაც მოაქვს. ფირმები გულუხვად გასცემენ თანხებს პერსპექტიული დამუშავებებისთვის. 1986 წელს ახალგაზრდულ საწარმოთა ნაციონალური კონფედერაციის ბრუნვამ 52 მილიონი ფრანკი შეადგინა.

მაგრამ ნებისმიერ კარგ წამოწყებას მომხრეებთან ერთად მოწინააღმდეგებიც ჰყავს-ხოლმე. ზოგი სტუდენტ-მკვლევარებს, მაგალითად, „მგლის ლეკვებს“ უწოდებს: „მგლის ლეკვები კი არა ვართ, მაგრამ გვაქვს გარკვეული პატივმოყვარეობა, გვინდა ჩვენი ბედის სადავე ჩვენვე გვეპყრა ხელთ“ – მათ პასუხად ამბობს ახალგაზრდულ საწარმოთა საერთაშორისო კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი 23 წლის მატიე სიპი.

ფხიანი, გერგილიანი სტუდენტები საფრანგეთის გარეთაც ჰყავთ. მსგავსი „ახალგაზრდული საწარმოები“ მოქმე-

დებენ ესპანეთის, იტალიის, ჰოლანდიის, ბელგიის, იაპონიის, აშშ-ის, ბრაზილიის, მაროკოსა და ჰონკონგის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტები ემზადებიან მიმდინარე 2012 წლისათვის, დიახ, წელს უნდა შეიქმნას ერთიანი ევროპული ბაზარი. უკვე ფუნქციონირებს „ახალგაზრდულ საწარმოთა ევროპული ქსელი“.

სამი ათეული წლის წინ პირველი „ახალგაზრდული საწარმო“ შეიქმნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც, ვორმსის ეკონომიკის უმაღლეს სკოლაში. ამ ჯგუფის ორგანიზატორები არიან სტუდენტები ბერნადეტა შტოკი, ვოლფ ჰაილიგი და ფრანკ რაიმანი. მათ ორი ფრანგული ფირმის დაკვეთით ჩაატარეს დასავლეთ გერმანული ბაზრის ანალიზი. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა იმან, რაც სტუდენტებმა გააკეთეს – ამბობს ფრანგი საქმოსანი სტრასბურგიდან კლოდ ბოლონგერი – მათ პროფესიონალ კონსულტანტებზე ნაკლებად არ უმუშავიათ. გამოკვლევისთვის, რომელიც ფრანგულ ფირმებს დაეხმარა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბაზარზე გაესაღებინათ „იუნისკის“ ტიპის პროგრამები, სტუდენტთა კოლექტივმა დამკვეთებისაგან მიიღო საკმაოდ სოლიდური თანხა. საფრანგეთში სტუდენტი მკვლევარები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მატერიალურ ფაქტორს, ნაციონალური კონფედერაციის წესდებაში ჩაწერილია, რომ „ახალგაზრდული საწარმოები“ სამუშაოებს ასრულებენ მხოლოდ საჰონორარო საწყისებზე. მაგრამ დასავლეთ გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორების აზრით, მატერიალური მხარე თვითმიზნად არ უნდა იქცეს. „თითოეულ პროექტში უნდა ვხედავდეთ დიდაქტიკურ ელემენტსაც“ – აცხადებს პროფეოსრი ქრისტიან მიონხი.

შექმნილია გერმანიის „ახალგაზრდულ საწარმოთა“ კავშირი, სადაც იყენებენ საფრანგეთის ნაციონალურ კონფედერაციას. თავის დროზე ბანკ „ლიონის კრედიტმა“ ფინანსური

მხარდაჭერი აღმოუჩინა საფრანგეთის სტუდენტურ კვლევით კოლექტივებს. დასავლეთ გერმანელ სტუდენტებს „კომერცბანკის“ დახმარების იმედი აქვთ. „კომერცბანკის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ქრისტიან ფრანკი ჰპირდებათ: „ჩვენ მივცემთ აუცილებელ სახსრებს. ასეთი პოლიტიკა პასუხობს ჩვენი ბანკის ინტერესებს“.

ვორმსელი სტუდენტების ინიციატივას მხარი დაუჭირეს ქვეყნის სხვა უმაღლესმა სასწავლებლებმაც, ბევრგან უკვე შეიქმნა ანალოგიური კოლექტივები. სტუდენტ-ეკონომისტებმა მანჰეიმის უნივერსიტეტში შეადგინეს ჯგუფი „კონტაქტი და კოოპერაცია“, რომელმაც უკვე მიიღო დაკვეთა მანჰეიმის ფირმა „მოტორევერკესგან“. ფირმის გენერალური დირექტორი და მანჰეიმის ფილიალ „დოიჩე ბანკის“ მმართველი ჯგუფის საბჭოს შემადგენლობაში შედიან.

ფირმის ხელმძღვანელები საკმაოდ მალე დარწმუნდნენ სტუდენტური ინიციატივების პერსპექტიულობაში, პროფესორები კი კვლავ ქედმაღლურად სდუმან. არც ერთი მათგანი არ შესულა კვლევითი ჯგუფების საბჭოს შემადგენლობაში. ისინი კვლავაც ძველი პრინციპით ხელმძღვანელობენ: „პრაქტიკა მკვდარია თეორიის გარეშე“. მაგრამ ამ პრინციპს კორექტივა ესაჭიროება. ჩვენს დროში თეორიული მომზადება ხელიხელ ჩაკიდებული უნდა მიაბიჯებდეს პრაქტიკასთან, თანაც ისეთ პრაქტიკასთან, რომლის საფუძველია შრომის საერთაშორისო დაყოფა.

მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-განზოგადება და პრაქტიკაში მისი მასობრივი დანერგვა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია იმის გამოც, რომ პედაგოგიური მეცნიერების თეორიული მიღწევები, მისი რეკომენდაციები პრაქტიკაში უაღრესად ნელი ტემპით ინერგება.

სკოლის განვითარების ისტორია ადასტურებს, რომ მისი სრულყოფის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ყოველთვის იყო მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების მიერ მოპოვებული თეორიულ-პრაქტიკული ცოდნა. ამ აზრის დასასაბუთებლად ა. მაკარენკოს და ვ. სუხომლინსკი სშრომებიც იკმარებდა. თითქოს დღეს პედაგოგიკურ პრაქტიკაში ასეთი ავტორიტეტები აღარ არიან, მაგრამ, საბედნიეროდ, შეიძლება დავასახელოთ არა ერთი და ორი პიროვნება, რომელთა გამოცდილებას შეუძლია გაამდიდროს სკოლის თეორია და პრაქტიკა.

დამაფიქრებელია ისიც, რომ მოწინავე გამოცდილების სახით მოპოვებული სიახლეები უმეტესწილად სკოლის პრაქტიკაში არ აისახება და ამდენად მასზე ქმედით გავლენასაც ვერ ახდენს. აღნიშნულ გარემოებას მრავალი სხვადასხვა მიზეზი აქვს. კერძოდ მოწინავე გამოცდილება ხშირად შეუმჩნეველი რჩებათ სასწავლო დოკუმენტების ხელმძღვანელებს; ხშირად გამოცდილების მასობრივ გავრცელებას ხელს უშლის საკუთრივ მისი რთულიხასიათი, უმეტეს წილად კი სიახლისადმი დამოკიდებულებაში არსებული გაუმართლებელი სკეპტიციზმი, უნდობლობა და, რაც მთავარია, პედაგოგთა საკმაოდ მოზრდილი მასის მისწრაფება მყუდრო სასკოლო ცხოვრებისადმი.

პედაგოგიკის შემდგომი წინსვლა-განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული გამოცდილების იმ ნაირსახეობას, რომელსაც „მოწინავე პედაგოგიური გამოცდილება“ ეწოდება. მას მიეკუთვნება ისეთი პედაგოგიური პრაქტიკა, რომელიც შეიცავს სიახლის, ორიგინალობის, ნოვატორობის იმ ელემენტთა ერთობლიობას, რაც მასობრივ პრაქტიკას არ ახასიათებს და უზრუნველყოფს მაღალ პედაგოგიურ მაჩვენებლებს ენერგიის, დროისა და შესაძლებლობათა ეკონომიური ხარჯვის პირობებში. მოწი-

ნავე პედაგოგიური გამოცდილება ეხმაურება ეპოქის მოთხოვნებს, საზოგადოების სოციალურ შეკვეთას და, აქედან გამომდინარე, სკოლის განვითარების ძირეულ ტენდენციებს. იგი სტაბილური შედეგების გარანტირებით წინ სწევს სკოლის თეორიასა და პრაქტიკას. გარდა უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობისა მოწინავე გამოცდილებას დიდი მორალური ღირებულებაც აქვს, რაც მისი სააღმზრელო, მასტიმულირებელი, საგანმანათლებლო და განმავითარებელი მაჩვენებლებით გამოიხატება. მოწინავე გამოცდილების მაძიებელი და მომპოვებელი პედაგოგი თვითონაც იზრდება, ვითარდება და, რაც მთავარია, სხვასაც უღვივებს სწრაფვას ახლის ძიებისაკენ.

– მეგობარს ვეკამათე! – ჩემი ყოველგვარი შეკითხვის გარეშე მითხრა ირაკლიმ, როდესაც გაკვეთილის მსვლელობის დროს სასკოლო ბუფეტში წავასწარი.

– რატომ?

– ?! (დაბნეული ჩანდა).

– იცი? ორი მეგობარი იყო, ერთი ბიოლოგი, მეორე ისტორიკოსი – ვუთხარი და თან ხელით ვანიშნე დამჯდარიყო. მეც მის მაგიდას მივუჯექი, ფინჯანი ყავის მოლოდინში – კარგი მეგობრები იყვნენ, ორივეს ერთი გოგო უყვარდათ სკოლიდან...

– მერე? – გამოცორცხლდა ირაკლი.

– გადაწყვიტეს გოგონას არჩევანი თვითონ გაეკეთებინა, მხოლოდ ერთი პირობით: – ბიჭების მეგობრობა არ უნდა დარღვეულიყო, გოგონამ ისტორიკოსი აირჩია, ბიოლოგმა პირობა დაარღვია და გარიყა მეგობარი, ბოლოს ისევ ისტორიკოსმა იძალა და...

– მერე?

– არაფერი, ორივენი უმეგობროდ დაკარგული წლებზე დარდობდნენ!

ირაკლის დიდხანს არ უფიქრია, ის და მისი მეგობარი იმ დღესვე შერიგდნენ.

სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით განასხვავებენ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების ორ სახეს: ფართოს და ვიწროს. ფართო გაგებით მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებად მიჩნეულია ისეთი ტიპის პრაქტიკა, როდესაც პედაგოგი თეორიაში არსებული პრინციპების, მეთოდების, წესების, ხერხების მარჯვე გამოყენებით სისტემატურად უზრუნველყოფს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სასურველ მაღალ დონეს. ამ ტიპის გამოცდილებაში ახალი და ორიგინალური ხშირად არაფერია. მოწინავე გამოცდილების ეგრეთ წოდებული ვიწრო გაგება გულისხმობს ისეთ პრაქტიკას, რომლის გასაგებადაც პედაგოგი მანამდე უცნობ გზა-საშუალებებს, ხერხებსა და წესებს მიმართავს. ამ დროს მას ხშირად უხდება შეცვალოს გაკვეთილის სტრუქტურა, გასავლელი მასალის პროგრამით გათვალისწინებული მოცულობა და მრავალი სხვა. ცხადია, პედაგოგიკის თოერიისა და პრაქტიკისათვის ამ ტიპის გამოცდილება სრულიადაც არ არის „ვიწრო“ მნიშვნელობის მქონე. პირიქით, პერსპექტივით თვალსაზრისით სწორედ ასეთი გამოცდილებაა ფართო შინაარსის მატარებელი და ამდენად საგანგებო ყურადღების ღირსია.

სასწავლო პროცესის შემოწმების მიზნით, სკოლის დერეფანში, გაკვეთილების მსვლელობის დროს, ხშირად დავდივარ... ქიმიის კაბინეტიდან უჩვეულო ყიჟინი ისმოდა, კარები შევაღე და...

– ბატონო გარი! – უხერხულად შეიშმუშნა მასწავლებელი – კარგ დროს შემობრძანდით, ქიმიურ ცდებს ვატარებთ, კოჭლამაზაშვილი მებუნება – არ მჭირდებაო!

– როგორ? – გაკვირვება ვერ დავფარე.

– ქიმია არ მჭირდებაო! – ისევ წამოენთო მასწავლებელი.

– დიახ არ მჭირდება, მე თქვენსავით მწერალი მინდა გავხდე ბატონო გარი და არა ქიმიკოსი! – უკან არ დაიხია ნიკა კოჭლამაზაშვილმა.

– და შენ გგონია, რომ მე ქიმია არ ვიცი? ან მათემატიკა? ან ფიზიკა?

– ?!

– ახლა გაკვეთილის მსვლელობაში ხელს აღარ შეგიშლით – მივმართე მასწავლებელს, ნიკა კი გაკვეთილების შემდეგ კაბინეტში დავიბარე, დრო ბევრი არ მქონდა, სულ რაღაც ორი ორმოცდახუთი წუთი, გადავწყვიტე დამატებითი განათლება მიმეღო ქიმიაში და როდესაც ნიკა შემოვიდა კაბინეტში დავიწყე:

– ქიმიური მოვლენები უძველესი დროიდან რომ იყო ცნობილი ამაზე წარმოდგენას იძლევა უძველეს ხალხთა ისტორია. არსებობს უამრავი ცნობები იმის შესახებ, რომ ქიმიას მიიჩნევდნენ ხელოვნებად. სიტყვა „ქიმია“ თავდაპირველად შემოვიდა საბერძნეთიდან. „ქიმიას“ იხსენიებს თავის ხელნაწერებში ფირმიკ მატერი, ხოლო ჩვენამდე ამ სიტყვის მნიშვნელობა მოიტანა ეგვიპტელმა ალქიმიკოსმა ზოსიმამ.

ქიმი – ეგვიპტელების ენაზე უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს ლითონთა დნობის ხელოვნებას. ამას ადასტურებენ თქმულებანი ანტიკურ ლიტერატურაზე და ლეგენდარული მოთხრობები ამ ხელოვნების წარმოშობაზე. ტექნიკური ცოდნა, რომელსაც იყენებდნენ მხოლოდ მოსატყუებლად და გასართობად, სულ უფრო და უფრო ნაყოფიერს ხდიდა, ამდიდრებდა ადამიანურ კულტურას.

მას შემდეგ რაც XVIII საუკუნეში ლავუაზიემ ქიმია ზუსტ მეცნიერებამდე აამაღლა, იგი წამყვან როლს თამაშობს ბუნებისმეტყველებაში და ქიმიის საშუალებით, თანამედროვე ხანაში, წინა პლანზე წამოიწია მეცნიერებასა და ტექნიკას შორის კავშირმა.

თავისი არსებობის პირველ ასწლეულში, ქიმია ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი ცალკე, დამოუკიდებელ მეცნიერებად. ალექსანდრიაში იგი ითვლებოდა „წმინდათა საიდუმლო ხელოვნების“ აუცილებელ შემადგენელ ნაწილად.

ეგვიპტური ცივილიზაციის ისტორია, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა, საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქიმიური წარმოება წარმოიშვა ეგვიპტეში. ასეა თუ ისე სავსებით ნათელია რომ ეგვიპტეში ქიმიური წარმოებით დასაქმებულნი იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ წმინდანები და იგი ითვლებოდა „წმინდა ხელოვნებად“.

XIX საუკუნიდან ქიმია დამოუკიდებელ მეცნიერებად იქცა, რომელიც დაკავშირებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერების სხვა დარგებთან.

მართალია ქიმია გარდაიქმნა მეცნიერებად და შეწყდა მისი კავშირი ხელოვნებასთან, მაგრამ მისი კავშირი ესთეტიკურ პრობლემებთან მშვენიერების გაგებით ბუნებაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში – სავსებით ნათელია. ქიმია – მეცნიერებაა ნივთიერებათა გარდაქმნის შესახებ, საოცარი თამაში ფორმებისა და საღებავი მასალებისა. პირველი გაცნობისთანავე ქიმიურ მოვლენებსთან, დამკვირვებლის წინაშე იხსნება მშვენიერების ახალი სამყარო, პირველ რიგში საღებავების სისუფთავისა და ფორმების აბსტრაქტული სიზუსტის სახით. ძველეგვიპტური ტექნიკა, რომლის მიზანს შეადგენდა ძვირფასი მეტალებისა და ქვების იმიტირება, განიხილებოდა, როგორც ჭეშმარიტი ხელოვნება, ერთი ნივთიერების მეორედ გარადქმნა. დაახლოებით, ორი ათასი წლის წინათ რომაელმა პოეტმა და მეცნიერმა ლუკრეციუსმა დაწერა ორიგინალური პოემა „საგანთა ბუნებისათვის“ მან მეტად ჟღერადი სიტყვებით მოგვითხრო თავის შემოქმედებაში ბერძენი ფილოსოფოსის დემოკრიტეს შეხედულებაზე სამყაროს შესახებ. ლუკრეციუსი გამოთქვამს აზრს ადამიანური

კულტურის განვითარებაზე, ხელოვნებაზე. გარდა ამისა, მან დაუთმო ლითონების აღმოჩენას თავისი შემოქმედების მეტად საინტერესო ნაწილი.

ეგვიპტელებისათვის ცნობილი იყო ოქროს შემცველი საბადოები აღმოსავლეთ აფრიკაში, რომელსაც ისინი უწოდებდნენ „ნუბიას“. შედარებით მოგვიანებით ეგვიპტელიხალხი გაეცნო ტყვიას, რკინას, სპილენძს... ეს მოხდა მრავალი ათასწლეულით ადრე ჩვენს ერამდე.

უფრო მოგვიანებით ცნობილი გახდა კერამიკული ნაწარმის დამზადების ხერხები, აგრეთვე მინის დამზადება. ცნობილი იყო ღებვის ხელოვნებაც, რომელშიც პირველობა ეკუთვნოდა შორეული აღმოსავლეთის ხალხებს. საღებავებს ძველთაგანვე იცნობს ადამიანი. ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში ადამიანები ფართოდ იყენებდნენ მცენარეული და ცხოველური წარმოშობის საღებავებს. ქიმია, როგორც უკვე აღვნიშნეთ მართალია ხელოვნებად აღარ ითვლება, მაგრამ მისი კავშირი ისეთ ესთეტიკურ პრობლემებთან, როგორიცაა სიმეტრია, ჰარმონიულობა, პროპორცია – კვლავ არსებობს. ძველი ბერძენი ფილოსოფოსები სიმეტრიას განიხილავდნენ, როგორც ჰარმონიულობის ხშირ შემთხვევას, ნაწილების შეთანხმებას სისრულის ჩარჩოებში. თანამედროვე მეცნიერები კი სიმეტრიას განმარტავს, როგორც სტრუქტურული ობიექტების აგებულების წესს. უფრო ზუსტი სიმეტრია შეიმჩნევა კრისტალების სფეროში. დ. ი. მენდელეევი „ქიმიის საფუძვლებში“ წერს კრისტალური წარმონაქმნების მშვენიერებაზე.

სიზუსტე, სილამაზე და სისრულე კრისტალური წარმონაქმნებისა მრავალი მკვლევარის ყურადღებას იქცევს, რომლებმაც მთელი რიგი შრომები მიუძღვნეს ამ საქმეს. მხოლოდ XVII-XVIII ს.ს. გამოჩნდა პირველი მეცნიერული შეხედულებანი კრისტალების ბუნებაზე.

ქიმიას დიდი როლი ეკუთვნის ხელოვნების განვითარებაში. ჭეშმარიტი მხატვარი თავისი ნაწარმოებით, რომელიც სინამდვილის შემეცნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს, გვეხმარება სრულიად ახლებურად გაგვაგებინოს ის, რაც მანამდე თითქოს ცნობილი იყო, მაგრამ მაინც ვერ ვიყავით სავსებით გარკვეული და ყოველივე ეს ფერებისა და საღებავების შეხამებით ხდება. საღებავის ფერი განპირობებულია მისი ფიზიკური აღნაგობითა და ქიმიური შემადგენლობით, რომელთა შეცვლით იცვლება ფერიც.

ჭეშმარიტი მხატვარული ნაწარმოებები და ქმნილებები უდიდეს გავლენას ახდენენ ადამიანებზე, მის ესთეტიკურ და სულიერ განვითარებაზე:

ასე ქიმია რომელიც შეისწავლის ბუნების ობიექტურ კანონებს, ქმნის ბუნებაში არარსებულ ნივთიერებებს, მსგავსად ხელოვნების ნაწარმოებისა და აყენებს მათ ადამიანის სამსახურში. ქიმია უშუალოდაც მოქმედებს ხელოვნების მთელი რიგი დარგების განვითარებაზე. ქიმიური შემეცნების პროცესი კი თავად წარმოადგენს ღრმა ესთეტიკური კვლევის ობიექტს და ლიტერატურულ შედევრს!

ნიკა მონუსხულივით მისმენდა, მერე ქიმიის მასწავლებელმა მითხრა, ჩემს საგანში ერთ-ერთი მოწინავე გახდაო...

***

იდეალად მიმაჩნია ისეთი მდგომარეობა, რომ იმ მომენტში როცა ლაპარაკი იწყება სიყვარულზე, ქორწინებაზე, ბავშვებზე, ადამიანი – ჩვენი პატარა ადამიანიც, ბავშვიცა და მოზარდიც – იმასვე უნდა გრძნობდეს, რასაც გრძნობს და განიცდის ემოციურად აღზრდილი ადამიანი ხელოვნების ათასწლოვანი ძეგლის დანახვისას. ჩვენ, უფროსმა თაობამ, უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ ველაპარაკოთ ბავშვებს და ახალ-

გაზრდებს დიადისა და მშვენიერის შესახებ – სიყვარულზე, ქორწინებაზე, ბავშვების დაბადებაზე, სამარის კარამდე ადამიანის ერთგულებაზე... სიკვდილსა და გულის ხსოვნაზე, სანამ ჩვენ ამის შესახებ ლაპარაკსა და ფიქრს არ ვისწავლით, მანამ ვერ ვასწავლით ჩვენს სტუდენტებს გულისთქმათა და გრძნობათა სიწმინდესა და სილამაზეს. ამ სფეროში უვიცობას კი სტუდენტთა ცრემლები და მწუხარება მოსდევს.

დაქორწინებისას ახალგაზრდა ვაჟსა და გოგონას წარმოადგენა არა აქთ ურთიერთობათა იმ რთულ და სათუთ კულტურაზე, რომელსაც დაქორწინებულთა ცხოვრება მოითხოვს.

მათთვის არავის უთქვამს და მათ არ იციან, რომ ქორწინებითი ცხოვრება, ყოველდღე ერთად, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება არაა პაემანი ბედნიერ საათებში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე, – ეს არის ისეთი დიდი შრომა, სულიერი შრომის დაძაბულობა, რომლის შედარება არაფერთან არ შეიძლება. ამისათვის საჭიროა უდიდესი სულიერი კულტურა, სულიერი მომზადება, სიბრძნის სკოლის გავლა...

ასეთი სკოლა კი, არც კოლეჯი და არც ინსტიტუტი რაგინდ უცნაურობადაც მოგეჩვენოთ, არა გვაქვს, ამიტომაც არ არსებობს მშობელთა პედაგოგიკაც. ამიტომ ბავშვების დაბადებისათვის ზოგიერთი ახალგაზრდა ზნეობრივად ისეა მომზადებული, როგორც წერა-კითხვის უცოდინარი კაცი ფილოსოფიის წვდომისა და გაგებისათვის... ცხოვრება მოითხოვს, რომ ბიჭებისა და გოგონებისათვის კოლეჯებსა და ინსტიტუტებში შემოღებული იქნეს კურსი საოჯახო ურთიერთდამოკიდებულების კულტურის, ქორწინების, ბავშვთა დაბადებისა და აღზრდის შესახებ... ეს კურსი უნდა ასწავლოს სულიერად მდიდარმა, მორალურად მომზადებულმა ადამიანმა... ხვალინდელი მამებისა და დედების წინაშე დამაჯერებელი ფაქტებით უნდა ავხსნათ და განვმარტოთ იმ ჭეშმარიტების არსი,

რომ დაქორწინებულთა ცხოვრება ნიშნავს ყოვე წამს შეხებას ადამიანთან აზრით, გულით, გრძნობებით, ჯერ ქმართან, ცოლთან, შემდეგ – ბავშვებთან, ძალიან რთული და სათუთი საქმეა გონებითა და გულით ჩასწვდე ერთი შეხედვით უბრალო ცხოვრებისეულ საკითხებს. ეს საკითხები მოითხოვს მშობლებისა და პედაგოგის დიდ სიბრძნეს, ხოლო თუ ჩვენ ნამდვილად გადავუშლით ვაჟებსა და გოგონებს ცხოვრების სიბრძნესა და სირთულეს, ეს მათ დაეხმარებათ გახდნენ მოწიფულნი, წინდახედულნი, აღარ იქნება ის ქარაფშუტობა, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ბევრი ახალგაზრდის შეხედულებებსა და საქციელში. დემოკრატია ოჯახურ ურთიერთობებზე უარის თქმას როდი ნიშნავს!

ადამიანის არსება ყველაზე უფრო ნათლად აიხსნება მოვალეობაში. იმაში, რომ ადამიანი კისრულობს პასუხისმგებლობას სხვა ადამიანისათვის. მოვალეობა და კიდევ მოვალეობა – აი ის ატმოსფერო, რომელშიც უნდა ვზრდიდეთ ადამიანის მიერ ნაშობ არსებას, რათა მას ღირსეულად ერქვას ადამიანის დიდი სახელი, ამიტომაც ძნელია სიტყვებით გადმოსცე დედობრივი, მამობრივი გრძნობები. მათში სრულად ჩაწვდომა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც თვითონ გახდა მამა ან დედა. მახსოვს ერთი ასეთი ამბავიც, ახალგაზრდა მეუღლეებს – მასწავლებლებს – დიდხანს არ გაუჩნდათ შვილები. ათ წელიწადს ელოდნენ ისინი – ელოდნენ მშობლიურ ბედნიერებას და უკვე ნაკლებად სჯეროდათ, რომ მათ ოჯახშიც შეიხედავდა იგი... მაგრამ აი, ახალგაზრდა ქალი დაორსულდა, სიხარულის ცრემლებით ჰყვებოდა იგი ამის შესახებ რექტორატში: ჯერ ქალებს უამბობდა, მერე კი ქალებმა მამაკაცებსაც გაგვაგებინეს, ყველას გვიხაროდა და ცოლ-ქმარს ვულოცავდით. ხოლო როცა ახალგაზრდა მამამ თავისი მეუღლე ვაჟიანად მოიყვანა სახლში, იგი რომელიც მეტად ბედნიერი და აღელვებული იყო, ხელში აყვაილი შვი-

ლით კოლეჯში მოვიდა. უნდოდა რაღაც ეთქვა და აცრემლდა. მერე კი, როცა მღელვარება დასძლია, თქვა:

– იმ წუთიდან, როცა ბავშვის ხმა გავიგონე, სრულიად სხვა ადამიანად ვიგრძენი თავი. ჩემს გულს პაწაწა ნამცეცი გამოეყო და ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ ეს ჩემი მეორე გულია, ჩემი მეორე არსებაა...

შემდეგ მან მოგვითხრო, რომ ლექციებზე მან ახლა სრულიად სხვანაირად დაინახა ბავშვები: „ბავშვის ყოველი ტკივილი ჩემს საკუთარ ტკივილად იქცა“, – ამბობდა იგი.

ჩავუფიქრდეთ ამ სიტყვებს მშობლებო! ბავშვს რომ ვბადებთ, ამით ჩვენი გულის ნაწილს გამოვყოფთ, ადამიანისათვის – შემოქმედისათვის არაფერია იმაზე უფრო კეთილშობილი, უმაღლესი მისია, ვიდრე მამობა და დედობა, იმ დროიდან, როცა შენმა სისხლმა სისხლთაგანმა და ხორცმა ხორცთაგანმა სუნთქვა დაიწყო და სამყაროს გახელილი თვალები მიაპყრო, შენ უდიდესი პასუხისმგებლობა იკისრე: ყოველ წუთს, შენს შვილს რომ უყურებ, საკუთარ თავს ხედავ; შენს შვილს რომ ზრდი, საკუთარ თავსაც ზრდი, განამტკიცებ შენს ადამიანურ ღირსებას...

არსებობს ათობით, ასობით პროფესია, სპეციალობა, სამუშაო: ერთს რკინიგზა გაჰყავს, მეორე საცხოვრებელ სახლებს აშენებს, მესამეს ხორბალი მოჰყავს, მეოთხე ადამიანებს კურნავს, მეხუთე ტანსაცმელს კერავს, ზოგიც თავს ვაჭრობით ირჩენს, მაგრამ არის ყველაზე უნივერსალური, ყველაზე რთული და უკეთილშობილესი სამუშაო, რომელიც ყველასთვის ერთიანია და იმავე დროს ყოველ ოჯახში თავისებური და განუმეორებელია, – ეს არის ადამიანის აღზრდა და ჩამოყალიბება...

ამ სამუშაოს განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ ადამიანი მასში პოულობს ისეთ ბედნიერებას, რომლის შედარება არაფერთან არ შეიძლება. ადამიანთა მოდგმას რომ აგრძელებენ.

მშობლები თავიანთ შვილში იმეორებენ თავიანთ თავს და იმაზე, თუ რამდენად შეგნებულია ეს გარემოება, დამოკიდებულია მორალური პასუხისმგებლობა ადამიანისათვის, მისი მომავლისათვის ყოველი წამი იმ სამუშაოსი, რომელსაც აღზრდა ეწოდება, ეს არის მომავლის შექმნა და მომავლისთვის მზერა.

აღზრდაში ორგანულად ერწყმის ერთმანეთს საზოგადეობრივი და ინტიმური... სწორედ ამ შერწყმაშია ადამიანის ბედნიერების ჰარმონია.

თუ თქვენ იმაზე ოცნებობთ, რომ ამქვეყნად თქვენს შემდეგ კვალი დატოვოთ, სავალდებულო არ არის იყოთ გამოჩენილი მწერალი ან მეცნიერი, კოსმოსური ხომალდის შემოქმედი ან პერიოდული სისტემის ახალი ელემენტის აღმომჩენი, თქვენ შეგიძლიათ საზოგადოებაში სახელი მოიხვეჭოთ კარგი შვილების აღზრდით, კარგი მოქალაქეების, კარგი მშრომელების, კარგი ვაჟიშვილის, კარგი ქალიშვილის, მომავალი კარგი მშობლების აღზრდით.

ადამიანის შექმნა, სულიერი ძალის უმაღლეს დაძაბულობას მოითხოვს და მისი შედეგია. ეს არის ცხოვრებისეული სიბრძნე, ოსტატობაც, ხელოვნებაც, შვილები არა მარტო და არა იმდენად ბედნიერების წყაროა, შვილები – ეს არის ბედნიერება, რომელიც თქვენი შრომითაა შექმნილი. გახსოვდეს ეს – შენც, ჭაბუკო, რომელიც გულის ფანცქალით მოელი შეყვარებულთან პაემანის წუთს, შენც, ახალგაზრდა მამავ, პირმშო აკვანში რომ გიმღერის თავის მარადიულ სიმღერას, შენც, გაჭაღარავებულო, ოჯახური ცხოვრების სიხარულითა და მღელვარებით გამობრძმედილო კაცო, შვილების მამავ და შვილიშვილების პაპავ! მამობრივი და დედობრივი ბედნიერება ციური მანანა არ არის, იგი სადღესასწაულო სტუმარივით კარს არ მოგადგებათ, როგორც კი თქვენ, გოგონავ და ჭაბუკო, ცოლ-ქმარი გახდებით. ეს ბედნიერება ძნელი მისაღწევია, სიმწრით არის მოპოვებული იგი

მხოლოდ იმათი ხვედრია, ვისაც არ ეშინია ერთფეროვანი, მრავალწლოვანი, თავდავიწყებადე მისული შრომისა... ამ შრომის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ იგი, ეს შრომა წარმოადგენს გონებისა და გრძნობების, სიბრძნისა და სიყვარულის შერწყმას. იმის უნარს, რომ ახლანდელი წუთით რომ ტკბები, მღელვარებით შეხედო მომავალსაც, იქ, სადაც ეს ბრძნული მამობრივი და დედობრივი უნარი დაკარგულია, ბედნიერება მოჩვენებად იქცევა.

უკრაინის იმ პატარა სოფლის სკოლაში, სადაც ვასილ სუხომლინსკი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, მეორე კლასში ორი მეგობარი გოგონა სწავლობდა, ერთ-ერთ მათგანს – ნატაშას, მამა არ ჰყავდა, როცა გოგონა პატარა იყო, ხშირად ეკითხებოდა დედას, სად არისო მამა, დედა დუმდა, ერთხელ კი ატირდა... მოწაფე რომ გახდა, ნატაშას დედისათვის აღარასოდეს უკითხავს მამის ამბავი...

მის მეგობარს ნასტიას დედაც ჰყავდა და მამაც, ერთხელ ნასტია ნატაშას ესტუმრა და ჰკითხა: „სად არის მამაშენი?“ გოგონას შერცხვა ეთქვა, რომ მას მამა არ ყავს და უპასუხა: „ჩემი მამიკო მფრინავია, ფრინავს... შინ იშვიათად მოდის ხოლე“. იმ ფულიდან, რომელსაც დედა ნატაშას სადილისთვის აძლევდა, ბავშვი ყოველდღე რამდენიმე კაპიკს გადაანარჩუნებდა, ერთხელ ჩაჯდა ავტობუსში, ქალაქში გაემგზავრა და მფრინავის კარტუზი იყიდა... თუ გოგონას დღიურში ცუდი ნიშნები ჩაიწერებოდა, იგი მეგობარს ეუბნებოდა: „ოი, რა მეშველება, რას მეტყვის ჩემი მამიკო...:“ ამ სიტყვებში ჟღერდა არა შიში, არამედ სიამაყე...

ნატაშა გაიზარდა. ახლა მას თავის ოჯახი აქვს, ჰყავს ქმარი და ორი გოგონა. მახსოვს, როცა ახალგაზრდა დედამ თავისი უფროსი გოგონა სკოლაში პირველად მოიყვანა, მიამბო – თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მჭირდებოდა მე ბავშვობაში მამა. მე იგი ჩემს წარმოდგენაში შევქმენი. ასე

უფრო ადვილი იყო ცხოვრება. მამა წარმოდგენილი მყავდა კეთილ, მაგრამ მკაცრ, მომთხოვნ ადამიანად. მინდოდა, რომ ერთხელ ჩემი დღიური აეღო და ეთქვა: „აბა, მაჩვენე, ჩემო გოგონა, რა გიწერია დღიურში...“ განსაკუთრებით მძიმე იყო ის დღეები, როცა ვავადმყოფობდი. როგორ ველოდი, რომ ჩემს საწოლთან გამოივლის დიდი, ძლიერი ადამიანი, თავზე ხელს დამადებს და გამახარებს: „არაფერია, ჩემო გოგონა, მალე გამოჯანმრთელდები...“

ხედავთ? – რამხელა მისია აკისრია მშობლებს? ხედავთ, როგორ ჭირდებათ ისინი პატარებს? ამიტომაცაა, რომ ბევრი რამის დათმობა გვიწევს მშობლის საამაყო და საპატიო სახელის სატარებლად! აქ კი მთავარი ზნეობაა! ცხოვრების ეს ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი – ადამიანებს დაბადებიდან როდი დაჰყვებათ, საზოგადოების გარეშე, მისი შეძენა შეუძლებელია, რამეთუ მასში არის მოთხოვნა უსაფრთხოებისა, რომელიც ორ გადაულახავ დინებად იყოფა, ერთია პირადი უსაფრთხოების მოთხოვნა და მეორე – კოლექტიური. ანდა, მოკლედ, რომ ვთქვათ, უსაფრთხოება მე-სი და უსაფრთოება ჩვენი-ს. ადამიანში ევოლუციას რომ არ შემოეტანა ჩვენი-ს უსაფრთხოების მოთხოვნა, ის ვერასოდეს ვერ მოჰკლავდა თავის პირველ მამონტს, ხოლო ადამიანში რომ არ ყოფილიყო მე-ს უსაფრთხოების მოთხოვნა. მაშინ იგი იქნებოდა ჭიანჭველასავით, რომლისთვისაც ძვირფასია ბუდე და არა საკუთარი სიცოცხლე... მაშინ ადამიანს შეიძლებოდა დაეჭირა მამონტი, მაგრამ იგი დენთს ნამდვილად ვერ გამოიგონებდა. ეს ორი მოთხოვნა თანაარსებობს ადამიანში და ზოგ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება. თვითონ მათი არსებობა ხდის აუცილებელს ზნეობას.

სწორედ ამაშია ადამიანის, მისი სულის მშვენიერება – მე-ს და ჩვენი-ს უსაფრთხოების მოთხოვნაში. ამ მოთხოვნების ძალა, მათი ურთიერთქმედება განუწყვეტლივ ვარირებს.

ისინი მოცემულია ადამიანში სავსებით სხვადასხვა დოზებით, პროპორციებით, რის გამოც ერთი ძალიან ბოროტი ჩანს ბუნებით, რადგან მასში სჭარბობს მე-ს უსაფრთხოების მოთხოვნა, ხოლო მეორე ძალიან კეთილია, ამისთანა ადამიანში სჭარბობს ჩვენი-ს მოთხოვნა, მაგრამ ცუდად აღზრდილი ადამიანი ორივე ამ მოთხოვნის აგრესიულობამდე მიჰყავს.

ყმაწვილის მიერ უცნობი ადამიანის ცემის მიზეზი, მოსამართლის სიტყვით, თითქოს მარტო ის არის, რომ მან არ იცოდა სიკეთე. ეს არაა სწორი, იმ მოზარდისთვის მთელი სამყარო თავისად და სხვისად იყო დაყოფილი, ჩვენად და სხვისად: მას არ შეუძლია არსებობა ჩვენი-ს მხარდაჭერის გარეშე. დამოუკიდებელი არსებობისათვის ის არასაკმაოდაა განვითარებული, ჩვენი-ს მხარდაჭერის მოსაპოვებლად იგი მზადაა ყველაფერზე წავიდეს, მკვლელობასაც კი ჩაიდენს, ოღონდ ჩვენ-მა ის მიიღოს, ამით იგი აკმაყოფილებს ჩვენი-ს უსაფრთხოების არაკეთილშობილურ ველურ მოთხოვნებს.

ბავშვს განვითარების რაც უფრო მეტ შესაძლებლობებს მივცემთ მით უფრო ფართო ხდება მისი თვალსაწიერი, მით უფრო დამოუკიდებელია ის და ნაკლებად არის მიჯაჭვული თანატოლებს, ის არ გაჰყოფს ადამიანებს თავისიანებად და სხვისად, არავისი არ ეშინია, მის სულში არ არის ბოროტება, როგორც წესი, კეთილები არიან, მათში ჩვენი-ს უსაფრთხოების მოთხოვნა პასუხობს უმაღლეს სულიერ შესაძლებლობებს, ურომლისოდაც ადამიანებს არ შეუძლიათ ერთად ცხოვრება, ეს შესაძლებლობებია: უნარი-რწმენის, უნარი – იმედის და უნარი – სიყვარულის.

ამ ბოლო დროს ყველა უჩივის ბავშვებში და დიდებშიც არასაკმარის ემოციურობას, მაგრამ ვერსად ვერ შეხვდებით იმაზე უბრალო მითითებასაც კი, რომ ადამიანის გრძნობები დაფუძნებულია ზემოთჩამოთვლილ სულიერ უნარებზე.

დიახ, რწმენა, იმედი და სიყვარული. ესენი პოეტური სიტ-

ყვების უბრალო კრებული კი არაა, არამედ ყოველი აღმზრდელის უპირველესი საზრუნავია, აბა წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელსაც არავითარი რწმენა არა აქვს, არაფრის იმედი არ გააჩნია და არავის უყვარს. ეს არის მოარული ლეში, პარალიზებული სული, ასეთი რამ ძალიან დიდი უბედურების შემდეგ ხდება ანდა გაუკუღმართებული აღზრდის შედეგია, როცა ბავშვები თვითონ ხდიან თავის შვილებს დამბლადაცემულებს...

ბევრი ადამიანის წარმოდგენაში სიტყვა „რწმენა“ უკავშირდება „ღმერთისადმი რწმენას“ და ეს გასაკვირი არაა. რამეთუ ზნეობის მთელი სფერო რელიგის გამგებლობაშია და თითქმის ყველა ცნება, რომლითაც შეიძლება გამოხატო ზნეობრივი, სულიერი იდეები რელიგიურ ელფერს ატარებენ: სული, სულის უკვდავება, რწმენა, გულკეთილობა, ცოდვა-მადლი, სიკეთე და ბოროტება, სინდისი. მაგრამ რა უნდა ვქნათ? დღეში ათჯერ მაინც ვიტყვით: „მადლობა ღმერთს“ და ამას ისე ვამბობთ, რომ ხშირად, ჩვენდა სამწუხაროდ, ღმერთზე არც კი ვფიქრობთ.

რეალურ ცხოვრებაში, რეალურ სიტყვებში და, მაშასადამე, ჩვენს პრაქტიკულ შეგნებაში, სიტყვა „რწმენა“ ყოველ ნაბიჯზე იხმარება, ზოგჯერ არარელიგიური მნიშვნელობითაც. ჩვენ ვამბობთ, გამარჯვების რწმენა, ადამანის რწმენა, სიმართლის რწმენა, მომავლის რწმენა. ადამიანებს სწამთ თავიანთი წარმატებების, საკუთარი თავის, ბედის, ჩვენ ვსაუბრობთ ადამიანისადმი ნდობაზე და საკუთარი თავისადმი რწმენაზე... და ბოლოს, სამშობლოსამი ერთგულებაზე, მოვალეობისადმი ერთგულებაზე, სიყვარულისადმი ერთგულებაზე, საკუთარი მოწოდების ერთგულებაზე, საკუთარი ხალხის უსაზღვრო ერთგულებაზე... ადამიანის ყველა უმაღლესი თვისება და მისი საუკეთესო მოქმედებები, ქცევები, დაკავშირებულია რწმენასა და ერთგულებასთან!

არის მხოლოდ ერთი უბანი, სადაც ცნება „რწმენა“ არ გამოიძიება და არც გამოიყენება, სახელდობრ იქ, სადაც ის წამყვანი უნდა იყოს – პედაგოგიკის სფეროში, ბავშვების აღზრდაში.

ბავშვებთან და მოზარდებთან დაკავშირებული თითქმის ყველა სირთულე იქიდან მოდის, რომ ბავშვები ხშირად არ ენდობიან უფროსებს, არ სჯერათ მათი სიტყვების, უნდობლად ეკიდებიან მათ ფასეულობებს – და ზოგჯერ არაფერი არ სწამთ მათი, ასეთი ბავშვების აღზრდა პრაქტიკულად შეუძლებელია: ისინი უსულგულონი არიან და არ იციან უმოწყალობის საზღვარი.

რას წარმოადგენს თავისთავად რწმენის უნარი?

გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ ადამიანები უფრო მეტად აქტიურები არიან, როცა წარმატების ალბათობა შეადგენს დაახლოებით 50 პროცენტს. საქმიანობა, რომელშიც „ორმოცდაათი ორმოცდაათზეა“ მოითხოვს წარმატების რწმენას და იმავდროულად ნებას იძლევა გჯეროდეს მისი. თუ რწმენა საჭირო არაა (როცა წარმატება გარანტირებულია 100 პროცენტით, მოსალოდნელია 100 პროცენტიანი წარუმატებლობა!) სამუშაო უინტერესო ხდება, მისადმი დამოკიდებულება დუნდება, უყურადღებო და, აქედან გამომდინარე, ნაკლებეფექტურია, მი აკარით ჯანსაღი ხელი ტანს – ის გახმება, აუკრძალეთ ადამიანს რწმენის შესაძებლობა, რწმენის აუცილებლობა – მისი სული გახმება, რადგან რწმენა – ეს არის სულის ფუნქცია ისე, როგორც ფიზიკური მუშაობაა ხელის ფუნქცია. გახმა ხელი – არ არის რწმენა, არ არის მისი კეთილი გრძნობები. საიდან მოვიტანოთ ის? „... გულისთვის აუცილებელია სწამდეს“, ურწმუნო ადამიანი კუნძია, სხვა არაფერი. მასთან არა მარტო სახიფათოა დაზვერვაში წასვლა, არამედ მაგიდასთანაც არ დაიჯდომება...

ურწმუნოდ არავითარი სიმტკიცე არაა. სიმტკიცე ესაა ცოდნასთან შეკავშირებული რწმენა. ყველა ცოდნა არ მოითხოვს რწმენას, სასაცილოა განაცხადო: „ამას ეწოდება მაგიდა, ასეთია ჩემი რწმენა“. რწმენა იქ ჩნდება, სადაც საკამათოა ცოდნა, ძნელადდასამტკიცებელია, ძნელადუკუსაგდებია, დავარქვათ მათ ალტერნატივები, რწმენა – ცოდნაა, იგი იმის უნარია გაუძლო კრიტიკას, გამოატარო ალტერნატივები შეხედულებების ნიაღვრებსა და ფაქტებში.

ცოდნა პირდაპირ არ მოქმედებს გრძნობებზე, ისინი, ასე რომ ვთქვათ, სხვადასხვანაირი მატერიისაგან არიან შექმნილნი, მოქსოვილნი, მაგრამ არის მათ შორის რწმენა – ესაა რწმენა, – ესაა ცოდნაც და ესაა ცოდნის გამო მღელვარებაც, რწმენა თავისებური ტრანსფორმატორია, რომელიც გონებრივ ენერგიას გარდაქმნის სულიერ ენერგიად და პირიქით. ამიტომაა, რომ ის ეკუთვნის როგორც გრძნობის, ისე ინფორმაციის სფეროსაც: გწამს თუ არა გწამს – აი გონების წნეხი გრძნობაზე. სხვა არ არსებობს იმიტომ, რომ გონება გრძნობაზე პირდაპირ კი არ მოქმედებს, არამედ რწმენის მეშვეობით. წარმოიშვება განშტოება: შეიძლება არ იცოდე, მაგრამ გწამდეს, ხოლო იცოდე, მაგრამ არ გწამდეს – სადაც არ არის რწმენის უნარი, ნიჭი, ცოდნა ვერ გადაიქცევა რწმენად. გონება და გული – ცეცხლი და ყინულია. მათ ვერ შეაერთებ, თუ არ არსებობს გადამცემი მექანიზმი. როცა ეს მექანიზმი ფუჭდება, ადამიანი მაშინვე კარგავს რწმენას თავის ცოდნისადმი, სიმართლისადმი, ცხოვრებისადმი. ის ხდება უღონო, უძლური და მაშინვე ჩნდება გარეგანი და შინაგანი იძულების გარდაუვალობა. ეს იცის ყოველმა მასწავლებელმა, წარმოების ყოველმა ხელმძღვანელმა: ყველამ, ვისაც ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ ჰქონია შემთხვევა წაქეზებულიყო, სხვისი ან საკუთარი შრომით, უხელმძღვანელო – აი, რა ამტკიცებს უპირველეს ყოვლისა, წარმატების რწმენას.

რწმენა აუცილებელია ადამიანისათვის მაშინ, როცა თავს იჩენს წინააღმდეგობები ეს ადვილი მისაღწევი როდია, იგი მოითხოვს სულიერი ენერგიის გამუდმებულ ხარჯვას, თვითონ ის არის უწყვეტი შრომა. ჩვენ უნდა ვასწავლოთ პატარა ადამიანს სულის შრომით მხარი დაუჭიროს, დაეხმაროს თავის რწმენას ადამიანისადმი, სიმართლისადმი, ცხოვრებისადმი, არ ჩავარდეს ურწმუნოებაში და არ დაეცეს სულით.

არიან მშობლები, რომლებიც ლამის აკვნიდან ცდილობენ ხელიდან არ გაუშვან შემთხვევა უთხრან შვილს: „ხედავ, როგორ ცუდად იქცევიან ადამიანები? ხედავ როგორი გარეწარია? ხედავ რა ხდება?“ ამას ჰქვია „უთხრა ბავშვს მთელი სიმართლე“, მაგრამ სიმართლის ცნება გულისხმობს აგრეთვე, მისთვის ბრძოლას, ხოლო ასეთი ბრძოლა ხშირად ბავშვის შესაძლებლობებს აღემატება, ვეუბნებით მთელ სიმართლეს, ამით ხშირად ვატყუებთ ბავშვებს, როცა სიმართლე საქმით არ მტკიცდება, იქ ბავშვები იზრდებიან არამტკიცენი, და მათ გონებაში სრული ქაოსია.

როგორ არ უნდა გიყვარდეს შენი შვილი, რომ არ იგრძნო მისი სული, რომ თუნდაც სიტყვით, თუნდაც მოძრაობით შეარყიო მისი რწმენა სამყაროს მშვენიერებაზე, სიკეთეზე! მშობლებს არ შესწევთ უნარი დაფარონ სამყაროს ბოროტება. მათ არც აქვთ უფლება, წარმოადგინონ ბოროტება, როგორც სიკეთე. მათ შეუძლიათ მხოლოდ ერთი: იყვნენ სიკეთის წყარონი, ჰქონდეთ ადამიანებზე კეთილი შეხედულება, რამდენადაც შეუძლიათ, და ბავშვებიც იქნებიან კეთილნი. რაც უფრო მეტი ბოროტება მოიყრის ბავშვის ირგვლივ თავს, მით უფრო დიდი სულიერი ენერგიის დახარჯვა მოგვიწევს მასში სიკეთისა და სიკეთისადმი რწმენის შესანარჩუნებლად.

მოზარდი ადამიანი, ჩვეულებრივ, აიდიალებს ცხოვრებას, მისი რწმენა სიკეთისადმი, თითქმის უეჭველად, ირყევა ახალგაზრდობაში. რას იზამ, ცხოვრება ბევრ ტკიილს გვა-

ყენებს, მაგრამ სულიერი განვითარება შეუძლებელია უმტკივნეულოდ, დიახ, რაც უფრო ნოყიერად კვებავდნენ ადამიანს ბავშვობაში სიკეთით და მშვენიერებით, რაც უფრო მეტად აფასებდნენ მის ირგვლივ სიკეთეს და შრომას, მით უფრო მყარი იქნება მისი ზნეობა და მით უფრო ადვილად მოუვლის, გაუსწორდება საყმაწვილო კრიზისებს, დროსთან ერთად განმტკიცდება მასში სიკეთის რწმენა და გახდება მისი მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი, რამეთუ ყოველივე სიკეთის სათავე, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულია...

– და მაინც, რა არის სიყვარული, ბატონო გარი? ავტორს წიგნისას „ასი ლექსი სიყვარულზე“ არ გაგიძნელდებათ ამ ცნების განმარტების პასუხი...

– ურთულესი შეკითხვაა... ალბათ შეჩვევაა და მეტი არაფერი... ისე კი უდიდესი ძალა და ბედნიერების მწვერვალი, რომელსაც პედაგოგიური ხედვაც გააჩნია: – როცა უფროსი ძმა მიდიოდა ლექციებზე, პატარა, ხუთი წლის ბიჭუნამ სთხოვა მას:

– შოკოლადი მიყიდე, კარგი?

უფროსი შეპირდა, და საღამოს, როცა ის დაბრუნდა, პატარა კარებს ეცა და ეკითხება:

– მომიტანე შოკოლადი?

უფროსმა ხელი შემოიკრა შუბლზე.

– დამავიწყდა! მე ცუდი ვარ, ძალიან ცუდი, დამავიწყდა და ვერ მოგიტანე!

– არა შენ მოიტანე! – პატარა ეცა უფროსი ძმის ჩანთას, გახსნა შესაკრავი...

მე ბევრს ვკითხულობდი „შოკოლადის სასწაულზე“, როგორ მოიქცევა ბიჭუნა

ვერავინ ვერ გამოიცნო...

– არა, არ მიყიდია, მე ცუდი ვარ, ცუდი, დამავიწყდა – გაიმეორე უფროსმა.

ხოლო უმცროსმა აფათურა ხელი წიგნებს შორის, მერე გაუწოდა ცარიელი ხელისგული და ეუბნება:

– ხედავ? შენ მოიტანე, შენ კარგი ხარ! – და თავის სათამაშოებისკენ გაიქცა.

უფროსი შემდეგ ამბობდა, რომ მან პირველად გაიგო რა არის სიყვარული.

ერთი შეხედვით სულელური კითხვაა: „შენ რომელი უფრო გიყვარს დედა თუ მამა?“ მაგრამ ეს არ არის სისულელე, არ არის უაზრო თამაში. იგი საუკუნეობით გრძელდება. მისი აზრი უბრალოა: შეიყვარე, შეიძელ შეიყვარო? ბავშვის უმაღლესი ღირსებაა – სიყვარულის უნარი. და „ვინ უფრო გიყვარს?“ ამ კითხვას იმავე ინტონაციით უსვამენ, რომლითაც მერე მას შეეკითხებიან: რა ნიშნები გყავს? ხოლო უფრო გვიან, სამსახურებრივ საქმეებზეც ჰკითხავენ, ცხოვრების შრომა იწყება სულის მუშაობით სიყვარულზე, შემდეგ მოდის გონების შრომა და ხელების შრომა. სიყვარული – ეს არის სინამდვილის გადასხვაფერება, ცარიელი ხელისგულის ქცევა შოკოლადად, სასწაულად... მშვენიერთან და მნიშვნელოვანთან კარგი ურთიერთობა შრომა არაა, მაგრამ ყოველდღიურობაში სრულფასოვნების შეგრძნება, კარგის დანახვა – აი სულის მუშაობა, აი სიყვარული...

ყველაფერი შეიძლება მისცე ადამიანს, თუ იგი დაჯილდოებულია მოყვარული სულით, და არაფერი გამოვა, თუ მას არა აქვს უნარი გულით ისწრაფვოს მეორე ადამიანის გულისკენ. ბოლო დროს აღნიშნავენ, რომ დედობრივი სიყვარული ყოველთვის ვერ ასწავლის ბავშვს სიყვარულს, ყოველთვის ვერ ჰბადებს საპასუხო გრძნობას. სიყვარული, როგორც ყველა ჭეშმარიტი ფასეულობა ამ სამყაროში, არ გაიცვლება არ აღმოცენდება მადლიერებიდან არ ექვემდებარება ისეთი ტიპის შეთანხმებას, როგორიცაა „მე-შენ-შენ-მე“! რამდენ ხანსაც იარსებებს სამყარო, იქნება უბედურებაც, უპასუხო

სიყვარული ქალსა და მამაკაცს შორის, ბავშვებსა და მშობლებს შორისაც კი, რას იზამ? საკუთარი შვილის სიყვარულის მოპოვება გვიწევს.

ადამიანისთვის მთავარი ის კი არ არის, რომ უყვარდეთ, არამედ ის, თუ თვითონ რამდენად უყვარს. პედაგოგიკაში საყვარელი კი არ არის მთავარი, არამედ მოყვარული! დედას უყვარს შვილი, შესანიშნავია! მაგრამ ვინ იზრდება ამით! ის, ვინც მუშაობს სულზე, ესე იგი დედა და არა ბავშვი, დედა ცდილობს, დედა კითხულობს, დედა ვითარდება – მიმდინარეობს აღზრდა. საბოლოოდ არაფერიც არ ხდება: შვილი იზრდება ეგოისტი – უყვარს მხოლოდ საკუთარი თავი. ამბობენ: ბრმა სიყვრული, უმადური შვილი, ანგარიშობენ რამდენი რამ უყიდეს შვილს, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ სტყვებია, მთავარი ისაა, რომ ბავშვი იზრდება „დამუშავებული“ მოყვარულ დედ-მამას არ შეუძლია მისცეს ის ერთადერთი, რასაც ის საჭიროებს – მათი შეყვარების შესაძლებლობა, აი ტრაგედია!

– მაგრამ მეტი ტრაგედიაც არსებობს – გულგრილობა!

– ეს ცნება მშობლებისათვის მიუღებელი უნდა იყოს... შემოდგომის მიწურულია, წვიმა ცრის, ავტობაზის ჭიშკართან დგას შვიდი წლის ბიჭუნა, რატომ არ შეშინებია წვიმას? – მას მარტო დედა ზრდის, გაიგო რომ მამამისი აქ მსახურობს, მძღოლია... კეთილმა ადამიანებმა ერთხელ აჩვენეს კიდეც, დაიმახსოვრა მისი სახე, რომელმაც მერე ძილშიაც არ მისცა მოსვენება და ახლა უნდოდა, უბრალოდ უნდოდა, ერთხელ კიდევ შეეხედა მისთვის... თუმცა, ბიჭის გულის სიღრმეში იმედის ნაპერწკალი ბჟუტავს: – იქნებ მამამ ავტომობილი გააჩეროს, მივიდეს მასთან და ჰკითხოს: – როგორ არის საქმე შვილო? იქნებ... იქნებ კაბინაში ჩაისვას... ბიჭის გული გალიაში დამწყვდეული ჩიტივით ფართხალებს... მამამ კი, მამამ

უსიტყვოდ ჩაუქროლა... ბიჭმა შენიშნა, რომ მან იცნო შვილი, მაგრამ არც შეიმჩნია... ტკივილითა და რისხვით, აღშფოთებითა და ბრაზით არის სავსე ბავშვის პაწია გული, მას აღარაფერი სწამს, მისთვის სამყაროში არაფერია წმინდა... ფიქრობს, რომ ის აღარავის უნდა, ამ ქვეყანას შემთხვევით მოევლინა, მხოლოდ მწუხარება და სასჯელია დედისათვის... ის რწმენა დაკარგულია, ამიტომაც არ შეიძლება გულგრილობა ან დასჯის არაკორექტული ფორმები მშობელთა მხრიდან!

ამას წინათ კაბინეტში გაცეცხლებული მშობლები შემოვიდნენ:

– ჩვენი შვილის გაყვანა გვინდა სასწავლებლიდან! – ქალბატონმა დაასწრო მამაკაცს:

– რატომ?! -ჩემი მოულოდნელი შეკითხვა სრულად გამართლებული გახლდათ, რამეთუ ერთი წლის წინ ეს ქალბატონი დაჟინებით მთხოვდა მისი შვილი სასწავლებელში ჩამერიცხა, მივიღე და ახლა...

– იცით, გუშინ ჩემმა მეუღლემ სახლში ფული მოიტანა – ისევ ქალბატონმა აიღო სიტყვა და გვერდით მჯდომ თავდახრილ მამაკაცს გადახედა – დაახლოებით სამასი ლარი. სახლში ჩვენ და გიორგი ვიყავით, მეტი არავინ, ამ ფულს კი, რომ დავითვალეთ ოცი ლარი აკლდა... იცით საკუთარმა შვილმა ფული მომპარა! – არ ცხრებოდა ქალი...

– დამშვიდდით, ახლა მთავარი ფულის დაკარგა კი არაა, ისაა რაში დასჭირდა ეს თანხა, იქნებ ბიჭს დახმარება უნდა, თქვენ კი...

– კაცმა თითების წვალება დაიწყო, ქალბატონს ფერი ეცვალა...

– რას გვირჩევთ?!

– იქნებ მითხრათ რამე მისი უბნის მეგობრების შესახებ...

– კარგი ბიჭები არიან, ერეკლე გუშინაც იყო ამოსული, გიორგი მაღაზიაში იყო წასული და ცოტა ხნით დაელო-

და... იცით საბავშვო ბაღიდან ერთად მოდიან, კარგი ბიჭები არიან...

– გიორგი? გიორგი რას ამბობ?!

– ეს რომ ვუთხარით თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და სახლიდან გაიქცა...

– სად, სად გაიქცა, ღამე შინ არ იყო?!

– არა!

– და თქვენ... – ავღელდი, მაშინვე სელექტორს დავწვდი და გიორგის შესახებ ვკითხე განათლების ხარისხის მართვის ადგილობრივ სამსახურს, თავის დროზე მოვიდაო მიპასუხეს და კაბინეტში შემოვიძახე, შემოსვლისთანავე შეცბა: – ბატონ გარისაც უთხარით?! ესე იგი აქაც აღარ დამედგომება? – წყლიანი თვალები მომაპყრო ბიჭმა და თითქოს უკანასკნელ იმედს ჩაეჭიდაო – თქვენ? თქვენ დაიჯერეთ ბატონო გარი?!

– არა! – დაუფიქრებლად და ზომიერად ვუპასუხე, დავრწმუნდი მის უდანაშაულბაში, ამიტომაც ვუთხარი მეგობარი ერეკლე შეეხვედრებინა ჩემთვის მშობლებს კი ვთხოვე დღის ბოლოს შემოევლოთ...

გიორგი და ერეკლე ერთად შემოვიდნენ კაბინეტში, ძალზედ მორიდებით, მაგრამ ერეკლეს აშკარად ემჩნეოდა ნერვიულობა.

– იცი ერეკლე ბატონო, თქვენი მეგობარი დიდ განსაცდელშია.

– ვიცი, მაგრამ...

– არავითარი, მაგრამ, მე და შენ მისი უდანაშაულობა უნდა დავამტკიცოთ...

– როგორ? მე შემიძლია ოცი ლარი ვასესხო...

– არა, ეგ ხომ მეც შემიძლია, მაგრამ ჩვენ ის უფრო გვადარდებს, გიორგის რაში დასჭირდა თანხა...

– მე... მე... – გიორგიმ სიტყვებს თავი ვერ მოუყარა.

– ისე კი – ისევ განვაგრძე საუბარი ერეკლესთან და ყურადღების მიღმა არ ვტოვებ მის არცერთ მოძრაობას – საიდანა გაქვს ოცი ლარი?!

ბიჭმა თავი დახარა, თითები აუთრთოლდა...

– იცით მე ავიღე...

– შენ?! – ფეხზე წამოიჭრა გიორგი.

ვანიშნე დაწყნარებულიყო, მაგრამ მდივანმა გოგონამ მომახსენა გიორგის მშობლები გელოდებიანო, შემოვიდნენ ბიჭს მიცვივდნენ და პატიება სთხოვეს.

– როგორ? – ჩავეძიე...

– მოლარემ მითხრა 280 ლარი გეკუთვნოდა და მოგეციო, სამასი ალბათ ისე წამოსცდა... ჩეკშიც 280 მიწერია... – მითხრა მამაკაცმა და პატარა ფურცელი გამომიწოდა.

– მერე შენ... – ორაზროვნად გადავხედე ერეკლეს.

– გიორგი ისეთ დღეში იყო, თქვენც ისეთი შეწუხებული ჩანდით ბატონო გარი, გადავწყვიტე რომ...

– ყოჩაღ ერეკლე! ყოჩაღ გიორგი! თქვენ მარტო ერთ-ურთის მეგობრები კი არა ჩემი მეგობრებიც ხართ – ვუთხარი და კარებამდე მივაცილე. მშობლებს კი ინსტრუქტაჟი ჩავუტარე, თუ უთქმელადაც როგორ უნდა ესმოდეთ თავიანთი შვილების...

პედაგოგიკის მეთოდოლოგიის ტექნოლოგიურ დონეს შეადგენენ კვლევის მეთოდიკა და ტექნიკა. ეს დონე განპირობებულია ყველა წინმსწრები დონეებით, რადგან მათზეა დამოკიდებული პედაგოგიური კვლევის ორგანიზაცია და მეთოდიკა. პედაგოგიური კვლევა გაიგება როგორც მეცნიერული საქმიანობის პროცესი და შედეგი, რომელიც მიმართულია ახალ ცოდნათა მისაღებად განათლების კანონზომიერებების, მისი სტრუქტურისა და მექანიზმების, შინაარსის, პრინციპებისა და ტექნოლოგიების შესახებ. პედაგოგიური კვლევა განმარტავს და წინასწარმეტყველებს ფაქტებსა და მოვლენებს.

პედაგოგიური კვლევები მიმართულებების მიხედვით შეიძლება დაიყოს ფუნდამენტურებად, გამოყენებით და დასამუშავებელ კვლევებად. ფუნდამენტური კვლევების შედეგს წარმოადგენენ განმაზოგადებელი კონცეფციები, რომლებიც საბოლოოდ აჯამებენ პედაგოგიკის თეორიულ და პრაქტიკულ მიღწევებს ან გვთავაზობენ პედაგოგიური სისტემების განვითარების მოდელებს პროგნოსტიკულ საფუძველზე. გამოყენებითი კვლევები ეს არის ნაშრომელი, მიმართულებები პედაგოგიური პროცესის ცალკეული მხარეების სიღრმისეულ შესწავლეზე, მრავალმხრივი პედაგოგიური პრაქტიკის კანონზომიერებების დაწესებაზე. დამმუშავებელი კვლევები კი მიმართულნი არიან კონკრეტული მეცნიერულ-პრაქტიკული რეკომენდაციების დასასაბუთებლად, რომელთაც უკვე ითვალისწინებენ ცნობილი თეორიული დებულებები. ნებისმიერი პედაგოგიური კვლევა გულისხმობს მასში საყოველთაოდ მიღებული მეთოდოლოგიური პარამეტრების არსებობას. მათ მიეკუთვნება: პრობლემა, თემა, კვლევის ობიექტი და საგანი, მიზანი, ამოცანები, ჰიპოთეზა და დასაცავი დებულებები. პედაგოგიური კვლევის ხარისხის ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენენ აქტუალობა, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

კვლევის პროგრამას, როგორც წესი აქვს ორი განყოფილება მეოთდოლოგიური და პროცედურული. პირველი მოიცავს თემის აქტუალობის, პრობლემის ფორმულირების დასაბუთებას, ობიექტისა და საგნის განსაზღვრას, კვლევის მიზნებსა და ამოცანებს, ძირითადი ცნებების (კატეგორიალური აპარატის) ფორმულირებას, კვლევის ობიექტის წინასწარ სისტემურ ანალიზსა და სამუშაო ჰიპოთეზის დასახელებას. მეორე განყოფილებაში გახსნილია კვლევის სტრატეგიული გეგმა, აგრეთვე გეგმა და მოკრების ძირითადი პროცედურები, პირველადი მონაცემების ანალიზი.

აქტუალობის კრიტერიუმები მიუთითებენ პრობლემის შესწავლისა და გადაწყვეტის დროულობასა და აუცილებლობაზე სწავლებისა და აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის შემდგომი განვითარებისათვის. აქტუალური კვლევები პასუხს სცემენ მოცემულ დროში ყველაზე უფრო საჭირბოროტო საკითხებს, ასახავენ საზოგადოების სოციალურ შეკვეთას პედაგოგიური მეცნიერებისადმი, მიუთითებენ მნიშვნელოვან დაპირისპირებებზე, რომელთაც ადგილი აქვთ პრაქტიკაში აქტუალობის კრიტერიუმი დინამურია, მოძრავია, დამოკიდებულია დროზე, კონკრეტული და სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებაზე. საერთოდ, აქტუალობა ხასიათდება უთანხმოებისხარისხით მეცნიერულ იდეებზე, პრაქტიკულ რეკომენდაციებზე მოთხოვნასა და იმ წინადადებს შორის, რომლებიც განხორციელებადია მეცნიერებისა და პრაქტიკის მიერ არსებულ დროში. ყველაზე სარწმუნო საფუძველს, რომელიც განსაზღვრავს კვლევის თემას, წარმოადგენს დაპირისპირება სოციალურ და პედაგოგიურ პრაქტიკას შორის, რომლებიც ასახავენ ყველაზე საჭირბოროტო, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც თავის მხრივ ითხოვენ დაუყოვნებლივ გადაჭრას, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის აუცილებელია ლოგიკური გადასვლა სოციალური შეკვეთიდან კონკრეტული თემის დასაბუთებაზე, აგრეთვე ახსნა-განმარტება, რატომ არის კვლევისათვის სწორედ ეს ამოცანა აღებული და არა სხვა. ჩვეულებრივ, ეს არის მეცნიერებაში საკითხის დამუშავების ხარისხის ანალიზი.

თუ სოციალური შეკვეთა გამომდინარეობს პედაგოგიური პრაქტიკის ანალიზიდან, მაშინ პრობლემა დგება სხვა სიბრტყეში. ის გამოხატავს ძირითად დაპირისპირებას, რომელიც უნდა გადაიჭრას მეცნიერების საშუალებებით. მეცნიერული პრობლემის დაყენება-შემოქმედებითი აქტია, რომელიც

თხოულობს განსაკუთრებულ ხედვას, სპეციალურ ცოდნას, გამოცდილებასა და მეცნიერულ კვალიფიკაციას.

ჩვეულებრივ, სწორედ პრობლემის გადაწყვეტა შეადგენს კვლევის მიზანს; მიზანი – პრობლემის ხელახალი ფორმულირებაა. პრობლემის ფორმულირება იწვევს კვლევის ობიექტის არჩევას. ის შეიძლება იყოს პედაგოგიური პროცესი, ან პედაგოგიური რეალობის არე, ან რაიმე სახის პედაგოგიური დამოკიდებულება, რომელიც შეიცავს დაპირისპირებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ობიექტი შეიძლება იყოს ყველაფერი, რომელიც აშკარად ან დაფარულად მოიცავს დაპირისპირებას თავის თავში და ქმნის პრობლემურ სიტუაციას ობიექტი – რაზეც მიმართულია შემეცნების პროცესი.

კვლევის საგანი ეს არის ნაწილი, ობიექტის არეკლილი მხარე. პრაქტიკული და თეორიული თვალსაზრისით ეს უფრო მნიშვნელოვანი თვისებებია ობიექტის თავისებურებათა, რომლებიც ექვემდებარებიან უშუალო შესწავლას. მიზნის შესაბამისად, კვლევის ობიექტად და საგნად განისაზღვრებიან საკვლევი ამოცანები, რომლებიც მიმართულნი არიან ჰიპოთეზის შემოწმებაზე. უკანასკნელი კი წარმოადგენს თეორიულად დასაბუთებული წინადადებების ერთობლიობას, რომელთა ნამდვილობა ექვემდებარება შემოწმებას.

მეცნიერული სიახლის კრიტერიუმები გამოიყენება დადსრულებული კვლევების ხარისხის შეფასებისათვის. ის ახასიათებს ახალი თეორიული და პრაქტიკული დასკვნებს, განათლების კანონზომიერებებს, მის სტრუქტურასა და მექანიზმს. შინაარს, პრინციპებს და ტექნოლოგიებს, რომლებიც მოცემული მომენტისათვის არ იყვნენ ცნობილები და დაფიქსირებულები პედაგოგიურ ლიტერატურაში. სიახლე პედაგოგიურ კვლევებში არც თუ იშვიათად განიხილება თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის იდენტურად მითითებუ-

ლია მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის თემის მნიშვნელობა. პერსპექტივები, რომლებიც გვიჩვენებენ კვლევის შედეგების შეფასება მხოლოდ პრაქტიკაში მისი გამოყენების სტადიაზე ხშირად ბევრი სიახლის გამოყენება ვერც კი ხერხდება და ისინი რჩებიან დამუშავების ეტაპზე. შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა სიახლე უკვე მოძველდა, ხოლო ახალშემოღებული მხოლოდ დაიწყო.

სიახლის შესაფასებლად მოსახერხებელია დონური კლასიფიკაცია. ის ისახავს ცნობილების რიგში მიღებული ცოდნების ადგილს და მათ თანმიმდევრობას. კონკრეტიზაციის დონე – მიღებული შედეგი აზუსტებს ცნობილს, აკონკრეტებს ცალკეულ თეორიულ თუ პრაქტიკულ დებულებებს, რომლებიც ეხება სწავლებასა და აღზრდას. სწავლების მეთოდიკას, პედაგოგიკის ისტორიას და ა. შ.

შევსების დონე მიღებული შედეგი აფართოებს ცნობილ თეორიულ და პრაქტიკულ დებულებებს სწავლასა და აღზრდაში. მიღებული ცოდნა ააშკარავებს პრობლემის ახალ წახნაგებს, რომლებიც ადრე არ იყო ცნობილი მთლიანობაში სიახლე სურათს კი არ ცვლის, არამედ ავსებს მას ასე მაგალითად, დიდაქტიკაში მეცნიერების პრინციპი თავის დროზე ფორმულირებულ იქნა მ. სკატკინის მიერ. ამ პრინციპში მან ჩართო შემდეგი პირობები. მონაწილეებისათვის მიწოდებული ცნობების მეცნიერული უტყუარობა. აღწერილი მოვლენების არსის გახსნა. მოვლენათა ჩვენება მათ ურთიერთკავშირში დაგანვითარების თეორიებისა და მეცნიერული სწავლების მეოთდების გაცნობა.

ეს პრინციპი შეივსო კიდევ სამი დებულებით, რომლებიც ადრე არ იყვნენ ცნობილნი: განათლების შინაარსის შესატყვისობა თანამედროვე მეცნიერების დონესთან, მონაწილეებისათვის მეცნიერული სწავლების ზოგად მეთოდებზე სწორი წარმოდგენების შექმნა. ეს მოთხოვნები ემატებიან ცნობილ

დებულებებს, რომლებიც ეხებიან მეცნიერულ პრინციპებს. აფართოებენ წარმოდგენას მოცემულ საკითხებზე.

გარდაქმნის დონე ხ ასიათდება პრინციპულად ახალი იდეებითა და მიდგომებით სწავლებისა და აღზრდის სფეროში, რომლებიც ადრე არ იყო თეორიაში. ხდება თვალსაზრისთა პრინციპნული შეცვლა, წინა ხედზე გამოდის ორიგინალურიმ იდგომა, რომელიც დიდაქტიკაში ძირფესვიანად განსხვავდება მოცემულ სფეროში ცნობილი წარმოდგენებისაგან. ამ დონეს შეიძლება მივაკუთვნოთ განათლებისადმი ერთიანი მიდგომის დამასაბუთებელი კვლევები,ს წავლების პროცესის ეფექტურობისა და მისი მეთოდების კვლევები, შინაარსის სრულყოფასთან, სწავლების პროცესებთან და მის მეთოდებთან დაკაშვირებული ნაშრომები.

გადაქმნის დონეზე განასხვავებენ დისკუსიურ ჰიპოთეზური და საყოველთაოდ აღიარებულ სიახლეს. პირველ შემთხვევაში მიღებული შედეგები ბოლომდე ჯერ კიდევ არაა დამაჯერებელი და მეცნიერთა ნაწილში იწვევენ უკუქმედებას. უნდა გავიდეს გარკვეული დრო, სანამ ახალი იდეები კონკრეტიზირდებიან და გახდებიან საყოველთაოდ მიღებულნი. ჩნდება ეჭვი მოცემული მეცნიერული იდეების სამართლიანობასთან დაკავშირებით. საყოველთაოდ აღიარებული სიახლის ეტაპზე ეს ეჭვი ქრება. უკანასკნელ წლებში ზოგიერთი წინ წამოწეული იდეა ჯერ კიდე ვრჩება დისკუსიურ – ჰიპოთეზურ დონეზე. ახალი მეთოდები, რომელთაც გვთავაზობს მეცნიერება და პრაქტიკა; უნდა უზრუნველყოფდეს მაღალ სასწავლო-აღმზრდელობით ეფქეტს და ასტიმულირებდეს მონაწილეთ აგანვითარებას. კვლევა ძიების ლოგიკა და დინამიკა შეიცავს რიგ ეტაპებს: ემპირიულს, ჰიპოთეზურს, ექსპერიმენტულ-თეორიულს, პროგნოზულს.

ემპირიული ეტაპი იძლევა ფუნქციურ წარმოდგენას კვლევის ობიექტზე. ამ დონეზე აღმოაჩენენ წინააღმდეგობის

გარდამქმნელ პრაქტიკას, მეცნიერული ცოდნის დონესა და მოვლენის არსში წვდომის მოთხოვნას შორის, აყალიბებენ მეცნიერულ პრობლემას. ემპირიული ანალიზის ძირითად შედეგს წარმოადგენს წამყვანი ვარაუდებისა და მათი დაშვების იმ სისტემების კვლევის ჰიპოთეზა, რომელთა მართლზომიერაბა საჭიროებს შემოწმებასა და დამტკიცებას.

ჰიპოთეზური მიდგომა მიმართულია იმ წინააღმდეგობის აღმოსაფხვრელად, რომელიც არსებობს კვლევის ობიექტზე ფაქტიურ წარმოდგენებსა და მისი არსის წვდომის აუცილებლობას შორის. ის ქმნის პირობებს კვლევის ემპირიული დონიდან თეორიულზე გადასვლისათვის.

თეორიული ეტაპი უკავშირდება კვლევის ობიექტზე ფუნქციონალურ და ჰიპოთეზურ წარმოდგენებს შორის წინააღმდეგობათა გადალახვას, მასზე სისტემურ წარმოდგენათა მოთხოვნით.

სასწავლებლიდან დაგვიანებით გამოსვლა ჩვევად მაქვს, ლექციების დამთავრების შემდეგ პირადი გრძნობით ვაჯამებ განვლილ დღეს. მორიგემ მითხრა ვიღაც ქალბატონი გკითხულობთ და ვინაობის გაუმჟღავნებლობის გამო თქვენთან კაბინეტში არ ამოვუშვიო... ამ სიტყვებთან ერთად შაოსანი ქალბატონი მომვარდა და ხელებზე მემთხვია... ვიუხერხულე, არ ვიცოდი ხელები სად დამემალა, შემდეგ ქალბატონს დედაშვილურად მოვეხვიე და ვიზიტის მიზეზი ვკითხე, ჩვენი სტუდენტის მშობელი აღმოჩნდაბ მეცხრე კლასში რაღაც გადამცდარა ბიჭი მერე სასჯეიც მოუხდია 5 წელი... მაგრამ მეტი საშინელება შემდეგ დაწყებულა როცა „ნაციხარის“ იარლიყით შელახულს ყველა კარი უცნობ-ნაცნობების, მეგობრების და ნათესავების, სამსახურისა თუ სასწავლებლის „ჩარაზული“ ხვდებოდა და მოვიდა ჩვენთან... მაშინ დიდი, არა უდიდესი წინააღმდეგობებით აღსავსე დღეები გადავიტანე, არც ერთ პედაგოგს არ სურდა ამ პატარა, ქერა, მეტყ-

ველთვალებიანი ბიჭის მეურვეობა, უფრო მეტიც სტუდენტთა მშობლებიც კი მისი გარიცხვის მომხრენი იყვნენ „თავს იზღვევდნენ“... – მე კი ღრმად მწამდა ჩემი მისია, ვიცოდი ნიკა ერთხელ გადაცდა, ამ გადაცდომას საშინლად ნანობდა, მჯეროდა – ასეთ ნაბიჯს არასდროს გადადგამდა, მაგრამ აუცილებელი საზოგადოების დახმარება იყო, ამ ბიჭის აუდიტორიიდან ქუჩაში გაგდება დანაშაულზე მეტი იქნებოდა... ამიტომაც მოვიდა მოხუცი, მარტოხელა დედა მადლობის სათქმელად, თუმცა სამადლობელი რა მქონდა, მე უბრალოდ, მის შვილს, სურვილის განხორციელებაში დავეხმარე, რამეთუ სირთულე, რომელიც დაკავშირებულია გრძნობის აღზრდასთან არაფერია იმასთან შედარებით, რომელზეც ჩვენ ახლა მოგვიწევს საუბარი – სურვილების სფერო.

გონების აღზრდაზე ათასამდე წიგნი დაწერილა, გრძნობის აღზრდას, ჰა და ჰა, ათამდე თუ ეძღვნება, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხოლო სურვილის აღზრდაზე – საეჭვოა, ერთიც იყოს გამოცემული.

რეალურ ცხოვრებაში სრულიად საწინააღმდეგო ვითარებაა, რასაკვირველია, ჩვენ ყველას გვინდა, რომ ჩვენი ბავშვი იყოს გონიერი, უნარიანი და კეთილი, მაგრამ ყველაზე მეტს განვიცდით მის სურვილებთან დაკავშირებით. კარგი, იგრძენ რაც გნებავს, მაგრამ ისურვე – მხოლოდ ის, რაც საჭიროა, ნუ ისურვებ ზედმეტს!

თითქმის მთელი პედაგოგიკა გონებაზე, ნებაზე, გრძნობასა და სურვილებზეა გამიზნული. არ არის ნაანდერძევი „იგრძენი“ „არ იგრძნო“, ანდერძი დიდი ხნიდან ჩამოყალიბდა: „არ ისურვო!“

მაგრამ ჩვენ აქ გველის მორიგი იმედგაცრუება და აღმზრდელისათვის ყველაზე დიდი უსიამოვნება. ადამიანის ქცევაში მეცნიერებისათვის მოუხერხებელი ფაქტი ისაა, რომ ბევრი ადამიანის (ნაწილობრივ მათიც, რომლებიც ბევრ ჯაფას

აყენებენ მშობლებს და საზოგადოებას) სურვილები ხშირად არ უკავშირდება მოთხოვნებს, საერთოდ, არაფერს! ასე გაჩნდება ადამიანის სულში სურვილი, რომ მისი ახსნა არამცთუ სხვას, თვითონაც კი არ შეუძლია. ადამიანი ყოველთვის არ ეძებს სარგებლობას ან გამორჩენას თავისთვის, არამედ ხშირად ჭირვეულობს უმოტივოდ, როგორც ამჟამად ამბობენ. მით უმეტეს, ეს ახირება ისე ძვირფასია ადამიანისათვის, რომ მას არ გაცვლის ძვირფას სახელზეც კი.

შეიძლება აღვივსოთ მორალური უკმაყოფილებით. შეიძლება ასი წელი მედიდურად ვიმეოროთ, რომ არ შეიძლება ამოვშანთოთ აქ, ქაღალდზე, ეს საიდანღაც გამომტყვრალი ახირება და ადამიანი ცხოვრებაშიც შეიძლება დავდაღოთ. რა გაეწყობა, ყველაფერი მართალია! არ შეიძლება მხარი დავუჭიროთ ახირებას, ჭირვეულობას! ჩვენ არ მივემხრობით მას. ქაღალდზე და კათედრაზე პედაგოგიკა ყველაზე ადვილი მეცნიერებაა. არ შეიძლება და – მორჩა! ცუდია. საჭიროა... მაგრამ ნებისმიერ მხატვრულ ლიტერატურაში, ყოველ ნაბიჯზე გვხვდება „უცებ“ – უცებ თქვა, უცებ რაღაც გააკეთა, თვითონაც არ იცოდა რატომ... ხოლო რა უნდა ვთქვათ ათი წლის ბავშვზე! რატომაა, რომ ათი წლის ბიჭმა, რომელიც სკოლაში მიდიოდა უცებ გადაიფიქრა და გაკვეთილები გააცდინა? მთელი პედაგოგნიკური აკადემია რომ შევკრიბოთ – ამის მიზეზს ვერ აგიხსნით, ჩვენ კი ბიჭს ვეკითხებით: „რატომ გააცდინე? აგვიხსენი! ხომ გესმის მშობლიური ენა, გვითხარი! შენ რა – ენა გადაყლაპე?“

როგორ შევისწავლოთ ყველაფერი ეს? როგორ ვმართოთ? დავსვათ კითხვა სწორად: როგორ ხდება, რომ ადამიანთა ნაწილი ამ „უცებს“ არ მიჰყავს არავითარი ცუდისკენ, ხოლო მეორე ნაწილს უკიდურეს საფრთხეში აგდებს?

გიპასუხებთ ერთ-ერთი ჰიპოთეზით. ემოციის თავისი ინფორმაციული თეორიის განვითარებისას ის შეჩერდა გამო-

ცანის წინაშე. როგორ იბადება ადამიანის გონებაში ახალი აზრები?

სინამდვილეში, შემოქმედებით აზროვნებაზე არსებობს ათასი წიგნი და სტატია, მაგრამ ვერცერთ მათგანში არსებით პასუხს ვერ იპოვი. ახალი აზრი კი ხომ საიდანღაც იბადება, იღებს სათავეს? რა არის ეს საიდუმლო?

ადამიანს აქვს ქვეცნობიერება, რომელიც ავტომატურად მართვადია, არის ცნობიერი და „ზეცნობიერი". სწორედ „ზეცნობიერში" წარმოებს აზროვნების „მუტაგენეზი" ისინი იყადებიან ყოველგვარი გადახრებით, ხოლო შემდეგ შემოდიან ცნობიერში, რომელიც იწუნებს უვარგისებს და ეძებს დამამტკიცებელ საბუთს საქმიანი აზროებისათვის. მაგრამ ბუნება იცვს „ზეცნობიერს", არ უშვებს მასში ცნობიერს. აქ პრინციპული აკრძალვაა. შეუძლებელია შეხვიდე ახალი აზრების „სამზარეულოში", ისევე როგორც არ შეიძლება გამოიგონა მარადიული ძრავა. სხვანაირად, ახალი აზრების რაოდენობა კატასტროფიული სახით შემცირდება.

სწორედ ამ „სამზარეულოში" იბადება ბავშვის სურვილებიც.

კრიტიკული მომენტი აღზრდაში: როგორ მოვახდინოთ გავლენა ბავშვის სურვილებზე. თუ არ არსებობს სურვილთა „სამზარეულოში" შესასვლელი გზა, თუ ისინი არ არიან მკაცრად დამოკიდებულნი გრძნობებსა და მოთხოვნებზე. თუ ამის გამო ჩვენ არ გვინდა ჩავკლათ ცუდი სურვილები, რადგან ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ გავამაგროთ ისინი, დავთესოთ ბოროტება, გამოვიწვიოთ უფრო საშიში სურვილები და თუ დავუმატებთ, რომ ადამიანი ძალიან ცუდად მართავს თავის და სხვის სურვილებს.

აღზრდის აზრს იმაში ხედავს, რომ ბავშვს ასწავლი თავისი უცხო, ველური სურვილების ალაგმვა. ან ასე წარმოუდგენია აღზრდა: საზოგადოდ უყენებს ადამიანს მოთხოვნებს,

ხოლო ადამიანი სწავლობს – „მიაბას“ თავისი სურვილები ამ მოთხოვნებს, ადაპტაციას. სოციალური ადაპტაციის უამრავი მაგალითი არსებობს, მაგრამ მიმოიხედეთ თქვენს გარშემო, გაიხსენეთ თქვენი ნაცნობები – ადამიანთა უმრავლესობა არ ებრძვის საკუთარ თავს! ადამიანები არ ქურდობენ არა იმიტომ, რომ რცხვენიათ ან ეშინიათ დასჯის, არამედ იმიტომ, რომ ეზიზღებათ ქურდობა. ადამიანები ეხმარებიან ერთმანეთს არა იმიტომ, რომ მათ გადაწყვიტეს ყოველდღე აკეთონ სიკეთე, ან ერთგულნი არიან მცირე საქმეთა თეორიის, არამედ, უბრალოდ, იმიტომ რომ უყვართ ადამიანები... ჭეშმარიტად ზრდილ ადამიანს არა აქვს ბოროტი ზრახვები, უკეთურობა გულს უკლავს მას. ის თავს კი არ იკავებს სურვილებისაგან, არამედ აკეთებს ყველაფერს, რაც უნდა, არაფერში თავს არ ზღუდავს, მაგრამ მას არასოდეს იზიდავს ცუდი საქციელი, უსინდისობა, ულამაზობა... სინდისი და მოვალეობა ეხმარება მას არა თვითაღზრდაში, არამედ სიკეთისა და ბოროტების გარჩევაში. შეიძლება ითქვას, რომ ასეთმა ადამიანმა იცის მოვალეობის გრძნობა, ის არ აიძულებს თავის თავს, არამედ ყველაფერს მოვალეობის გამო აკეთებს, მან არ იცის სიმართლე, ასე რომ ყველაფერში მოვალეობით ხელმძღვანელობს. მას არ სჭირდება თვითიძულების მექანიზმი, ის თავს შინაგანად თავისუფლად გრძნობს. არამწეველი ადამიანი არ ეწევა იმიტომ კი არა, რომ ის თავისი ჯანმრთელობის წინაშე გრძნობს მოვალეობას, ან ფულს ზოგავს, არა! ის უბრალოდ არ ეწევა...

ნორმალური, საიმედო აღზრდა ის კი არ არი, რომ ბავშვს შევასწავლოთ ალაგმოს თავისი სურვილები, არამედ ის, რომ არაფერიც არ ალაგმოს: ყველაფერი, რასაც მოისურვებს აღზრდილი ბავშვი – კარგია!

როგორ უნდა ამოვიცნოთ ასეთი აღზრდის საიდუმლო? ჩვენ ამოვხსნით მას, თუ გავიგებთ, რომ ადამიანი საზოგა-

დოებას კი არ ეგუება, არამედ სულ სხვა ურთიერთობა აქვს სამყაროს მიმართ!

აქ გამოდის არენაზე მთავარი მოქმედი გმირი – პედაგოგიკა.

ბატონო გარი! – იცით, მოუთმენლად ველი შაბათი დღის გათენებას, რომ თქვენს ლექციას დავესწრო, მე თქვენ მეორედ დამბადეთ... სიცოცხლის ხალისი დამიბრუნეთ! მე თქვენი აზრების უდიდესი თაყვანისმცემელი და პირდაპირ გეტყვით. ქურდი ვარ! თქვენს აზრებს ვიპარავ, რომლის გარეშეც, ახლა ვხვდები, თუ რა ვიწრო ყოფილა სამყარო... – მითხრა ლექციის დამთავრებისთანავე ჩემმა სტუდენტმა, სამოც წელს მიტანებულმა ქალბატონმა და ჩემდამი მოძღვნილი ლექსების მთელი რვეული გადმომცა – ჩვენი ურთიერთობა კი კოლეგიალობით აეწყო... ამ ქალბატონს შესაშური განათლება ჰქონდა მიღებული კულტურის სფეროში, მწერალთა კავშირის წევრიც გახლდათ, მაგრამ ადამიანთმცოდნეობის ლექციები უდიდეს შემეცნებას აძლევდა...

ყველაზე განათლებულ ადამიანებშიც კი შემინიშნავს ღრმა რწმენა იმისა, რომ სულიერი ცხოვრება ნიშნავს იარო თეატრში, იკითხო წიგნები, იკამათო ცხოვრების აზრზე.

... აქამდე, სულზე, გრძნობებსა და სურვილებზე ვლაპარაკობდით, რომელიც აუცილებელი ატრიბუტია პედაგოგიკისა და მაინც ჩვენ ვიმყოფებოდით თითქოს გვირაბის იქითა მხარეს, რომლითაც მიდის სამყაროსკენ ბავშვის გულითადი მოძრაობა. ახლა გადმოვიდეთ ჩვენს მხარეს და შევხედოთ როგორ მიდის ჩვენი გულითადი მოძრაობა ბავშვისკენ.

შინაგანი სამყაროდან გარეგანი სამყაროსკენ მოძრაობის პირველწყარო – ადამიანის მოთხოვნებია. პირველი წყარო შემხვედრი მოძრაობისა სამყაროსი ადამიანისაკენ – მისი, სამყაროს მოთხოვნებია, არა ჩვენი, მშობლების, ოჯახის მოთხოვნები, არამედ კაცობრიობის ძირეული მოთხოვნე-

ბი – უსაფრთხოების, მატერიალური და სულიერი განვითარების მოთხოვნები. ჩვენ გადავცემთ ბავშვებს კაცობრიულ მოთხოვნებს, ხშირად, შეუმჩნევლად, იმიტომ, რომ ჩვენში ზრდასრულ ადამიანებში, ხშირად ვერ ვამჩნევთ ამას, იმიტომ, რომ ჩვენში ასეთი ზრუნვა ცოცხლობს ყველასთვის საერთო, ზოგად მისწრაფებებში. სიმართლისკენ, სიკეთისკენ, მშვენიერებისაკენ ლტოლვაში.

თუ ადამიანს თუნდაც მცირე მისწრაფება აქვს სიკეთისაკენ და უხარია მას, როცა რაღაც კარგს აკეთებს, ის ასეთად კი არ დაიბადა, არამედ მას გადაეცა ზოგადკაცობრიული მისწრაფება სიკეთისაკენ. თუ ადამიანი შეძლებისდაგვარად ამჯობინებს სიმართლეს, თუ აღშფოთდება უსამართლობის ნახვისას, მაშინ ის კი არაა ასეთი ჭკვიანი და პატიოსანი – არამედ მასშია ის ნაწილაკი ზოგადადამიანური მისწრაფებისა სიმართლისაკენ.

სულიერება არაა ქცევის კულტურა ან განათლება. უამრავი ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია განათლება, ფლობს სულის უზარმაზარ ძალას ხალხიდან აღებულს. განათლება არაა ინტელიგენტურობა, იგი სულიერებაა – აი, რის გამოა, რომ ხელოვნების უფაქიზესი შემფასებლებიც კი ზოგჯერ ვერაფრით გვმოძღვრავენ. თავისთავად წიგნის კითხვა, თეატრებში და მუზეუმებში სიარული არ არის სულიერი ცხოვრება. ადამიანის სულიერი ცხოვრება არის მისი სწრაფვა ამაღლებისკენ... თუ იგი საკმაოდ ძლიერია მაშინ წიგნი და თეატრი აღელვებს ადამიანს, რადგანაც პასუხობს მის მისწრაფებებს. ხელოვნების ნაწარმოებში სულიერი ადამიანი ეძებს თანამოსაუბრეს, მოკავშირეს, ეძებს სიკეთის, სიმართლის მშვენიერების გასამყარებლად. თუ ადამიანი სულიერად მდაბალია, თეატრშიც და კინოშიც ის მხოლოდ დროს ჰკლავს. ასევე შეიძლება იყოს უსულო თვით ხელოვნების ყველა ნიშანი ტალანტისა სახეზეა, მაგრამ არ აქვს მისწრა-

ფება სიმართლისაკენ, სიკეთისაკენ და, მაშასადამე, არ არის ხელოვნება, რადგან ხელოვნება სულის ამაღლებულია, ამაშია მისი დანიშნულება...

ერთმა სტუდენტმა ასე უპასუხა კითხვას მის აღზრდაზე:

– მამა ჩემით სულ არ იყო დაკავებული, მაგრამ როცა ღამეები მეღვიძებოდა, მე ვხედავდი სინათლის პატარა ზოლს მისი ოთახის კარებიდან გამოსულს, მამა მუშაობდა. აი, ის სინათლის ზოლი მზრდიდა მე.

იქ, სადაც ბავშვს დაბადებიდანვე სიფრთხილით არ უნერგავენ „ნუ განსჯი!“ მშობლები პირველნი ხვდებიან განსასჯელთა შორის! დღეს ჩვენ ვსჯით მეზობელს, ხოლო ხვალ, ან ხუთი წლის შემდეგ ეს გაკვეთილი აღიქმება ბოლომდე და შვილი ჩვენ განგვსჯით უმოწყალოდ. ჩვენ დავიწყებთ ხელების ქნევას „უგულო, როგორ ელაპარაკება მამას, მშობელი მამა არ ებრალება!“ მაგრამ ამას ჩვენ მივაჩვიეთ იგი, როცა მეზობელს განვსჯიდით, მთელი მისი ცოდვებითა, ანდა, უფრო თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, თავისი ნაკლოვანებებით... ზოგიერთი ჩვენგანი ისეთ იდეალურ ცხოვრებას ეწევა, რომ ბავშვებს არაფერი რჩებათ საკრიტიკო, მაგრამ სულ ერთია, მაინც აღმოგვაჩენენ, გვიპოვნიან! და მხოლოდ ბავშვები, რომლებიც ადამიანთა სიყვარულში გაიზარდნენ, სიფრთხილით მოეპყრობიან საკუთარ დედას და მამასაც ბავშვებს უნდა უყვარდეთ ყველა ადამიანი, მათ შორის მშობლებიც, მხოლოდ ასე შეიძლება ავუხსნათ შვილებს, რადგან ასე თუ ისე, ისინი კარგად უნდა მოეპყრონ თავიანთ მშობლებს, რომლებიც ზოგჯერ ძალიან ცუდ ადამიანებად ეჩვენებათ და აკი, სწორი ლოგიკით ისინი, ბავშვები, თითქოს მართლები არიან. მათ ხომ მთელი ცხოვრება ასწავლიდნენ – იბრძოლონ ნაკლოვანებების წინააღმეგ და იბრძვიან კიდეც! და იწყებენ მათთვის ახლობელი ადამიანებისგან – თავიანთი მშობლებისაგან.

ხოლო იმას, რომ მათმა მშობლებმა სიცოცხლეს აჩუქეს – მხოლოდ 50-60 წლის შემდეგ დააფასებენ.

ხშირად ორ მიზეზს მიჰყავს აღზრდა წარუმატებლობისაკენ: ნაწილობრივ, უპასუხო ცალმხრივ სიყვარულს – ეს მაშინ, როცა დედას უყვარს შვილი, ის კი არ პასუხობს, და ეგრეთწოდებულ ბრმა სიყვარულს – როცა დედას უყვარს მარტო თავისი შვილი და არა ყველა. კარგი აღზრდისთვის საჭიროა დედა, რომელსაც უყვარს ყველა ბავშვი მას უყვარს თავისი ბავშვი არა იმიტომ, რომ ის თავისი შვილია, არამედ იმიტომ რომ უყვარს ყველა ადამიანი და ებრალება ისინი.

ჯერ არცერთ ადამიანს არ მოუხერხებია სიყვარული საყვედურებით მოეპოვებინოს... საყვედურს ზოგჯერ ცუდი ელფერი დაჰკრავს:

ისმის: „შენ მე არ გიყვარვარ“ – იგრძნობა მოთხოვნა: „შემიყვარე მე, შენ ვალდებული ხარ, მე შემიყვარო!“ ეს კი დაასრულა: არ უნდა ველოდოთ იმავე წამს დაბრუნებას, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს გარეცხილი იატაკი მიუთითებდეს სიყვარულზე, არ უნდა დავნებდეთ ამ კომერციული ტიპის ფრაზებს: „სიკეთე ირგვლივ“, „მივაგოთ ასწილ“ და ასე შემდეგ, თუ ადამიანი ელოდება, რომ მას სიკეთისთვის მიეზღვება და ისიც ასწილად – მაშინ რაა ასეთი სიკეთე? რა ვქნათ, თუ სიკეთე არ გვიბრუნდება, თუ სამაგიეროს არ გვიხდიან? დავწყევლოთ ადამიანები თავისი უმადურობისათვის? არა, ეს ყველაფერი მხოლოდ მას ეხება, ვისაც არასოდეს არავინ ჰყვარებია...

მოსიყვარულე უმალ სიხარულით ასაჩუქრებს სხვებს, ვიდრე თვითონ ღებულობს საჩუქრებს. ის მზად არის მთელი ცხოვრება გაიღოს, ოღონდაც ვინმეს რაიმე შეჰმატოს. აი, სადაა სირთულე, აი, სად არის ტანჯვა – არის, თუ არა ის, ვისაც უნდა აჩუქოს, გასცეს?

პირველი ბავშვის გაჩენისთანავე ჩვენ იძულებულნი ვართ დავიწყოთ გაუთავებელი, ზოგიერთისთვის შეუძლებელი შრომა: შევეცადოთ შევიყვაროთ ყველა ადამიანი. ვინც ჩვენს ირგვლიცაა. ეს არის მთავარი, სიმართლესთან ერთად, რაც ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენი ბავშვისთვის, ჩვენი აღმზრდელობითი ძალა პირდაპირპროპორციულია ჩვენი სიყვარულისა ადამიანებისადმი, არა ჩვენი შვილისადმი, არამედ, სწორედ, ადამიანისადმი!

გვშველის შედეგი და არა მუშაობა, რადგან ის მოთხოვნილებაა, მიდიხარ სამსახურში, რათა იმუშაო და ცხოვრობ სამსახურით. საღამოს კი არაფერი გაქვს სანანებელი ფუჭად გატარებული დღის გამო, არ გრძნობ სიცარიელეს, რომელსაც ყველა თავისებურად ავსებს... დიდი ხანია მინდა ამ თემაზე საუბარი ლექციაზე, საბაბი უნდა მოვძებნო, თუმც მეტი საბაბი რა გვინდა თუ არა სულმნათი ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები: – „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველდღესა შენს თავს ჰკითხე, აბა მე დღეს ვის რა ვარგე?!“ მაგრამ ასე მშრალი სიტყვებით შეიძლება აიყოლიოთ აუდიტორია? ამიტომაც ვეძებ, რაღაც ისეთს, რაც ყველაზე მეტად ჩააფიქრებს სტუდენტს.

– დღეს მსურს – ქართველი ერის სულიერი მამის შესახებ, ილია ჭავჭავაძეზე გესაუბროთ, მინდა კარგად გადავხედოთ მისი ცხოვრების უმნიშვნელო დეტალებსაც კი და საერთოდ ისტორიას, რომ ვიპოვოთ პასუხი კითხვაზე, რატომ არ იცოდა დიდმა ილიამ მეათე საუკუნის უმნიშვნელოვანესი ქართული კულტურისა და ლიტერატურის ძეგლის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ არსებობის შესახებ მეცხრამეტე საუკუნეში?

– როგორ? – განცვიფრებულია აუდიტორია – არ იცოდი?!

და ვიწყებ თამამად საუბარს ილიაზე, ეს საკითხი კი ბოლოსთვის მაქვს შემონახული...

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“, – წერდა ილია ჭავჭავაძე და მართლაც, ყველგან იყო იგი. ცხოვრების ყველა უბანს იცნობდა, ყველაფერს გონების თვალით ხედავდა, ყველას სწვდებოდა მისი დალოცვილი მარჯვენა და ყოველ საკითხს დადებით და უარყოფით შეფასებას აძლევდა.

ილიამ ლიტერატურული მოღვაწეობის თანაბარი შრომა გასწია პედაგოგიკაში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო აღზრდას. „ბავშვი იგივე ადამიანია, სათავე, რომ არ ამღვრეულყო, ყმაწვილის აღზრდისა და სწავლების მეტად მდიდარი, თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით სრულყოფილი მოძღვრება შეიმუშავა.

აღზრდა-განათლებას ილია „კაცის გაადამიანებას“ უწოდებდა, სასწავლებლის უპირველეს ამოცანად თვლიდა მოზარდი თაობისათვის გონების თვალი აეხილა, გულისყური გაეჩარხა, „კეთილად მოემართა გრძნობა“, რათა მოზარდის ჭკუა-გონებას ადვილად შეეცნო ავი და კარგი.

ილია გადაჭრით მოითხოვდა: სასწავლებლებს ახალგაზრდებისათვის განათლებაც მიეცა და მათი ხასიათიც ჩამოეყალიბებინა. „მე ასე მგონია, რომ ადამიანობას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ბავშვის წვრთნა-სწავლაში“, – წერდა იგი... ილიას რწმენით, თუ ვინმეს ან ერთი აკლდა, ან მეორე, იგი განათლებულად არ ჩაითვლებოდა, ვინაიდან ადამიანის მორალური აღზრდა სწავლა-განათლების პროცესში ხორციელდება.

ილია, როგორც დიდად განსწავლული პიროვნება, პედაგოგიკაშიც ღრმად იყო ჩახედული. ის იცნობდა მსოფლიოს დიდ პედაგოგებს, იზიარებდა მათ შეხედულებებს, ზოგ საგულისხმო მოსაზრებას კი თვით ცხოვრება უკარნახებდა.

იგი ცოდნას ცხოვრების გარდამქმნელ ძალად წარმოიდგენდა: „ახლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია, ფულზე-

დაც დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო ძლიერია“. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს ცხოვრების გზაზე, მხოლოდ განათლებას შეუძლია გაფანტოს გონებითი სიბრძნე, მასწავლებელმა უნდა მისცეს ნორჩებს ცხოვრების სწორი მიმართულება... – წერდა იგი.

არაერთხელ უთქვამს ილიას, რომ ახალ თაობას ეკუთვნის მომავალი. ამიტომ აუცილებლად მიაჩნდა მისი შეიარაღება მეცნიერული ცოდნით, რათა საკუთარი ჭკუითა და გონებით გაუჭირვებლივ გასძღოლოდა ერს. იგი სწავლებასა და აღზრდას ერთ მთლიან პროცესად განიხილავდა, მთავარი მარტო ის კი არ არის, პატარებს რაც შეიძლება მეტი ცოდნა მისცენ, არამედ ძირითადია მათი გადაამიანებაო. სასწავლებელს მანკიერ თვისებად უთვლიდა მარტო განათლების მიცემას, შიშველი თეორიები და ლექციები ბევრს არას მისცემს მოზარდს. მან ცხოვრების სკოლაც უნდა გაიაროსო...

ილიას ღრმა რწმენით, სასწავლებელი მაშინ შეასრულებდა თავის მოვალეობას სრულყოფილად, შედეგიანად, როცა მას ეყოლებოდა კარგი აღმზრდელნი. გასული საუკუნის 20-იანი წლების გამოთქმა რომ ვიხმაროთ, კადრები წყვეტენ ყველაფერს... ილიამ იცოდა, რომ მასწავლებელი მძიმე შრომას ეწეოდა, საპატიოდ მიაჩნდა ეს პროფესია, მისგან მოითხოვდა საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებას, იმის შეგნებას, რომ „მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია“, ამასთანავე, აუცილებლად თვლიდა, ჰქონოდა პედაგოგიური მომზადება, საგნის საფუძვლიანი ცოდნა, საჭირო ტაქტი; თბილი და ფრთხილი მიდგომით „ბავშვის პატარა გულს მისი სახით უნდა ეცნო უფროსი მეგობარი“. იგი მასწავლებლის ბავშვისადმი გულთბილ დამოკიდებულებას უფრო მეტად აფასებდა, ვიდრე რაიმე საკითხის კარგად გაზეპირებას.

იცოდა ილიამ: მასწავლებელს ცხოვრების გზაზე უამრავი დაბრკოლება ხვდებოდა და მის გადალახვას „ბეწვის ხიდზე გავლას უწოდებდა“.

დიდი მოძღვრის შეხედულებანი მასწავლებელზე, მის ერუდიციაზე ჩვენმა თანამედროვე სკოლამ არა მარტო გაიზიარა, არამედ კიდევ უფრო გააღრმავა: „მასწავლებელი ნორჩი პიროვნების სულიერი სამყაროს შემოქმედი, საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირია, რომელსაც აღმზრდელი თავის ცხოვრებას სწირავს, მოითხოვს მუდმივ შემოქმედებით და დაუცხრომელ გონებრივ მუშაობას, უდიდეს სულგრძელობას, ბავშვების უსაზღვრო სიყვარულს, საქმისადმი ერთგულებას, იდეურ მრწამსს, პროფესიულ ოსტატობას. დღეს საგანგებო მსჯელობას არ მოითხოვს, რომ ბავშვის აღზრდას ოჯახში ეყრება საფძველი. „შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი და უდიდესი ვალია მშობლისა“ – წერდა ილია. მაგრამ ოჯახი ყოველთვის როდი იდგა მოწოდების სიმაღლეზე. მშობლების უმრავლესობას ცოდნა მხოლოდ სამკაულად მიაჩნდა, ურომლისოდაც ადვილად შეიძლებოდა ცხოვრება. ამიტომაც არ ზრუნავდნენ შვილების განათლებაზე, არ ზრუნავდნენ მათი ზნე-ხასიათის ჩამოყალიბებაზე, ნამუსიანობაზე, კაცთმოყვარეობის, სამართლიანობის გრძნობის აღზრდაზე; ილიას ეგულებოდა სხვადასხვა ოჯახიც, სადაც აღზრდა სულ სხვა ხასიათს ატარებდა, სადაც პატიოსნების ატმოსფერო სუფევდა. ამის შესანიშნავ მაგალითს იძლევა ოთარაანთ ქვრივი, როგორც აღმზრდელი. მას თავად განათლება არ ჰქონდა, მაგრამ შვილი მაღალი მორალის მქონე სკოლაში, ცხოვრების სკოლაში აღზარდა, ფაქიზი სული „შზთაუდგა“. ვის არ უყვარს შვილი, რომელი დედა არ ეტყვის, „შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენთვის დავიცემ დანასო“, მაგრამ ქვრივს ამის თქმა საქმით შეეძლო და არა ზედმეტი მოფერებით. გიორგიც მორიდებული იყო დედის მიმართ: არასოდეს სიტყვას არ შეუბ-

რუნებდა, მისგან ისწავლა პირდაპირობა, ალალმართლობა, შრომისმოყვარეობა, მოთხოვნილება საკუთარი თავისადმი, ის „პილპილმოყრილი“ გულკეთილობაც გამოჰყვა და ამიტომ სოფელში ყველა აფასებდა.

ამბობენ, ილია როგორც პედაგოგიური მოღვაწე, ადრევე შევიდაო სიმწიფეში. ალბათ, ამაზე მეტყველებს ქართველი დედისადმი მიმართული მისი ვედრება:

„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მამულისთვის მედგრადა ბრძოდეს“.

არა მარტო აღმზრდელ-პედაგოგთა აზრი, არამედ ცხოვრება და პრაქტიკა ამტკიცებს, რომ მშობელს, ოჯახს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება ბავშვის აღზრდაში. სასკოლო რეფორმის მოთხოვნაც ამას გულისხმობს: „საჭიროა გავზარდოთ ოჯახის პასუხისმგებლობა მოზარდი თაობის აღზრდისათვის, – ვკითხულობთ რეფორმის ერთ-ერთ თავში, – მშობლები ყოველმხრივ უნდა ამაღლებდნენ სკოლისა და მასწავლებლის ავტორიტეტს, ზრდიდნენ, ამზადებდნენ მათ საზოგადოებრივი სასარგებლო საქმისათვის. ქმნიდნენ აუცილებელ პირობებს, რათა მათ დროულად მიიღონ განათლება“.

ილია ოჯახის პარალელურად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საზოგადოებას, გარემოს, სადაც ბავშვი მცირე ასაკიდან ტრიალებს: მოითხოვდა რომ იგი მოწესრიგებული ყოფილიყო, თორემ „წრე, სადაც ბავშვი და მოზარდი სულს ითქვამს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცილებლად ზედ დაასვამს ხოლმე“. საზოგადოებას ილია აღმზრდელის როლს ანიჭებდა, რაც შესანიშნავად გამოიკვეთა მოთხ-

რობაში „სახრჩობელაზედ“, სადაც ავტორმა ცხოვრებასა და საზოგადოებაზე გულგატეხილ ყმაწვილს ათქმევინა: ... „პატარები ვიყავით, ყველა ხედავდა, რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო... თქვენ, ყველამ, მოგვიცეთ ბოლო... მძულს ქვეყანა და ადამიანი მით უფრო, ჩვენ შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი. მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ – მრავალნი იქიც. მე ჩემი გზა მართალი გზა მგონია, მართალი ვარ თუ მტყუანი – არ ვიცი... სამუდამოდ მოვწყდი ქვეყანას, როგორც წინადვე მოტეხილი ტოტი უკანასკნელ ძაფზე დაკიდებული“... ოჯახში გამეფებულმა არაჯანსაღმა ატმოსფერომ დაღუპვამდე მიიყვანა ორი ბიჭი, ქურდობის გზაზე დააყენა. ასეთი მშობლების საყურადღებოდ წერდა ილია: „ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში“.

ობლად დარჩენილი ბიჭი ემდუროდა საზოგადოებას, რომელიც არ აღმოჩნდა შეგნების იმ დონეზე, რომ აქტიურად ჩაბმულიყო მის აღზრდაში, დაინტერესებული ოჯახიდან გაყრილი ძმების ბედით, ცხოვრების სწორ გზაზე დაეყენებინა ისინი. დიახ, დიდია საზოგადოების როლი ბავშვის აღზრდაში.

ახალგაზრდობის აღზრდაში მწერალი სამ ძირითად ელემენტს გამოყოფდა: გონებრივ, ზნეობრივ და ფიზიკურ აღზრდას. გონებრივი განათლება, მისი აზრით, „არის ადამიანის კულტუროსნობის ძირითადი ნიშანი, ნიშანი ჭეშმარიტი განათლებისა“. მაგრამ მარტო ამას როდი თვლიდა აუცილებლად. მცოდნე პიროვნებისათვის მას საჭიროდ მიაჩნდა, სწავლების პროცესში ყურადღება გამახვილებულიყო საგანთშორის კავშირზე,. იგი მოითხოვდა ყოფილიყო „რამდენადაც შესაძლოა, მჭიდრო კავშირი სხვადასხვა საგნების სწავლებაში“.

ზნეობრივ აღზრდაში ილია გულისხმობდა ნამდვილი კაცური კაცობისთვის დამახასიათებელი თვისებების აღზრდას.

ფიზიკური აღზრდა არა თუ სასურველად, არამედ აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა ილიას ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა-გამაგრებისათვის; მასზე დამოკიდებული მოზარდის სულიერი და გონებრივი განვითარება, ზნეობრივი სიმტკიცე. იგი მოითხოვდა, რომ სკოლიდან გამოსულიყო სულითა და ხორცით ღონიერი ადამიანი და არა უღონო და უძლური.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ილიას მოღვაწეობის პერიოდშიც მოხდა ერთ-ერთი დიდი, მეტად სერიოზული და სასარგებლო რეფორმა, რაც ეხებოდა სამგვარი – „მაღალი", „საშუალო", „მდაბალი" ენის პრობლემის დაძლევას. სამი სტილის თეორია სასტიკად დაგმეს „თერგდალეულებმა" და მოითხოვეს, რომ ბავშვებისათვის გასაგები და ადვილად დასაძლევი ყოფილიყო მათი მშობლიური ენა; ამასთანავე, გაილაშქრეს ქართული ანბანის შვიდი ზედმეტი ასოთი შევსების წინააღმდეგ. ილია ჭავჭავაძე იაკობ გოგებაშვილთან ერთად საჭიროდ თვლიდა, სასწავლებელში დამკვიდრებულიყო ეროვნული ენა; რამეთუ მწერლობაში ის ენა უნდა იხმარებოდეს, რომელზედაც ხალხი მეტყველებს... „უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია" – წერდა ილია.

ილია ჭავჭავაძის ზემოდასახელებულმა პედაგოგიურმა მოსაზრებებმა დაგვარწმუნა, ბრძენი მწერალი თავისი მოწინავე შეხედულებებით პედაგოგიკაშიც ისევე ძლიერია, როგორც მწერლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია მრავალი საინტერესო მომენტის შემცველია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მწერლის შემოქმედების შესწავლა და-

ვიწყოთ არა მისი ბიოგრაფიის ახსნით, არამედ პირადი თუ პუბლიცისტური ლიტერატურის გაცნობით. მაგალითად, სტუდენტებს გავაცნოთ ილიას წერილი, რომელიც მან გაუგზავნა პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს 1897 წლის 5 აპრილს. სასურველია წავიკითხოთ წერილის დაწერის ისტორია, რომ გაირკვეს მისი დანიშნულება და როლი მწერლის პიროვნების წარმოჩენაში. ამ მიზნით საჭიროა გამოვიყენოთ ლიტერატურული თვალსაჩინოება, კერძოდ პავლე ინგოროყვას მიერ 1961 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მე-11 ნომერში გამოქვეყნებული სტატია: „ილია ჭავჭავაძის ორი წერილი“. მასში პიოველად დაიყეჭდა აღნიშნული მიმართვა ქართველი სტუდენტებისა და ნიკო ნიკოლაძისადმი. ორივე ეს წერილი საკმაოდ სისრულით წარმოაჩენს დიდი მაულიშვილის დამოკიდებულებას თავისი ქვეყნის მიმართ.

პავლე ინგოროყვა სტატიის დასაწყისში შეგვახსენებს, რომ ილია აშკარად თანაუგრძნობდა ბერძნების აჯანყებას კუნძულ კრიტოსზე, რომელიც მიმართული იყო ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. ამის შესახებ მან ორი წერილი გამოაქვეყნა „ივერიაში“ სწორედ 1897 წელს. ილიასთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა კეთილშობილური განზრახვა, ბერძენი სტუდენტებისთვის, რომელთაც დევიზად გაეხადათ „... ერი ერს ან არა და სიკვდილი“. სოლიდარობა გამოეცხადებინათ და ამით გამოეხატათ საკუთარი, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილი. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ, თანაგრძნობის წერილი გაეგზავნათ არა მარტო პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა, არამედ რუსეთის იმპერიის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მყოფი ახალგაზრდების სახელითაც.

ქართველმა სტუდენტებმა რჩევისთვის მიმართეს ორ პიროვნებას – გიორგი წერეთელსა და ილია ჭავჭავაძეს, თანაც

სთხოვეს ეცნობებინათ, თუ რა მოსაზრებით იხელმძღვანელებდნენ რჩევის მოცემისას.

გიორგი წერეთელმა ქართველ სტუდენტებს განზრახვა მოუწონა, იგი მოკლედ წერდა: „თქვენი – ახალგაზრდების გული მუდამ იქ უნდა იყოს, სადაც ბრძოლაა თავისუფლებისთვისო...“

ილია კი შორს იხედება, მან იგრძნო მოსალოდნელი ხიფათი, რომელიც შეიძლება ქართველი სტუდენტებისთვის საბედისწერო გამხდარიყო და თავის შეკავება ურჩია. დინჯი და დაკვირვებული, მკაცრი და მეტად ფრთხილია მწერალი იქ, სადაც საქმე ეხება ახალგაზრდობას, ესე იგი ქვეყნის მომავალს, მაგრამ უმჯობესია თვით წერილს გავეცნოთ.

„წერილი პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი, 5 აპრილი, 1897 წელი, ქ. ტფილისი.

მოწყალეო ბატონებო, მე დიდ პატივად მიმაჩნია, რომ თქვენ ინებეთ და ჩემი სარჩელი მოითხოვეთ. გთხოვთ მიიღოთ ჩემგან უგულითადესი მადლობა, ამნაირ, ჩემ მიერ არადამსახურებულ პატივისცემისათვის, ხოლო ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენმა წერილმა ორ ცეცხლს შუა დამაყენა. ერთის მხრით პატიოსანი გულთაძვოა თქვენი დამიდგა თვალწინ გულთა-ძვრა საქვეყნო, გულთა-ძვრა ბრწყინვალე და დიდებული, რომლის ღაღადის წინაშე აღტაცებით და სასოებითვ მუხლი რომ უნდა მოიდრიკოს ყოველმა რიგიანმა კაცმა. მე მივხვდი და ვიწამე, რომ ამ კეთილშობილებით აღსავსემ გულთა-ძვრამ აღმოგიშობათ სურვილი ქება-დიდებით და ლოცვა-კურთხევით მიჰმართოთ ჩაგრულთა, რომელთაც თავი გამოიდეს ხსნისათვის, ძნელია პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშვენიერსა და ყოვლად თამოსაწონებელს გულთა-ძვრას, და გასამხნევებლად, თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდამ დიდებულ საქმისათვის თავგამოდებულთა... კაცთა საუბედუროდ, დღვანდელი დღე მუშ-

ტისაა, ძალი ჰხნავს აღმართსა. მით უფრო საქებ-სადიდებელია უღონო ჩაგრულთა მოქმედება. მე არ ვეჭვობ, რომ დრო მოვა და თავისუფლება და სამართალი, რომლის სახელთ დღეს ბერძენი გამოდის, დაემჯობინება მთელ სპა-ლაშქარსა და წინაშე მათთა ხმას გაიკმენდს თოფი და ზარბაზანი. აქ არის ყოვლად-მხსნელი ღონე და სასოება ადამიანისა და ამის მაგალითს დღეს თვალწინ გვიყენებს ერთი მუჭა ერი საბერძნეთისა. ქართვლის სტუდენტობას გული ანთებია თანაგრძნობით, კვნესით შეჰნატრის ბერძენს და ლოცვა-კურთხევას უთვლის. ძნელია კაცმა ამ მხურვალე და ბრწყინვალე გრძნობას ადამიანისას, ასეთის პატიოსან გულთა-ძვრისაგან მოვლინებულს, ცივი ანგარიში დაუყენოს წინ.

მაგრამ რაკი პატივი დამდეთ და ჩემი აზრი მოითხოვეთ, არ შემიძლიან ამ ცივ ანგარიშს არ მივცე თავი და ჩემი გულთ-ნადები არ მოგახსენოთ გულახდილად, ჩვენი მშობელი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზე ჩვენთვის უფრო საფიქრებელი და საზრუნველია. აქ არავისის ძრახვას და საყვედურს არ ვერიდები. ჩემი მრწამსი ეს არის. ადამიანი ასეა გაჩენილი: თავისიანს უფრო ჰრჩეობს, ვიდრე სხვას, თქვენ ჩემზედ უკეთ მოგეხსენებათ, რა ხართ თქვენ, უმაღლესის სწავლისათვის გადახვეწიონი ქართველნი, ჩვენის ავ-ბედიანის ქვეყნისათვის. მთელი სასოება ჩვენის ქვეყნისა თქვენზეა დამყარებული. ჩვენი ხვალე, ჩვენი მერმისი თქვენა ხართ. თქვენ რომ თქვენი პირდაპირი საქმე არ შეგასრულებინონ და ამის გამო შესაფერის სწავლა-ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ თქვენს ქვეყანას, ვისისა-ღა იმედზე დარჩეს? აშკარაა. იგი, რაც თვენს პატიოსანს გულს მოუწადინებია, არ მოეწონება ვისაც ჯერ არს და ვაითუ გეზიანოთ რამე. თქვენი ზიანი, თქვენი შეფერხება, ჩვენი ქვეყნის ზიანი და შეფერხებაა. გარდა ამისა, დღეს გაფიცხებული დავიდარაბა გაგვიჩნდა – და ამ დროს რომ მიზეზი რამე

მივცეთ, მთავრობა ჩვენზე ავის თვალით მოახედონ, ჩვენი საქმე დიდ ხიფათში ჩაგვივარდება, თუ მთლად არ დაგვეღუპება. თქვენს მიერ განზრახული თუ ასრულდა, საიდუმლოდ არ დარჩება, დიდი შიშია, რომ ჩვენმა მტრებმა ჩვენდა თავში საცემლად არ გამოიყენონ, აი სად და სით უფრინავთ ქართველებს გონებაო.

განსაცდელი და საფრთხე დიდია. განა საფიქრებელი არ არის, რომ თქვენი ბედი და, მაშასადამე, ბედი თქვენისა ქვეყნისა, ამ საფრთხესა და განსაცდელში არ ჩავარდეს! ბერძნებს თქვენი თანაგრძნობა, რა თქმა უნდა, იამებათ, მაგრამ ბევრს არას არგებს მაგ თანაგრჟნობას ხელში დასაჭერი და გამოსაყენებელი სიკეთე არა მოსდევს რა, გარდა გულთა-ძვრის და გულთა-თქმის გარეთ გამოფენისა და, მაშასადამე, საკუთარი თავის კმაყოფისა.

კიდევ მოგახსენებთ, მე მესმის მთელი პატიოსნება და კეთილშობილება თქვენს მიერ მოწადინებულისა, არც თავის დღეში ეჭვი არა მქონია, რომ ჩვენს ყმაწვილკაცობას გული არ ერჩოდეს, არ ეძროდეს ყოველ პარტიოსნურ საქმიანობისთვის, მაგრამ რა ვქნათ? ბედმა ამისთანა დღეში ჩაგვაგდო, რომ ჩვენ ჩვენის სიკეთისაგან სხვისთვის ვერ გავწირავთ ვერარას, ყოველი ჩვენი კეთილი ჩვენს ქვეყანას უნდა მოვახმაროთ და ამისათვის ყველა სხვა წყურვილი უნდა მოვიკლათ, ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემი კი არა, ჩემის და თქვენის ქვეყნის სახელითა: სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდა შეიძინეთ, ჯერ ხანად ნურც აქეთ გადიხევთ, ნურც იქით. მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და თქვენი სურვილნი და ორის უუძლიერესის ფარ-ხმალით მოდით დაეპატრონეთ თქვენდა მოსავს ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა სავედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს-რა და ომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას. ქვეყანა იმითი კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ

იმითი, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა ჰყავს. აი თქვენი თავი რად გვიღირს ასე ძვირად და სიძუნწეში ნურავინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთის თქვენგანის ძმის ბეწვსაც ვერ ვიმეტებთ. თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი. იქნება დამძრახოთ და მაინც კი ვიტყვი, რომ იქ, საცა ერთი მხრით სამშობლოა და მეორე მხრით სხვა, სხვას მარტო ნამეტანობისაგან უნდა მიეცეს. ნამეტანობამდე, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ გორსა ვართ და რაც ჩვენთვის საკმარიც არ არის, ჩვენთვისვეა საჭირო და იგი მარტო ჩვენს სამშობლოს უნდა გამოვუზოგოთ და შევწიროთ. აქ დიდად მოსარიდებელია მცირეოდენი განსაცდელიც კი, რომელიც თქვენს სწავლა-ცოდნას წყურვილის წყაროს დაუშრობს. თუ აქ ჩემი წინასწარხედვა განსაცდელისა ცდომაა, ისევ სჯობია კაცი განსაცდელის ხედვაში შესცდეს, ოღონდ მოერიდოს0კი, იმიტომ რომ თვალწინ მიდგა ჩვენი საწყალი ქვეყანა, უკაცურობით ღონემიხდილი და ჯანმიღებული. უთქვენოდა რომ ძვირად არ უჯდებოდეს ჩვენს ქვეყანას, არ ამოგიფრთხობდით გულიდამ მაგ პატიოსანს გულთა-თქმას, შიში განსაცდელისა აქ საბუთია და სამართლიანი. გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყოველისფერი.

„საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“...

ეს არის ჩემი რჩევა, რჩევა თქვენის ქვეყნის შვილისა.

ილია ჭავჭავაძე“.

წერილი ათვალსაჩინოებს ილია ჭავჭავაძის პიროვნებას, მის მისწრაფებებსა და იდეალებს. „გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყოველისფერი“, – ამთავრებს ილია წერილს და ამ სიტყვებს თითქოს ანდერძად უტოვებს ქართველ ახალგაზრდებს.

ილია ყველას და ყველაფერს იმის მიხედვით აფასებს, თუ რა სარგებლობა მოაქვს მას საქართველოსთვის. ნიკო

ნიკოლაძეს ურჩევს, არ დატოვოს სამშობლო, რომელიც მართალია საჭირო პირობებს ვერ უქმნის მოწინავე, განათლებულ ადამიანებს, ზოგჯერ სათანადოდ ვერ ფასდება მათი თავდადება და უანგარო სამსახური ერის წინაშე, მაგრამ ეს არ ამართლებს მათ სურვილს უცხოეთში ეძებონ სმშვიდე. ილია წერილის დასასრულს აღნიშნავს: „თუ მართლა გიყვარს ის, რისთვისაც ეგრე თამამად და უშიშრად იღვწოდი, თუ ის ყველაფერი, რითაც შენ მოსაწონი ხარ, ქარის მოტანილი არ არის, ნუ აღასრულებ მას, რასაც გვიქადი. დარჩი მაგ უბედურს ქვეყანაში... დარჩი და იშრომე – და მხოლოდ ის გქონდეს ხსოვნაში, რომ მარტო უედურთ უნდათ შველა და არავის სხვასა; კვლავ მოჰკიდე ხელი შენს პატიოსანს საქმეს და შენ, ჩვენს მოძმეს... ვაპატიებთ წუთიერ სისუსტეს... თუ ამას არ იქმ, მაშინ გეტყვით: ეჰ, ქარის მოტანილი ყოფილხარ და დეე ქარმავე წაგიღოს; გეტყვით ამას, მაგრამ გულში კი ერთი ძარღვი ჩაგვწყდება...

თუ შენ ის სკანდელი ხარ (ამ ფსევდონიმით გამოაქვეყნა ნ. ნიკოლაძემ ეს წერილი) როგორიც იყავი, მაშინ მიხვდები, რა სურვილი და რა გრძნობა მაწერინებს ამ წერილსა. დასასრულ ამასაც გეტყვი, რომ ქართველი გამოსალმების დროსაც ერთ მშვენიერ სიტყვას ხმარობს: „გამარჯვებითო", მაგრამ ამ სალამს გამოთხოვებისას თავის დღეში არ აღირსებს მას, ვინც ბრძოლიდან გარბის: იმას „მშვიდობითო" ეტყვიან. მსურს რომ შენ ისე მოიქცე, რომ შეგვეძლოს შენთვის თქმა: „გამარჯვებით" და არა „მშვიდობით".

ილია ჭავჭავაძე".

ჩვენ ქართული ლიტერატურის საგნის ლექტორს არავითარ რეცეპტს არ ვაწვდით, მხოლოდ საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებას ვუზიარებთ, ვურჩევთ, მწერლის ბიოგრაფიის შესწავლას წინ წარუმძღვაროს ამ წერილების წაკითხვა, რომ თვალნათლივ წარმოჩინდეს, თუ რა იყო დიდი მა-

მულიშვილის ზრუნვის საგანი. ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გალია, რატომ არ ურჩევდა ქართველ სტუდენტებს თანაგრძნობა გამოეცხადებინათ ბერძენი ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ეროვნულ დამოუკიდებლობას იცავდნენ, ან რად მოუწოდებდა ნიკო ნიკოლაძეს განზრახულზე ხელი აეღო და სამშობლოში დარჩენილიყო.

რა იყო დიდი მამულიშვილის ზრუნვის საგანი – ეს კითხვა არ უნდა სტოვებდეს ლექტორს მაშინაც, როდესაც დაიწყებს ბიოგრაფიის ახსნას. აქაც საჭიროა ისეთი მასალის მოხმობა, რომელშიც გამოჩნდება ილიას მამულიშვილური საქმე და ღვაწლი. ამ მიზნით მიზანშეწორნილია სტუდენტებს ვესაუბროთ ილიას დამოკიდებულებაზე ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართ, უპირველეს ყოვლისა, იმ დიდ ამაგზე, რომელიც მან დასდო უდროოდ დაღუპული პოეტის ხსოვნას. მწერლის ბიოგრაფიის ახსნისას საგანგებოდ უნდა შევეხოთ ილიას დამსახურებას ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან გადმოსვენებასა და საერთოდ მისი შემოქმედების პოპულარიზაციაში.

ცნობილია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკული ლექსები პოეტის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, მათი ავტორი თანდათან დავიწყებას ეძლეოდა, ბარათაშვილის ნაწარმოებების პუბლიკაცია პირველად მოხდა 1852 წელს, როდესაც გიორგი ერისთავმა „ცისკარში“ რამდენიმე ლექსი გამოაქვეყნა. მანამდე პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობა ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა. მის ახლობლებს შემორჩათ თვით პოეტის ხელით გადაწერილი ხელნაწერი კრებულები. სულ ექვსი კრებული არსებობს, ისინი სხვადასხვა რაოდენობის ნაწარმოებებს შეიცავენ. შედარებით სრულია ეკატერინე ჭავჭავაძისეული კრებული, რომელიც როგორც ცნობილია, ამ უკნასკნელმა გადასცა ახალგაზრ-

და ილია ჭავჭავაძეს ცარსკოე სელოში, სადაც ეკატერინე თავისი შვილებითა და ამალით ზაფხულს ატარებდა. აქ იგი ცხოვრობდა პეტრე პაგრატიონის ვილაში. პეტრე ბაგრატიონი ნიკოლოზ ბარათაშვილის ბავშვობის მეგობარია, იმ დროისათვის უკვე ცნობილი ფიზიკოსია, სამხედრო პირი, რომელიც მეთაურობს კავკასიელებისგან შემდგარ საიმპერატორო რაზმს, ჯარის ეს ნაწილი იმ ხანად ცარსკოე სელოში იმყოფებოდა, ხოლო პავლოვსკში ზაფხულს ატარებდნენ პეტერბურგის ქართველი სტუდენტები: ილია ჭავჭავაძე თავის ადრინდელ ლექსებს პავლოვსკში წერს 1858-1860-იან წლებში პავლოვსკში იმართება დიდი კონცერტები კომპოზიტორ შტრაუსის მონაწილეობით. კონცერტები სტუდენტი ახალგაზრდებისა და პეტერბურგის მოწინავე საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა, შეიძლება სწორედ აქ მოხდა ილიასა და ეკატერინეს შეხვედრა. ამ დაახლოებამ ილია ჭავჭავაძეს საშუალება მისცა გასცნობოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებსა პოემას „ბედი ქართლისა“. ილია მადე დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ 1860 წელს კვლავ რუსეთშია და ხელმეორედ ხვდება სამეგრელოს დედოფალს, ამ წელს წერს იგი ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსებს, ილია ჭავჭავაძე პეტერბურგიდან უგზავნის „ცისკარს“ პოეტის გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებს, ხოლო სამშობლოში დაბრუნებული „საქართველოს მოამბეში“ ბეჭდავს ლექსებს, ხელს უწყობს ბარათაშვილის ნაწარმოებთა პირველი კრებულის გამოცემას 1876 წელს. ამ თარიღთან არის დაკავშირებული პოეტის საოცარი პოპულარობა. ცოტა ხნით ადრე კი საზოგადოებას აღარც ახსოვდა, თუ ვინ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი. 1865 წელს პეტერბურგში მყოფი ნიკოლოზ ყიფიანი მამას, დიმიტრი ყიფიანს წერს: „ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“, „ქართლის ბედი“, „მტკვრის პირზედ“, „ფანტაზია“, „სულო ბოროტო“ და სხვანი ათასჯერ გადა-

ვიკითხე და კიდევ არ მეყო. ყოველ ამის სიტყვაში, ყოველ ლექსში აზრსა ჰხედავს კაცი, გრძნობს და ისეთი ძალა აქვს ამის ლექსსა, რომ არ შეიძლება არ დაღონდეს კაცი, როცა ის თავის ტანჯვას გამოსთქვამს. „მერანი“ საკვირველი რამ არის.

ნეტავ ვინ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი? შენ მგონი იცნობდი, სწავლა სად მიიღო, სამსახურში ყოფილა თუ არა, ყოფილა სადმე ან რუსეთშიბ ან იქით სპარსეთში? რა ხასიათისა იყო, საზოგადოებაში რა იყო, საზოგადოება როგორ უყურებდა?“

80-იანი წლებისათვის კი ქართველი საზოგადოება უკვე იცნობს პოეტის ლიტერატურულ მემკვიდრეობას: ლექსებს, პოემას, წერილებს. ამ დროისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილმა უდიდესი სიყვარული და ეროვნული აღიარება მოიპოვა.

1891 წელს რუსულ გაზეთში გამოქვეყნდა განჯელი კორესპონდენტის ცნობა, რომ იმ ადგილას, სადაც ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო დასაფლავებული, ქალაქის ადმინისტრაციას განუზრახავს გზის გაყვანა. ნათესავებმა ითხოვეს პოეტის ნეშტის გადმოსვენების უფლება. მთავრობამ გადმოსვენების ნება დართო, მაგრამ საჭირო ხარჯები არ გაიღო. ილიას ინიციატივით „ივერიასთან“ არსდება გადმოსვენებისათვის საჭირო სახსრების შეგროვების ფონდი, შეწირულება მოდის საქართველოს ყველა კუთხიდან და საჭირო თანხაც მალე გროვდება. ილია თავმჯდომარეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომას, რომელზეც გადაწყდა გიორგი ორბელიანისა (პოეტის ბიძაშვილი, ილია ორბელიანის ვაჟი) და საზოგადოების ორი წევრის გაგზავნა განჯაში, მთელი საქართველო შეეგება ძვირფას ნეშტს, პოეტის გადმოსვენება სამშობლოგი ეროვნულ დემონსტრაციად იქცა, დიდუბის პანთეონში ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავთან სიტყვები წარმოსთქ-

ვეს ილიამ, აკაკიმ; ვაჟა-ფშაველამ დიდებულ პოეტს ლექსი უძღვნა.

„შენი ლექსი თვით მკვდრეთით აღგადგენს შენა“, – წერდა ჯერ კიდევ 1860 წელს ილია, რომელიც თვითონ ჩაუდგა სათავეში პოეტის „მკვდრეთით აღდგომას“, მაგრამ ილიას დამსახურება მარტო ამით არ ამოიწურება: ილია ჭავჭავაძემ პირველმა განსაზღვრა ნიკოლოზ ბარათაშვილის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, მისი ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული მნიშვნელობა. 1892 წელს ილია „ივერიაში“ წერდა: „ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიული წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“... „მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა“.

ილიამ ერთ-ერთმა პირველთაგანმა იგრძნო, გონების თვალით განჭვრიტა, რომ ბარათაშვილის ლირიკა, განმსჭვალული უდიდესი ოპტიმიზმითა და მებრძოლი განსწავლულობით, მხარს უბამს მსოფლიო კორიფეების, ბაირონისა და გოეთეს პოეზიას.

ერთია შეაფასო უკვე აღიარებული მწერალი, ადრე ნათქვამს რამე შემატო, მაგრამ სულ სხვაა სწორად განსაზღვრო ნაკლებად ცნობილი პოეტის ადგილი და მნიშვნელობა არა მარტო თავისი ერის, არამედ მსოფლიო კულტურის ისტორიაში, არ დაუკარგო ქვეყანას ისეთი შემოქმედი, როგორიცაა ქართველი ხალხისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილი. ამგვარი მამულიშვილური მოღვაწეობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. იგი ხშირად პირადულზე უარის თქმასაც მოითხოვს და საკუთარი ინტერესების მსხვერპლად მიტანასაც იმ იდეალების განსახორციელებლად, რომელსაც მთელი ცხოვრება

ემსახურებოდა დიდი მამულიშვილი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე...

... დიდი ილია, დიახ, ვერ იცნობდა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, თორემ კიდევ მეტად იამაყებდა ჩვენი ერის ლიტერატურული წარსულით, ვერ იცნობდა, რამეთუ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ 951 წელს დაიწერა, მისი ხელნაწერი XII საუკნისაა და იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში ინახებოდა. აქედან გადმოიღო ტექსტი ნიკო მარმა 1902 წელს, შესწავლა და 1911 წელს გამოსცა მაშინ ილია ჭავჭავაძე ოთხი წლის გარდაცვლილი გახლდათ.

– ძალზე საინტერესო ისტორიაა, ისე კი... მაინც რა არის სწავლა და ცოდნა, ბატონო გარი?

– სწავლა შეუქცევადი პროცესია, რომელსაც ორი მხარე აქვს, ორი ადრესატი გააჩნია, მასწავლებელი და მოსწავლე! ცოდნაში კი შეღავათი არ არსებობს! გეტყვით იმასაც, რომ ცნება „სწავლას“ უფრო ღრმა ფესვები აქვს.

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში „სწავლის“ ცნებას ნაირსახოვანი ტერმინებით გამოხატავდნენ. ესენია: „წურთა“, „სწავება“, „სწავლა“, „სწავლება“, „მოძღვრება“, „მცნება“, „ქადანება“, „გამოძიება“, „განცდა“...

სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს „სწავლა არს რაიცა არა იცოდეს, უთხრას და სწვართოს... სწავლა არს ქადაგება“,. საბა „მცნების“ გაგების ერთ-ერთ ასპექტადაც მიიჩნევს „სწავლას“,. ცნება „წურთა“ ივანე იმნაიშვილის მიერ შედგენილ „ოთხთავის“ სიმფონია-ლექსიკონში ახსნილია, როგორც „სწავლა, მოფიქრება“ (გვ. 762, 1948-49).

„სწავლის“ შინაარსის გაგების თვალსაზრისით საყურადღებო მასალებია აღნუსხული და ახსნილი ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“. სწავლება – სწავლა; სწავება – მოძღურა; სწავლა – სწავლის შეძენა (გვ. 407,

1973); შემდეგ მოძღურა – სწავლება, სწავლა; მოძღვრეული – სწავლებული; მოძღურება, მოძღურობა – სიტყვისა სწავლა, მცნება (იქვე, გვ. 287), სწავლა, წვრთნა, ვარჯიში (ბ. კეს. ექუს. დღ. 94, 32), გამოძიება – სწავლა (იქვე, 109, 34); განცდა – სწავლა, შეგნება (ქივე, 77, 1).

მეორე მხრივ, „სწავლა“ ძველ წერილობით ძეგლებში აღნიშნავს გვემას, ცემას, დასჯას, წვალებას მაგალითად: „პური და სწავლაი და საქმეი მონას“ (ი. ზირ. 30, 25). „ეგრეევე გსწავლის, ვითარღა – შენ სწავლი მონასა შენსა“ (მ. სწ. 147, 24), „ ვა ჩემსა ამას შეუწევნელობასა, ვთარღა მსშავლის ცოდვა ჩემი“ (ცხ. თეოდ. 310, 3, იხ, ძვ, ქართ. ლიტ. ქრესტ. ტ. I, 1946) და სხვ.

ამასთან ერთად გვაქვს ისეთი მასალებიც, სადაც ცნება „სწავლა“ გამოიყენება როგორც დასჯა, წამება უშუალოდ მოწაფის ცოდნის შეძენასთან დაკავშირებით, „ნუ დასცხრები სწავლად ჩჩვილსა, რამეთუ უკუეთუ მოსწყდა იგი კურთხითა, არა მოკუდეს, რამეთუ შენ სწყლა იგი კუერთხითა, ხოლო სული მისი იხსნა სიკუდილისაგან, რამეთუ ვინ არის ძე. რომელი არა სწავლის მამამან“ (ბ. კეს, დაწყ. სოლ. იგავ. 96, 24, იხ. ძვ ქართ. მწერ. ძეგ. 1965, გვ. 96). აღსანიშნავია, რომ იმავე ძეგლში გვხვდება ცნება „სწავლა“ იმ გაგებით, როგორც დაახლოებით დღეს გვესმის, ხოლო ყრმათა დასჯის აღმნიშვნელად გამოყენებულია „გუემა“. „რამეთუ ვითარც ყრმანი იგი ჩვილნი, რაჟამს სულმოკლე იქმნიან სწავლისა მიმართ, შემდგომად გუემისა მის, რომელი მოაწიან მათ ზედა მოძღუართა ანუ მზარდულთა მათთა, განკრძალოლ იქმნებიან მოსწრაფებით „სწავლად“ (იქვე).

კიდევ მეტი: ამავე წყაროდან ვიგებთ, რომ ყრმათა დასჯას შედეგი მოაქვს და ისინი (ყრმები) შეიწყგარებენ დარიგებას. „და სიტყუაი იგი, რომელი უწინარეს გუემისა მის შეურაცხ არნ, შემდგომად გუემისა, ვითარცა მაშინღა განღებულ იყვ-

ნეს ყურნი მათნი, ესრეთ იქმნის შეწყნარებულ და დაცვულ ხსენებითა“ (96,6).

ამრიგად, წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ძველ წერილობით წყაროებში „სწავლა: ორი ფუნქციით იხმარება: კერძოდ, მომეტებულად იგი აღნიშნავს ცოდნის შეძენას, რაიმეს შესწავლას, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი – ფიზიკურ დასჯას, წამებას.

ისმის კითხვა, ამ ორი გაგებიდან რომელი შეიძლება იყოს პირველადი ან რამ გამოიწვია ცნების ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსით დატვირთვა?

მიუთითებენ, რომ ფიზიკური დასჯის გაიდეალება ძველად დაკავშირებული იყო ქრისტიანული რელიგიის დოგმებთან, რომელთა მიხედვითაც ადამიანის სულიერი და ფიზიკური წამება, დასჯა გულისხმობდა პიროვნების გაწმენდას მიწიერი ცოდვებისაგან (პედაგოგიური ენციკლოპედია, 1966, ტ. 3, გვ, 27). როგორ ვხედავთ, მოყვანილ მოსაზრებაში ლაპარაკია ადამიანის გარკვეული მიზნით დასჯის გაიდეალებაზე.

ამრიგად, ვიდრე სწავლა თავის მეორად, პირველისგან სრულიად განსხვავებულ შინაარსს შეიმუშავებდა, მანამდე ნიშნავდა დასჯას, წამებას და მას იყენებდნენ ადამიანთა ნებისმიერი ქცევის, მათ შორის, ცოდნის შეძენის სტიმულატორადაც. ამასთან, არსებითია, რომ ამ დროს აღნიშნულ ცნებაში ადამიანთა სულიერი გამდიდრება, გარდაქმნა დანახულია არაცნობიერ, მექანიკურ, ადამიანთა სუბიექტური შესაძლებლობების მიღმა მიმდინარე პროცესად.

ცხოვრების განვითარების კარნახით ცნება სწავლაში თანდათანობით ისახება ადამიანის მიერ ცოდნის შეძენის სპეციფიკური მოთხოვნები და, ამრიგად, მის შინაარსში, ნაცვლად ფიზიკური დასჯისა, მოიაზრება ცოდნის შეძენის ის კანონზომიერებანი, რაც გარეგანი, ფიზიკური დასჯით კი არა, არამედ თვით ადამიანის პირადი მეცადინეობითა და მისი

მასწავლებლის ერთობლივი მოქმედებით შემუშავებულა.

ირკვევა, რომ ცნების შინაარსის ამგვარი თვისებრივი შეცვლა ერთბაშად არ მომხდარა. საუკუნეები დასჭირვებია მისი ახალი შინაარსობრივი იერსახის წარმოჩენასა და ჩამოყალიბებას. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, „სწავლის“ შინაარსის ეს მოძრაობა დაახლოებით ასეთ სურათს იძლევა:

1.სწავლების შინაარსში მინიშნებულია მასწავლებლისა და მოსწავლის კონტაქტზე: „განმიმარტე მე სიტყუაი ესე, რომელი – ეგე მწვალებელი ხარ“ (ს. მართ. 219, 21): „ხოლო თქუენ, საყუარელნო, ნუ ესრე ჰგონებთ, ვითარმედ: წიგნთა გარეშე რასმე ვიტყვი ამის გურიტისათვის“ (ს. მრთ. 225, 21), „მოიღე ჩემდა ტომარი ერთი ქარტაი გრაგნილი და დაწერე მას ზედა საწერელითა სულისაითა“ (მ. მრთ. 230, 10); „წარმოგიდგინო შენ, რომელც – ეგე გწამდის, და ნუ სმენითა ხოლო სასმენელთაითა მხიარულ იქმნები ამას ზედა, არამედ ძალითურთ გულისხმაყავ და საქმესა მას ხედვედ“ (შ. კრებ. 209, 1); „ჰმოძღურის და ასწავებს ქრისტეს მოწაფეთა მათ“ (შ. კრებ, 302, 22); „ხოლო შენ, საყუარელო, „იკითხვედ და ისწავებდ“ (შ. კრებ,. 319, 30).

2. სწავლების პროცესში ფიქსირდება ის რასაც ასწავლიდნენ: „მან გასწაოს თქუენ ყოველი და მოგახსენოთ თქუენ ყოველი“ (ს. მრთ. 185, 14); „ხოლო აწ ამიერითგან, თუ გნებავს სმენად სიტყუათა ამათ, ვიწყო თხრობად საკითხავთა ამით“ (. მრთ. 102, 23); „გაუწყებ შენ დამტკიცებულსა მაგას შენსა მეცნიერებასა გულისხმის – ყოფად“ (შ. კრბ. 268, 38); „მაშინ განსხნა წიგნი იგი და მომცა მე კითხვად“ (შ. კრბ. 333, 15).

3. გამომჟღავნებულია სწავლებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება: „ვერ – მემცა კმაეყოა მას წუთადი ეს ეს წავლაი“ (ს. მრთ. 215, 3)% „რაითა ისწაოთ, ვითარმედ არა

ცუდად რას დავღუარავთ სიტყუათა ამათ, არამედ, მიხედეთ პავლეს“ (ს. მრთ. 218, 20); „რად ჰზი შენ შორის მღუდელთ-მოძღვართა და ჰკითხავ და ასწავებ, რომელსაც წიგნი არღა გისწავიეს“ (ს. მრთ. 98, 36); „უკუეთუ არა ღირს რაიმე იყო წიგნი ესე დაწუ“ (შ. კრბ. 365, 19); „აწ ვთქვუათ ძალი ფსალ-მუნისაი, რამეთუ ვიეთნიმე წარმდებებით, რომელნი ვერ მი-იწინიან ძალს ფსალმუნისასა, თქუეს, რომლთა წარმდებება-სა მათსა მე მწვალებელთა თანა დავდებ“ (შ. კრბ. 366, 24).

4. სწავლების პროცესში სასწავლო ხერხებისა და სას-წავლო მასალებისადმი მსმენელის დამოკიდებულება: „კე-თილთა მით სიტყვითა კაცად-კაცადსა ასწავებდეს“ (ს. მრთ. 207, 29); „ესოდენთა წელთა მწიგნობრობითა და მანქანობი-თა ისწავიან ენაი ბერძული სიტყუაი კაცთა და არცაღა ეს-რეი ყოველთავე კეთილად“ (ს. მრთ. 287, 30); „მითხრობითა უხუად და უშურველად სხუათაც ასწავებს“ (შ. კრბ. 279, 38); „თხრობასა გითხრობ მამისა ჩემისასა, რომელი წიგნ-თაგან ვიცი კითხვით და მამისა ჩემისაგან თხრობილსა“ (შ. კრბ. 338, 7);

როგორც ვხედავთ, ქართველთა უპირველეს საკითხვსა და სასწავლო წიგნებში – „სინურ მრავალთავსა“ და „შატ-ბერდის კრებულში“ ცნება „სწავლის“ შინაარსი სასწავ-ლო პროცესს წარმოგვიდგენს მასწავლებლისა და მოწაფის ისეთ ურთიერთობად, სადაც მხოლოდ მასწავლებლისა და მოწაფის ისეთ ურთიერთობად, სადაც მხოლოდ მასწავლე-ბელი არსებითად პასიურ მდგომარეობაშია, მას მარტოოდენ გადაცემულის მოსმენა ევალება. სწავლების ეს კონცეფცია ნათლად არის დადასტურებული შეგონებაში: „და დაადგე-რით ჩემ თანა, და მე თქუენ თანა, რამეთუ ვითარცა – იგი ნას-ხლევსა ვერ ხელ-ეწიფების ნაყოფისა მოღებად თავით თვი-სით, უკუეთუ არა ეგოს ვენახსა ზედა, ეგრეთვე არცა თქუენ, უკუეთუ არა დაადგრეთ ჩემ თანა“ (ი. 15,4,8); ამრიგად, ნათე-

ლია, რომ ამ პერიოდში სწავლება უპირატესად დოგმატიკური ხასიათისაა. ამის მიუხედავად, წარმოდგენილ მასალებში ჩანს, რომ მსმენელი ზოგჯერ ინერტული არაა ყოველივე იმისადმი, რასაც გადასცემენ. ზოგჯერ მაინც შეიმჩნევა მისი ერთგვარი კრიტიკული დამოკიდებულება როგორც სასწავლო მასალის, ისე სწავლების მეთოდებისადმი. ამ თვალსაზრისით დიდად საინტერესოა ორიგინალურ მწერლობაში დაცული ცნობებიც. კერძოდ, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობასა“ და „აბოს მარტვილობაში“ სწავლების ცნების შინაარსი გარკვეულად გაფართოებულად წარმოგვიდგება. ამ ძეგლებში სასწავლო ამოცანების გადაწყვეტისას უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლეთა აუცილებელი გააქტიურებისა და შესასწავლი მასალისადმი მისი ყურადღებიანი დამოკიდებულების პრობლემას. „მაშინ მრქუა მე სამოელ არქედიაკონმან: თხრობაი ეგე ჰურიათაი დიდი არს, ძმაო, ხოლო თუ განჰმარტნე სასმენელნი შენნი და გულისმოდგინედ ისმენდე, მეცა უწყინოდ ყოველი გითხრა და გაცნობო შენ“. ასევე იოანე საბანისძეც სთხოვს მსმენელებს „სურვილითა გულითა მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და და უფროის-ღა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქუენისანი განჰმარტენით სმენად და მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა“ (ძველი ქართ. ლიტ. ქრესტომათია, 1946, ტ. 1, გვ. 49 და 56). ამ ცნობებით ვგებულობთ, რომ გარკვეული ცოდნის შეძენა მხოლოდ მსმენელის პიროვნული მონაცემების – ყურადღების, გულისა და გონების ერთობლივი ამოქმედებით შეიძლება განხორციელდეს. მეტიც: ასეთი მოქმედებისათვის საჭიროა მასწავლებლისა და მოწაფეების ერთობლივი. მიზნობრივი მეცადინეობა, „ამისათვის, საყუარელნო, ნუ გეწყინებიან სმენად სიტყუათა ამათ, რაითა არა ცუდად დაგშურეთ: მე სიტყვითა და თქუენ სმენითა, – რაითა ერთობით მოგუცეს ჩუენ უფალმან სასყიდელი შრო-

მათა ჩუენითაი“ (იქვე, გვ. 57), სწავლების პროცესის კიდევ უფრო ღრმად გაგებას, მოწაფის სასწავლო შესაძლებლობისა და ფსიქიკური მონაცემების დახასიათების ერთგვარ ცდას ვხვდებით სერაპიონ ზარზმელისა და გიორგი მერჩულეს ძეგლებში. აქედან, პირველმა მათგანმა წინაპართა ცხოვრებისა და სწავლანის შესაცნობად მსმენელთა გულისმოდგინება და შრომის მოყუარება წამოწია წინა პლანზე, ხოლო მეორემ – გრიგოლ ხანძთელის ნიჭის, უნარისა და მისწრაფებების დახასიათებით ჩვენს სინამდვილეში მოსწავლის ფსიქოლოგიური დახასიათების პირველი იშვიათი ნიმუში მოგვცა. „გულისხმიერებაი სწავლისა განსაკვირველ იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ, ხოლო სამოძღუაროი ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაიცა ისწავლა მრავალთა ენათაი და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა, ხოლო სიბრძნეიცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთა ისწავა კეთილად, და რომელი პოვის სიტქუაი პეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის, და განითქუა სისრულეი იგი მისი სახელოვნად ყოველთა შორის“ (იქვე, გვ. 100). მოყვანილი ამონაწერიდან დავაკვირდეთ ორ ტერმინს: „გულისხმიერებაი სწავლისა“ და „განითქუა სისრულეი იგი“. ჩვენი აზრით, მოცემულ კონტექსტში, ეს ტერმინებიზედმიწევნით მიესადაგება გრიგოლ ხანძთელის მთლიან პიროვნულ სახესა და მის ფართო სასწავლო ინტერესებს.

XI-XII საუკუნეების საქართველოში მწერლობის, სამედიცინო მოძღვრებისა და, განსაკუთრებით კი, ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას ბუნებრივად მოჰყვა „სწავლის“ შინაარსის საფეხურებრივი სრულყოფა. ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ წერილობით წყაროებში მომრავლდა ცნებები „საფილოსოფოსო სწავლაი“, „სწავლებითი ხელოვნებაი“, „სწავლითი ფილოსოფოსობაი“, „სწათლითი ახსნაი“ და სხვ.

ამ პერიოდში სწავლის შეძენასა და პიროვნების მოქალაქეობრივ ღირსებას ტოლფარდ ეთიკურ ცნებებად მიიჩნევენ, ოღონდ განმარტავენ, რომ თუ პიროვნება უსწავლელია და ეს მას ზარმაცობით არ დამართნია, მაშინ იგი უფრო შესაწყნარებლია, ვიდრე ის, ვისაც არავითარი ცოდნა არა აქვს, მაგრამ მკრეხელია და საკუთარ თავზე გაზვიადებული წარმოდგენა შეუმუშავებია. „შესანდობელ არს ბრალი უსწავლელობისაი... თანა შექუსული სიმაღლე ცნობისაი საძაგელ არს და ბილწ და უღირს ყოველისა შენდობისა და მომასწავებელ უმეტესის უსწავლელობის, რაითა არა ვთქუა, ვითარმედ მწუერვალ და დასასრულ ყოველთა უსწავლელობათა (ეფ. მც. იხ,. მიმომხილველი, 1, 1926, გვ. 190).

ვფიქრობთ, დამოწმებული ცნობა საგანმანათლებლო და აღმზრელობითი თვალსაზრისით დიდად სცილდება ისტორიულ ჩარჩოს და მას თანამედროვე სკოლის მუშაკებისათვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ ასპექტით საგულისხმოა შემდეგი: აღნიშნულ პერიოდში ცნება „სწავლის“ შინაარსში სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღება ექცევა როგორც რაიმე ცოდნის შეძენის პროცესს, აგრეთვე, იმასაც, თუ როგორ შეიძლება პიროვნებამ პრაქტიკულად გამოიყენოს შესწავლილი ცოდნა.

ტარიელის დასახმარებლად თავისი ნებით წასული ავთანდილი ასე ანუგეშებს როსტევანს:

„არა ვიქმნ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“,

შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების პოზიციებზე მდგარი იგივე ავთანდილი ასე არწმუნებს გონებადაკარგულ ტარიელს:

„ნუ მიჰყოლიხარ თავისას თათბირსა, გაგონებასა,
რაცა არ გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“.

ამრიგად, შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, პიროვნების აქტიურობა მის მიერ ათვისებული სწავლის მა-

ტერიალიზაციაში აუცილებელია. ეს XI-XII საუკუნეების წერილობით წყაროებში დაცული ცნება „სწავლის“ შინაარსის ერთ-ერთ მთავარი მოთხოვნაა.

ცნების შინაარსის ასეთი გაგება დასტურდება გვიანფეოდალური ხანის ქართულ მწერლობასა და პედაგოგიურ აზროვნებაშიც. სულხან-საბა ობელიანი ცნება „გულისყურს“, როგორც მოსწავლეთა სასწავლო ქცევის მოტივაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორს, ასე განმარავს: „გულის-ყური“ – მოსწავლეთაგან სწრაფად ს მენა, სწრაფად სწავლა, მიხდომა და ქმნა“ (ხაზგასმა ჩვენია – შ.ქ.).

ოღონდ სიტყვა „სწავლის“ ამ შინაარსში, ჩვენი აზრით, არის სიახლოვეც. მოწაფეს ევალება სასწავლო პროცესგში არა მხოლოდ მოსმენა, არამედ „სწრაფად სმენა“, ე.ი. სასწავლო პროცესისადმი აქტიური ყურადღების მიდევნება, გონებრივი ძალების სწრაფი მობილიზება; ამრიგად, „სწრაფად სწავლა“ ნიშნავს გადაცემული ცოდნის მოკლე დროის ფარგლებში სწავლას, „მიხდომას და ქმნას“. ამ განმარტებაში სიტყვა „მიხდომა“ თითქოს არ არის თავის ადგილას და უფრო ლოგიკური იქნებოდა, ის ცნება „სწავლის“ წინ ყოფილიყო, ვინაიდან სასწავლო პროცესში ჩვეულებრივ რაიმეს მოსმენას რომ მოსდევდეს მოსმენილის გაგება და არა სწავლა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – ავტორს ასე უწერია. ეს იმაზე მეტყველებს,. რომ მოწაფის სასწავლო ქცევის თანმიმდევრობა მოცემულ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო მართებულად გაგებული და მეცნიერულად დამუშავებული.

მეორე მხრივ, სულხან-საბა ორბელიანის სახელმძღვანელოს „სასწავლო ყრმათას“ შესავალსა და ანდერძნამაგზე დაკვირვებით ნათელი გახდათ, რომ საბა სწავლის შინაარსის გადმოსაცემად აქ ძირითადად „სწავლას“, ზოგჯერ, გამონაკლისის სახით, სწავებას“ იყენებს.

რას ნიშნავს ეს.? პირველ ყოვლისა, იმას, რომ დიდმა ლექსიკოგრაფმა და თავისი დროის სახელგანთქმულმა პედაგოგმა სწავლების მრავალწახნაგოვანი შინაარსის აღმნიშვნელად ცნება „სწავლა“ შეარჩია. ცხოვრებამ ეს არჩევანი გაამართლა და შემდგომში ჩვენმა ნიჭიერმა პედაგოგებმა და მოაზროვნეებმა ბევრი რამ გააკეთეს ამ ცნების შინაარსის უფრო გამოწვლილვით შესასწავლად და გასაანალიზებლად.

როგორც აღვნიშნეთ, „სწავლა“ თავდაპირველად დასჯას, წამებას ნიშნავდა. ისმის კითხვა: „მას შემდეგ, რაც აღნიშნულმა ცნებამ შეიცვალა თავისი პირვანდელი სემანტიკა და ახალი შინაარსით გაბატონდა წერილობით ძეგლებში, დასჯა, როგორც ხერხი, გამოიყენებოდა თუ არა სწავლების პროცესში? ან კიდევ, როგორ არის დღეს ეს საკითხი განხილული სპეციალურ ლიტერატურაში?

არსებობს ორი მოსაზრება: ერთი მოსაზრებით, „მე-19 ს. დასაწყისამდე ჩვენ არ მოგვეპოვება რაიმე ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს საშინაო სწავლა-აღზრდის დროს ადგილი ჰქონდეს მოწაფის უხეშ ფიზიკურ დასჯას, როგორც მის გამასწორებელ ღონისძიებას; იეზიტური და რუსული „დომოსტროის“ ფიზიკური დასჯის სისტემა ჩვენმა საოჯახო აღზრდამ ძველად, მე-19 ს. დამდეგამდე არ იცოდა. ასევე როზგიც საქართველოში შემოდის მე-19 ს. დასაწყისიდან, მაგრამ არაოფიციალური, ე.ი. საშინაო და ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში მაინც არ იყო“.

მეორე მოსაზრებით, „დღეს მიუღებელია და არ შეგვიძლია გავიაზროთ სულხანისეული ე.წ. „ცდის მეთოდი“, რომელიც... 50 ჯოხის დაკვრას არ ერიდება იმ ვარაუდით, რომ ბავშვმა გაიგოს, თუ რა ცუდია უსამართლოდ დადებული სასჯელი“.

ამასთან ერთად, ხალხურ აღზრდაში დასჯის ხერხის გამოყენებაზე მსჯელობს ა. ხინთიბიძეც: „საგულისხმოა, რომ

გონებრივ აღზრდაში ხალხს საჭიროდ მიუჩნევია მოზარდის წახალისებასთან ერთად „დასჯაც“. ეს იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ სკოლასმოკლებულ ხალხს ცოდნის დაუფლებაში პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდის სხვა საშუალება არ გააჩნდა“.

ვფიქრობთ, აღძრულ საკითხთან დაკავშირებით დიდად საყურადღებოა დავით გურამიშვილის სიტყვები:
„ნუ გენაღვლების სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი, მალ გამთელდების უწამლოდ მისი წყლულების ტკივილი“.

ამ დიდაქტიკურ შეგონებაში ჩვენს ინტერესს იწვევს ორი გარემოება:

ა) პირველ ტაეპში სიტყვა „გენაღვლების“ შინაარსი აშკარად უარყოფითია. მასში ერთგვარად შეიძლება არეკლილი იყოს სწავლასთან დაკავშირებული აღნიშნული ხერხის გამოყენებისადმი მშობლებისა და მასწავლებლების უარყოფითი დამოკიდებულება.

ბ) პოეტის დიდაქტიკური პოზიცია იმგვარია, რომ იგი ამართლებს სწავლის პროცესში მოსწავლეთა დასჯას.

ამრიგად, წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინებითა და ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით შეიძლება გაბედულად ვთქვათ: ძველი საქართველოს როგორც საშინაო, ისე ოფიციალურ საეკლესიო სკოლებში იცნობდნენ დასჯას, როგორც სწავლების ერთ-ერთ ხერხს, ხოლო ცარიზმის განათლების ბიუროკრატიულმა სისტემამ საქართველოში კიდევ უფრო გაამკაცრა სწავლა-აღზრდის აღნიშნული ხერხი. სწავლა-განათლებას, ნებისმიერ დონეზე, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, ორმაგი შინაარსი აქვს – სოციოლოგიური და კულტუროლოგიური, ამ უკანასკნელის შესახებ ჩემს ახალ წიგნში, „პედაგოგიკა და კულტურა“ მოგითხრობთ, რომელიც მალე ნახავს დღის სინათლეს, მანამდე კი მინდა შეგახსენოთ, რომ კულტურა ფართო გაგებით, ცხადია,

განათლებასაც გულისხმობს, ანუ ამ შემთხვევაში განათლება კულტურის ელემენტია, რადგან კულტურა არის ადამიანისა და საზოგადოების მოქმედების ფორმათა ერთიანობა, რომელიც ვლინდება ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში და გამოხატავს ადამიანის სოციალიზაციისა და საზოგადოების ჰუმანიზაციის დონეს. საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელ ეტაპზე ხალხის, ერის მიღწევათა ერთობლიობა შეადგენს მის კულტურას.

კულტურის ცნება თანამედროვე გაგებით XVII საუკუნიდან გავრცელდა, მაგრამ ადამიანის მიერ შექმნილ სამყაროსა და პირველყოფილი ბუნების ურთიერთობის გააზრებისას მანამდეც არსებითად სწორედ კულტურაზე მსჯელობდნენ. ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს ფილოფოსოფიურ ნააზრევში ნათლად გამოიკვეთა თვალსაზრისი ადამიანის მიერ შექმნილი სამყაროსა და ბუნების დაპირისპირების შესახებ. ძველი დროის მოაზროვნეები ამ დაპირისპირების საფუძვლად მიიჩნევდნენ განათლებას, როგორც ბუნებაზე ზემოქმედების იარაღს. „განათლება წარსული თაობების სოციალური გამოცდილების ტრანსფორმინრებული გადაცემაა მომდევნო თაობებზე და ამით იქმნება ახალი სინამდვილე – კულტურა, რომელიც ეწინააღმდეგება პირველყოფილ სინამდვილეს – ბუნებას. ასეთი დაპირისპირება ძველი მსოფლიოს მოაზროვნეებს გადაულახავ, ანტაგონისტურ წინააღმდეგობად როდი ჰქონდათ წარმოდგენილი. პირიქით, განათლების სწორად ორგანიზების პირობებში, მათი აზრით, მიღწეულ „უნდა იქნას საზოგადოებისა და ბუნების ჰარმონია“.

ფართოდ გაგებული კულტურის თვალსაზრისით აშკარაა განათლების სოციოლოგიურ-კულტუროლოგიური შინაარსი. როგორც ანტიკური ეპოქის დიდი მოაზროვნე დემოკრიტე ამბობდა, „არც ხელოვნება და არც სიბრძნე სწავლის გარეშე არ მიიღწევა“.

ამის გარდა, კულტურას აქვს ვიწრო გაგებაც, რომლის მიხედვითაც იგი ადამიანის სულიერი მოღვაწეობის ელემენტებსაც მოიცავს. ამ აზრით კულტურა გულისხმობს სამყაროსადმი ადამიანის შემეცნებით, ემოციურ და პრაქტიკულ-ღირებულებით დამოკიდებულებას. შემეცნებითი მოღვაწეობის ფორმები გამოხატავენ ადამიანთა სოციალურ-კულტურულ ორიენტაციებს.

განათლების სოციოლოგიურ-კულტუროლოგიურ შინაარსზე მსჯელობისას ჩვენ მხედველობაში გვექნება კულტურის ვიწრო გაგება, რათა სოციოლოგიურ-კულტუროლოგიური შინაარსი დიფერენცირებულად წარმოვიდგინოთ, რადგან განათლების განვითარების პრობლემის გადაწყვეტა სწორედ ამ ორი ასპექტის მეტ-ნაკლებად ინტენსივობით გათვალისწინებას მოითხოვს.

ჯერ შევეხებით განათლების სოციოლოგიურ შინაარსს.

როგორც ცნობილია, ადამიანს გაბატონებული მდგომარეობა უკავია მატერიალურ სამყაროში. ამიტომ მას ბუნების გვირგვინსაც უწოდებენ. გაბატონებული მდგომარეობა უკავია მას არა თავისი სხეულებრივ-ფიზიკური სრულყოფილებით ან თანდაბყოლილი შემგუებლობის უნარით... პირიქით, ახალშობილი ან სოციალური გამოცდილებას მოკლებული ადამიანი ყველაზე სუსტი და უმწეო არსებაა ბუნებაში. მისი სიძიერე განპირობებულია მხოლოდ ერთი რამით, რაც მთელი დანარჩენი ბუნებისაგან განასხვავებას მას: ეს არის შემეცნების უნარი, შემეცნება არის ადამიანთა მოღვაწეობის საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესი, რაც მათი ცოდნის ფორმირებას ახდენს და რის საფუძველზეც წარმოიშობა ადამიანის მოქმედებათა მიზნები და მოტივები.

შემეცნების უნარმა ადამიანს საშუალება მისცა შეექმნა შეხედულებათა სისტემა გარემომცველ სამყაროზე, რამაც მას გაუადვილა ორიენტირება ბუნებაზე, შრომითი ზემოქმე-

დების პროცესში. გარესამყაროს შემეცნებას ადამიანი ახდენს გრძნობის ინსტრუმენტებით, აბსტრაქტული აზროვნება კი ქმნის წარმოდგენებს საგნებზე, მათ თვისებებსა და გამოვლინებებზე. აზროვნების ლოგიკური მოქმედება ხორციელდება ისეთი ფორმით, როგორიც არის მსჯელობა, ცნება, დასკვნა, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი და ასე შემდეგ.

ამ გზით ადამიანი მოიპოვებს ცოდნას, რომელსაც მისთვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ბუნების შესახებ ადამიანის ცოდნის მოცულობა ყველგან და ყოველთვის ასაკის მატების პროპორციული უნდა იყოს: უფრო ხნიერმა ყოველთვის მეტი უნდა იცოდეს უფრო ახალგაზრდასთან შედარებით. სხვაგვარად თუ ვიტყვით. ყოველმა თაობამ შემეცნების ის გზა უნდა გაიაროს, რომელიც მის წინაპრებს გაუვლიათ,. ასე რომ იყოს, ცხადია, კაცობრიობა განვითარების ერთსა და იმავე დონეზე დარჩებოდა.

„საბედნიეროდ ასე არ არის. საზგადოებას აქვს შემეცნების შედეგად ერთხელ მოპოვებული ცოდნის შენახვისა და გადაცემის მექანიზმი. ეს მექანიზი განათლებაა, თაობები თავიანთი შემეცნებითი მოღვაწეობით მოპოვებულ და წინაპართა მიერ გადმოცემულ ცოდნას მემკვიდრეობით, განათლების საშუალებით გადასცემენ მომდევნო თაობებს.

ამრიგად, განათება მთელი წინა თაობების შემეცნებითი მოღვაწეობის შედეგების ათვისებაა. ყოველ მომდევნო თაობას აღარ სჭირდება ხელახლა გაიაროს წინაპართა მიერ განვლილი გზა და ამ საქმისგან გამოთავისუფლებულ დროს გარესამყაროს ჯერ კიდევ უცნობი საგნებისა და მოვლენების ათვისებაზე ხარჯავს. ამის გარდა, რაც უფრო მეტი ცოდნის მატარებელია ადამიანი, მით უფრო სწრაფად და ღრმად შეიმეცნებს უცნობ მოვლენებს, რადგან უკვე დაფიქსირებული ცოდნა საშუალებას აძლევს მას ადვილად შეამჩნიოს კავში-

რები და მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებანი ბუნების საგნებსა და მოვლენებს შორის. აქედან დავასკვნათ, რომ განათლება შემეცნების ინტენსიფიკაციის საშუალებაა.

კაცობრიობის სოციალური პროგრესი ცოდნის მოპოვების დამ ამ ცოდნის მატერიალიზების ინტენსივობაზეა დამოკიდებული. ამ ამოცანის გადაწყვეტის ღონისძიებათა ერთობლიობა შეადგენს განათლების შინაარსს. განათლების სოციოლოგიური შინაარსი ისტორიული ასპექტით ყველაზე თვალსაჩინოდ გამოიხატა ფრანგული განმანათლებლობის ფილოსოფიაში, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში მთელ ევროპაში გავრცელდა.

ტექნიკურ-ეკონომიკურად ჩამორჩენილ, მაგრამ პროგრესის სურვილით ამოძრავებულ ერებში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ იკვეთება განათლების სოციოლოგიური შინაარსი: ასე იყო XIX საუკუნის მიწურულს საქართველოშიც. ილია ჭავჭავაძე დაუნდობლად აკრიტიკებდა იმდროინდელ საქართველოში არსებულ ტრადიციულ შეხედულებებს განათლებაზე, რომლის მიხედვითაც განათლებას, თითქოს, საზოგადოებრივი შინაარსი გამოცდილი ჰქონდა. „დღეს ჩვენშიც კი, ბევრი არ არის იმისთანა კაცი, – წერდა ილია, – რომ არ იცოდეს რა კარგი რამ არის ადამიანისთვის ცოდნა, სწავლა და განათლება. კარგი რამ არის, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, მეტად ფეხმოკლედ გვესმის ის სიკარგე ცოდნისა და განათლებისა. ჩვენ იგი მოგვწონს, როგორც იმისთანა მორთულობა, იმისთანა სამკაული, ურომლისოდაც არ შივა კაცსა და არ სცივა. ამის გამო, ცოდნის არქონას ისე ვუყურებთ, როგორც არ-ქონას მორთულობისას, სამკაულისას... რომელიც თუ არის, ხომ კარგი, თუ არა და, არ ჰღირს იმისათვის კაცმა თავი შეიწუხოს, თავი იტკინოს“.

ილია ჭავჭავაძემ აქვე ჩამოაყალიბა განათლების სოციალური ამოცანა, რომელიც მათემატიკური ფორმულასავით

ნათელი და გამჭვირვალეა: „ცოდნას, სწავლა-განათლებას მოკლებული კაცი დღევანდელ დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადელებსაც, ღონესაც და შეძლებასაც. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოდ და უძლეველად. ცხოვრების მოედნიდან ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გააქვს, მარტო მცოდნეს აქვს საკმაო და საპატიო კერძო წუთისოფლის სუფრაზედ, და თუ უცოდინართათვის რჩება რაიმე, ნარჩენი მარტო მცოდნეს ნასუფრალია, მცოდნე კაცის სუფრის ნაბღერტია. დღეს მარტო მცოდნე და ნასწავლია ბატონი, და უსწავლელი, უცოდინარი კი მისი ყურმოჭრილი ყმაა, რომელიც ძალაუნებურად იძულებულია იმას დასჯერდეს, რაც მცოდნესა და ნასწავლს მორჩება, როგორც მისთვის უღირსსა და გამოუსადეგარს“.

ასეთივე პოზიციაზე იდგა დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილიც. „იქ, სადაც უმრავლებიათ შკოლები, – წერდა იგი, – ქვეყანა დოვლათით ავსებულა.

განათლების შინაარსში, – როგორც აღვნიშნეთ, – აისახება კულტურა ვიწრო გაგებით. სულიერ ფასეულობათა დაუფლება, აზროვნების კულტურასთან ზიარება, ესთეტიკური ღირებულების მოხმარების მოთხოვნილება და, საერთოდ, ინტელექტუალური მოქმედიანობა ადამიანის ერთ-ერთი არსებითი ნიშან-თვისებაა. განათლებულობა, ტრადიციულად, სწორედ ამ მოვლენებთან ადამიანის მიმართების ხარისხით განიზომება. მეტწილად საზოგადოებრივ ცნობიერებაში განათლებულად უფრო ის კაცი ჩაითვლება, რომელიც ზოგადად ერკვევა ხელოვნებასა და ლიტერატურაში, ისტორიასა და პოლიტიკაში, ვიდრე მაღალპროფესიული თვისებებით შემკული ექიმი თუ ინჟინერი, რომელიც რაიმე ცოდნას ვერ ამჟღავნებენ მასობრივი მოხმარების კულტურის სფეროში. ამ თვალსაზრისით, განათლებულობა, თითქოს კონკრეტულ

ქმედითუნარიანობას მოკლებული მოვლენაა, რომელიც თავისთავად, ობიექტურ მოთხოვნილებათა გარეშე არსებობს. ეს თვალსაზრისი, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. იგი სწორედ კულტურის ვულგარულ გაგებას წაუკავშირდება სოციალურ ამოცანებს, მის შინაარსში გაკრისტალებული არ არის საზოგადოების ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესის მოთხოვნილებანი, მაგრამ იგი პიროვნების სოციალური და ფსიქიკური სტრუქტურის ნაწილია და დიდად განსაზღვრავს მის საერთო მიმართულებას".

აქედან გამომდინარე ნათელია, რომ კულტურულ ფასეულობებს დაუფლებულ პიროვნებაში დომინირებს ჰუმანისტური ტენდენციები და მისი დამოკიდებულება გარესამყაროსთან უფრო ჰუმანიზირებულია, ვიდრე იმისი, ვინც ამგვარ ფასეულობებთან გაუცხოებულია. ამიტომ, განათლების კულტუროლოგიური შინაარსი მთლიანი პიროვნების სისრულის გარანტიას იძლევა.

განათლების სოციოლოგიურ-კულტუროლოგიური შინაარსის ისტორიული ასპექტის სრულად წარმოჩენის მიზნით კვლავ უნდა დავუბრუნდე კითხვას – განათლების განვითარება და მისი მიღების შესაძლებლობათა გაფართოება ეკონომიკური განვითარების მიზანია თუ შედეგი?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს კითხვა გასული საუკუნის 50-იანი წლების დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში წამოიჭრა და მას ობიექტური საფუძვლები ჰქონდა, კერძოდ, როგორც ცნობილია, 50-იან წლებში დიდი ინტენსივობით განვითარდა დეკოლონიზაციის პროცესი, ბევრმა ქვეყანამ მიიღო დამოუკიდებლობა და შეუდგა საზოგადოებრივი ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად ორგანიზებას. ამ ეგრეთწოდებულ განვითარებული ქვეყნების ბედის ანაბრად მიტოვება ცივილიზებულ სამყაროს არ შეეძლო, საჭირო გახდა მათთვის დახმარების გაწევა. ასეთი

დახმარების ეფექტიანობა კი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენად ეფექტიანად დააბანდებდნენ კაპიტალს. ცხოვრების რომელ სფეროში იყო მიზანშეწონილი კაპიტალის ეფექტიანი დაბანდება? რა თქმა უნდა, ასეთი კითხვის დასმა ბუნებრივია.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, წინა საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა „ადამიანური კაპიტალის" თეორია. ამ თეორიის წარმოშობას საფუძვლად დაედო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის ფანტასტიკური გარდაქმნის შედეგები. ამ თეორიამ გასცა პასუხი კითხვაზე: რით უნდა აიხსნას ამ ქვეყნის ომის შემდგომი ეკონომიკური განვითარება? პასუხი მნიშვნელოვანი იყო: მხოლოდ სამუშაო ძალის ხარისხით. ამრიგად, ადამიანურმა კაპიტალმა თავისი ადგილი დაიკავა კაპიტალის სხვა სახეებს შორის და საზოგადოების ცნობიერებაში ჩამოყალიბდა ბუნებრივი დასკვნა: რაც უფრო მეტ კაპიტალს დააბანდებს ქვეყანა განათლების დარგში, მით უფრო ადვილად მიაღწევს წარმატებებს ეკონომიკურ განვითარებაში.

ახლა უფრო ფართოდ შევჩერდებით განათლების, როგორც ცოდნის დაუფლების მოვლენის კულტუროლოგიურ შინაარსზე, რათა ნათელი გახდეს განათლების, როგორც კულტურის ფენომენის, არსი.

ცოდნასთან ამოკიდებულების თვალსაზრისით ადამიანი არა მარტო ღმერთისგან განსხვავდება, არამედ ცხოველისგანაც. თუ ღმერთმა ყველაფერი იცის, და ამდენად არავითარი შემეცნებითი ინტერესები არ გააჩნია. ცხოველმა არც არაფერი იცის და არც არაფრის ცოდნატ უნდა. ამ აზრით, იგი არ არის შემმეცნებელი არსება, იგი არის მომხმარებელი იმ გარემოსი, რომელშიც იგი ცხოვრობს. ამის შესაბამისად, მისი აქტივობის წყაროც არის ის ბიოლოგიური მოთხოვნი-

ლებები, რომლებიც მას უჩნდება დროის სულ სხვადასხვა მონაკვეთში, მოშივდება და ჭამს, მოსწყურდება და წყალს დალევს და ა.შ.

ცხოველისგან განსხვავებით, ადამიანის აქტივობას მარტო ბიოლოგიური მოთხოვნილებები კი არ იწვევს, არამედ მაღალი, სულიერი მოთხოვილებები, რომელთაგან ერთ-ერთი უპირველესი შემეცნებითი ინტერესებია. „რა არის ეს?" „რატომ არის ეს ასეთი და არა სხვაგვარი?" – ამ კითხვებით იწყება აზროვნება და შემეცნებითი პროცესი. ასეთი კითხვები ყველა ადამიანის წინაშე დგება, რადგან ამ კითხვების უპირველესი მიზანია ადამიანმა ახსნას მისი გარემომცველი სამყარო, დაადგინოს მასში მოქმედი კანონზომიერებანი, ამოიცნოს დღემდე ამოუცნობი იდუმალი მოვლენები და ბუნების საიდუმლოებანი, დაადგინოს სამყაროში მოქმედი უნივერსალური და კამერალური კავშირები. ამასთან, იგი ცდილობს გაიგოს საკუთარი თავი, გაერკვეს იმ სპეციფიკურ გარემოში, რომელსაც კულტურა ჰქვია, გამოიმუშაოს სწორი ღირებულებითი ორიენტაცია, სწორი მსოფლმხედველობრივი პოზიცია და ა.შ.

ადამიანის შემეცნებითი შესაძლებლობანი განსაზღვრულია, ზღვარდადებულია, სასრულია, იგი ვერასოდეს მიაღწევს ისეთ მდგოარეობას, რომ იცოდეს ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების ყველა საიდუმლო. ამიტომ ადამიანისა თუ მთელი საზოგადოების კულტურული დონე იმით განისაზღვრება, თუ რა რაოდენობის და მოცულობის საიდუმლოს ამოხსნას შეძლებს იგი, რამდენად არის დაცილებული იგი ცხოველთა სამყაროს.

კულტურას ის თავისებურებაც აქვს, რომ რამდენადაც დიდი ცოდნა აქვს ადამიანს, იმდენად მეტი ამოუხსნელი საიდუმლო თვალსაჩინოვდება მის წინაშე, იმდენად მეტია მისი ლტოლვა განათლებისაკენ. „იმის შეგნება რომ არაფერი არ

ვიცით, არის არცოდნიდან ცოდნამდე ამაღლების საშუალება“, – წერს აკადემიკოსი სავლე წერეთელი.

ადამიანის ლტოლვა ცოდნისაკენ, შემეცნებისაკე მხოლოდ მის თვითმოქმედებაზე როდია დაფუძნებული. კაცობრიობამ ობიექტური აუცილებლობის გამო შექმნა ცოდნის ორგანიზებულად გადაცემის მექანიზმი, რომელიც შემდგომში სკოლისა და განათლების სისტემის სახით ჩამოყალიბდა.

განათლების სისტემის მიზანია აღსაზრდელის მომზადება იმ კულტურულ გარემოში არსებობისათვის, რომელსაც გარემომცველი საზოგადოება გულისხმობს. ამიტომ, განათლების სისტემის მიზანი მხოლოდ ცოდნის გადაცემა კი არ არის, არამედ პიროვნების ფორმირება იმ კულტურული ღირებულებების საფუძველზე, რომელიც ზნეობრიობაში პოულობს კონკრეტულ გამოვლენას.

ზნეობრივი აღზრდა აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა, ზნეობრივი აღზრდა სწორად რომ განხორციელდეს, პირველ ყოვლისა, იმის ცოდნაა აუცილებელი თუ რა არის საჭირო, რამდენადაც ზნეობის დამდგენი მეცნიერება ეთიკაა, ეთიკას კი უმჭიდროესი კავშირი აქვს კულტურის ფენომენთან (კულტურის ზოგადი გაგებით) ეს იმაზე მიუთითებს, რომ ზნეობრივი აღზრდა აშკარად გამოხატული კულტუროლოგიური შინაარსის არის.

ზნეობა საზოგადოებრივი კატეგორიაა, რადგან იგი განათლების შედეგად მოიაზრება, რადგან განათლება არ შეიძლება წარმოვიდგინოთ საზოგადოების გარეშე, ასევე, ცხადია, ვერც ზნეობას მოვიაზრებთ საზოგადოების მიღმა.

საერთოდ, აქ ზედმეტი არ იქნება ზნეობის განმარტება გავიხსენოთ: „ზნეობა არის ადამიანის უნარი ისეთი მოქმედებისა, რომელიც მიმართულია სიკეთის ქმინის დაცვისა და დამკვიდრებისაკენ“, აქედან გამომდინარე, „პიროვნების ზნეობა სხვა პიროვნებისა, და საზოგადოების ინტერესების

გათვალისწინების უნარით გამოიხატება“.

სხვათა შორის, ცხოველთა სამყაროშიც შეინიშნება ურთიერთდახმარებისა და ანგარიშგაწევის მაგალითები, მაგრამ ცხოველები ერთმანეთს ეხმარებიან იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ორივესათვის ურთიერთსასარგებლოა და მომგებიანი. მას არაფერი აქვს საერთო ურთიერთობის კულტურასთან, რომელიც განათლების პროცესში შეიძინება.

როგორც ითქვა, ზნეობრივი ქცევა, როცა ის სიკეთის ქმნისკენაა მიმართული, ხოლო უზნეოა ქცევა, რომელიც ბოროტებას ისახავს მიზნად მაგრამ არ არის სიკეთე და რა არის ბოროტება? საიდან აქვს ადამიანს იმის ცოდნა, თუ რა არის სიკეთე და ბოროტება, ვინ არის კეთილი ან ბოროტი?

დიდი ანტიკური მოაზროვნის პლატონის აზრით, სინამდვილე იყოფა ორ დიდ ნაწილად: თვალხილულ სინამდვილედ და იდეათა სამყაროდ. თვალხილული სინამდვილე არის ჩვენ გარემომცველი სამყარო, რომელიც დროსა და სივრცეში არსებობს. ამ სამბყაროში არსებობენ ცალკეული საგნები და არა ზოგადი არსება, არსთა სამყარო კი იდეათა სამყაროა.

სწორედ იდეათა სამყაროში არსებობენ სხვადასხვა იდეები. მათ შორის სიკეთისა და ბოროტების იდეაც, მაგრამ საიდან ვიცით, როგორია სიკეთის იდეა? ბოროტების იდეა?

საქმე ის არის, რომ პლატონის აზრით, ყოველი ადამიანი არის სულისა და ხორცის ერთიანობა. სანამ ესა თუ ის სული ადამიანში ჩასახლდებოდა, იგი არსებობდა იდეათა სამყაროში. და როცა ესა თუ ის იდეა ადამიანში ჩასახლდა, მაშინ გაწყვიტა კავშირი დანარჩენ იდეებთან, დროებით დაივიწყა მისი არსებობა, მაგრამ როგორც კი ადამიანს შემეცნებითი ინტერესები გამოუჩნდება, იგი ახერხებს ამ იჟეების გახსენებას, რომელთაც მისი სული იცნობდა იდეათა სამყაროში ცხოვრების დროს. ასე შემოდის ჩვენში სიკეთის ცოდნა, მაგრამ რამდენადაც ეს ცოდნა ადამიანს იმთავითვე ჰქონია, გა-

მოდის, რომ შემეცნება ახალი ცოდნის შეძენა კი არ ყოფილა, არამედ ძველის გახსენება...

პლატონის ეს აზრი გააკრიტიკა არისტოტელემ. არისტოტელეს აზრით, არავითარი იდეათა სამყარო არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ხილული სამყარო... ამრიგად, არისტოტელეს მიხედვით, სიკეთე თავისთავად კი არ არსებობს, არამედ არსებობს კეთილი ადამიანების სახით.

ჩვენი აზრით, ამ ორი გიგანტი მოაზროვნის ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებიდან რაიმე საშუალო დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. სწორი პოზიცია, ჩვენი შეხედულებით, ის არის, რომ სიკეთისა და ბოროტების, ზნეობრივისა და უზნეოს შესახებ ცნობები რელიგიური მორალის ნორმებშია ჩამოყალიბებული ანუ სიკეთისა და ბოროტების იდეები ქრისტიანულ მცნებებშია გაკრისტალებული. ამასთან, ეს იდეები ადამიანს თანდაყოლილი კი არა აქვს, არამედ ცოდნით, განათლების გზით იძენს. ამასთან, უფალი ყველა ადამიანს თავისუფალი არჩევანის უფლებას აძლევს და მას თვითონ შეუძლია აირჩიოს საკუთარი გზა. თუმცა ამ გზის არჩევანზე დიდ ზეგავლენას ახდენს მისი გარემომცველი კულტურული გარემო განათლების საშუალებით.

ამრიგად, განათლებით უნდა მივიდეს პიროვნება ავისა და კარგის გარჩევამდე, საერთო ჯამში კი კულტცურამდე, თუ კულტურაა, რომ კულტურას საფუძვლად უძევს ის დადებითი ღირებულებანი, რაც ქრისტიანულ მცნებებშია მოცემული იმპერატივების სახით: „არა კაც ჰკლა“, „არა იპარო“, „პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა“, „გიყვარდეს მოყვასი შენი“ და ა.შ. ამის საწინააღმდეგო მოქმედება უზნეობა, უკულტურობა და სიბნელეა. განათვლება, როგორც სოციალურ-კულტურული მოვლენა, სწორედ იმიტომ აღინიშნება ტერმინით „განათლება“, რომ მან ღვთიური მცნე-

ბებით უნდა განანათლოს ადამიანის გონება და სულიერი სამყარო.

ქ. ჭიათურის ჰუმანიტარული მეცნიერებათა აკადემიაში ჩემს მოადგილედ ცნობილი პიროვნება კარლო გურული მსახურობდა, რომელსაც პეტერბურგის უნივერსიტეტის სწორედ ის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, რომელიც თავის დროზე დიდმა ილიამ და აკაკიმ დაამთავრეს „... და იცით მათ რატომ იცოდნენ ჩემზე ბევრად მეტი? იმიტომ, რომ მე არ მასწავლეს რელიგიის ისტორია, რელიგიის კულტურა“ – სინანულით იტყოდა ხოლმე ბატონი კარლო.

განათლება, როგორც კულტურული მოვლენა ერთობ რელიეფურად აირეკლება ესთეტიკური აღზრდი შინაარსსა და ფუნქციებში, ესთეტიკური აღზრდა, როგორც ცნობილია, აყალიბებს პიროვნების კულტურულ (ესთეტიკურ) დამოკიდებულებას სინამდვილისადმი.

სინამდვილესთან ესთეტიკური დამოკიდებულება რომ გავარკვიოთ, ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ სინამდვილესთან დამოკიდებულების ისეთი სახეები, როგორიც არის უტილიტარულ-პრაქტიკული, შემეცნებითი და ესთეტიკური.

სინამდვილესთან უტილიტარულ-პრაქტიკული ანუ პრაგმატული დამოკიდებულება გულისხმობს ადამიანის ყოველდღიურ კონტაქტს გარე სამყაროსთან. ამ კონტაქტის თავისებურება ისაა, რომ გარე სინამდვილესთან ადამიანს აქვს მხოლოდ მომხმარებლური დამოკიდებულება. ეს დამოკიდებულება მისი ბიოლოგიური და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებისაგან მოდის. ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ადამიანი იყენებს „ჰაერს, წყალს, მიწას, მცენარეულობას, ცხოველებს, თავისი საჭიროებისამებრ ამუშავებს მიწას, კაფავს ტყეს, ნადირობს... ამ დროს ადამიანი იმაზე კი არ ფიქრობს, თუ რა საბრალოა ირემი, რა მშვენიერია ტყე, არამედ იმაზე, თუ როგორ გამოიყენოს იგი.

სინამდვილესთან დამოკიდებულების მეორე სახეა შემეცნებითი დამოკიდებულება გულისხმობს მისი გარემომცველი სამყაროს საგნებისა და მოვლენების შესახებ ობიექტურ ცოდნას. შემეცნებითი ინტერესი ჯერ კიდევ ჩვილ ბავშვებში შეიმჩნევა, ამიტომ სვამენ ისინი უამრავ შეკითხვებს.

სინამდვილესთან შემეცნებითი დამოკიდებულების დროს მთავარია თვთონ საგნების შესახებ ობიექტური ცოდნის მოპოვება. აქ გამორიცხულია შემმეცნებელი სუბიექტის ობიექტური დამოკიდებულება შესამეცნებელი ობიექტისადმი. ეს იმას ნიშნავს, რომ ბოტანიკოსისათვის სულერთია სურნელოვან ვარდს სწავლობს თუ უსუნო არ არასასიამოვნო სუნის ყვავილს.

ამრიგად, ყოველი შემმეცნებელი სუბიექტი ცდილობს თავისი ემოციური (სუბიექტური) დამოკიდებულება ამორთოს საქმიდან, რათა ობიექტური ვითარების (ჭეშმარიტების) დადგენაში ხელი არ შეეშალოს, ჭეშმარიტი და ყალბი ერთმანეთში არ აერიოს.

სინამდვილესთან ადამიანის დამოკიდებულების მესამე სახეა ესთეტიკური დამოკიდებულება, რომელიც სწორედ კულტურის თვალსაზრისით არის საინტერესო.

სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიებულების შემთხვევაში წინა პლანზე იწევს საგნებისა და მოვლენებისადმი სუბიექტური დამოკიდებულება. აქ მთავარია მოსწონს თუ არ მოსწონს, ესიმპათიურება თუ არ ესიმპათიურება სუბიექტს ესა თუ ის საგანი.

ავიღოთ ასეთი მაგალითი: წყალი ყოველგვარი ჭურჭლით შეიძლება დალიოს კაცმა, მაგრამ იგი ცდილობს წყლის წყურვილის მოთხოვნილება ლამაზი ჭურჭლით დაიკმაყოფილოს, ჭიქა შეიძლება იყოს მინის, ბროლის, ხის, თიხის, რკინის. ადამიანი ირჩევს მინას ან ბროლს – გამჭვირვალე საგანს, სადაც წყალს კარგად დაინახავს, თანაც ჭიქას ლა-

მაზ ფორმას ურჩევს. ასევე ითქმის ტანსაცმელზე, საცხოვრებელ ბინაზე... რატომ ირჯება იგი ასე და არა სხვაგვარად?

იმიტომ, რომ ადამიანი ცხოვრობს და ქმნის სილამაზეს სწორედ სილამაზის მიხედვით, იმიტომ, რომ მას სურს მისი გარემომცველი სამყარო იყოს ლამაზი, მშვენიერი, მიმზიდველი...

ცხადია, სილამაზესთან ყველას ერთნაირ დამოკიდებულება არა აქვს. სილამაზისადმი, ესთეტიკურისადმი დამოკიდებულებას განათლება აყალიბებს. მხოლოდ განათლება არის ის მექანიზმი, რომელიც კულტურულ ღირებულებათა (ბუნებრივი იქნება თუ ხელოვნური) შეცნობა-გააზრების გზით მიიყვანს სუბიექტს ესთეტიკური გრძნობების გამომუშავებამდე. ამ აზრით, ესთეტიკური აღზრდა ესთეტიკური განათლების გარეშე წარმოუდგენელია.

სწორედ განათლებაზეა დამოკიდებული ის, თუ რა მიმართებას ამყარებს იგი კულტურულ ფასეულობებთან. აქედან გამომდინარე, სილამაზესთან ყველა ადამიანს ერთნაირი დამოკიდებულება ვერ ექნება, რამდენადაც მაღალია სულიერება ადამიანში, იმდენად მძაფრი და შინაარსიანია მისი დამოკიდებულება ესთეტიკურ საწყისებთან, რადგან კულტურის მოთხოვნილება სულიერი მოთხოვნილებაა, რომელიც ზოგჯერ სხვა მოთხოვნილების ბლოკირებას იწვევს.

ამგვარი დამოკიდებულების მაგალითია დიდ გერმანელ პოეტთან დაკავშირებული შემთხვევა.

ჰაინრიხ ჰაინე სულმობრძავი წამოდგა ლოგინიდან, გაჭირვებით ჩაიცვა ტანზე და ლუვრის გზას დაადგა. უჭირდა მომაკვდავს ლუვრამდე მისვლა, მაგრამ მაინც მივიდა და პირდაპირ ვენერა მილოსელის ქანდაკებისაკენ აიღო გეზი. დიდხანს იდგა ამ ქანდაკების წინ. დიდხანს ღვრიდა ცრემლებს და ასე ეთხოვებოდა ამ გენიალურ ნაშრომს – მსოფლიო კულტურის შედევრს.

განა ჰაინეს სხვა ახლობელი არავინ ჰყავდა გამოსათხოვარი, რომ ამ უსულო საგნისთვის ამდენი დრო არ დაეთმო? მაგრამ საქმე ის არის, რომ ვენერა მილოსელი სულაც არ იყო მისთვის უსიცოცხლო მარმარილოს ქანდაკება, ეს მისთვის ყველა ცოცხალზე უფრო ცოცხალია, ყველა ღირებულებაზე უფრო დიდად ღირებული რამ გახლდათ...

ეთხოვებოდა რა ვენერა მილოსელს, ამით იგი ეთხოვებოდა მშვენიერებას, სილამაზეს, ამაღლებულს, ეთხოვებოდა კულტურას. მის ამ გრძნობებს რაიმე ინსტიქტური მოთხოვნილება კი არ ედო საფუძვლად, არამედ დიდი განათლება, კულტურის სულიერ ღირებულებათა ღრმა ცოდნა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სინამდვილის აღქმა, სინამდვილისადმი დამოკიდებულება – უტილიტარული და ესთეტიკურია. ამას ეფუძნება სწორედ ინამდვილის მეცნიერული და მხატვრული ასახვის თავისებურებანი. მართალია ხელოვნება ახალ მხატვრულ სინამდვილეს ქმნის, მაგრამ მას საფუძვლად ედება რეალური სინამდვილე, თუმცა მეცნიერული და მხატვრული შემოქმედება პრინციპულად განსხვავებული პროცესებია და განვითარების სხვადასხვა კანონზომიერებანი უძევთ საფუძვლად.

მხატვრული სინამდვილე კულტურის ნაწილია – არსებითი ნაწილი, რადგან რეალური სინამდვილისაგან განსხვავებით იგი ერთჯერადი ფაქტი კი არ არის, არამედ ზოგადი შინაარსისაა, რასაც მხატვრული განზოგადება ეწოდება და რასაც აღმზრდელობითი და შემეცნებითი ფუნქცია აკისრია.

მართალია, ხელოვნება ისევე ხატავს ერთეულ, ინდივიდუალურ საგნებსა და მოვლენებს, ერთეულ ადამიანებს, როგორც ეს სინამდვილეშია, მაგრამ ამ გარეგნულმა მსგავსებამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველი ინდივიდუალური პერსონაჟი საზოგადოებს

გარკვეული ფენის წარმომადგენელია. ამ აზრით, იგი ზოგადი ტიპია და არა ერთეული, ინდივიდუალური.

მაგალითისათვის საკმარისია ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძე. იგი შუა კახეთში, პატარა სოფელში მცხოვრები თავადი გახლავთ, რომლის გარეგნობასაც ასე აღწერს ავტორი: „თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველიბ მრგვალი – უკაცრავად არ იყო ამ სიტყვაზედ – როგორც კარგი ნასუქი კურატი. დარბაისელის კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალებას: თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქოს მის სიმძიმეს მორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიათო. წითელი, თურაშაული ვაშწლივით ხაშხაშა ლოყები; სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმგზნები ფაფუკი ღაბაბი. დიდრონი თვალები ყოველთვის დასისხლიანებულნი, თითქოს ყელში თოკი წაუჭერიათო! გაბერილი, მეტად გონიერად გადმოგდებული, დიდად პატივსაცემი ღიპი კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები, დამორილი მსხვილი ფეხები“.

მას „სწავლისა არა ჰქონდა რა“ და ამის გამო სრულიადაც არ ნაღვლობდა. პირიქით, ზოგჯერ ტრაბახობდა კიდეც: „მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარა ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი, წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა...“

აქ ერთი კომენტარი აუცილებლად მიგვაჩნია. განათლების უქონლობას ლუარსაბი ცხოველის დონემდე მიუყვანია. მისი საზრუნავი მხოლოდ ჭამა-სმაა და მემკვიდრის გაჩენა. სხვა არც საზრუნავი აქვს და არც ინტერესი, სწორედ ეს არის მისი არარაობის მიზეზი...

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მხატვრული ტიპი მხოლოდ გარეგნულად ჰგავს რეალურ სინამდვილეში არსებულ ერთეულს, ინდივიდუალურ ადამიანს. სინამდვილეში ხელოვანის მიერ დახატულ ერთეულ ადამიანებში ზოგადი

ტიპი ჩანს და ამით იგი ენათესავება მეცნიერულ ცოდნას ზოგადობის შესახებ, რაც ცნებებით არის გამოხატული.

ენა ნებისმიერი კულტურის პირველსაწყისი და საფუძველია, კულტურული ნორმები და ღირებულებანი გენეტიკური მემკვიდრეობით როდი გადაიცემა, ამიტომ კულტურა თავისი არსებობით სოციალურ ბუნებას ავლენს. ყოველ მომენტში გამოხატავს საზოგადოების მიმართულებას ადამიანური მოქმედიანობის შედეგებს გამოვლენისა და გავრცელებისაკენ. კულტურა, როგორც მოვლენა გადაჯაჭვულია შემეცნებასთან, მის ელემენტებთან. მაგრამ კულტურა არა საერთოდ შემეცნება, არა მისი ცალკეული ელემენტებია, არამედ სინამდვილის ღირებულებითი ათვისების საშუალება და მეთოდია.

კულტურა ხედვაა სიკეთისა და ბოროტების პრიზმაში. სასარგებლოსა და უსარგებლოს, სილამაზისა და სიმახინჯის პრიზმაში.

ადამიანები აღიქვამენ სამყაროს, გაიზიარებენ, აფიქსირებენ მის ელემენტებს თავისებურად, განსაკუთრებულად. მაგალითად, საქართველოში ბუნების ბევრი მოვლენა განსაკუთებული, ქართველებისათვის დამახასიათებელი ცნობებით აღიქმება თვით თვეების დასახელება სინამდვილის მოვლენების თავისებურ მხოლოდ ქართველებისათვის დამახასიათებელი აღქმის გამოვლინებაა– მკათათვე, თიბათვე, ღვინობისთვე, გიორგობისთვე... სხვა ხალხებს იგივე თვეების დასახელება სხვაგვარ წარმოდგენებთან აქვთ დაკავშირებული... ჩვენს ენაში მხოლოდ ადამიანზე იტყვიან „ვინ“, სხვა ყველაფერი არის „რა“, მაშინ, როდესაც ზოგი სხვა ხალხის ენაში ეს ასე არ არის.

ადამიანები ცნებების საშუალებით შეიმეცნებენ გარემო სინამდვილეს. გარემოს ცნებითი მოწესრიგება კი ბევრად არის დამოკიდებული სამეურნეო საქმიანობის ტიპზე, „ის რაც უფრო მნიშვნელოვანია, – აღნიშნავს ცნობილი სოცი-

ოლოგი აზერ უფენდიევი, – ამა თუ იმ მიზეზით უფრო ზუსტად და დაწვრილებით არის სტრუქტურირებული და ამას შეიძლება ასახვა ჰქონდეს კულტურის სტილურ მრავალფეროვნებაზე“.

ენა ასრულებს კულტურის რეტრანსლიატორის მნიშვნელოვან როლს. კულტურა, რა თქმა უნდა, ვრცელდება და მომდევნო თაობებს გადაეცემა ჟესტებით, მიმიკით, წეს-ჩვეულებებით, ცეკვით და ა.შ. ნივთებისა და საგნებით, სხვა ფორმებითაც, მოტანილია ჩვენამდე წარსულის კულტურული მემკვიდრეობა, მაგრამ ყველაზე ტევადი, მისაწვდომი და კულტურის ზუსტი გადამცემი ენაა, მას სხვა ვერაფერი საშუალება შეედრება.

ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია ენის მნიშვნელობის შესახებ (მისი რეტრანსლიატორული ფუნქციის შესახებ). ერთნი მიიჩნევენ, რომ ეროვნული კოლორიტის, ეროვნული თავისებურებების, წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების გადაცემისათვის ენას დიდი მნიშვნეობა არა აქვს. თითქოს, სრულიად საკმარისია ეროვნული კულტურის განვითარებისათვის არამშობლიური საერთაშორისო ფუნქციის მატარებელი ენის გამოყენება.

ამ შეხედულებას ვერ დავეთანხმებით. ეროვნული კულტურის გავრცელებაში ეროვნული ენის შევიწროება ეროვნული კულტურის განვითარება-აყვავების არეს შეზღუდვას ნიშნავს. ამასთან, არც ის შეიძლება, რომ მოხდეს ეროვნული ენის მნიშვნელობის აბსოლუსმიერი დარგის სპეციალისტის პროფესიული ავ-კარგი მისი მსოფლმხედველობრივი შეხედულებებითა და ზოგადკულტურული დონით განისაზღვრება. ჰუმანიტარული განათლება ადამიანის ისეთ პიროვნულ თვისებებს აყალიბებს, ურომლისოდაც შეუძლებელია კონკრეტული პროფესიული საქმიანობის არსში ჩაწვდომა, ამგვა-

რი საქმიანობის შედეგების საზოგადოებრივ ღირებულებათა გააზრება და განზოგადება. ეს კი აუცილებელია საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში ეფექტიანად ჩართვისა და საკაცობრიო ცოდნის პერმანანტული დაუფლებისათვის".

ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს განათლების კულტუროლოგიური შინაარსის საზოგადოებრივი ღირებულებების მაღალ დონეს.

კაცობრიობა სულ უფრო ნათლად აცნობიერებს იმ გლობალურ ამოცანებს, რაც საზოგადოდ დგას ადამიანთა მოდგმის წინაშე, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, სულ უფრო საცნაური ხდება საკაცობრიო ბედის ერთიანობა. ეს ჯერ კიდევ ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით გახდა ნათელი, შემდეგ ჯანმრთელობის დაცვის საკითხების გადაწყვეტისას გამოაშკარავდა, ახლა კი, როგორც ჩანს, იმის დრო დადგა, რომ განათლების პრობლემების გადაწყვეტასთან კავშირში იქნას გააზრებული.

სწორედ ამაზე მეტყველებს ის, რომ იუნესკოს საერთაშორისო კომისიამ ჟაკ დელორის ხელმძღვანელობით შეიმუშავა საპროგრამო მოხსენება: „განათლება XXI საუკუნისათვის".

ამ მოხსენების გაცნობა ნათელს ხდის, რომ კაცობრიობის განვითარების სოციალურ-კულტურული პრობლემების გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი საშუალება განათლებაა და მისი შინაარსი ახლებურად უნდა იქნას გააზრებული, რაც ნათელს ხდის განათლების, როგორც კულტურული ფენომენის შინაარსისა და მისი ოციალური დაკვეთისადმი ახლებურ მიდგომას.

პირველ ყოვლისა, რაზე უნდა გავამახვილო ყურადღება? ისეთ მოვლენებზე, როგორც არის ადამიანური საქმიანობა-მოღვაწეობის გლობალიზაცია, საყოველთაო კომუნიკაციები, პლანეტარული ურთიერთდამოკიდებულებების მრავალსახოვანი ასპექტები.

ამ საკითხებთან დაკავშირებით კეთდება დასკვნები, რომ განვითარება ეკონომიკური აღმავლობიდან ადამიანური განვითარებისაკენ უნდა მიიმართოს...

მეცნიერული აზრით, ეს იმას ნიშნავსბ რომ განათლების კულტოროლოგიური შინაარსი ახალ განზომილებებს მოიპოვებს და იგი სულ სხვა უფრო მეტად გაიჟღენთება საკაცობრიო კულტურის მონაცემებით. იმ კულტურისა, რომლის უძველესი ტრადიციები საქართველოშია! კულტურისა, რომელიც განუყრელი ნაწილია განათლებისა და მომავალ თაობებსაც ისეთი სითბოთი, სიყვარულითა და რუდუნებით უნდა გადავცეთ, როგორც უკვდავი ნიშანსვეტი ეროვნული ღირებულებებისა...

***

ერთ-ერთი ინტერვიუს დროს ჩემმა სტუდენტმა ასეთი შეკითხვით მომმართა

– რთულია თუ არა რექტორის ამპლუაში ყოფნა? – ჩემი პასუხი ცალსახა გახლდათ, რამეთუ სირთულე არაფერია, მთავარია საკუთარი ძალების რწმენა! გულახდილობა! ახალგაზრდებთან მუშაობა რთული კი არა საინტერესოა... დიახ, აღზრდის სისტემაში მთავარი გულახდილობაა, ამიტომაც გადავწყვიტე გულახდილი პედაგოგიური დიალოგი ამ წიგნის საშუალებით, რომლითაც, მსოფლიოს პედაგოგიური ელიტის თვალსაჩინო წარმომადგენლების ცნობიერებასთან ერთად, საკუთარ გამოცდილებებზეც მოგითხრობთ. ამ წიგნის გაგრძელებას, „არატრადიციული გაკვეთილების“ სახელწოდებით, პირველის დამთავრებისთანავე დავიწყებ პედაგოგიური ხერხების, აღმზრდელობითი მიდგომის თავისებურებებისა და ინდივიდუალიზმის გამოვლინებით... რამეთუ პედაგოგი ჭეშმარიტი დიდოსტატი უნდა იყოს, რათა მის მიერ ჩატარე-

ბული ლექციების, გაკვეთილების მეცნიერულმა სიღრმემ, მაღალესთეტიკურმა დონემ, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების მიგნებულად გამოყენებამ აზიაროს მოზარდი იმ სულიერ ფასეულობას, რომელსაც თვით დრო-ჟამის მსახვრალი ხელიც ვერარას აკლებს, აპოვნინოს ახალგაზრდას თავისი თავი და საკუთარი ადგილი, ანუ გაუკაფოს გზა თვითდამკვიდრების პროცესისაკენ, იმ პროცესისაკენ, რომელიც ურთულესია დიდი ცხოვრების კარიბჭესთან მდგომთათვის, დიახ, არაფერია იმაზე ამაღლებული, წმინდა და სანუკვარი ამ ქვეყნად, ვიდრე სათავეში ედგე და ქომაგობდე სანიმუშო რიტმისა და ჟღერადობის, გულითადი განწყობის, ფაქიზი გრძნობის ატმოსფეროს შექმნას და დამკვიდრებას... ეს თითოეული პედაგოგის უპირველესი, მაღალი პასუხისმგებლობით აღსასრულებელი ვალია! თავისუფლების დიადი შინაგან მრწამსში ყველაზე მთავარი მართლაც და თავისუფლებაა, ამიტომაც ხშირად ვსაუბრობთ ლექციებზე ამ ცნების რაობაზე და მაინც როდისაა ადამიანი თავისუფალი? – როდესაც მას გააჩნია დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთების საშუალება! დიახ, ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია ავირჩიოთ ორი ძირითადი ასპექტის გარდა, სამშობლოსა და მშობლებს ვერ ავირჩევთ. ამიტომ ისინი ისეთნი უნდა მივიღოთ, როგორებიც არიან... სხვა ყველაფრის არჩევა შეგვიძლია, სპეციალობის, სამსახურის, ცხოვრების თანამგზავრის... პოლიტიკური სახეების... და ამ არჩევანში დამოუკიდებლობა ქმნის სრულ თავისუფლებას! მაგრამ თავისუფლების ასეთი ცნება მედლის ერთი მხარეა, რამეთუ ჩვენ ხშირად თვითონვე ვამბობთ უარს ამ ცნების განსაზღვრაზე. თვითონ განსაჯეთ: – ჩვენ სრული თავისუფლებით ვირჩევთ პროფესიას, თუმც ამას წინათ ქ. თბილისის ჰუმანიტარული კოლეჯის სადისკუსიო კლუბში გამართულმა დისპუტმა: „ვინ ირჩევს პროფესიას, ჩვენ თუ მშობლები?!“ ახალგაზრდის მომავალი ცხოვრების გზის არ-

ჩევანში მშობლების უხეშ ჩარევაზეც გამახვილდა ყურადღებბა, მაგრამ უმეტესად დიდი ცხოვრების კარიბჭესთან მდგომი ახალგაზრდობა თვითონვე ირჩევს სპეციალობას – ხდება სპეციალისტი, იმავდროულად იზღუდავს თავისუფლებას, რამეთუ სამსახური დაწყებასთან ერთად ხელს აწერს უფლებების განსაზღვრის ხელშეკრულებას... მაგალითად პედაგოგი ვალდებულია (აღარაფერს ვამბობ სამუშაო დღის რეჟიმის განსაზღვრასა და საათორივ ანაზღაურებაზე) მიიღოს აღსაზრდელი ისეთი, როგორიც ის არის! ეს პედაგოგიკისთვის ურთულესი, მაგრამ აუცილებელი ფენომენია, დიახ, აღსაზრდელს ვერ შეცვლი, რამეთუ ბავშვის აღზრდა დაბადებამდე იწყება, ამ საკითხის განხილვის დროს ბევრი მეცნიერი არ იზიარებს ჩემს აზრს, მაგრამ ლოგიკურობითა და სამედიცინო თვალსაზრისით მართებულია ის, რომ: – ბავშვს ესმის დედის ხმა ჯერ კიდევ დაბადებამდე, ღებულობს ჭრილობის ხმის უხეში ტემბრით, რომლითაც დედამისს მიმართავენ ყვირილით, სკანდალით... მას ტრავმა აყენებს დედის მწუხარება. ნერვიულობა, განცდები... და ბავშვი იბადება ნაწყენი, დამფრთხალი, ავი, ნერვიული... ხოლო „სიყვარულის შვილები“ გამოირჩევიან თანაბარი, მშვიდი, კეთილი ხასიათით.

დიახ ასეთად ჩნდება ბავშვის სულში ჯერ კიდევ დაბადებამდე კეთილი და ბოროტი გრძნობა. ეს საკითხი ერთ-ერთი ყველაზე ძველი პრობლემაა, ათასზე მეტი წლის წინათ წმინდა ავგუსტინე არ დაეჭვებულა ღმერთის ყოვლისშემძლეობაში, მაგრამ ბავშვის აკვანთან მდგომი წერდა რა თავის ცნობილ „აღსარებას“, ვერ გაეგო საიდან შეიძლებოდა გაჩენილიყო ახალშობილში ბოროტება. თუმც ავგუსტინემდე კიდევ უფრო დიდი ხნით ადრე შეიქმნა ბიბლიური მითი – ხე ცნობადისა, ბოროტებისა და კეთილისა... ეს ეთიკური პრობლემა კეთილისა და ბოროტებისა ბავშვების აღზრდისათვის აუცილებელია შევცვალოთ პედაგოგიური პრობლე-

მით – როგორ ჩნდება კეთილი და ბოროტი ვნებები. ჩვენთვის ძნელია ვებრძოლოთ ბოროტ გრძნობებს, სიავეს, სიხარბეს, შურს, აგრესიულობას, უხეშობას. თუ ჩვენ არ გვეცოდინება საიდან ჩნდებიან ისინი ბავშვის სულში, თუ ჩვენ არ გავარკვიეთ მავნე გრძნობების წარმოშობის მექანიზმი. ხშირად ჩვენ თვითონ ვთესავთ მათ ბავშვის სულში, ისე როგორც ანტისეპტიკების აღმოჩენამდე ექიმები არ იბანდნენ ხელებს ოპერაციის წინ და ამით თვითონ ასნეულებდნენ პაციენტს სასიკვდილო დაავადებით...

ჩვენ ამ სახელმძღვანელოში ვცდილობთ ერთმანეთთან შევაერთოთ პედაგოგიკის, ეთიკისა და ფსიქოლოგიის მეცნიერება, რომლითაც სხვა ახალ მეცნიერებას ჩავუყრით საფუძველს და აღზრდის საწყისებზე აღმოცენებული საკითხები ამოუწურავი აღარ იქნება...

ადამიანში, ისევე როგორც ყოველ სულიერში, მარტო ერთი უსაფრთხოების მოთხოვნა კი არა, არამედ მასთან ერთად განვითარების მოთხოვნაცაა. ეს მოთხოვნები ურთიერთსაპირისპირო გახლავთ, რამეთუ განვითარება სახიფათოა, ხოლო უსაფრთხოებისაკენ ლტოლვა ამუხრუჭებს განვითარებას. ჩვენ ბუნებრივია ვდარდობთ ბავშვების უსაფრთხოებაზე და განვითარებაზე, მაგრამ ამ სიტყვების რაობაში არ ვგულისხმობთ იმას, რასაც თვით მოზარდი, ისინი ხოლოდ იმით განსხვავდებიან დიდებისაგან, რომ მათში განვითარების მოთხოვნა გაცილებით უფრო ძლიერია უსაფრთხოების მოთხოვნაზე. მხოლოდ უსაფრთხოების და განვითარების მოთხოვნები ხვდებიან დაბრკოლებებს. ამიტომ ვითარდება ბავშვში ბოროტი ნება. ძლიკერი და გონიერიბავშვი მას ავლენს აგრესიულობით: სუსტი და გონიერი – ეშმაკობითა და მოხერხებით, ხოლო სუსტი და უჭკუო – ცბიერებითა და გაიძვერობით. ერთში თავდაცვა ერწყმის ადამიანთა მიმართ, დამოკიდებულებას, ხოლო მეორეში საკუთარი თავისადმი

აგრესიულობას და მოზარდი ხდება ზარმაცი, უმოქმედო...

სიზარმაცე, უსაქმურობა – ყოველგვარი ბიწიერების დედაა. ვინ არის მათი მამა? – შიში? სადაც შიშია: იქ არის ზომაზე მეტი სიფრთხილე, სიახლისადმი უნდობლობა, გამყიდველობა... ჩაუღრმავდით ძირისძირობამდე ადამიანის ნებისმიერ ცუდ თვისებას და მის ფსკერზე უეჭველად აღმოაჩენთ შიშს.

საუკუნეთა მანძილზე პედაგოგიკის მიზანი იყო ჩაენერგა და დაემყარებინა შიში ბავშვის სულში, რათა გადაადვილებულიყო მისი მოვლა-პატრონობა. შიშთან ერთად მის სულში ითესებოდა ბოროტება და მერე საქვეყნოდ აცხადებდნენ – ის ბუნებთია, თანდაყოლილია – სინამდვილეში კი ბავშვში ბოროტება ჩვენი ხელყოფით არის წარმოშობილი, ბოროტებას ჩვენ თვითონ ვთესავთ მასში, მაშინაც კი, როცა კეთილი სურვილები გვამოქმედებს. პედაგოგიკა სწორედ ის მეცნიერებაა, რომელსაც სურს ამ ორი მოთხოვნილების გაკეთილშობილება და უსაფრთხოების ცნებაში მორალური პრინციპების დამკვიდრება, რომ განვითარება იყოს შეგნების, ნიჭიერების, ადამიანური კულტურის ათვისები ჭეშმარიტი ზეიმი, რომ ადამიანი არ ჩამორჩეს მთელი ცხოვრებით, რადგან უსაფრთხოება და განვითარება ეს იგივეა, რაც ყოფნა და ცხოვრება. იგი ყოველთვის მოქმედებს, მაგრამ არა მუდმივად... ყველა ცოცხალ ორგანიზმს თავისი არსებობის ეტაპები გააჩნია, ჩანასახის შემდეგ დაბადება, გაზრდა, განვითარება, მოხუცებულობა და გარდაცვალება... თუმცა განათლება და განვითარება ეს ის სფეროა, რომელიც ხშირ შემთხვევაში დაუსრულებლად გრძელდება. დიახ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ღრმა სიბერემდე, სიკვდილამდე ვითარდებიან, მათ არ ჰყოფნით ერთი სიცოცხლე ყოველმხრივი განათლების მიღებისა და სრული განვითარებისათვის ყველა ჩვენგანი ცდილობს ადრე განვითარდეს, მაგრამ

საჭიროა არაადრეული, არამედ ხანგრძლივი განვითარება, რომელიც ბავშვობიდან იღებს სათავეს.

– ბატონო გარი, თქვენ ისაუბრეთ თავისუფლების, ბავშვთა აღზრდისა და განვითარების საკითხებზე, მაგრამ ხასიათი? როგორ ყალიბდება იგი?

– დავაკვირდეთ ბავშვს, რომელიც ენას იდგამს, ენა გაცილებით რთულია, ვიდრე ის ათი ან ათასი ცნება, რომელსაც ჩვენ ვუნერგავთ ბავშვებს. ყველა ბავშვი თვითონ იწყებს საუბარს, რამეთუ განსაზღვრულ დროს მას უჩნდება სიტყვის წარმოთქმის მთხოვნილება. ჯერ ჩურჩულით, ხოლო შემდეგ ხმამაღლა იძახის სიტყვებს. პატარას შინაგანი მოთხოვნილება აქვს საუბრისა, ასე რომ არ იყოს იგი არასოდეს ამოიდგამს ენას, ამას ემატება დიდების გამუდმებითი საუბარი ბავშვთან და მისი თანდასწრებით... მაშასადამე ბავშვის ასამეტყველებლად საჭიროა შინაგანი მოთხოვნილება და გარემო პირობები. ცოტა მოგვიანებით ასევე ყალიბდება მორალური თვისებებიც ორი შემხვედრი მოძრაობისაგან შიდა სამყაროდან გარე სამყაროსაკენ და პირიქით. აღზრდისას ჩვენ ყოველთვის ვაკონკრეტებთ ჩვენს ქმედებას ეს ზოგჯერ გვიმართლებს ზოგჯერ კი არა და რომ გაგვიმართლოს აუცილებელია საკუთართან ერთად ბავშვის სულის მოძრაობაც ვიგრძნოთ...

სამედიცინო დიაგნოსტიკით ავადმყოფობას ორი მიზეზი აქვს: ნამსხვრევები და დაცვა. წარმოიდგინეთ, თვალში გვხვდება ქვიშის ნამცეცი, მაშინვე მთელი ორგანიზმი აღსდგება მის წინააღმდეგ, თვალი სივდება – ეს იმას ნიშნავს, რომ მიმდინარეობს ომი ქვიშის ნამცეცთან... შესაძლოა ადამიანი დარჩეს უთვალოდ! რისგან?! ქვიშას უწვრილესი მარცვლისაგან? დაცვისაგან?

უწვრილესი ქვიშის მარცვალი ესაა ჩვენი უხეში გაუფრთხილებელი შეხება ბავშვში არსებული უფაქიზეს სულის თვალთან, მაგრამ სულმა, როგორც ორგანიზმმა არ იცის

აუცილებელი თავდაცვის საზღვარი, ის გრძნობს საფრთხეს ოდნავ აწეულ ტონში, ამიტომ პატარას სულში გაუცნობიერებლად ჩნდება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თავდაცვის, ბოროტების სიმსივნე, დიდებიც იარაღდებიან ბავშვის ბოროტი გრძნობებისაგან თავისდასაცავად და ამოძრავდა ქანქარა... – ჩვენ ბავშვებთან ერთად სწრაფად შევდივართ ბოროტების გვირაბში დიახ, თუ ბავშვის სულში, რაღაცის გამო, შეუმჩნევლად „ქვიშის ნამცეცისაგან“ აინთო ბოროტი გრძნობა, მაგრამ მას გარედან არ უპასუხა ბოროტებამ, მაშინ ეს გრძნობა ქრება, გარემოს ერშყმის და ქრება... ეზოში დედისკენ გამორბის სამი წლის გოგონა და უყვირის: „შენ ძაღლი ხარ“... რა უნდა ვუპასუხოთ? დავსაჯოთ, რომ მეორედ არ გაბედოს ასე მიმართოს მშობელს? მაგრამ დედა წამიერი დაფიქრების შემდეგ ეუბნება: – „შენ კი – ყურცქვიტა!“ პატარა ანაზდად დაფიქრდება, მაგრამ ჯერ კიდევ გაბრაზებულია, გაანჩხლებულია და იძახის: – შენ კი, შენ კი... შენ კი ციყვი!“ და იცინის, მორჩა ამით ყველაფერი დამთავრდა, ჩაიშალა თავდასხმა, არ შეიქმნა გვირაბი, არ წარმოიშვა ბოროტი გრძნობა. ასეა შემდეგაც, მოსწავლეობის და სტუდენტობი წლებშიც არ უნდა დავაკავშიროთ ბოროტი გრძნობები, არ უნდა შევქმნათ ბოროტების გვირაბი!

მუდმივად ვაკონტროლებთ ბავშვებს, აღმზრდელობით ზომებს ვღებულობთ, ვაქებთ, ვსჯით და ვფიქრობთ, რომ ესაა აღზრდა, მაგრამ ბავშვები სულ სხვაგვარად ღებულობენ მას, ამიტომ არის რომ ერთი და იგივე ზღაპარი, კეთილ კაცსაც ზრდის და ბოროტსაც. სწორედ ამ ზღაპრებში, აღზრდასა და ყოველდღიურობაში იბადებს ბავშვის სულის მოძრაობა.

– საინტერესოა რა არის სულიერი აღზრდა პედაგოგიკაში?

– სული? რა არის იგი? ჩვენ ყოველ ნაბიჯზე გვესმის: სუ-

ლიერი აღზრდა, სულის მუშაობა, სულის აღზრდა, სული და გული, გულითადი, უსულგულო... – აუცილებელია წარმოვიდგინოთ ის, რაზეც ვსაუბრობთ! ყოველ ქვეყანას ჰყავს თავისი მთავარი პედაგოგი – ხალხი! და აქვს პედაგოგიკის მთავარი სახელმძღვანელო – ენა! დიახ, ქცევებისათვის ხალხს უნდა მივმართოთ, ხოლო გაგებისათვის ხალხის ენას!

სული – ეს არის ადამიანის მთელი ფსიქოლოგიური სამყარო, მაგრამ ენის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სული ფსიქიკის მხოლოდ ნაწილია, სული ყველაზე ძვირფასია ადამიანისათვის, ამიტომაც საუბრობენ მასზე განყენებულად, როგორც ცოცხალ არსებაზე: – სული მტკივა, სულს სტკივა, სულს სწყურია, სულო ობოლო, სულს სურს... იგი ნაღვლობს, იგი ხარობს... მე კი არ ვხარობ ჩემში სული ხარობს და ის რაღაც იდუმალი მოუხელთებელია ადამიანში: ჩემი სული დღესაც მოისწრაფვის, სულის სიღრმეში, სულის მზერაჩაუღწეველ სიღრმეში... ის არის რაღაც ისეთი, თავისებური, რაზეც არ შეიძლება ძალდატანება, ის არის წრფელი უტყუარი ადამიანის არსის გამომხატველი – სულით ერთგულია, სულით ეზიზღება, მთელი სულით და გულით გირსურვებთ... ყველაზე ძვირფასი იდუმალი, ძლიერი, უძირო, თავისებური, წრფელი, უტყუარი – აი, როგორი შესანიშნავი, დიდებული თვისებებითაა მოსილი იგი ჩვენს საერთო შეგნებაში. არც თუ იშვიათად გვესმის მთელი სულით გითანაგრძნობთ, სულით განვიცდი, სულით ვგრძნობ, სულიერად ვიტანჯები, სულით ვესწრაფვი... თუმც არ შეიძლება ვთქვათ „მთელი სულით ვფიქრობ“, მაგრამ ვამბობთ „მთელი სულით მიყვარს...“ სულს თუ ესმის ჩვენი საუბარი, მაშინ ეს არის ყველა სურვილის, გრძნობის, მისწრაფებისა და სიხარულის შეერთება, ერთმანეთს შერშყმული სურვილი და გრძნობა იძენს ახალს, სახელდობრ სულის თვისებას. წმინდა სულში ქვენა სურვილები არ გაჩნდება, ხოლო სულით მდაბალში იშვიათად იბა-

დება კეთილი გრძნობები.

„მგრძნობელობა მე აზროვნებაზე უფრო ადრე ვისწავლე“ – წერდა ჟ. ჟ. რუსო და დასძენდა, რომ ეს ყველა ადამიანში ასეა, ადამიანის სული იქმნება ცხოვრების პირველ კვირას, პირველ თვესა და წელს, მაშინ როცა ჭკუა ჯერ კიდევ განუვითარებელია, ხოლო გონება ჯერ ჩართული არ არის... გავიხსენოთ ჩვენი თავი ყველაზე ადრეულ წლებში, გონების ძალით დაუბრუნდეთ, სანამდის შევძლებთ შეღწევას და აღმოვაჩენთ, რომ ის მაშინაც დაახლოებით ის ადამიანი იყო, რაც დღესაა, იმიტომ კი არა, რომ მხოლოდ პირველი სამი ანდა ექვსი წელია მნიშვნელოვანი ადამიანის ცხოვრებაში, არც ის, რომ ადამიანი ღებულობს ინფორმაციის იმ რაოდენობას, რომელიც გვყოფნის ყველაფრის საზომად, არამედ იმიტომ, რომ ამ წლებში უბრალო სურვილებითა და გრძნობებით იქმნება ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ფასეული, რომლითაც განისაზღვრება ადამიანის მთელი შემდგომი ცხოვრება. იქმნება ადამიანის სული! ყოველი ახალი გრძნობა, პირველი წლის შემდეგ, გვაოცებს თავისი სიახლით, მაგრამ ბევრია კი ეს ახალი გრძნობა. ისინი, თითქმის ყველა ცნობილია ადრეული ბავშვობიდან, ჩვენ ვხედავთ, რომ პატარას ჯერ კიდევ არაფერი გაეგება და მივმართავთ მას უცერემონიოდ ვკამათობთ რეჟიმზე და ვერ ვიტანთ მის ჭირვეულობას ჩვენთვის ბავშვი წამოზრდამდე ჯერ კიდევ სათამაშოსავითაა. შემდეგ კი როცა იგი შეცნობას იწყებს, ჩვენც აღმზრდელობით მუშაობას შევუდგებით ხოლმე – სწორედ იმ დროს, როცა ის უკვე დამთავრებულია! თუ ჩვენ ბავშვი გვიგებს, მაშასადამე მისი სული უკვე ჩამოყალიბებულია. ადამიანის ტვინს მანქანისაგან განსხვავებით უსულოდ მუშაობა არ შეუძლია. აზრი ყოველთვის სხვა აზრებისაგან იბადება და არა ემოციურობით. გონება, მეხსიერება მხოლოდ მაშინ ირთვება, როცა მთავრდება მუშაობა ფსიქიკის ფუნდამენტის – სულის საძირკვე-

ლის ჩაყრაზე – და მაშინ ჩვენ აღმზრდელნი ვიწყებთ ნაკლოვანებებთან თავდავიწყებით ბრძოლას, იმ ნაკლოვანებებთან, რომლებიც ჩვენივე წაყრუებით ან დაუდევრობით თვითონვე ჩავნერგეთ ბავშვის სულში. სული კი იმიტომ არის ძვირფასი, რომ იგი ადამიანში დაბადებიდანვე, გონების განვითარებამდე ყალიბდება მისი პირველი სურვილებისა და გრძნობების სახით, იმიტომ, რომ სული იდუმალია, არავინ იცის, როგორ ჩნდება მასში სურვილები და გრძნობები, იგი მისდაუნებურად აღმოცენდება ადამიანს შეუძლია მისცეს სულს თავისუფლება ან დააოკოს, მაგრამ მათი ამოძირკვა ძნელია, სულს ვერ აიძულებ შეიყვაროს, სულს ვერ აიძულებ იყოს სხვისი, უცხო ან მცდარი, მაგრამ სული ყოველთვის თავისმიერია, საკუთარი,მაშინაც კი, როცა ის შეიძლება აღმოცენდეს რაღაცის გავლენით და, რაც მთავარია, სული ყოველვის რეალურია, ჭეშმარიტი და წრფელი... მაგრამ მაინც სადაა გულისხმიერობის საფუძველი? როგორ აღვზარდოთ სული? სული – ეს სივრცის გამჭოლია, ცოცხალთა და მკვდართა საუფლოს შორის... – და არავინ ამას, პოეტს არ უსაყვედურებს! მაგრამ პედაგოგისათვის სიტყვა – „სულს“ ტაბუ ადევს: იგი მისთვის „სივრცის გამჭოლი“ ვერ იქნება და რომ არა პოეტები, შეიძლება ეს სიტყვა სულაც დაგვეკარგა და „სული“ დღეს მხოლოდ ენის „წითელ“ წიგნში გვეხილა, არადა ამ სულიერ აღზრდას, არ შეიძლება ოჯახშიდაც ტაბუ ჰქონდეს დადებული, ის უპირველესად მშობლებისაგან უნდა მოდიოდეს!

– ბატონო გარი! სწორედ მშობლების როლის შესახებ გვინდოდა გვეკითხა...

– უკვე რამდენიმე წელია ვერაფრით მოვუძებნე ამომწურავი პასუხი კითხვას, რატომ არის, რომ ერთ ოჯახში კარგი ბავშვი იზრდება, ხოლო მეორეში კი ცუდი? უფრო მეტიც, ერთ ოჯახში აღზრდილი ერთი ბავშვი კარგია, მეორე კი

ცუდი? ალბათ, ეს შეკითხვა ბევრ თქვენთაგანსაც დაბადებია, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა თუ იგი აზრთა და მეცნიერებათა უსიერ ტყეში შემოყვანდა, რომელსაც სახელი არ ჰქონდა... არც ფილოსოფია, არც პედაგოგიკა, არც ეთიკა, არც ფსიქოლოგია... არადა მხოლოდ ეს კი არა, სხვა ბევრი რამც უნდა ვიცოდეთ, რომ ბავშვი აღვზარდოთ, ამიტომაცაა უდიდეს ინტერესი საოჯახო პედაგოგიკისადმი, რომელიც სათავეს გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან იღებს, მსოფლიო ვერ უმკლავდება თავის შვილებს, მშობლები ვერ ასწრებენ შეეგუონ, მიუსადაგონ თავიანთი ბავშვები შეუწყნარებლად ცვალებადი ცხოვრების პირობებს. არ ძალუძთ შესაბამისად ჩქარა ცვალონ თავიანთი პედაგოგიური შეხედულებები და აღზრდის მეთოდები.

პედაგოგიკა მეცნიერებაა ბავშვთა აღზრდს ხელოვნებაზე, მაგრამ ჩვენ ერთი რამ უნდა გავარკვიოთ, ესაა ხელოვნება არა საკუთარი, არამედ მხოლოდ სხვისი შვილების აღსაზრდელად... როცა საქმე მიდგება საკუთარი შვილების აღზრდაზე, ყოველგვარი მეცნიერება, მოძღვრება მთავრდება და იწყება – კაცმა არ იცის რა! გინახავთ ისეთი ქირურგი, რომელმაც საკუთარ გულს გაუკეთა ოპერაცია? დიახ, სხვისას ზრდიან პედაგოგები, მაგრამ ხშირ შემთხვევაში საკუთარს ვერა, რამეთუ პედაგოგიური მეცნიერება შესანიშნავად მოქმედებს, როცა აღმზრდელის წინაშე ათასი ბავშვია, ხოლო სავსებით ცუდად, როცა აღმზრდელს ორი ან ერთი ბავშვი აბარია, მე აღმოვაჩინე: – ყველაზე განათლებულ მშობლებსაც კი არ გაეგებათ, რომ ორიდან ხუთ წლამდე ბავშვი გამუდმებით ჯიუტობს და მზად არის ყოველგვარი თავხედობისათვის. ეს მძიმე „ორჯერ-ორი“ ჩვენგან მხოლოდ მოთმინებას მოითხოვს, იაპონიაში ხუთ წლის ასაკამდე მოზარდმა არ იცის სიტყვა – „არა!“ – მისი არსი და მნიშვნელობა, რამეთუ იქ მათ არაფერს უშლიან და არასოდეს ეუბნებიან უარს სურ-

ვილების შესრულებაზე. დიახ, უნდა მოვახდინოთ სასწაულები, რომ არ შევაკრთოთ მოზარდი ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ მშობლებმა არ იციან, რომ ნეგატივიზმი – საერთოდ კანონია. ფიქრობენ, რომ თუ სამი წლის ბავშვი ცუდად იქცევა და არ ასწავლეს მას მოქცევა, მაშინ ის ასეთად დარჩება, სინამდვილეში ამ სწავლებით ისინი მას ხდიან ავს! აჭიროა გავიგოთ აღზრდის პროცესი, უნდა გავარკვიოთ რა ხდება ჩვენსა და ბავშვებს შორის, როცა ჩვენ მათ ვზრდით რა ძალა აქვს ჩვენს პედაგოგიურ მოქმედებას, ზოგიერთს ეს შველის თუნდაც იმიტომ, რომ ისინი იმ დღიდან უკეთ ეპყრობიან შვილებს. გრძნობენ თავიანთ შესაძლებლობათა საზღვარს და არ მოითხოვენ ბავშვებისათვის იდუმალ სრულყოფას. ბუნებრივია, ცუდისათვის ვსჯით, ვკიცხავთ, ხოლო კეთილი საქმისათვის ვასაჩუქრებთ მოზარდს. აბა სხვაგვარად როგორ მოვიქცეთ? მთელი სამყარო ხომ ამაზეა დაფუძნებული! სინამდვილეში კი ეს ასე გვეჩვენება, რამეთუ საზოგადოებრივი განვითარების არც ერთი ფორმაცია არ შეიძლება იყოს დაფუძნებული ჯარიმებსა და ჯილდოებზე. სამყარო პრინციპულად სხვანაირად არის მოწყობილი. ცხოვრება გვთავაზობს ამოცანებისა და არჩევნების მთლიან ჯაჭვს. წარუმატებელ არჩევანს უეჭველად მოსდევს უსიამოვნო, ზოგჯერ მძიმე, გამოუსწორებელი შედეგი, ხოლო კეთილზნოებისათვის ყოველთვის არ მიეზღვის ადამიანს, რადგან ცხოვრებაში ჯილდოებისა და ჯარიმების განაწილების სამართლიანობის ალბათობა უმცირესია. ცხოვრებაში სხვა უამრავი კატაკლიზმების გვერდით არსებობს გაჭირვება, დანაკარგი, უბედურება, ავადმყოფობა და ისინი ხშირად დამნაშავეთა წილად კი არ მოდის, არამედ მათ ერგება, ვისაც არაფერი დაუშავებია... წახალისებითა და დასჯის მეთოდით ბავშვის შეგნებაში პირველი დღიდანვე საფუძველს ვუთხრით რწმენას სამართლიანობაზე. მოზარდი ძალიან მალე აღმოაჩენს, რომ ჯილდო ყოველთვის როლი

ხვდება იმას, ვინც სიკეთეს ჩადის და არც ავის მქმნელს ეზღვება საკადრისად! იგი ვერასოდეს შეიცნობს სამართლიანობის არსს. ვერ გაიგებს, რომ სამყარო არენა არაა, არც ბაზარია და არც სავაჭრო მოედანი. სამყარო უფრო სახელოსნოს ჰგავს. დიახ, აქ არც გაცვლა-გამოცვლაა, რომ ვთქვათ: „მე ჩავიდენ სიკეთეს და სამაგიეროს ვიღაც მომიზღავს“. ადამიანი თავისი სულიერი ცხოვრებით ვაჭარი კი არა შემოქმედია! ჩვენ გვიყვარს ადამიანები, ჩვენ ვცდილობთ სიკეთე ვთესოთ. ვშრომობთ და ვტკბებით ცხოვრებით, იმიტომ, რომ ის თავისთავად არის შემოქმედება, ცხოვრება პრობლემური ხასიათისაა და არა გაცვლითი. სამყაროს სამართლიანობა – მის შემოქმედებაში, პრობლემურობაში, ჩვენს საქმიანობასა და შრომაშია... ბუნებრივია, ჩვენ ხშირად შევხვედრივართ სიტუაციას, როდესაც მოზარდის ცუდი ქცევების გამო მის აღზრდაზე მშობლები და პედაგოგები აგებენ პასუხს, რადგან არ აუხსნეს, როგორ უნდა მოიქცეს და თუ აუხსნეს ამის მერე თითქოს იგი გამოსწორდება. ამ მიზნით აუცილებელია მორალის გაკვეთილები, სადაც ჯერ კიდევ დაწყებით კლასებში უნდა ვესაუბროთ ბავშვებს, რომ არ უნდა გაიტაცოს სხვისი მანქანა, ან უნდა აიღოს სხვისი ნივთი... მაგრამ რატომ არის რომ ადამიანები, რომელთაც თვალითაც არ უნახავთ სისხლის სამართლის კოდექსი, არ ჩადიან დანაშაულს, ხოლო ისინი, რომელთაც ზეპირად იციან კოდექსის ყველა მუხლი, ხვდებიან დამნაშავეთა სკამზე. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამქვეყნად თუნდაც ერთი ბავშვი არსებობდეს, რომელმაც არ იცოდეს, რომ არათუ მანქანისბ არამედ სხვისი ნემსის აღებაც კი ცუდი საქციელია, რამეთუ „ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი“... ერთნაირი დამნაშავეა. ყველა მშობელი მხოლოდ კარგის კეთებას უნერგავს შვილებს, მაგრამ ჩემი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილების შუქზე უამრავ ისეთ მშობელს შევხვედრივარ, რომელიც დათვურ

სამსახურს უწევს შვილს და ამით მასში უზნეობის ფაქტორს აყალიბებს, ხოლო არავინ მინახავს ისეთი, რომ შვილს ცუდი რამ ჩააგონოს. ბავშვები ცუდ ადამიანებად იმიტომ კი არ იზრდებიან, რომ არ იციან, რა არის კარგი, და ცუდი არც იმიტომ, რომ უნებისყოფონი არიან, არამედ სულ სხვა მიზეზის გამო. აქ აუცილებელია ცნობილი უკრაინელი პედაგოგის ვ. სუხომლინსკის სიტყვები გავიხსენოთ: „აღმზრდელის უძლურების მიზეზი, ბავშის აღზრდაში ის კი არ არის, რომ აღსაზრდელია გამოუსწორებელი, არამედ იმაშია, რომ თვით აღზრდის პროცესი მიმდინარეობს მცდარი გზით. აღმზრდელი ცდილობს ბავშვის სულში ამოძირკვოს ბიწიერება. უკეთეს შემთხვევაში აიცილებს მის წარმოშობას, ჩასახვას. გამოცდილება კი გვარწმუნებს, რომ ამ გზით არ შეიძლება აღვზარდოთ მყარი ზნეობრივი რწმენა... მანკიერება თავისთავად ამოიძირკვება ბავშვისთვის შეუმჩნევლად ქრება და მის მოსპობას არავითარი მტკივნეული მოვლენები არ ახლავს თუ მას გამოდევნის ღირსების ძლიერი ამონაყარი“. არადა, ამ „ღირსების ძლიერ ამონაყარს“ ყოველთვის ვერ ვღებულობთ.

მომავალი თაობის აღზრდა მოგეხსენებათ, რომ ურთულესია. ჩვენ მშობლებს ხშირად ვეუბნებით, რომ ცემა ბავშვისათვის არაპედაგოგიური ხერხია და იმავდროულად მოვითხოვთ ფიზიკურად დასაჯონ ისინი. ვამბობთ, მოვეპყროთ ბავშვებს მოთმინებით და იქვე – ნუ გავანებივრებთ მათ. მოვუწოდებთ – მივცეთ მეტი თავისუფლება ბავშვებს და დავსძენთ თავის ნებაზე არ მიუშვათ ისინი, ვავალდებულებთ იყვნენ კეთილგანწყობილი ბავშვისადმი და გვსურს ამავდროულად ძალზედ მომთხოვნი გახდნენ მათდამი... როგორც ხედავთ, ეს ცნებები დაპირისპირებულია და ერთმანეთს პროგრესულად ვერ წვდება, აქ საყურადღებოა ის ასპექტი, რომ დედებს ისე მივმართავთ, როგორც მასწავლებლებს, მაგრამ გვავიწყდე-

ბა, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში დედას საყვედურს ვერ გამოუცხადებ და ვერც სამსახურიდან მოხსნი. არადა ეუბნებიან, დედავ, მოჰკიდე ხელი ბავშვის თვით აღზრდას, მაგრამ ამისათვის მთავარი ის გახლავთ, რომ თვითონ აღზარდონ საკუთარი თავი. ალბათ არც იმის გარკვევა იქნება უცხო, რომ გაზრდა სხვაა და აღზრდა კიდევ სხვა, ისე კი თვით-აღზრდა, აღზრდაზე ასჯერ უფრო რთულია და დედასაც შეუძლია შეუდგეს საკუთარი თავის სრულყოფას, თუკი მას ამ მოხიბვლელი საქმიანობისათვის ექნება დრო, მაგრამ განა მარტო დრო? ამისათვის აუცილებელია კულტურა, დონე, უნარი... ისე კი მშობლებს გულწრფელად ვურჩევდი გაცნობოდნენ გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოცემულ წიგნს: „მშობელთა სწავლების სახელმძღვანელო“.

– და მაინც საიდან იღებს სათავეს აღზრდის რეალური სურათი?

– ამ შეკითხვის პასუხი წინა კითხვის რეალური გაგრძელებად მიმაჩნია. მეექვსე კლასის მოსწავლეს, საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის მხატვრული თვითშემოქმედების ლიტერატურული განყოფილების გამგემ დიდებულმა პედაგოგმა აწ განსვენებულმა ფაცია პაიჭაძემ ჩემი შემოქმედების გაცნობის შემდეგ განცვიფრებულმა მკითხა თუ ვინ იყო ჩემი ქართულის პირველი მასწავლებელი. ყოველგვარი დაფიქრების გარეშე ვუპასუხე დედაჩემი-მეთქი. მაშინ ალბათ ამ სიტყვებისათვის განსაკუთრკებული მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. ქალბატონი ფაცია კი წლების განმავლობაში ზრდიდა ახალგაზრდებს ამ ლოგის ლაიტმოტივით. ჰო, ქართულ მენტალიტეტში მშობლის, დედის როლი განუსაზღვრელია. ამიტომაც ვუწოდებთ ჩვენს სამყაროს დედამიწას, ყველაზე კარგ ქალაქს დედაქალაქს, სამშობლოს დედა სამშობლოს, სამეტყველო ენას დედაენას. უფრო მეტიც მსოფლიოში უპრეცედენტო შემთხვევაა, რომ

სწორედ დედაენას დაუდგა ძეგლი ქართვლმა კაცმა... დედასთან ასოცირდება ყოველივე კარგი: დედაბუნება, დედასამყარო, დედაბოძი, დედასამშობლო, გუთნისდედა, ადგილისდედა... დედა ყველაზე კარგი და სანუკვარია, მის სიყვარულს სწავლება არ სჭირდება. ამიტომაც ძალიან ლაღად და თავისუფლად გვესაუბრება „დედაენა“ პირველსავე კლასში შეკითხვაზე: – „პაწიავ, გაგვაგებინე, ვინ არის დედაშენი?“ ბავშვური გრძნობით გაცემული პასუხი: – „განა არ იცით? დედაჩემი ის არის, ვინც ყველაზე ლამაზია“. დიახ, ყველაფრის საწყისი დედაა, ყოველი ჭეშმარიტი ადამიანური თვისება, რაც თითოეულ ჩვენთაგანშია, დედისაგან მომდინარეობს, დედისაგან მოგვდგამს... დედაა ჩვენი სიცოცხლის, სიბრძნისა და სიკეთის სათავე, „თუ რა გამოვა იმ არსებისაგან, რომელიც ადამიანმა წარმოშვა და რომელსაც ადამიანის სახე აქვს, დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ეპყრობა ეს არსება დედას, რას განიცდის ამ სიტყვის წარმოთქმნისას“. აღმზრდელობითი მუშაობის უპირველესი ამოცანა დედისადმი სიყვარულის გამოვლენაა. ამიტომაც დედაზე, მამაზე, ბებიაზე, ბაბუაზე პატარაობიდანვე ზრუნვის შეგნება უნდა გამოვამუშავებინოთ ბავშვებს, მაგრამ მარტო ეს როდია საკმარისი მშობლებისადმი სიყვარული მოზარდმა უნდა გამოხატოს არა მარტო ცარიელი სიტყვებით, არამედ უწინარეს ყოვლისა მასზე ზრუნვით, დაე ცხრა წლის ვაჟიშვილმა ღამე უძილოდ გაატაროს ავად გამხდარი დედის თუ მამის ლოგინთან! დაე სხვისმა ტკივილმა აღავსოს მისი გულის ყოველი კუნჭული. ბავშვი ისევე გამუდმებით უნდა ზრუნავდეს მშობლებზე, როგორც მშობლები მისთვის. უნდა გრძნობდეს, რომ მუშაობით დაღლილ დედას და მამას დასვენება სჭირდებათ, როცა მათ სძინავთ, იგი ოთახში ფეხაკრეფით უნდა დადიოდეს...

– „მე დღეს აუცილებლად ხუთიანი უნდა მივიღო, ამით

დედას დაბადების დღე უნდა მივულოცო“ – მითხრა გამოცდის დაწყების წინ კოლეჯის სტუდენტმა გოგონამ. აი, მშობლისადმი ზრუნვა, რომელიც სათავეს თვით მშობლისგან იღებს...

სოციალიზმის პერიოდის გარდაქმნის ეპოქაში, როცა ჯერ კიდევ წარმოუდგენელი იყო ფასიანი სწავლება, ერთ-ერთ გაზეთში ასეთი სტატია გამოვაქვეყნე: „მე რომ კერძო სკოლა მქონდეს“, ამ იდეის ფრთაშესხმა მართლაც დიდხანს მქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ სანამ სკოლებს შევეხებოდე, აღმზრდელობით თემაზე საუბარი სკოლამდელი დაწესებულებებით მინდა დავიწყო, რამეთუ სწორედ ესაა საწყისი! იმ უამრავ მეთოდურ მუშაობასთან ერთად, რომელსაც ამ დაწესებულებათა წარმომადგენლები ეწევიან, ერთ-ერთ ყველაზე მთავარ ასპექტად ბუნების სიყვარულის გაღვივებაც მიმაჩნია. ამიტომაც 5-6 წლიანი ასაკის ჯგუფებში ბავშვებს მთლიანად უნდა გავაცნოთ წყლისა და ჰაერის მნიშვნელობა ადამიანისა და საერთოდ ცოცხალი არსებისათვის და მათდამი მზრუნველი დამოკიდებულების ასპექტი გამოვუმუშავოთ. აუცილებელია ამ ასაკის მოზარდებმა მეტი დრო დაჰყონ ბუნების წიაღში და შემდგომ ნანახ-განცდილი სახატავ რვეულებში თავიანთი შესაძლებლობით გადაიტანონ. ბუნების წიაღში ყოფნა არა მარტო სილამაზით ტკბობის სრულფასოვნებაა, არამედ მისი სილამაზის კანონებით ცხოვრებაც გახლავთ. აღზრდის საუკეთესო საშუალება მშვენიერებაა. ბავშვისაგან, რომელიც ახარებს ნერგს, ელოლიავება მის თითოეულ კვირტს, არ შეიძლება დადგეს ბოროტი, უგულო და ცინიკოსი ადამიანი. ძნელი წარმოსადგენია, რომ იმ ადამიანისგან, ვისაც ახალგაზრდობაში თუნდაც ერთი ხე არ დაურგავს, კეთილი და კაცთმოყვარე ადამიანი დადგეს. სწორედ თავისუფალ შემოქმედებით შრომაში ადამიანი ხედავთ ცხოვრების აზრსა და მიზანს. შრომა ამაღლებს, აკე-

თილშობილებს და კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის მას. ამიტომ აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა სკოლამდელ დაწესებულებებში ამა თუ იმ საქმის სიყვარულის – ადამიანურობის მარცვლის გაღვივებაა, რომელიც დამოუკიდებლობი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებით უნდა მტკიცდებოდეს.

ამას წინათ ერთი ჩემი ნაცნობი ქალბატონი თავის პატარა გოგონაზე მიყვებოდა: „შევდივარ ოთახში, ნინიკო კი რაღაცაზე ჩაფიქრებულა, მთლიანად საკუთარ თავში ჩაღრმავებულა. ორჯერ დაძახება მომიხდა კიდეც, ვიდრე იგი მპასუხობს: „არაფერი დედიკო, მე ჩემი, ბავშვური ფიქრები მაქვს“. ნორჩებს თავისი, ბავშვური ფიქრები აქვთ. ეს მათი პატარა სამყაროა, რომელშიც დიდებს შეღწევა გვიჭირს. შეღწევა, სხვათა შორის, აუცილებელია. სხვაგვარად ჩვენ ვერ შევძლებთ ისინი მოზრდილთა სამყაროს ვაზიაროთ, აქედან გამომდინარე კი, უზრუნველვყოთ მათი აუცილებელი სოციალიზაცია, მივცეთ მათს აღზრდას ჩვენთვის სასურველი მიმართულება. აღმზრდელმა აუცილებელია დროის უდიდესი მონაკვეთი დაუთმოს დაკვირვებას ბავშვებზე თამაშის დროს, შეისწავლოს მისი ქცევები და ურთიერთობები თანატოლებთან. დიახ სკოლამდელ დაწესებულებებში იქმნება და ყალიბდება სწორედ ადამიანის ინდივიდუალიზმი, რომლის ჩამოყალიბებაში უდიდესი სკოლამდელი დაწესებულების პედაგოგის როლი.

– მე რომ კერძო სკოლა მქონდეს?

სიყმაწვილის ასაკი განვითარების ისეთი კრიტიკული პერიოდია, როდესაც ყველაზე მეტი შესაძლებლობა არსებობს ხასიათის ამა თუ იმ არასასურველი აქცენტების გამოვლენისათვის, ძალიან ხშირად ამას არ ითვალისწინებენ და მოსწავლეებს ნერვიულებად მონათლავენ ხოლმე, არადა ეს ხასიათის აქცენტუაციაა, (ხასიათის ამა თუ იმ ნიშნის უზო-

მოდ გაძლიერება) მედიცინაში ეს ცნება ნორმის უკიდურეს ვარიანტად არის მიჩნეული. საითკენ უნდა მიისწრაფვოდეს თითოეული მასწავლებელი? სხვათა შორის იქითკენაც, რომ თითოეული მოსწავლე იყოს სოციალურად ადაპტირებული კლასში, სკოლაში. ბავშვი სკოლაში თუ განსაკუთრებული სიხარულით არა, სიძულვილის გრძნობით მაინც არ უნდა მიდიოდეს. აქ აუცილებელია სამკურნალო პედაგოგიკის ერთ-ერთი პრინციპთაგანის დაცვა, კერძოდ, ინდივიდუალურ-პიროვნული ურთიერთობის პრინციპის განხორციელება, ეს პრინციპი მოითხოვს ბავშვში არა მარტო აღსაზრდელის, არამედ პიროვნების დანახვას, მთელი თავისი ხასიათის ინდივიდუალური ნიშნებით, ნებისყოფით, ინტელექტით, ქცევის მრავალფეროვანი ნიუანსებით, სწავლისადმი დამოკიდებულებით... მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ პირველ ყოვლისა, საჭიროა გავუგოთ ბავშვებს! გავუგოთ – ეს იმას ნიშნავს, რომ სწორად მოვექცეთ მათ!

ინიციატივიანი და თაოსანი ბავშვების საქმიანობა გონივრულად უნდა წარვმართოთ; მათ უნდა დავავალოთ ის საქმე, რომლის შესრულება ხასიათის ისეთ თვისებებს მოითხოვს, რომელიც თავზე საყრელად აქვთ ამ ბავშვებს,. გულჩახვეულებსაც შესაფერისი საქმე უნდა მივცთ, ფაქიზად უნდა მოვხსნათ მათი განცდების ფიქსატორი.

ხშირად გვიხდება ასეთი რამის მოსმენა: „თქვენ თქვით უნდა გაკეთდესო, მაგრამ ის არ გვითხარით, როგორ გაკეთდეს“. მე პირადად პედაგოგიური რეცეპტების დიდი მოწინააღმდეგე გახლავართ, ისეთი რეცეპტების, რომელიც გამოდგება „ყველა შემთხვევაში“, პედაგოგიური ხელოვნება განა თვით სიტუაცია არ არის.? განა პედაგოგიკაში არ არს წინააღმდეგობანი.? დიახ არის! მაგრამ ხომ არ უნდა გვეშინოდეს მისი?

რომელი დახელოვნებული მასწავლებელი გამოიცნობს,

როგორ პიროვნებაშია ესა თუ ის აღმზრდელობითი მუშაობის ფორმა ეფექტური და როდის იძლევა იგი არასასურველ შედეგებს? იგი მით უფრო შეცდება, რაც უფრო გულმოდგინედ დაიწყებს ამ კითხვაზე პასუხის გამოცნობას და ამ საქმეში მხოლოდ პირად გამოცდილებას დაეყრდნობა, არ გაითვალისწინებს ბავშვის უმნიშვნელო გამოცდილებას, მის შეხედულებას ამა თუ იმ საკითხზე.

ნუთუ შეიძლება მასწავლებელთა შორის მოიძებნოს ისეთი ვინმე, რომელიც დაიჯერებს თუ მას ეტყვიან: „გააკეთე ისე, როგორც მე ერთხელ გავაკეთე და შენ არ შეცდები“...

მერედა, ბავშვის ასაკი და სქესი?

მერედა, დღე-ღამისა თუ წლის დრო?

მერედა, ყმაწვილი გოგონას ფიზიოლოგიური მდგომარეობა?

მერედა, ყმაწვილი ბიჭის „ნორმალური“ გადახრა ნორმისაგან?

ამას თუ არ გაითვალისწინებ, აუცილებლად დაუშვებ მიუტევებელ შეცდომას.

ასეთ კითხვებს თვლა არა აქვს... ნუთუ ისინი უყურადღებოდ უნდა დავტოვოთ და დავეყრდნოთ იმ „რეცეპტს“, რომლის მიხედვითაც ოდესღაც წარმატებას მიაღწიეს... ან მიაღწიეს კი? მასწავლებლებმა კარგად იციან, რომ პედაგოგიკა ყველაზე დიალექტიკური მეცნირებაა, დიახ – „არ შეიძლება დადგინდეს რაიმე აბსოლუტური პედაგოგიური ღონისძიებანი და სისტემები, ყოველივე დოგმატური დებულება, რომელიც მოცემული მომენტის, მოცემული ეტაპის მოთხოვნილებიდან არ გამომდინარეობს, მუდამ მცდარია...“

აღზრდა, აღზრდა... ყოველთვის ვითვალისწინებთ კი იმას, რომ ყოველგვარი აღზრდის მთავარი მიზანი თვითაღზრდაა?

„სანამ მოსწავლეები ლიტერატურას აღიქვამენ, რო-

გორც არა თავის, არამედ სხვის თავზე დატრიალებული მოვლენების მემატიანეს, სანამ სხვისაში არ დაინახავენ თვისას..,. სანამ ამ აღმოჩენით არ გაიჟღინთებიან, მანამ არ დაიწყება თვითგამყოფის, თვითაღზრდის პროცესი; არც მისი მოთხოვნილება გაჩნდება, ზემოთნახსენები აღმოჩენა კი მეტყველებს, რომ ლიტერატურა (საერთოდ ხელოვნება) არის სწორედ მთელი კაცობრიობის სუკუნოვანი იდეალებით გასხივოსნებული ზნეობრივი გამოცდილება. ეს აღმოჩენა იწვევს დამოუკიდებელ და კეთილშობილ შიმშილს, სწორედ მაშინ წარმოიშობა სულიერი საკვების ფიზიკური მოთხოვნილება".

– მე რომ კერძო სკოლა მქონდეს?

პედაგოგიური პროცესების მართვა, აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, იგი კოლექტივის ორგანიზაციების ცენტრალური პრობლემაა, რომელიც უპირველეს ყოვლისა გულისხმობს პედაგოგიური კოლექტივის ხელმძღვანელის – სკოლის დირექტორის შერჩევისა და მომზადების საკითხის სწორად გადაწყვეტას. პედაგოგიური კოლექტივის წარმატებები მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა კოლექტივებთან ხელმძღვანელის ურთიერთობის ხასიათზე, ხელმძღვანელის სტილზე. მართვისა და ხელმძღვანელობის სტილის ძირითადი ნიშნებია მეცნიერული შორსმჭვრეტელობა, შემოქმედებითი ინიციატივა, თავდადება, პროფესიის და სპეციალობის სფუძვლიანი დაუფლება, მაღალი ორგანიზებულობა და თვითდისციპლინა, კონკრეტულად იგი გულისხმობს მუშაობაში პირადულობის, ზერელობისა და შიშველი ადმინისტრიების გამორიცხვას, ძალების თავმოყრას უმნიშვნელოვანეს უბანზე, გეგმიურობასა და რიტმულობას, საქმის გაჭიანურებასა და იერიშობანასთან ბრძოლას, პუნქტუალობას, ოპერატიულობას, მიზანდასა-

ხულობას, ქმედითობასა და შედეგიანობას, თითოეული ღონისძიების ლოგიკურად დასრულებას, პედაგოგიური შრომის პროცესში ხელმძღვანელობის ცნება მოიცავს ხელმძღვანელისა და პედაგოგის ურთიერთობის სრულყოფის გზების ძიებას; ხელმძღვანელობა ისე უნდა განვახორციელოთ, რომ გავითვალისწინოთ თანამშრომლებისადმი მომთხოვნელობის ზომა, ამასთან, არ უნდა შევზღუდოთ მათი თავისუფლება, ინიციატივა, შემოქმედებითი ძიების უნარი.

პედაგოგიური ეთიკა ითვალისწინებს დირექტორსა და პედაგოგთა შორის ურთიერთობის მაღალ კულტურას (იგულისხმება ხელმძღვანელის კომპეტენტურობა, ნდობის ატმოსფეროს შექმნა). დირექტორმა უნდა შეძლოს დაინახოს მასწავლებლის მუშაობაში დადებით, პედაგოგიური ტაქტის მაღალი დონე, ერთობლივი მუშაობის უნარი, გამოიჩინოს შემწყნარებლობა ისეთი ნაკლოვანებებისადმი, რომლებიც გამოწვეულია არა მასწავლებლის სიზარმაცით, არამედ გამოუცდელობით, სათანადო პრაქტიკული ჩვევების უქნლობით, ამავე დროს, მან პრინციპულად უნდა ამხილოს უნიათი, არაკეთილსინდისიერი პედაგოგები, მათი ნაკლოვანებანი.

მასწავლებელთა ეთიკური და პედაგოგიური კულტურის ამაღლება სკოლის ხელმძღვანელის ზნეობრივი მოვალეობაა, მისი ხორცშესხმა ხელმძღვანელს მხოლოდ მთელი კოლექტივის მხარდაჭერით შეუძლია.

ხელმძღვანელი მასწავლებლებთან დამოკიდებულებაში ჰუმანური უნდა იყოს. უნდა ხედავდეს მათში პიროვნებას, ხელმძღვანელი უნდა იყოს მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ სამართლიანი; იგი ვალდებულია თავისი მოთხოვნები დაასაბუთოს და მასწავლებელს მისცეს რჩევა-დარიგება ისე, რომ არ შელახოს მისი თავმოყვარეობა და ღირსება; მან უნდა გაითვალისწინოს თითოეული მასწავლებლის უნარი გაკვეთილების ანალიზის დროს და ეცადოს არ დაარღვიოს პედაგო-

გიური ეთიკისა და ტაქტის მოთხოვნები, ნორმები. სკოლის ხელმძღვანელს ევალება იზრუნოს თავისი მოადგილეების, მასწავლებლების ავტორიტეტის ამაღლებაზე; თავის მხრივ, სკოლის კოლექტივიც ვალდებულია დაიცვას ხელმძღვანელის ავტორიტეტი, თავაზიანი მიმართვა, აზრთა საგულდაგულო გაზიარება – სკოლის ხელმძღვანელისა და თანამშრომელთა ურთიერთობის აუცილებელი პირობაა. პედაგოგიური ეთიკა სკოლის დირექტორს გარკვეულ ნორმატიულ მოთხოვნებსაც უყენებს: მომთხოვნელობის შეხამება პედაგოგის პიროვნების პატივისცემასთან, მასწავლებლისათვის დახმარების აღმოჩენა ისე, რომ არ გაუწიოს მას წვრილმანი მეურვეობა; პედაგოგიური საქმიანობის მიმართ სისტემატური ყურადღებისა და ინტერესის გამოვლენა. დირექტორი ანგარიშს უნდა უწევდეს მასწავლებლის შრომას, სათანადოდ აფასებდეს მისი შრომის შედეგებს, წარმატებებს, იწონებდეს და მხარს უჭერდეს საუკეთესო გამოცდილებას. სწავლობდეს მათი მუშაობის ინდივიდუალურ სტილს; დირექტორმა არ უნდა გააზვიადოს მასწავლებელთა ცალკეული ნაკლოვანებები, არ უნდა მიაყენოს ტკივილი იმ სისუსტეთა მუდმივი შეხსენებით, რომელთა გამოსწორება მათ დაუყოვნებლივ არ შეუძლიათ. მასწავლებლის მიმართ ხელმძღვანელის უნდობლობამ, უყურადღებობამ და განუკითხაობამ შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ მასწავლებელმა თავის შესაძლებლობებთან შედარებით ბევრად უფრო დაბალ დონეზე იმუშაოს. სკოლაში შემოქმედებითი ატმოსფერო რომ შეიქმნას ხელმძღვანელმა უნდა დაგმოს ოფიციალურ-მბრძანებლური ტონი, დაშინებისა და იძულების პრინციპი. იქ, სადაც ხელმძღვანელის მუშაობის ასეთი სტილი ჭარბობს, კოლექტივის ნებისმიერი წევრი დაძაბულია, ცდილობს გადალახოს შინაგანი წინააღმდეგობა და იმუშაოს მუდმივი შიშის ქვეშ, რასაც დადებითი შედეგი არ მოჰყვება, სასწავლო-აღმზრდელობით

დაწესებულებაში ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა ურთიერთობის ხასიათი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრულია მასწავლებელთა მიერ პედაგოგიური ეთიკის ნორმების დაცვაზე, მათ დამოკიდებულებაზე ხელმძღვანელებთან. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ სკოლის დირექტორს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია განახორციელოს კონტროლი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესებზე. პედაგოგმა უნდა გააცნობიეროს სკოლის დირექტორის შესაძლებლობანი შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტისათვის თანამშრომელთა დასარაზმავად, მხარში ამოუდგეს ხელმძღვანელთა სასარგებლო წამოწყებას, მასწავლებელმა მშვიდად უნდა მოისმინოს უფროსის შენიშვნა თუ საჭიროა, არგუმენტებულად და ტაქტიანად დაამტკიცოს თავისი სიმართლე, დაიცვას კოლექტივის მუშაობის კრიტიკის ეთიკური საფუძვლები. სკოლის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა ურთიერთობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელის ავტორიტეტს; იგი თავისუფალი „სოციალური ფერმენტია“, რომელიც აძლიერებს კოლექტივის „ფსიქოლოგიური ტონიზაციის“ პროცესს და ხელს უწყობს მასში კეთილსასურველი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის დამკვიდრებას, მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივების მორალურ ერთიანობას, ავტორიტეტით სარგებლობს ის ხელმძღვანელი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მუყაითობა, ორგანიზატორული უნარი, მოქნილი ფსიქოლოგიური ინტუიცია, გულისხმიერება, თავაზიანობა! ამ თვისებათა გარეშე ხელმძღვანელის მომთხოვნელობა და პრინციპულობა მიუღებელი იქნება სკოლის კოლექტივისათვის. თუ დირექტორს ზნეობრივი ავტორიტეტი არა აქვს, იგი ეყრდნობა თავის ადმინისტრაციულ უფლებამოსილებას და სარგებლობს ძალაუფლების ავტორიტეტით; ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული უფლებამოსილება ძალას კარგავს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ

შევუხამებთ უფლებამოსილებასა და მოვალეობას. ზოგჯერ ზედმეი უფლებამოსილება მოვალეობის შესრულების დროს იწვევს ყოყოჩობას, თავისი შესაძლებლობების გადაფასებას, თვითდაჯერებულობასა და თავგასულობას, იმ ზნეობრივ მანკიერებებს, რომლებიც, თავის მხრივ, ბადებს თავნებობას.

ახალი ხელმძღვანელტ პედაგოგიურ კოლექტივში საკმაოდ ხანგრძლივ ადაპტირებას გადის. ეს პროცესი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იცის ახალმა ხელმძღვანელმა კოლექტივის შიდაკავშირების განვითარების დონე, სკოლაში არსებული ტრადიციების ხასიათი, შეუძლია თუ არა განსაზღვროს შემოქმედებითი განვითარების რომელ სტადიაზე იმყოფება მისდამი დაქვემდებარებული კოლექტივი.

პედაგოგიური კოლექტივი თავის შემოქმედებით ჩამყალიბებაში რამდენიმე ხარისხობრივ სტადიას გადის, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ: კოლექტივის წევრთა მიერ ზოგად მოთხოვნათა ზნეობრივ-ფსიქოლოგიური აღქმის ხასიათი; კოლექტიური შემოქმედებითი საქმიანობის დამკვიდრება, კეთილმოსურნეობის, მაგრამ პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარების დონე...

იმის გამო, რომ წარმატებანი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში წარმოუდგენელია მასწავლებელთა მიერ კოლექტიურ მოთხოვნათა ღრმად გაცნობიერების გარეშე, პედაგოგიური კოლექტივის განვითარების ძირითად კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს კოლექტივში შემოქმედებითი ატმოსფეროს არსებობა...

ორგანიზაციის საწყისი ეტაპი ახალ პირობებში მუშაკთა დონის შესწავლის წილხვედრია. ამ პერიოდში მიმდინარეობს თანამშრომელთა და ხელმძღვანელთა ქცევის სტილის ურთიერთშეგუება. სკოლის დირექცია სწავლობს მასწავლებელთა ინდივიდუალურ შემოქმედებით „ხელწე-

რას“, მათი მომზადების, განვითარების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების დონეს. კოლექტივში ჯერ კიდევ არ არის საერთო შემოქმედებითი ატმოსფერო და მასწავლებლები, როგორც იტყვიან, „საკუთარ წვენში იხარშებიან“, კოლექტივის არაეფექტური ხელმძღვანელობის პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს წლების განმავლობაში, რაც სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად გვხვდება, ხოლო შემოქმედებითი განვითარების დონე ნულოვანი რჩება.

ხელმძღვანელმა, რომელიც ახლად ჩამოყალიბებულ კოლექტივს განაგებს, უნდა შეისწავლოს მასწავლებელთა ინდივიდუალური შესაძლებლობები და ამის შემდეგ შესთავაზოს თავისი მუშაობის სტილი და რიტმი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შედეგს ვერ მიაღწევს. სკოლის დირექტორზეა დამოკიდებული კოლექტივის ზნეობრივი ურთიერთობები, მის წევრთა შემოქმეებითი განვითარების მაღალი დონე. მასწავლებლები თანდათანობით შეისწავლიან და პრაქტიკაში დანერგავენ თავიანთი კოლეგების მოწინავე გამოცდილებას, თანდათანობით მოწესრიგდება საგანთაშორისი კავშირები, ცალკეული საგნების მასწავლებელთა კონტაქტი კლასების ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოებთან. სკოლის ხელმძღვანელმა ორგანიზება უნდა გააკეთოს და მხარი დაუჭიროს ასეთ კონტაქტებს. ამ პერიოდში სკოლის ხელმძღვანელობა სიძნელეებს აწყდება, რადგან ზოგიერთი მასწავლებელი, დაბალი პედაგოგიური კულტურის გამო, დარწმუნებული არ არის იმ ფორმებისა და მეთოდების გამოყენების სისწორეში, რომლებსაც მათ სკოლის ხელმძღვანელი სთავაზობს და წინააღმდეგობას უწევს მას. ასეთ შემთხვევაში საჭიროა კოლექტივის წევრთა პედაგოგიური კულტურის ამაღლება, მასწავლებელთა მიერ ინდივიდუალური და კოლექტიური საქმიანობის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ, ეთიკურ და სხვა

მეცნიერებათა აქტუალური პრობლემების შესწავლა. პედაგოგიური შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძვლების იგნორირებამ, დაქვემდებარებულ მუშაკთა მიერ დროის ყადრის შეუფსებლობამ, სკოლის ხელმძღვანელი შეიძლება მიიყვანოს ახალ კონფლიქტამდე, ამიტომ ხელმძღვანელის ზრუნვა მასწავლებლის პედაგოგიური კულტურის ამაღლებაზე უპირველესი ამოცანაა!

ხელმძღვანელმა უნდა იზრუნოს კოლექტივის პროფესიული განათლების გაზრდაზე და არ შემოიფარგლოს მხოლოდ მოწინავე გამოცდილების დანერგვით. მასწავლებელთა წინაშე დგება რთული ამოცანა – დამოუკიდებლად მოძებნონ პასუხები მათ წინაშე დასმულ პედაგოგიურ კითხვებზე. პრობლემური ამოცანების შერჩევა, მათი გადაწყვეტისათვის ძალებისა და საშუალებების გამონახვა და განაწილება, მუშაობის ტრადიციული ფორმების გადასინჯვა უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს. კოლექტივში ამ პერიოდში შეიძლება მოხდეს დიფერენციაცია; აქაც ხელმძღვანელმა თავისი სიტყვა უნდა თქვას და არ დარჩეს მაყურებლის როლში. ხელმძღვანელის ამოცანაა გაზარდოს აქტივი დროებით ინდიფერენტული მასწავლებლის ხარჯზე, შეისწავლოს მათი შრომითი საქმიანობის მოტივები, მათი ინტერესები და ცხოვრებისეული გეგმები. ამ ამოცანების გადაწყვეტით შეიძლება ზნეობრივი ურთიერთობის ოპტიმიზაციის მიღწევა.

სკოლის დირექტორისათვის განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს მასწავლებელთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც აქტიურად უწევს წინააღმდეგობას ადმინისტრაციის კოლექტიურ მოთხოვნებს და განკარგულებებს, მათ შორის არიან უნარიანი, შემოქმედებითად მომუშავე პედაგოგებიც. მათთან მუშაობისათვის ხელმძღვანელს ესაჭიროება ტაქტი, მოთხოვნების კრიტიკულად შეფასების უნარი, ხელმძღვანელის საქმიანობის ასეთი სტილი ხელს უწყობს „ოპოზიციის“

ფენებად დაშლას, შემოქმედებითად მოაზროვნე მასწავლებელთა ჩაბმას კოლექტივის აქტიურ მუშაობაში, ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია ურთიერთნდობისა და მომთხოვნელობის პატიოსნების, თავდადების, კოლექტიური მოვალეობისადმი, კოლექტიური პასუხისმგებლობისადმი ერთგულება.

ამრიგად, სკოლის მასწავლებელსა და ხელმძღვანელთა ურთიერთობა მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის კოლექტივის შემოქმედებითი ზრდის პერიოდში. უცვლელი რჩება ძირითადი პრინციპები. თანამშრომელთა მიმართ ხელმძღვანელის მაღალი მომთხოვნელობა, მისი შეხამება ნდობასა და პატივისცემასთან. კოლექტივის წევრთა ინდივიდუალურ ღირსებათა და უნართა გამოვლენა, კოლექტივის თითოეული წევრის პერსონალური პასუხისმგებლობა კოლექტიური გადაწყვეტილების შესრულებაზე, მასწავლებელთა მისწრაფება პედაგოგიური კულტურის და პროფესიული დაოსტატების ამაღლების კოლექტიური ფორმებისადმი, ხელმძღვანელის ზრუნვა მასწავლებლის შრომისა და დასვენების პირობების შექმნაზე, მასწავლებელთა მიერ სკოლის ხელმძღვანელის მოთხოვნათა აქტიური მხარდაჭერა, როგორც კოლექტივში ზნეობრივი ურთიერთობის ნორმალიზაციის უმნიშვნელოვანესი პირობა და ჯანმრთელი, კეთილსასურველი, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საფუძველი. მასწავლებლებთან ხელმძღვანელების ურთიერთობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ყალიბდება ხელმძღვანელის მოფიქრებული მოქმედების შედეგად და სხვადასხვაგვარია როგორც ფორმით, ისე შინაარსით. ეს შეიძლება იყოს ზნეობრივი აღზრდის გაუმჯობესების, პროფესიული ორიენტაციის სისტემის სრულყოფის ამა თუ იმ ფაკულტატივის შემოღების მიზანშეწონილობის პრობლემები და ასე შემდეგ... ჩვეულებრივ, ეს საკითხები განიხილება

პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, ან შეიძლება გადაწყდეს ხელმძღვანელთა შორის,. საკითხების კარგად, მოფიქრებულად განხილვა არა მარტო მუშაობის ამა თუ იმ ფორმებისა და მეთოდების დანერგვის გზების კოლექტიური ძიებაა, არამედ პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების თავისებური სკოლაც არის. ასეთი განხილვა ხელს უწყობს მოსწავლეთა აზროვნების განვითარებას, კოლექტიური და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას, გამოცდილების განზოგადებას, მოსწავლეთა რიგების შემჭიდროვებას, ხელმძღვანელის სამართლინობა და ობიექტურობა თვალსაჩინო ვლინდება საკონტროლო ფუნქციების შესრულებისას თანამშრომელთა წახალისებისა და დასჯის ღონისძიებათა გამოყენების დროს. ამასთან დაკავშირებით წარმოიშობა პედაგოგიური ეთიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემ – პედაგოგიური კონტროლის ზნეობრივი ასპექტი. პედაგოგიური კონტროლის ეთიკური ასპექტის როლი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ოფიციალურად მოწმდება მასწავლებლის უნარიანობა, ინტელექტუალური შესაძლებლობა, ყველა ის პიროვნული თვისება, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. პედაგოგიური კონტროლი მკვეთრად გამოხატული მიმართულებისაა, მისი დანიშნულებაა საზოგადოებრივი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად განახორციელოს მოსწავლის პიროვნების გლობალიზაცია, მთელი მომავალი თაობის ზნეობრივი განვითარება. პედაგოგიური კონტროლი აუცილებელია განვავითაროთ ისე, როგორც ცნებების – „მასწავლებელი – მოსწავლე“, ასევე „მასწავლებელი – სკოლის ხელმძღვანელები“, „მასწავლებელი – სახელმწიფო“.

კიდევ? რეი ბერდბერი წერს, რომ „ყველა ადამიანს რაღაც უჟღარუნებს გულში, რაღაც ისეთი, ორაგულსა და ვეშაპს რომ ატრიალეს თავის ნებაზე, ყველაზე უმცირეს მიკრობსაც რომ უჩვენებს ცხოვრების მიზანს. და იცი, რას ამბობენ ეს

პატარა ეჟვნები, რომლებიც სულდგმულის გულში ხმიანობენ? წადით, გაიფანტეთ, მოედეთ მთელ სამყაროს, იარეთ, იცურეთ, აითვისეთ ეს და ეს ქვეყანა, ააგეთ ამდენი და ამდენი ქალაქი, რათა არასოდეს არ გადაშენდეს კაცობრიობა! გამიგე კერი? განა მარტო ჩვენ მოვედით მარსზე? მთელი კაცობრიობა მოვიდა აქ ჩვენისახით, ადამიანთა მოდგმა მოვიდა და ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რას შევქმნით ჩვენ ცხოვრების მანძილზე,. ეს ისეთი მნიშვნელოვანი რამაა, ისეთი თავზარდამცემი, რომ ლამის ხარხარი დავიწყო თავის გასამხნევებლად". დააკვირდით წინადადებებს: „განა მარტო ჩვენ მოვედით მარსზე? მთელ კაცობრიობა მოვიდა აქ ჩვენი სახით, ადამიანთა მოდგმა მოვიდა". მაშასადამე, ადამიანი მით არის ლამაზი, მით ეძლევა მას მოქმედების სტიმული და საერთოდ, მთელ მის არსებობას მაშინ აქვს გამართლება, როცა მისი საზრუნავი ვიწრო და პიროვნული კი არ არის, არამედ ზოგადსაკაცობრიოა. ამის აღსრულება კი როგორი ტიტანური ძალის პატრონიც არ უნდა იყოს, მარტო კაცს არ შეუძლია, იგი „ძმითაა ძლიერი".

ყოველი გაკვეთილი მაღალი ზნეობით უნდა დაიტვირთოს, მასწავლებელი ფხიზლად უნდა იდგეს აღზრდის პულტთან, მასალის სწორად სწავლებისათვის შემოქმედებითად უნდა გამოიყენოს მისი შინაარსი, ყურადღება გაამახვილოს ნაწარმოების არა მარტო იდეურ მხარეზე, არამედ განსაკუთრებით გამოიკვეთოს ტექსტის სტილი, მხატვრული გამოხატვის ფორმები, სიუჟეტის განვითარების ემოციური კალაპოტი, რადგან ეს ერთ-ერთი უძლიერესი საშუალებაა მსმენელზე ზეგავლენისა, მისი დაინტერესებისა.

მოზარდის სულიერი სამყაროს დახვეწა, მორალური თვისებების აღზრდა ქვეცნობიერად ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებით, მეზობელთან, სამუშაო კოლექტივებთან დამოკიდებულებით ყალიბდება. ბავშვი ნებით თუ უნებლიეთ

მოწმეა ოჯახური გულახდილი საუბრებისა. ამიტომ ყოველთვის გვმართებს თავშეკავება, ზომიერების დაცვა.

ვხედავთ როგორი გატაცებთ და სიყვარულით თამაშობენ მეზობლის გოგო-ბიჭები, მათ მოსწონთ, უყვართ ერთმანეთი, მშობლები კი ზოგჯერ უხეშად ერევიან ამ წმინდა ერთობაში და სიყმაწვილეში დაწყებული ლამაზი გრძნობა, თანდათან ივსება ფარისევლობის, ცინიზმის, გულგრილობის ელემენტებით, ეჭვქვეშ დგება მეგობრობა და ასე ჩნდება პიროვნების გაორება, გაორებული პიროვნება კი ვერ ჩამოყალიბდება კარგ ადამიანად.

პედაგოგებს დიდი სიფრთხილე გვმართებს დღეს, გონების არნახული განვითარების ეპოქაში, როდესაც ახალგაზრდობა მხოლოდ ჩვენი გაკვეთილებით არ სულდგმულობს, როდესაც მას გარს არტყია უამრავი ინფორმაციის წყარო, ათასგვარი ხერხით ცდილობს დაიოკოს ცნობის წადილი, მთავარი მიმართულების მიმცემი მაინც ჩვენ ვართ, მუდამ გვახსოვდეს, რომ აღმზრდელი პასუხს აგებს ქვეყნის წინაშე, ხალხის წინაშე.

თვით ცხოვრებამ დაწერა კანონი ადამიანის ეულად ყოფნის შეუძლებლობაზე, სიცოცხლე მაშინაა საინტერესო სიმდიდრეც მაშინაა სიმდიდრე, სილამაზეც მაშინაა მომხიბვლელი, დიდების კვარცხლბეკზე ასვლაც მაშინაა ნამდვილი და ყველაფერი ეს მაშინ მოგანიჭებს ჭეშმარიტ ბედნიერებას, როცა მას ვინმე იზიარებს, ჰყავს გულითადი შემფასებელი და დამფასებელი მეგობრის, მოკეთის და, ზოგადად, ადამიანის სახით.

მეგობრობას არა აქვს საგანი, მას ცხოვრება გვასწავლის. მეგობრობისათვის არ არსებობს დროისა და მანძილის პრობლემა, მთავარია სწორად გვესმოდეს მისი აზრი და სიკეთის უზადო სურვილი გვმოძღვრავდეს.

და გვაქვს უფლება მცირედად მოვადუნოთ ყურადღება

ერთმანეთის მიმართ? გვაქვს უფლება არ ვიყოთ კაცთმოყვარენი? არ ვითვისებდეთ ადამიანთა ხედვისა და შეცნობის ბრძნულ მეცნიერებას? არა, ნამდვილად არა, ეს დანაშაულია, როგორც გვითხრა ფრანგმა მწერალმა ანტუან დე ეგზიუპერიმ, „იყო ადამიანი ნიშნავს გრძნობდე შენს პასუხისმგებლობას“, პასუხისმგებლობა კი თანაბრად სერიოზულია ყველასათვის, მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველაზე მკაცრად მაინც ის აგებს პასუხს, ვისაც ყოველდღიური მთრთოლვარე შემოქმედებითი კავშირი აქვს მოზარდებთან, მომავლის ადამიანებთან...

ჩვენ ვკითხულობთ, ვუსმენთ, ვუყურებთ, თითქოს უზარმაზარ ამფითეატრში ვიმყოფებით, გამუდმებით ვუმზერთ იმის ანარეკლსა და გამოსახულებას, რაც ჩვენ და ყველას გარდაგვხვდება... და მაშინ როდესაც ცხოვრებაში ანაზდად მოხდება რაღაც ისეთი, ყველას რომ შეეხება და გულში გაჰკრავს. ეს გრანდიოზული თეატრი – ამფითეატრი აბორგდება, ალაპარაკდება, იწყება კამათი, მოწონებისა და მსჯავრდადების შეძახილები... თქვენც შეამჩნიეთ? თუმცა რაღა შემჩნევა უნდა, რომ დღეს საქართველოს მოქალაქეთა უმეტესობა ტელე-სერიალების გმირების გარემოცვით ცხოვრობს, არადა რა არის მათში საგულისხმო, თუ არა ის, რომ ახალგაზრდების დამოკიდებულება რეალობასთან გასული საუკუნის პედაგოგიურ ავადმყოფობად იქცა, რომელიც ამ საუკუნეშიც გრძელდება და ერთი სინდრომი აქვს: – მშობლები ბავშვებს ყველაფერს აძლევენ და იმავდროულად თავიდან იშორებენ მათ...

– მე რომ კერძო სკოლა მქონდეს?

ჩემი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებიდან დავადგინე, რომ ყველაზე მთავარი ბავშვის ასაკის შეყვარებაა, ეს ძალზე რთული, მაგრამ ამავდროულად ძალზე აკცილებელი ატრიბუტია პედაგოგიური მუშაობის სრულყოფისათვის,

ბოლო რამდენიმე წელია აკადემიებისა და უნივერსიტეტების პარალელურად აღმზრდელობით ისეთ კერასაც ვხელმძღვანელობ, როგორიც კოლეჯებია. აქ კი სტუდენტთა უმეტესობა ცხრაკლასდამთავრებული მოდის, მათ ასაკს სამედიცინო ლექსიკოლოგიით გარდატეხის პერიოდი ჰქვია. ესე იგი მეცჰხრე კლასამდე მოზარდს აღმზრდელისა და მშობლის შიში აქვს, ხოლო მეთერთმეტე კლასის ასაკიდან შიშის გრძნობა ხათრით, მორიდებით იცვლება. და არსებობს სწორედ ის გარდატეხის პერიოდი მეცხრედან მეთერთმეტე კლასის ასაკამდე, როცა მოზარდს შიშის გრძნობა განელებული, ხოლო ცნება ხათრი საერთოდ არ გააჩნია, ესაა ყველაზე უმართავი პერიოდი, სადაც პედაგოგიური მუშაობის სრულყოფილება თითოეული აღსაზრდელის ინდივიდუალიზმზე უნდა ააგო. ეს გაცილებით რთულია კოლეჯის სტუდენტებთან, სადაც ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებს კი არა, სპეციალობას ეუფლებიან. სტუდენტთა ახალი ნაკადის გაცნობას სასწავლო წლის დაწყებისთანავე სხვადასხვა ორიგინალობით ვახერხებ, ნახო საკუთარი თავი... ამ მიზნით პირველკურსელთა პირველი დავალება ყოველთვის უცვლელი მაქვს: – დაწერონ თხზულება თემაზე „მე რომ ამ სასწავლებლის რექტორი ვიყო...: შემდეგ, ამ ნაშრომების განხილვის კვალობაზე, პრაქტიკულად ვდგამ გაბედულ ნაბიჯებს სასწავლებლის შემდგომი პერსპექტივით... მაგრამ ეს როდია ამოწურვა საკითხთა გლობალიზაციის. ჩემთვის მთავარია თითოეული სტუდენტი ვიცოდე და ამ ცოდნის გათვალისწინებით, წინაგანი „მე“-ს შეცნობით მის სულიერებას ჩავწვდე. ამიტომაც ხშირად ლექციაზე ადამიანურ გრძნობებზე ვსაუბრობ.

– აბა მარიამ! – მივმართავ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტს – წავიოცნებოთ... შენ დაამთავრე ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, გათხოვდი, შენი ქმარი შენსავით

კეთილი და კარგია... ოცნებაც აგიხდა, სამსახური ტელევიზიაში დაიწყე... საინტერესო სიუჟეტებს ამზადებ, გვერდით ყოველთვის გყავს სიმპათიური ოპერატორი, თქვენ მეგობრობთ, თანდათან ამჩნევ, რომ ეს მეგობრობა სხვა გრძნობაში, უფრო დიდ გრძნობაში, სიყვარულში იზრდება... სამსახურში მარტო პროფესიონალიზმის სიყვარულით კი არა, გიორგის შესახვედრადაც იჩქარი... ვის გაუმხელ ამის შესახებ პირველად? არადა თქმა აუცილებელია... შინაგანი ხმა გტანჯავს...

– ვის გავუმხელ? პირველ რიგში მეგობარს!

– ვინაა შენი მეგობარი?

– უპირველესად ჩემი და,

– როგორია ის?

მარიამი გატაცებით მოგვითხრობს თავის დაზე, თავის უპირველეს მეგობარსა და მესაიდუმლეზე და თან საკუთარ სახესაც გვაჩვენებს... ამ საკითხით ჩემზე არანაკლებ ინტერესდებიან თანაკურსელები...

– კიდევ, კიდევ ვის გაუმხელ ამ გრძნობის არსებობას?

– დედას!

– დედას? – ჩავეძიე – ბედნიერებაა თუ ასეთი რამ შეგიძლია დედას უთხრა.

– დიახ! ის ჩემი ყველაზე საუკეთესო მეგობარი და გამგებია, დედა ყველაფერს გამიგებს, მე მას არაფერს ვუფიცავ, ჩვენს შორის დამალული არაფერია...

ასე ვეცნობი მარიამის შინაგან ბუნებას მის ოჯახთან ერთად, უკვე ვიცი როგორ ვიმუშაო მასთან!

მომდევნო ლექციაზე ისევ ორიგინალური ხერხით ირინას შინაგან სამყაროს გავეცნობი...

– ბატონო გარი, როგორი ურთიერთობა უნდა იყოს ლექტორსა და სტუდენტს შორის?

– აუცილებლად კოლეგიალური! ეს ურთიერთთანამშ-

რომლობის მოტივი კი ორივე მხარეზა დამოკიდებული. მე ვთვლი, რომ სტუდენტის ასაკის პიროვნებას აღმზრდელის შიში არ უნდა ჰქონდეს. შეიძლება ხანდახან ვიყვირო, მაგრამ არა იმიტომ, რომ ბრაზიანი ვარ! სხვათა შორის, ვინც მე არ მაინტერესებს, იმას არც ვუყვირი... ზოგჯერ აშკარად ჩანს, რომ სტუდენტს სწავლა არ უნდა, ერთხელ ეტყვი, მეორეჯერ აუხსნი, ბოლოს დაუყვირებ კიდეც! უცხოეთში კი ეს პრობლემა არ დგას. იქ 15-16 წლისანი კი არ მიდიან სასწავლებელში, არამედ გაცილებით დიდები და ჭეშმარიტად ცოდნის მიღების სურვილს მოწყურებულნი...

ყველა ქვეყანას თავისი საგანმანათლებლო სისტემა აქვს. თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ ინგლისელები ხუმრობდნენ: – ჩვენებური კრიკეტი და ინგლისის განათლების სისტემა შეუძლებელია ავუხსნათ და გავაგებინოთ უცხოელებსო... აქ შევხვდებით სხვადასხვა ტიპის სკოლებს, სწავლების სხვადასხვა მეთოდებს, განსხვავებულია პროგრამები, შეფასების სისტემები. ყველა ბავშვის ერთნაირი ტიპის სკოლებში, ერთნაირი პროგრამით სწავლება, ინგლისელთა უმრავლესობის განუხორციელებელ ოცნებად რჩება. ინგლისის სკოლა ვითარდება სახელმწიფოებრივი კანონების ქვეყნის უნივერსიტეტებისა და მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ფინანსური მონოპოლიების, მასწავლებელთა პროფკავშირების და ხშირად თვით მოსწავლეთა მოთხოვნების შესაბამისად.

განათლების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საკითხია ჩვენთვის, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებისათვის. საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ ასწავლიან ბავშვებს სხვადასხვა ქვეყანაში, როგორ სკოლებში ზრდიან მათ, როგორი პროგრამები და სწავლების მეთოდები აქვთ, მაგრამ არსებულ დღევანდლობამდე. მსურს ინგლისის განათლების წარსულის გადასახდიდან დავინახოთ ორიოდ საუკუნის წინანდელობა, დიახ, XVIII საუკუნის დასაწყისში.

სამრეწველო რევოლუციამ, ახალ იდეათა აღზევებამ, რამაც მთლიანად მოიცვა ინგლისის საზოგადოება, თავისთავად წარმოშვა განათლების მოთხოვნილება. ყველას სურდა გარკვეულიყო პოლიტიკაში, ჩაეხედა მიმდინარე მოვლენათა არსში, უფრო ჩაღრმავებოდა მეცნიერულ პრობლემებს, გასცნობოდა მრეწველობაში მიმდინარე ახალ-ახალ პროცესებს. ქვეყანას კი არ გააჩნდა სკოლების ფართო ქსელი, რომ მშრომელი მასებისათვის განათლება მიეცა. დღის წესრიგში პირველ საკითხად დადგა წერა-კითხვის სწავლება.

ამ საპატიო მისიას ეკლესია და რამდენიმე საქველმოქმედო საზოგადოება ასრულებდა. 1730 წლიდან თანდათან შესუსტდა ეკლესიის გავლენა და საუკუნის დასასრულისათვის ინიციატივა ახალი კლასის ხელში გადავიდა, ეს პროცესი განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა ახლადშექმნილ სამრეწველო რაიონებში ახალი კლასი დაინტერესებული იყო განათლება მიეღოთ როგორც მოზარდებს, ისე არასრულწლოვანებს. მრეწველობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბავშვთა იაფ შრომას, რომელსაც საოჯახო ბიუჯეტში გარკვეული წილი ედო, ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი იმის თაობაზე, რომ დაბალი კლასის წარმომადგენლები – ბავშვები თუ უფროსები, საჭიროებდნენ განათლებას. ასე რომ, საშიში რევოლუციონერის სახელი ემუქრებოდა მას, ვინც მათთვის სკოლის გახსნას მოინდომებდა.

1863 წელს თემთა პალატას წარუდგინეს და 1870 წელს მიიღეს აქტი დაწყებითი განათლების შესახებ. აქტი მიზნად ისახავდა, სახელმწიფო მხარდაჭერით განემტკიცებინა კერძო პირთა და ქველმოქმედთა მეცადინეობა.

აქტი ფორმალურ სახეს ატარებდა და ეწინააღმდეგებოდა როგორც სამუშაოს გამნაწილებელი, ისე მშობელთა სურვილებს. პირველნი ვერ ელეოდნენ ბავშვთა იაფ შრომას, მე-

ორენი კი ბავშვების დამატებით ხელფასს, რომელიც ოჯახსაც სჭირდებოდა და ბავშვების სწავლასაც.

სწორედ ამ წინააღმდეგობის შედეგად გაჩნდა საღამოს, საკვირაო და სამუშაოდან მოუწყვეტლივ სწავლების ახალი ფორმები.

ადრეული საღამოს და საკვირაო სკოლები დაარსდა ჯერ კიდევ 1698 წელს სიღატაკით გამოწვეულ გაუნათლებლობასთან საბრძოლველად. სკოლები დააარსა ქრისტიანული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. 1711 წლიდან ეს სკოლები ემსახურებოდა ღარიბი კლასის წარმომადგენელ მოზრდილ მოსახლეობასაც, სკოლები, ბუნებრივია, იხსნებოდა კერძო პირთა ინიციატივით და მიზნად ისახავდა მცირეოდენი განათლება მიეცა მუშებისათვის და იმ პირებისათვის, ვისაც არ შეეძლო სწავლების ქირის გადახდა დღის სასწავლო დაწესებულებაში.

ამ სკოლების რაოდენობა საგრძნობლად გაიხარდა 1790-1820 წლებში და უფრო გვიან – XIX საუკუნის შუა ხანებში.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლებს ჰქონდა მკვეთრი რელიგიური მიმართულება, მაგრამ მათ მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს უფროსი ასაკისა და მოზარდი მოსახლეობის საღამოს და საკვირაო სწავლების ჩამოყალიბება-განვითარებაში.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ ასეთ სკოლაში სწავლობდა წერა-კითხვას ცნობილი ინგლისელი გამომგონებელი სტივენსონი. ის მაშინ 18 წლის იყო და სწავლის ქირად კვირაში სამ პენსს იხდიდა.

1850 წლისთვის საღამოს სკოლებში მოსწავლეთა რიცხვმა ისე იმატა, რომ საღამოს სკოლების მხარდამჭერი სპეციალური მოძრაობაც კი გაჩნდა, 1850 წლის ოფიციალურ, ყოველწლიურ მოხსენებაში აღნიშნულია სკოლებისა და მოსწავლეების რიცხლბრივი ზრდა როგორც ქალაქად, ისე

სოფლად. სკოლების მიზანი იყო მიეცა სწავლის გაგრძელების საშუალება მათთვის, ვისაც უკვე ჰქონდა ელემენტარული ცოდნა.

სამრეწველო რევოლუციის საფუძველზე აღნიშნული ტიპის სკოლების გვერდით დაარსდა სხვაგვარი, წმინდა ტექნიკური მიმართულების მქონე სასწავლებლებიც. ამ სკოლების შექმნის აუცილებლობა უკავშირდება მექანიკის ინსტიტუტის აღმავლობის ხანას 1815-1816 წლებში. ეს სკოლებიც და ინსტიტუტებიც ნათელი ილუსტრაციაა იმდროინდელი ინგლისის მუშათა კლასის მისწრაფებისა სწავლა-განათლებისკენ. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში.

ინსტიტუტებს მაღალი მისია ეკისრებოდათ. მათ უნდა დაეკმაყოფილებინათ მუშათა სურვილი, ჩასწვდომოდნენ მეცნიერებათა საიდუმლოს, რაც მრეწველობაში რევოლუციას ახდენდა. ასეთი ინსტიტუტები იხსნებოდა მთავარ ინდუსტრიულ ცენტრებში, ხშირად პატარა ქალაქებგშიც.

სამრწველო რევოლუციამდე თვით სამრწველო საწარმოებს (სახელოსნოებს) ევალებოდათ კადრების მომზადება შეგირდთა აღზრდის გზით. სისტემის თანდათან დაქვეითება უკავშირდება მექანიკის ინსტიტუტებს, როგორც პროფესიული მომზადების ახალი ფორმის წარმოქმნას.

ინსტიტუტების საქმიანობის პროცესში გამოიკვეთა ორი პრინციპი, რომლებიც წამყვან პრინციპეტად ითვლებოდა შემდგომი ხანგრძლივი პერიოდისათვის.

ერთი იყო ის, რომ ინსტიტუტები მუშებს აცნობდნენ პროფესიის მეცნიერულ საფუძვლებს. წმინდა პროფესიული მომზადება კი კვლავ დამქირავებლის ხელში იყო, რადგანაც ისინი ერიდებოდნენ საწარმოო საიდუმლოს გამჟღავნებას.

მეორე – მხარეთა უსიტყვო შეთანხმების მიხედვით დადგინდა, რომ მუშას მეცნიერული პრინციპების შესასწავლად საკუთარი (სახელოსნოში მუშაობიდან თავისუფალი) დრო

უნდა გამოეყენებინა და ხარჯებიც საკუთარი გაეღო. ინსტიტუტებში სწავლება იმთავითვე ფასიანი იყო.

სასწავლო გეგმას საფუძვლად ედო ან მხოლოდ ლექციები ანდა ლექციები რაიმე თვალსაჩინოებით. მალე ნათელი გახდა, რომ სწვლების მეთოდები გაუმჯობესებას მოითხოვდა და ბევრმა ინსტიტუტმა პროგრამაში დამატებით შეიტანა საღამოს პრაქტიკული მეცადინეობა. აქ ისეთი საგნები როგორიცაა ქიმია და მექანიკა, ისწავლებოდა უფრო სისტემატურად და პრაქტიკული განხრით. მუშათა საერთო განათლების დაბალი დონე დიდ სირთულეებს ქმნიდა მეცადინეობის ნაყოფიერი წარმართვისათვის. ამიტომ შეიქმნა სპეციალური კლასები წერა-კითხვისა და ელემენტარული მათემატიკის შესასწავლად. ინსტიტუტთა უმრავლესობას ჰქონდა თავისი ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი სამეცადინოდ. სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა სწავლების პროცესის სრულყოფას.

მექანიკის ინსტიტუტის განვითარებაში კიდევ ერთ მამოძრავებელ მომენტად იქცა 1853 წლის მსოფლიო გამოფენა, რომელმაც გამოავლინა რიგი ქვეყნების მნიშვნელოვანი სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესი, ინსტიტუტების ბაზაზე კი დაარსდა ტექნიკური კოლეჯები, რომელთა სახელოვანი მემკვიდრენი დღესაც მოწინავეთა სახელით სარგებლობენ, ესენია კოლეჯები მანჩესტერში, ლივერპულში, ლიდსში...

დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ კოლეჯის რექტორებს ისინი აკომპლექტებენ პედაგოგიურ სპექტრს, არჩევენ სახელმძღვანელოებს... უზრუნველყოფენ სასწავლო პროგრამების შედგენასა და მათ შესრულებას. საყურადღებო ისაა, რომ ინგლისში თითოეულ სკოლასაც კი თავისი ინდივიდუალური პროგრამა აქვს, რასაკვირველია, არის გარკვეული შესაბამისობა ამ პროგრამებს შორის, განსაკუთრებით ერთი ტიპის სკოლათა პროგრამებს შორის, რადგანაც

სწავლება ერთ ორიენტირს ითვალისწინებს – გამოცდებს, სკოლის დამთავრების ატესტატის მისღებად და მაინც, მიუხედავად შეჩვევისა, ყოველივე ეს გარკვეულ სიძნელეებს ქმნის სკოლების შერჩევისას, საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას და ასე შემდეგ. როგორც ინგლისელი პედაგოგები და სკოლის დირექტორები ამბობენ, საგნების პროგრამების და სახელმძღვანელოების შერჩევა ხშირად დამოკიდებულია ტრადიციებზე, მოდაზე ან სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ გადაწყვეტილებაზე. დირექტორს მოეთხოვება მხოლოდ ერთი რამ: დაუმტიცოს სამეფო ინსპექტორს, რომ მის მიერ შედგენილი პროგრამა უპასუხებს განათლების თანამედროვე ამოცანებს, იმ უნივერსიტეტების მოთხოვნებს, რომლებიც ადგენენ პროგრამებს სიმწიფის ატესტატის მისაღებად. სხვადასხვა სკოლის პროგრამებსა და სწავლების მეთოდებში სხვაობა ისე დიდია, რომ ყოველ ქალაქში არსებობს „კარგი“ და „ცუდი“ სკოლა, ისინი პროგრამების გარდა გამოირჩევიან სწავლების ხარისხით, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შემადგენლობით, სასწავლო კაბინეტების აღჭურვილობით. იმისათვის, რომ ბავშვი პრესტიჟულ სკოლაში მიაბარონ, მშობლები ხშირად იძულებულნი არიან შეიცვალონ საცხოვრებელი ადგილი, სპეციალურად ატარონ ისინი შორ მანძილზე, ან გადასახადი გადაიხადონ ფასიან სკოლაში. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს იღებს სათავეს გრამატიკული სკოლა-გიმნაზიები – გოგონათა და ვაჟთა ცალ-ცალკე სწავლების ტრადიციებით. აქ ინგლისელებთან ერთად სწავლობენ არაინგლისური წარმოშობის ბავშვები, რომელთა მშობლები წარმატებებს აღწევენ რეწველობაში, ბიზნესში, მეცნიერებათა თუ საერთოდ პროფესიაში და შეუძლიათ გადაიხადონ წელიწადში 1500 გირვანქა სტერლინგი. მშობლებმა უნდა იყიდონ სასკოლო ფორმები და ჯიბის ფულითაც მოამარაგონ შვილები კლუბის ხარჯებისათ-

ვის. ამ სკოლებში ბავშვებს იღებენ 11 წლის ასაკიდან. მათ უნდა ჰქონდეთ დადებითი დახასიათება დაწყებითი სკოლის დირექტორისაგან. ისინი აბარებენ მისღებ წერით გამოცდას და გადიან გასაუბრებას. ასეთ სკოლებში სწავლა, უსათუოდ, დიდ გარანტიას იძლევა, რომ მისი კურსდამთავრებული ქვეყნის საუკეთესო უნივერსიტეტების – ოქსფორდის, კემბრიჯისა და ლონდონის უნივერსიტეტების სტუდენტები გახდებიან. საშუალო სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობენ ნებისმიერი უნარისა და ყველა სოციალური კლასის წარმომადგენელთა შვილები, სწავლა უფასოა, მეცადინეობენ საერთო პროგრამით 13-დან 16 წლამდე, შემდეგ კი სპეციალური პროგრამებით, სურვილის, მიდრეკილებების (ხელოვნებისადმი, ზუსტი და ჰუმანიტარული მეცნიერებებისადმი) მიხედვით 18 წლამდე. მათ იღებენ შესარჩევი გამოცდების გარეშე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპია და იყოფა საშუალო და „უმაღლეს“ (სრულ) საშუალო სასწავლებლად. ნებისმიერი სკოლის მოსწავლე, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის სკოლას დაამთავრებს, გამოცდას აბარებს ატესტატისთვის ზოგად საგნებში. საშუალო სკოლის ატესტატს აქვს ორი დონე – აღმატებითი დონის ატესტატის ასაღებად სწავლა გრძელდება 2 წლით – 18 წლამდე. გრამატიკულ სკოლებში 16-17 წლამდე. საშუალო სკოლის ატესტატის მისაღები გამოცდების პროგრამათა მოთხოვნეი, რომლებსაც ადგენენ უნივერსიტეტები, ყოველწლიურად იცვლება, შესაბამისად იცვლება სკოლების სასწავლო პროგრამებიც. ყველა გამოცდა ტარდება წერითი ფორმით – მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ გარკვეული რაოდენობის კითხვებს, რომლებიც ხშირად ზოგადი ხასიათისაა და ამოწმებს მოსწავლეთა წარმოსახვით უნარს, კითხვების ნაწილი განეკუთვნება ტექსტებს. საინტერესო დეტალია: თუ მოსწავლე ხელმეორედ აბარებს

გამოცდას, მშობლებმა ამ გამოცდისათვის გარკვეული გადასახადი უნდა შეიტანონ.

ქვეყანაში სახელმწიფო და ფასიანი სკოლების გარდა არის, აგრეთვე, რომაულ-კათოლიკური, ინგლისური, ებრაული და სხვა ეკლესიების მიერ ნაწილობრივ დაფინანსებული სკოლებიც. საგანმანათლებლო კანონმდებლობა რელიგიურ აღზრდას ყველა სკოლისთვის ითვალისწინებს. თუმცა განათლების მუშაკთა, დირექტორებისა და თვით მოსწავლეთა ჩვენებით „რელიგიური მოძღვრებანი“ და დილის ლოცვანი თანდათანობით სულ უფრო ხშირად იცვლება „მორალის კითხვით“, მოკლე ლექციებით სოციალურ თემებზე, ურთიერთობების, ქალაქისა და შრომის შესახებ საუბრებით. ამისათვის ყველა მოსწავლეს კვირაში ერთხელ კრებენ დარბაზში, სადაც ესაუბრება სკოლის დირექტორი, მასწავლებლები და ბოლოს იმართება მოკლე ლოცვა.

თანამედროვე ინგლისური სკოლის მიზანი, როგორც აღნიშნავენ განათლების სისტემის წარმომადგენლები, – არის განუვითარონ მოსწავლეებს პრაქტიკული ჩვევები, ასწავლონ მათ, თუ როგორ უნდა აკეთონ, როგორ უნდა შეძლონ კეთება და არა მხოლოდ ცოდნით შეაიარაღონ ისინი. ეს მთავარი დებულება წითელ ხაზად გასდევს პროგრამებს, სასწავლო პროცესის ორგანიზაციას, სავარჯიშოების ტიპებს.

ვაჟთა სკოლა-გიმნაზია ინგლისელი ინტელიგენციის, მრეწველობის, ადმინისტრაციული და საქმიანი კადრების ძირითადი შევსების ეს აკვანი ძალზე სოლიდურად გამოიყურება, აგერ უკვე 450 წელია, რაც მისი მესვეურნი, როგორც სხვა „დამოუკიდებელი სკოლები“, ანგარიშს არ აბარებენ განათლების სამინისტროს, თუმცა აქ დიდი ხანია აღარაა შუასაუკუნეების ტრადიციები. ამ სკოლაში ასწავლიან ვაჟებს 11-დან 15 წლამდე საერთო განათლების ატესტატის მისაღებად, 17-18 წლამდე აი დაწინაურებული პროგრამის

ატესტატის მოსაპოვებლად, სკოლას ათასობით მოსწავლე ჰყავს. იგი ყოველწლიურად, ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ დადგენილი წესის მიხედვით, სასწავლებლად კონკურსით და დაწყებითი სკოლისა და სკოლების საქალაქო განყოფილების რეკომენდაციით იღებს ათობით მოსწავლეებს, რომელთა მშობლებს არ შეუძლიათ სწავლის ქირის გადახდა. სკოლის შუასაუკუნისდროინდელი ნაგებობა უკანასკნელ წლებში გაფართოვდა თანამედროვე შენობებით,. აქ აქვთ მდიდარი ბიბლიოთეკა თავისუფალი სარგებლობისათვის, შესანიშნავად მოწყობილი კაბინეტები, სასკოლო სახელმძღვანელოები, ფიზკულტურის დარბაზი, საცურაო აუზი. სკოლა კავშირს არ წყვეტს თავის კურსდამთავრებულებთან, იმართება კურსდამთავრბულთა შეხვედრა-სადილები სკოლის მოსწავლეებთან, აქ პატივს სცემენ თაობათა მემკვიდრეობითობას, მოსწავლეებს სავალდებულო ფორმები აცვიათ. სკოლის მოსწავლეები დაყოფილნი არიან განყოფილებებად, რომელთა სპორტულ და საკლუბო მუშაობას მოსწავლე-პრეფექტები ხელმძღვანელობენ. პრეფექტთა ჯგუფი – რამდენიმე რჩეული უფროსკლასელი ყურადღებას აქცევს აგრეთვე დისციპლინას. კვირაში ერთხელ გაკვეთილების წინ განყოფილებები მორიგეობით იკრიბებიან სკოლის სააქტო დარბაზში, სადაც მოსწავლეების წინაშე სიტყვით გამოდის დირექტორი. ის საუბრობს სწავლის საკითხებზე, დისციპლინაზე, აკეთებს სხვადასხვა განცხადებას, იძლევა რჩევა-დარიგებას...

ინტეგრირებული სწავლების სკოლებში სწავლის პირველ წელს სავალდებულო საგნებად ითვლება მათემატიკა, ინგლისური ენა, გარემო, სამყარო, ფიზიკა, ქიმია, ისტორია, გეოგრაფია, ფიზკულტურა, ხელოვნება, მეოჯახეობა, დრამა, მუსიკა, სანიტარული განათლება, მიმდინარე მოვლენები, ფული, ბუნების დაცვა, პრაქტიკული კურსები: – ბავშვების

მოვლა, მოძრაობის საშუალებათა ტექნიკური მონაცემები. საბიბლიოთეკო საქმე, რელიგიური აღზრდა.

სკოლის ძირითადი საგნების პროგრამაშია „მითითებანი პროფესიის არჩევისათვის“ (გზა კარიერისკენ) სკოლაში სპეციალურ საგნად ითვლება „დრამა“, რომელიც განიხილება როგორც უნარი ადამიანებთან ურთიერთობისა სპორტში სავალდებულო მეცადინეობათა დიდი ნაწილი ეთმობა თამაშებს ღია ცის ქვეშ, ლაშქრობებს, სანაოსნო სპორტს. ამ მეცადინეობებში აბამენ ინვალიდ ბავშვებსაც, სკოლაში შესვლისას ბავშვებს არჩევენ უნარის შესაბამისად – მათ ანაწილებენ ჯგუფებში იმისდა მიხედვით, თუ რისადმი იჩენს მიდრეკილებას – მათემატიკისადმი, ენებისადმი, მუსიკისადმი... სწავლების მეორე წლის ბოლოს შემდეგი განაწილებაა: – მოსწავლეები ირჩევენ საგანს იმისდა მიხედვით, თუ რაში გამოიჩინეს ნიჭი. უფროს კლასში სავალდებულოა მათემატიკა, ინგლისური ენა, ფიზიკური აღზრდა, „მითითებანი პროფესიის არჩევისათვის“, ხუთი სხვა საგანი მოსწავლეთა შერჩევით, რომელთა შორის არის სპეციალური კურსი – ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, დაწინაურებული დონით კვლევის სამეცნიერო მეთოდების სწავლებით, – ინტეგრირებული სამეცნიერო კურსი, რომელსაც სკოლის საბჭო ამუშავებს.

„დრამის“ კლასში მოსწავლეებს ნება ეძლევათ თვითონ ამოირჩიონ შემსრულებელი პირები, განიხილონ, თუ როგორ დგას ცალკეული სურათები მაგალითად, მესამეკლასელები გაკვეთიქზე, ფიქრობდნენ როგორ გამოეხეტათ შიში და გადაწყვიტეს გაეთამაშებინათ სოფელში ალქაჯის შემოსვლის სცენა, მათ გამოსახეს მისი ბოროტი საქმეები მისი გამოაშკარავება, სასამართლო და ა.შ. დრამის გაკვეთილების კურსს გადის სკოლის ყველა მოსწავლე ერთი სემესტრის ხანგრძლივობით მაინც. ეს შედარებით ახალი მეთოდი, როგორც დირექტორმა შენიშნა, მეტად თანამედროვეა და სასარგებ-

ლო. დრამის საშუალებით შეიძლება შევცვალოთ მოსწავ-ლეთა მსოფლმხედველობა, სინამდვილის მათეული აღქმა, დრამა, აგრეთვე, ხელს უწყობს მათი ლაღი ურთიერთობების განვითარებას, ასწავლის ორიენტირებას გარკვეულ სიტუ-აციაში... სხვა კლასში დრამის გაკვეთილზე მოსწავლეებს მიეცათ დავალება მოეწყოთ ექსპედიცია პლანეტაზე, მო-ეფიქრებინათ, თუ რატომ იგზავნება ექსპედიცია იქ, დაეწე-რათ სცენარი და გადაეღოთ დოკუმენტური ტელეფილმი მის შესახებ. კლასი ჯგუფებად დაყო. ისინი ადგნენ ექსპედიციის მარშრუტს, მარშრუტების რუკას, წერენ სცენარს – მიმდი-ნარეობს სერიოზული როლური თამაში...

ინგლისელ მოსწავლეთა მშობლები დიდ როლს ასრუ-ლებენ სკოლის ცხოვრებაში. ბევრ რამეში გათვალისწინე-ბულია მათი სურვილები. მაგალითად, მათ შეუძლიათ არ დაუშვან ბავშვები რელიგიურ განათლებაზე, ბავშვების მეშ-ვეობით მშობლები იღებენ ბროშურებს სკოლის წესებზე და ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას საშინაო დავალებების გეგმას, მათ ევალებათ შეამოწმონ, თუ როგორ ასრულებენ დავალებას მათი შვილები წლის განმავლობაში...

იუგოსლავიის სკოლებში კი რეფორები გრძელდება. ისე-ვე როგორც ჩვენთან, იქაც რეფორმა გულისხმობს განათლე-ბის სტრუქტურისა და შინაარსის შემდგომ გაუმჯობესებას, ყოველივე დრომოჭმულის თავიდან მოცილებასა და სამეც-ნიერო-ტექნიკური პროგრესით ნაკარნახევი სიახლეების გაბედულად დამკვიდრებას, ლიუბლიანის ერთ-ერთ რაიონ-ში – ბეჟიგრადში – ფუნქციობს საბუნებისმეტყველო – მათე-მატიკური საშუალო სკოლა, რომელიც აპრილის თვეში აწ-ყობს ღია კარის დღეს – მიღებისა და სწავლების პირობების გასაცნობად. აქ მისაღებად ივნისში ტარდება გამოცდები. ამ სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა ხუთქულიანი და სიტყ-ვიერი შეფასების სისტემები. ეს უკანასკნელი გამოიყენება

ფაკულტატურ საგნებსა და ფიზიკურ აღზრდაში შეფასების შემდეგი ფორმულირებით: ნაკლები წარმატება, წარმატება, ძლიერი წარმატება. აფასებენ მოსწავლის მონაწილეობას სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში. ყოველი კლასისა და შემდეგ კი სკოლის დამთავრებისას მოსწავლე იღებს საბუთს, რომელშიც აღრიცხულია ყოველგვარი შეფასება. მასწავლებელი მოსწავლეს წინასწარ უცხადებს ნიშანს, რომელსაც ასაბუთებს კონფლიქტის აღძვრისას მოსწავლე ასაჩივრებს ნიშანს მოსწავლეთა სასკოლო საზოგადოებაში, დადებითი პასუხის შემთხვევაში მოსწავლეს გამოცდის სამი მასწავლებლისაგან შემდგარი კომისია. საყურადღებოა ისიც, რომ აქ საშუალო სკოლებში მოქმედებს ორი ტიპის სახელმჭძღვანელო. მაგალითად, ფიზიკის სახელმძღვანელო, შესაბამისად, ტექნიკური და ჰუმანიტარული მიმართულების სკოლებისათვის. პირველი ტიპის, ტექნიკურ სახელმძღვანელოებში ჭარბობ თეორიულ-გაანგარიშებითი მასალა, ხოლო ჰუმანიტარულში – საკითხები ფიზიკის ისტორიიდან.

ძირითადი სკოლის VII და VIII კლასებში გამოიყენება მხოლოდ ერთი ტიპის სახელმძღვანელოები, რომელნიც მოსწავლეს აცნობს ფიზიკის საფუძვლებს და მისი ყველა განყოფილებიდან საშუალო სკოლაში გამოიყენება სავარჯიშოებისა და მოსწავლეთა ცოდნის მხოლოდ სწორ პასუხთა შერჩევის მეთოდით შესამოწმებელი ამოცანების კრებულები. მასწავლებელთათვის გამოიცემა დამხმარე მეთოდიკური და საცნობარო ლიტერატურა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ დაწყებით კლასებში პირველ სამ წელიწადს მშობლიურ ენასა და მათემატიკაში მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ მხოლოდ სამუშაო რვეულები, რომლებიც ერთდროულად ასრულებს ჩვენებური სახელმძღვანელოებისა და რვეულების ფუნქციას, სწავლების მეთოდიკის არსი ასეთია: მოსწავლე რვეულში გაეცნობა დავალებას, რომელიც მოით-

ხოვს ადრე შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების აღდგენას, კითხვებზე პასუხების დაფიქსირებას. რვეულშივეა მოცემული ახალი სასწავლო ინფორმაცია, მისი შეთვისება-გააზრებისათვის საჭირო დავალებები (კითხვები, ამოცანები). მაშასადამე, გამოიყენება ერთ კრებულად კომბინირებული „სახელმძღვანელო-სამუშაო რვეული“.

ყურადღებას გავამახვილებ ქალაქ კოპერის სკოლის შენობაზე, იგი თანამედროვე არქიტექტურის მეტად საინტერესო ნიმუშია, დერეფნებისა და კიბეების უმრავლესობა გამოყენებულია არა მარტო კლასიდან კლასში მოსწავლეთა გადასასვლელად, არამედ იგი არის გონივრული დასვენების ადგილი.

ქალაქ იასენიცეში არსებული სკოლა საინტერესოა იმით, რომ აქ გაკვეთილები და სხვადასხვა ღონისძიება უწყვეტად ერწყმის ერთმანეთს, ნიშანდობლივი ფაქტია – სკოლაში მხოლოდ ერთხელ ირეკება ზარი, რომელიც სააღმზრდელო სასწავლო დღის დაწყების მაუწყებელია. შემდეგ? შემდეგ კი გაკვეთილები გრძელდება იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა სასწავლო მასალის ასათვისებლად, მისი თავისებურებებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. გაკვეთილი შეიძლება გაგრძელდეს 30 წუთსაც და 1 საათსაც, პედაგოგები თვითონ არეგულირებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის რიტმს. რა თქმა უნდა, სასწავლო ცხრილის შეცვლა იგეგმება წინასწარ – წინა დღეს, რაც სრულიად გამორიცხავს ინდივიდუალურ, თუნდაც ჯგუფურ, თვითნებურ გადაწყვეტილებებს...

აქვე მინდა მკითხველს მოკლედ შევახსენო ევროპაში უნივერსიტეტების დაარსების ისტორია, სადაც კათოლიკური ეკლესია მცდელობას არ იშურებდა ერთადერთი ყოფილიყო ადამიანთა სულიერ მმართველობაში, ამიტომაც მეცნიერების ნებისმიერი დარგი გადააკეთეს და საეკლესიო მოძღვრების საყრდენად აქციეს. თითქმის მოსპეს საერო

ხასიათის ლიტერატურა, ეს გახლდათ საბაბი იმისა, რომ მასწავლებლები თანდათანობით თავს ანებებდნენ სამონასტრო და საეკლესიო სკოლებს და საკუთარ კორპორაციებს – უნივერსიტეტებს აარსებდნენ. თავად ტერმინი „უნივერსიტეტი“ თავდაპირველად იმ ადამიანთა ნებისმიერ გაერთიანებას აღნიშნავდა, რომელთაც საერთო ინტერესები და განსაკუთრებული უფლებრივი სტატუსი გააჩნდათ მხოლოდ XIV საუკუნის დასასრულიდან დაიწყეს ამ ტერმინის გამოყენება აკადემიური კორპორაციის გამოსახატავად, საყოველთაო სკოლა, როგორც შუა საუკუნეების უმაღლეს სასწავლებლებს უწოდებდნენ და რომელიც 1237 წელსაა მოხსენიებული, შეესაბამებოდა იმ სკოლას, რომელიც ფართოდ იყო ცნობილი შორეული კუთხეებიდან იზიდავდა მოწაფეებს და „შვიდი თავისუფალი ხელოვნების“ გარდა სულ ცოტა, ერთ სპეციალურ დისციპლინასაც – სამოქალაქო თუ კანონიკური სამართლისა, ღვთისმეტყველებისა ან მედიცინის სწავლებასაც ითვალისწინებდა, ამგვარი სკოლების ერთ ნაწილს უნივერსიტეტად ჩვეულების გამო თვლიდნენ, სხვებს კი პაპის, იმპერატორის და იშვიათად, მეფის მიერ მინიჭებული პრივილეგიების წყალობად აღიქვამდნენ. XIII საუკუნიდან მოყოლებული, თანამედროვეთა თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ორი უპირატესობა გააჩნდა: ჯერ ერთი, ღვთისმეტყველების შემსწავლელ კლირიკოსებს ხუთი წლის განმავლობაში ენახებოდათ თავიანთი საეკლესიო შემოსავალი (ბენეფიციუმები); მეორეც – უნივერსიტეტდამთავრებულებს ნებისმიერ სკოლაში შეეძლოთ მასწავლებლობა.

შუა საუკუნეების უნივერსიტეტთა წარმოქმნა XII საუკუნიდან მოყოლებული, უშუალოდაა დაკავშირებული დასავლეთ ევროპის საზოგადოების ურბანიზაციასთან. ეს პრინციპულად ახალი მოვლენაა ევროპის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში და მას არც ანტიკურ უმაღლეს

სასწავლებლებთან ანათესავებს რაიმე, არც კონსტანტინოპოლის უმაღლეს სკოლასთან.

ადრეული უნივერსიტეტების შექმნის თარიღის დადგენა ძნელია, რადგან მას სახელმწიფო ოფიციალურად არ აცხადებდა, ამიტომ, სასწავლებლის დაარსების თარიღად ხშირად იმ პერიოდს თვლიან, როცა რომელიმე სწავლულის გარშემო შემოიკრიბებოდა (მაგალითად, რომაული სამართლის გამოჩენილი მცოდნის ირნერიუსის სახელს უკავშირდება ბოლონიის უნივერსიტეტის, ხოლო ცნობილი სწავლულის, პიერ აბედარის სახეს – პარიზის უნივერსიტეტის დაარსება).

XVI საუკუნის დასაწყისისათვის დასავლეთ ევროპაში სამოცზე მეტი უნივერსიტეტი ფუნქციონირებდა აქედან ოცი უნივერსიტეტი იყო გერმანული, თექვსმეტი – ფრანგული. თხუთმეტი – იტალიური, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა ქვეყნებში იყო გაფანტული.

ევროპის უძველესი უნივერსიტეტები ბოლონიისა და პარიზის უნივერსიტეტებია.

ბოლონიის უნივერსიტეტი XI საუკუნის მიწურულს დაარსდა იქ არსებული იურიდიული სკოლის ბაზაზე, რომელშიც რომაული სამართლის გამოჩენილი მცოდნე ირნერიუსი მოღვაწეობდა. ირნერიუსის ლექციები ისეთ ინტერესს იწვევდა, რომ მის მოსასმენად ბოლონიაში ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ. ირნერიუსი რომაულ სამართალს ცალკე წიგნად კითხულობდა, ფართოდ იყენებდა წყაროებს, კომენტარს უკეთებდა იუსტინიანეს კოდექსს (კანონთა კრებულს) თანდათანობით, ბოლონიის უნივერსიტეტში კანონების, კომენტატორების ან გლოსატორების მთელი სკოლა შეიქმნა. დაარსებიდან მოყოლებული, მრავალი წლის მანძილზე ბოლონიის უნივერსიტეტში წამყვან დისციპლინად სწორედ იურიდიული მეცნიერება ითვლებოდა. ბოლონია სა-

მართლიანად ამაყობდა თავისი უნივერსიტეტით და მისი კეთილდღეებისათვის სახსრებს არ იშურებდა ცნობილია, რომ ბოლონიის ხელისუფლები უნივერსიტეტის შესანახად მთელი თავიანთი შემოსავლის ნახევარს, დაახლოებით 20 ათას დუკატს ხარჯავდნენ.

პარიზის უნივერსიტეტის დაარსების ქარტია საფრანგეთის მეფე ფილიპ ოგიუსტს ეკუთვის (1200). ამას მოყვა რომის პაპის ინოკენტი III-ის ორი ბულა (1209 და 1210 წლებში) და რომის პაპის ლეგატის რობერ სორბონის სტატუსი (1215). უნივერსიტეტმა მალე დიდი პოპულარობა მოიხვეჭა და საფრანგეთის დედაქალაქს სახელი შემატა. პარიზის უნივერსიტეტის მფარველად რომის პაპი ითვლებოდა.

პარიზის უნივერსიტეტი ოთხი ფაკულტეტისაგან შედგებოდა: ერთი „უმცროსი“ ფაკულტეტი იყო და სამი – „უფროსი“, „უმცროს“ მოსამზადებელი ფაკულტეტს „არტისტული“ ერქვა, აქ ზოგჯერ 12-13 წლის ბავშვებსაც კი იღებდნენ. დასაწყისში წერა-კითხვას ასწავლიდნენ. შემდეგ კი „შვიდ თავისუფალ ხელოვნებას“, ის, ვინც „არტისტულ“ ფაკულტეტს ამთავრებდა, შემდეგ სწავლას რომელიმე „უფროს“ ფაკულტეტზე აგრძელებდა: სამედიცინოზე, იურიდიუდზე ან საღვთისმეყველოზე, განსაკუთრებულ ფაკულტეტად ითვლებოდა საღვთისმეტყველო ფაკულტეტი, რომელიც პარიზის უნივერსიტეტისათვის ისეთივე წამყვანი იყო, როგორც ბოლონიისათვის იურიდიული ან სალერნოსათვის – სამედიცინო.

პარიზის უნივერსიტეტის ყველაზე ხალხმრავალი ფაკულტეტები იყო ფილოსოფიური (არტისტული) ფაკულტეტი, რომლის დასრულებისას სტუდენტი დისპუტზე გამოდიოდა და უნივერსიტეტის ერთგულებაზე იფიცებდა ამის შემდეგ იგი იღებდა პირველ მეცნიერულ ხარისხს – ბაკალავრის წოდებას, მას შეეძლო გამხდარიყო უფროსი ფაკულტეტის

სტუდენტი ან უმცროსი ფაკულტეტის მასწავლებელი. უფროსი ფაკულტეტის სტუდენტი გამოცდების ჩატარების შემდეგ ლიცენციატის უფლებას იღებდა, რაც მას მასწავლებლობის ნებას აძლევდა. მას შეეძლო მიეღო აგრეთვე მაგისტრის (ლათ. „მასწავლებელი“), ან დოქტორის (ლათ. „სწავლული“) წოდება, რისთვისაც განსწავლულობასთან ერთად საჭირო იყო ფული, ამ ხარისხის მაძიებელ კანდიდატს ძვიფასი ძღვენი უნდა მიერთმია თითოეული პედაგოგისათვის, სტუდენტს თავისი განსწავლულობა დისპუტზე უნდა დაემტკიცებინა.

სტუდენტთა რიცხვის მიხედვით მეორე ადგილზე იურიდიული ფაკულტეტი იყო, მესამეზე – საღვთისმეტყველებო, საერთოდ, სტუდენტთა რიცხვი უნივერსიტეტში დიდი არ იყო. ყველაზე უფრო ხალხმრავალ პარიზის უნივერსიტეტს ორი ათასზე მტი სტუდენტი არ ჰყოლია.

პარიზულისაგან განსხვავებით ზოგიერთი იტალიური უნივერსიტეტი (პიზის, ფლორენციის, პავიის და სხვა გარდამავალ ფორმას წარმოადგენდა, აქ ძალაუფლება სტუდენტებს, მასწავლებლებსა და მუნიციპალურ ხელისუფლებას შორის იყო გაყოფილი. მმართველობაში სტუდენტთა მონაწილეობას ბევრი უნივერსიტეტის წესდებაც ითვალისწინებდა.

ჩრდილოეთის უნივერსიტეტშიც პარიზის უნივერსიტეტის სტრუქტურის მიხედვით ყალიბდებოდნენ, კერძოდ, ოქსფორდმა თითქმის უცვლელად გადაიღ ორგანიზაციის პარიზული სისტემა, მთავარი განსხვავება ის იყო, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტი, ისევე როგორც კემბრიჯისა, არასაეპისკოპოსო ქალაქში აღმოცენდა და მას ამდენად ნაკლებ ემუქრებოდა საეპისკოპოსო მმართველობის გავლენა, ვიდრე ფრანგულ უნივერსიტეტებს. XIV საუკუნის ბოლოსათვის ოქსფორდი მთლიანად გათავისუფლდა ეპისკოპოსის იურის-

დიქციისაგან. უნივერსიტეტის მასწავლებელთა მიერ არჩეული კანცლერი ოქსფორდში დიდი უფლებებით სარგებლობდა და მის ხელში იყო როგორც სასულიერო, ისე სამოქალაქო და სისხლის სამართლის იურისდიქცია.

კოლეჯების სისტემა, რასაც XII საუკუნის ბოლოს საფრანგეთში ჩაეყარა საფუძველი, განსაკუთრებით სწორედ ინგლისურ უნივერსიტეტებში განვითარდა. პირველი პარიზული კოლეჯები, ჩვეულებრივ, ჰოსპიტლებთან არსებულ საქველმოქმედო დაწესებულებებს წარმოადგენდნენ, რაც იგივე საერთო საცხოვრებელი იყო პარიზში სასწავლებლად ჩამოსული ხელმოკლე კლირიკოსებისათვის, სორბონის კოლეჯის მიბაძვით შეიქმნა მაგისტტრთა კოლეჯები ოქსფორდსა და კემბრიჯშიც. თუმცა ინგლისური კოლეჯების მიერ წამოწყებული საუნივერსიტეტო ცხოვრების დეცენრალიზაცია უფრო თანმიმდევრული აღმოჩნდა: ინგლისური კოლეჯების თვითმმართველ დემოკრატიულ უჯრედებს წარმოადგენდნენ, რომლებსაც ახალი წევრებს მიღების უფლებაც ჰქონდათ და ხელმძღვანელობის არჩევისაც, მაშინ, როცა პარიზის კოლეჯები საეკლესიო თუ საუნივერსიტეტო ხელისუფალთა გავლენას განიცდიდნენ.

ევროპული უნივერსიტეტები თვითმმართველ კორპორაციებს წარმოადგენდნენ ეს ნიშნავდა, რომ არავინ ერეოდა მათ საქმიანობაში. უნივერსიტეტები თვითონ ადგენდნენ გეგმებს, ირჩევდნენ ლექტორებს, ანიჭებდნენ სამეცნიერო ხარისხებს და წოდებებს. სტუდენტები და პროფესორები გარკვეული შეღავათებით სარგებლობდნენ ბინის დაქირავების დროს, თავისუფლდებოდნენ სამხედრო ვალდებულებებისაგან. უნივერსიტეტის წევრად ითვლებოდა ყველა ვინც თავისი საქმიანობით დაკავშირებული იყო უნივერსიტეტთან (მაგალითად, წიგნებისა და ეტრატების გამყიდველები, გადამწერები, შიკრიკები, ბინის დამქირავებლები, მეაფთი-

აქეები, პროკურატორები, მედუქნეები და სხვა) უნივერსიტეტებს ჰქონდათ თავიანთი სასამართლო, სამეფო სასამართლოს მხოლოდ სისხლის სამართლის დამნაშავე გადაეცემოდა.

პროფესორები და მაგისტრები გაერთიანებული იყვნენ ფაკულტეტებად, ფაკულტეტი ერთი წლით ირჩევდა დეკანს (ლათ. „ათისთავი“). სტუდენტებს ევალებოდათ ლექციებზე დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უნდა გადაეხადათ ჯარიმა, წარჩინებული სწავლისა და დისციპლინისათვის სტუდენტი ჯილდოვდებოდა, სტუდენტთა სიას „მატრიკული“ ეწოდებოდა. სტუდენტები პედაგოგებს უხდიდნენ გარკვეულ თანხას – ე.წ. ჰონორარს (ლათ „საპატიო ქისა“). სწავლის ფორმა იყო ლექცია პროფესორი კათედრაზე იდგა და კითხულობდა ლექციას. სტუდენტები იწერდნენ, მერე კი ხდებოდა წაკითხული მასალის დისპუტზე დამუშავება.

მეცადინეობა ევროპულ უნივერსიტეტებში 19-20 ოქტომბრამდე იწყებოდა და 7 სექტემბრამდე გრძელდებოდა, სწავლის პერიოდში ბევრი იყო უქმე დღეები. ორჯერ იყო არდადეგები: საშობაო არდადეგები ორ კვირას გრძელდებოდა, საზაფხულო კი – ერთ თვეს. მისი დაწყება ემთხვეოდა ცაზე „პატარა ფინიას“ თანავარსკვლავედის გამოჩენას. ამიტომ ამ დასვენების დღეებს კანიკულები ეწოდებოდა (ლათ. canicula – ფინია ძაღლი).

უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს ქალაქის მესვეურებთან ხშირად სერიოზული კონფლიქტები მოსდიოდათ, მაშინ მთელი სასწავლებელი სხვაგან გადადიოდა, XIII საუკუნეში გაიფიცა პარიზის უნივერსიტეტი. მასწავლებელთა ნაწილი ინგლისში გადავიდა და იქ ოქსფორდის უნივერსიტეტს ჩაუყარა საფუძველი. ამ პროფესორებმა ქალაქ ოქსფორდის მესვეურებთანაც ვერ გამონახეს საერთო ენა. ეს ქალაქიც მიატოვეს და კემბრიჯში ახალი უნივერსიტეტი დააარსეს.

მალე ოქსფორდის უნივერსიტეტმაც განაახლა მუშაობა, მაგრამ ასეთივე სასწავლებელი კემბრიჯშიც დარჩა.

სამღვდელოებისა და ქალაქის მმართველობის სისტემატური მცდელობის მიუხედავად – სრული კონტროლი გაეწიათ სტუდენტებისათვის, ხშირად ხდებოდა მღელვარება. ფორმალურად ქალაქის მესვეურები ფიცს სცდებდნენ, რომ არაფრით შეზღუდავდნენ უნივერსიტეტის უფლებებს, მაგრა ეს ლიტონ სიტყვებად რჩებოდა, მმართველობისა და სტუდენტების ხშირი შეტაკებების შედეგად ლექციები წყდებოდა და სტუდენტებს ქალაქიდან ასახლებდნენ. მათ ხშირად მასწავლებლებიც მიჰყვებოდნენ. იყვნენ ისეთი სტუდენტებიც, რომლებისთვისაც სწავლა კი არ იყო მთავარი, არამედ დროსტარება: ძალიან ხშირად, მოსამზადებელი ფაკუოტეტის დამთავრების შემდეგ, სტუდენტები სხვა ქალაქებში მიდიოდნენ. XIII-XIV საუკუნეებში შეიქმნა მოხეტიალე სტუდენტების ვაგანატის, ანუ გოლიარდის ტიპი, ვაგანტები (ლათ. Vagants – მოხეტიალენი, მოგზაურნი) დიდ ჯგუფს ადგენდნენ, სისტემატურად მოგზაურობდნენ, მხიარულ სიმღერებს თხზავდნენ, სადაც ხშირად ფეოდალებსა და სამღვდელოების წარმომადგენლებს ესმოდნენ თავს. ასე გახდნენ ვაგანტები არსებული წყობილების კრიტიკოსები, ხშირ შემთხვევაშიც კი მოწინავე იდეების მატარებლებიც.

საუკეთესო მსწავლებლების ძიებაში სტუდენტი ზოგჯერ ათეულობით უნივერსიტეტს მოივლიდა ხოლმე. ყველაზე კარგი კადრები მაინც პარიზის უნივერსიტეტს ჰყავდა. XIII საუკუნეში აქ მოღვაწეობდნენ შოტლანდიელი დუნს სკოტი, ესპანელი რაიმონდ ლულიუსი, ინგლისელი როჯერ ბეკონი.

ესპანეთში, ქრისტიანულ უნივერსიტეტებთან ერთად, ბრწყინვალე არაბული უმაღლესი სასწავლებლები შეიქმნა, საინტერესოა, რომ კორდოვას, სალამაკის, სევილიის, მალაგის არაბულ უნივერსიტეტებში ბევრი სტუდენტი საფრანგე-

თიდან, ინგლისიდან, გერმანიიდანაც ჩამოდიოდა, აქ მედიცინას, მათემატიკას, ასტრონომიას, ქიმიას დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებზე გაცილებით უკეთ ასწავლიდნენ.

უნივერსიტეტმა თავიანთი პროგრესულად მოაზროვნე პროფესურითა და სტუდენტობით სამღვდელოებასა და ფეოდალური სამყაროს მესვეურებს დიდი პრობლემები შეუქმნეს. უნივერსიტეტებში თავმოყრილი მთელი იმდროინდელი მოწინავე მეცნიერები მკვეთრად უპირისპირდებოდნენ ფეოდალურ სამყაროს.

დიახ, ეს წარსულია, წარსული...

დღეს კი ყველას კარგად მოგეხსენებათ, როგორი პრესტიჟული და რაოდენ დიდი განათლების მომცემია ევროპის უნივერსიტეტები...

ჩემს სამუშაო მაგიდაზე უკრაინის, კიროვოგრადის ოლქის, ქალაქ ალექსანდრიის სკოლა-ლიცეუმის სასწავლო გეგმები და პროგრამებია. ვეცნობი და მაგონდება ამ ლიცეუმის დირექტორი, ახალგაზრდა ქალი, მაღალი, სუსტი აღნაგობის, მრავლისმეტყველი თვალებით... პროგრამების მრავალსახეობა კი უპირველესად ეროვნულობაზეა დაფუძნებული. მოსწავლე არ გადაიღლება, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მის განტვირთვაზე საგნის პედაგოგი ზრუნავს. ამიტომაც გაკვეთილის ხანგრძლივობა შეუმჩნეველია, იგი ხალისით მიმდინარეობს და ყმაწვილს ცოდნის მიღების სურვილს აღუძრავს. ამ სკოლა-ლიცეუმში, ისევე როგორც კიროვოგრადის ხელოვნების კოლეჯსა და ზნამენკას ეროვნულ გიმნაზიაში, ჩემთან მოწყობილი შეხვედრების დროს, სააღმზრდელო-პედაგოგიური საკითხების ურთიერთგაცვლის მომენტში, სტუმარ-მასპინძელი დავრწმუნდით, რომ ინდივიდუალიზმი მოსწავლის აღზრდის, მისი მოქალაქეობრივი მრწამსის ჩამოყალიბების, ცოდნის კრიტერიუმის ამაღლების აუცილებელი პირობაა... ეს ინდივიდუალიზმის

პედაგოგიური სპექტრისათვისაც დამახასიათებელია. სადემონსტრაციოდ სოკრატე მინდა გაგახსენოთ. დიახ, ძველი ათენის ჭრელ ბაზარში ერთი აბეზარი კაცი დადიოდა, სახელად სოკრატე. თავად არაფერს ყიდულობდა, ასე ამბობდა: ბაზარში ადამიანები კმაყოფილებას ყიდულობენ, მე კი უფასოდ ვშოულობ მას ჩემსავე სულშიო, მერე იქაურობას მწუხარე მზერას მოავლებდა და სინანულით დასძენდა: ღმერთო, რამდენი ნივთია ქვეყნიერებაზე, ურომლისოდაც მშვენივრად იცხოვრებდიო. ეს უცნაური კაცი ახირებული კითხვებით მოსვენებას არ აძლევდა ათენის მცხუნვარე მზით ისედაც თავგაბეზრებულ გამყიდველსა თუ მყიდველს: რა არის მშვენიერებაო? რომელი სჯობს – თიხის უბრალო ქოთანი თუ განთქმული მოქანდაკის ქანდაკებაო. წვიმა ბოროტებაა თუ სიკეთეო?.. თუ უპასუხებდნენ, ქანდაკება სჯობს უბრალო ქოთანსო, ჩაიხითხითებდა, ეშმაკურად მოჭუტავდა თვალებს და კითხულს ნიშნის მოგებით ეტყოდა თუ საჭმლის მოსახარშად ქოთანი არ გექნება, მაშინაც ქანდაკებას მიანიჭებ უპირატესობასო? ახლა მეორე მიუბრუნდებოდა: თუ გგონია, რომ წვიმა ბოროტებაა, რას იტყოდი გვალვების დროსო.? თუ ეტყოდნენ, არა, წვიმა სიკეთეაო, ამაზეც მზად ჰქონდა პასუხი – მოსავლის აღებისას რომ გაწვიმდეს, მაშინო?

თავგზადაკარგული თანამოსაუბრეები ჭირვეულ ბრძენს დაბნეულები მისჩერებოდნენ და პასუხს ისევ მისგან ელოდნენ. სოკრატეც არ აყოვნებდა და პირდაღებულ ხალხს სიცილით ეტყოდა: მე ის ვიცი, რომ არაფერი ვიციო.

ასე დადიოდა ბრძენი ათენის ბაზრებსა და ქუჩებში, ნელ-ნელა თავისი აბეზარი, მაგრამ უწყინარი კითხვებით მთელი ფილოსოფია სამყაროს შესახებ გვერდზე გასწია და მზერა ადამიანისაკენ, მისი „მე“-ს შესწავლა-ანალიზისკენ მიმართა. იგი ფიქრობდა, თუ ადამიანი შეძლებდა საკუთარი თავის შეცნობას, მაშინ აიხსნებოდა სამყაროს მთელი აგებულება.

ამიტომ მან თალეს მილეტელის ცნობილი ფრაზა – „შეიცან თავი შენი“ – ცხოვრების დევიზად გაიხადა.

ცხოვრობდა ასე, სიღატაკეში, რადგან ყველაზე მეტად თავისუფალ დროსა და თავის „საუბრებს“ აფასებდა, მისი ცოლი ქსანტიპა სულ ჯუჯღუნებდა, ჭირვეულობდა და ანჩხლობდა, საშველს არ აძლევდა ქმარს, ყოველდღე „საყიალოდ“ და „ყბის გასაქანად“ მიმავალს ქოქოლას აყრიდა. იმდენი ქნა, რომ თავისი სახელი – ქსანტიპა – ანჩხლი და კაპასი ცოლის ზოგად სახელად აქცია. სოკრატეს უბრალო საუბრები სიბრძნედ იქცა და მთელს საბერძნეთს მოედო. როდესაც დელფოსის ორაკულს პითიას ჰკითხეს, ვინ იყო ყველაზე ბრძენი კაცთა შორისო, მან უყოყმანოდ უპასუხა „სოკრატეა უბრძნესი კაცთა შორის“. სოკრატეს დიდი მეგობრისა და ათენის „ოქროს საუკუნის“ შემქმნელი უდიდესი პოლიტიკოსის პერიკლეს გარდაცვალების შემდეგ სახელგანთქმულ ფილოსოფოსს უამრავი მტერი და მოშურნე გაუჩნდა, პერიკლეს სიკვდილიდან 30 წლის შემდეგ, ჩვ. წ-მდე 399 წელს, სოკრატეს „ახალი ღმერთების რწმენისა“ და „ახალგაზრდების გარყვნისთვის“ სასამართლომ სიკვდილი მიუსახა. სასამართლოზე წარმოთქმული სიტყვა გენიოსმა ფილოსოფოსმა და სიკვდილის შემდეგ ბრძენკაცის იდეალად აღიარებულმა დიდმა ადამიანმა ასე დაასრულა: „რას ვიზამთ, მე მივდივარ სასიკვდილოდ. თქვენ რჩებით, რათა იცოცხლოთ, მაგრამ ადამიანმა არ იცის ამ ორიდან რომელია უმჯობესი...“

– სოკრატემ სასამართლოს განჩინება აღასრულა, მაგრამ საინტერესოა საკუთარი სიცოცხლის ხელყოფას ზღუდავს თუ არა თავისუფლება?

– სუიციდის შესახებ მეკითხებით? – დავიწყოთ იმით, რომ დღეის გადასახედიდან კიდევ უფრო მეტად შემიყვარდა ჩემი ქართულის მასწავლებელი, აქ დედის ფენომენზე კი არა, იმ ქალბატონებზე უნდა მოგითხროთ, ვინც სკოლის

მაღალ კლასებში ქართული ლიტერატურის საგანძურს მაზიარა. მას არასოდეს უთქვამს, რომ წიწამურთან მოკლეს ილია! ან გალაკტიონი გახდაო სუიციდის (თვითმკვლელობის) მსხვერპლი... ილიაზე უკვე ვისაუბრეთ წიგნის პირველ ნაწილში, გალაკტიონზე კი...

დიახ სუიციდის შესახებ სხვადასხვა ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები არსებობს, რამეთუ ისეთი ღვთაებრივი პროცესის შეჩერება, როგორიც სიცოცხლეა – დიდი ცოდვაა! საკითხის ასეთი სახით – რელიგიური მიდგომით გადაწყვეტა რასაკვირველია სწორია, მაგრამ ამავე საკითხს აქვს ფილოსოფიურ-სოციალური ასპექტი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნულ არგუმენტს მხედველობაში არ იღებს... არის თუ არა ყველა ვითარეაში დასაძრახი არაპათოლოგიური სტატუსის მქონე პიროვნება, რომელიც გარკვეული სოციალური ან სხვა სახის მოტივაციის გამო თვითონ წყვეტს სიცოცხლეს? – ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა, რბილად რომ ვთქვათ, სინამდვილიდან გაქცევის ტოლფასია, რეალობის გაუთვალისწინებლობა – ცხოვრება არ არის გამზირივით სწორი და შეუფერხებლად ავლა-ჩავლის ასპარეზი...

– *„სარკმელს გააღებს ამღვრეული გალაკტიონი,*
და ქვაფენილებს შურდულივით დაენარცხება...“

პაოლო იაშვილმა თვითმკვლელობით აიცილა დაცინვა, აბუჩად აგდება, დაკნინება...

– *„როგორც აფრის ტკაცუნი, მოვარდნილი ზღვიდან,*
ისეთი ვაჟკაცური გაქროლება მინდა...“

იქნებ ვაჟკაცურიც არაფერია, მაგრამ პაოლო თავისი გადასახედიდან მართლაც და ვაჟკაცურად გაქროლდა...

– *„ხომ ცოცხალი ხარ ჩემო მოხუცო,*
მეც ცოცხალი ვარ, სალამი შენდა
ენით უთქმელი ის შუქი უცხო,

სულ ანათებდეს მაგ ჩვენს ქოხს დედა...“

ეს ესენინი გახლდათ, სიცოცხლისა და დედის ტრფიალი, მაგრამ ორთავენი დათმო... მაიაკოვსკიმ ასე დაჰგმო მისი თვითმკვლელობა:

– „სასიხარულოს ცოტას გვაძლევს პლანეტა ვრცელი,
უნდა მოვტაცოთ სიყვარული მყოფადს ეკლიანს,
თავი მოიკლა სიცოცხლეში არ არის ძნელი,
ცხოვრება შეჰქმნა, გაცილებით უფრო ძნელია!“

ამ სტრიქონების დაწერიდან სულ ცოტა ხანში, მაიაკოვსკიც თვითმკვლელობით გადასახლდა მარადისობაში...

დღემდე დავის საკითხია ერნესტ ჰემინგუეის მიერ თავის მოკვლა იმ თოფით, რომლითაც მამამისმა მოიკლა თავი და ანდერძში შვილს სთხოვდა, ამ თოფს, იგივე როლი არასოდეს შეესრულებინა...

გასული საუკუნის დასაწყისში, ფრანგმა სოციოლოგმა ემილ დიურკჰეაიმმა, სუიციდის შესახებ კონცეფცია წიგნში – „თვითმკვლელობა“ – „მორალური სიღარიბის ნიშნად“ აღიქვა, თუმც ინგლისელმა მწერალმა ენტონ უესტამ რომანში „ბნელი ღამე“ გადმოგვცა თვითმკვლელობის გამომწვევ მიზეზთა მრავალგვარობა და სირთულე...

სუიციდის შესახებ ვესაუბრები ადამიანთმცოდნეობის ლექციაზე სტუდენტებს, იქვე ვახსენებ, რომ ადამიანები ორ ჯგუფად იყოფიან, ჩვეულებრივ მოკვდავებად და გენიოსებად, გენიოსებმა ყველაფერს უნდა გადააბიჯონ, ამას კი ხშირად თვითმკვლელობა მოსდევს და ვკთხულობ ჩემს მიერ ჩამოთვლილ რომელ ტიტანზე ვისაუბრო, იყო თუ არა მათ ცხოვრებაში გაორების ან გენიოსობის პროცესი...

– გალაკტიონზე, გალაკტიონზე გვესაუბრეთ... ერთი ამოსუნთქვით მთხოვს მთხოვს აუდიტორია.

– გალაკტიონზე? – იცით, ჩემი უდიდესი სიმპათიისა მის მიმართ, მაინც მინდა აღვნიშნო ასპექტი, რომელშიაც არ ვე-

თანხმები... (ორმოცდახუთი გაოცებული სახე „გალაკტიონს არ ეთანხმება?) მე პიკში ამყავს ლექციის მსვლელობა და პაუზა შედარებით ხანგრძლივია, ამით მსურს სტუდენტებს თვითმსჯელობის საშუალება მივცე, იქნებ მათ მიაგნონ იმ „აქილევსის ქუსლს“, სადაც ბუმბერაზ პოეტს არ ვეთანხმები...

– იცით? – სიჩუმეს ვარღვევ – „მე და ღამე“ გალაკტიონის ამ ლექსში ასეთი ფრაზაა:

– *„ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე,*
მე და ღამე, მე და ღამე...“

ხოლო ლექსში „რომელი საათია“ ამბობს:

– *„აღარ გათენდება ღამე საზიზღარი?*
რომელი საათია, რომელი საათია?“

ხედავთ ერთ ლექსში პოეტს ღამე სულიერ მეგობრად გაუხდია, მეორეში კი მისადმი ზიზღი აღძვრია... მოდით ამ ორი ურთიერთსაპირისპირო ლექსით ღამის პრობლემით განვიხილოთ გალაკტიონი... – და ვიწყებ, დეტალურად ვიწყებ საუბარს პოეტთა მეფეზე, ლექცია ისეთი შთამბეჭდავია, რომ აუდიტორია ზარს აღარ ემორჩილება... რამეთუ იქ ზერელე საუბარი კი არა, გალაკტიონი ჩემთან ერთად შევიდა იმ ლექციაზე, შევიდა გაბედულად, თამამად და სამუდამოდ შეერწყა თითოეული სტუდენტის „მე“-ს!

ასეთი ხერხებით ვცდილობ სალექციო კურსის გაცოცხლებას, რომელშიც სტუდენტებიც აქტიურად მონაწილეობენ, სხვათაშორის, ძალზე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ჩვენ მოდუნებული, არაფრისმქმნელი ახალგაზრდობა გვყავს, პირიქით, ჩვენი მომავალი თაობა სიცოცხლითა და ენერგიითაა სავსე, უკვე რამოდენიმე წელია ახალგაზრდებთან ვმუშაობ და ბუნებრივია, რომ ყველანაირი სტუდენტი მინახავს, მაგრამ გულახდილად გეტყვით, რომ არავისთან არ გამძნელებია საერთო ენის გამონახვა თუ სტუდენტი ლექციაზე უყუ-

რადღებოდაა, ეს ლექტორის უნიათობაზე მეტყველებს, რამეთუ ამ უკანასკნელმა ისეთი ინტერესით უნდა წარმართოს ლექცია, რომ სტუდენტს სხვა რამეზე ფიქრის საშუალება არ ჰქონდეს!

შეღავათები ყველაფერში შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ისეთ შეუქცევად პროცესში, როგორიც სწავლება და სწავლაა.

– არა! ცოდნაში, შეღავათი არ არსებობს!

– თანაგრძნობა?

– განათლების დონის ამაღლება, – თანაგრძნობის ამაღლებას ნიშნავს! ეს ყოველდღიურ ცხოვრებაში ასეა, ყველაფერში ასეა, გარდა განათლებისა, რამეთუ აქ ყველაზე მთავარი სინდისის კანონია! ის ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს! თვითონ განსაჯეთ, ნებისმიერ თანაგრძნობის შედეგად „ცოდნამიღებული“ პიროვნება, რომ ასწავლიდეს მომავალ თაობას, ხომ სამუდამოდ დაამახინჯებს მოზარდის ეგზელერციულ განვითარებას! ანდა ისეთივე მედიცინის მუშაკის მიერ გაკეთებული ოპერაციის შედეგიც ცხადია! დამნაშავე კი ისაა, ვინც არმცოდნე, მცოდნედ მონათლა! დიახ, ასეთი პედაგოგი პოტენციური კრიმინალია!

თუმც ისიც მინდა აღვნიშნო, რომ თანაგრძნობა ეს არის კაცობრიობის ყოფის მთავარი, შეიძლება ერთადერთი კანონიც კი! დიახ, სინდისიერი კაცი, თავის ტანჯვასაც განიცდის! ათასობით, ათიათასობით, მილიონობით ადამიანთა სოციალური და ეკონომიკური პრობლემებით ტანჯვას, მხოლოდ „ძლიერთა ამა სოფლისათა“ სინდისის ქენჯნა, სინდისიერება თუ დაამსხვრევს, რამეთუ სინდისის კანონი, ყველა სხვა კანონების დარად მოქმედებს!

აუცილებელია, შევიგნოთ, რომ რასაც კი დაფარულად ვაკეთებთ, ოდესმე ყველაფერი გაცხადდება, დიახ, ყველაფერი! საბჭოთა ეპოქის 20-30-40-იანი წლების დროინდე-

ლი საიდუმლოებები არც თუ დიდი ხნის წინ გაიხსნა, მაგრამ ჩვენი ცოდვები წარმოუდგენლად მალე გახმაურდება, ჩვენი საიდუმლოება ძალზე მალევე იქცევა ცხადად! ჩვენი საქციელის ქრონიკა უკვე ივსება, იწერება, ამიტომ ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას, ჩვენს თავს უნდა შევხედოთ არა დღევანდელობის, არამედ მომდევნო წლების გადასახედიდან, წარმოიდგინეთ – ჩვენ ვდგავართ ოცდამეერთე საუკუნის პირველი ოცეული წლის მიჯნაზე, აქედან გავცქერით საუკუნის დასაწყისს და ვეკითხებით ერთმანეთს: – რას აკეთებდი მაშინ? – როგორც ახლა ვასამართლებთ გასული საუკუნის 50-70-იან წლებს, მაშინ ასე განგვსჯიან ჩვენც... გვექნება კი გამართლება? ამაზე ჭეშმარიტად ღირს დაფიქრება!

ჩვენ ახლა დიდძალ მასალას ვფლობთ, ამიტომ ვალდებულნი ვართ. სტუდენტებს სიმართლე ვუთხრათ, მთავარი ინფორმაცია კი ფასია! ადამიანის ფასი! უნდა გვქონდეს იმის ვაჟკაცობაც რომ შევიგნოთ თუ რას მივაღწიეთ და სად შევჩერდით,, ადრე, არც თუ დიდი ხნის წინ, როცა სტუდენტს ვკითხავდი, რამდენი ადამიანი დაიღუპა ავადსახსენებელ ცხრაასოცდაჩვიდმეტ წელში – მპასუხობდა: – ალბათ ათასობით ათასი, ახლა კი ამბობენ ათი მილიონი... შეიძლება თვრამეტი! რამდენი? ათი თუ თვრამეტი? რა იოლი სათქმელია! დიდი ამბავი, განსხვავება სულ რაღაც რვა მილიონია! ეს რვა მილიონი ჩვენ ვართ, ჩვენი მშობლები, ჩვენი ახლობლებია, ამიტომაც პატიოსნად უნდა ვუთხრათ საკუთარ თავსაც და მომავალ თაობასაც, როგორ იქცა საბჭოეთი ისეთ ქვეყნად, სადაც მილიონები-მილიონებს ხოცავდნენ! პედაგოგიური აზროვნება აუცილებლად უნდა ჩაწვდეს, უნდა შეიმეცნოს, თუ რატომ მოხდა ასეთი რამ, სად არის საწყისთა საწყისი? – ადამიანებმა ერთმანეთის გატანა, ერთმანეთის სიყვარული უნდა ვისწავლოთ! წინა შეკითხვის პასუხში

ილია ჭავჭავაძე ვახსენე, რატომღაც მგონია, რომ ჩვენი ქვეყნის პრობლემები იმ ცოდვათა წილხვედრია, რომელიც ქართველებმა, ისევ ჩვენი თანამემამულეების წინაშე ჩაიდინეს. აბა ილიას მკვლელი ქართველი შეიძლება ყოფილიყო? არადა იმ საბედისწერო დღეს ეტლზე მჯდომი ერის სულიერი მამა, გრძნობის განაჩენს, ამიტომაც შეაყოვნა ცხენები არაგვის პირას, ძირს ჩამოვიდა, მთელი ნახევარი საათი ბოლთასა სცემდა მდინარის ნაპირებთან, მერე უეცრად რაღაც გადაწყვეტილება მიიღო და – წინ მეეტლევ! ეს მისი უკანასკნელის წინა სიტყვები გახლდათ! ხოლო უკანასკნელი: – ილია ვარ! ამით მკვლელ ბერბიჭაშვილს, სათნოების გამოვლინება კი არ სთხოვა, არ მომკლაო, არამედ მედგრად, ვაჟკაცურად აღუდგა და უთხრა: -მე ვარ ის კაცი, ვინც შენ გინდა, ვინც შენ უნდა მოკლა! – და ის გასროლილი ტყვია, ცოდვის ტყვიაა ჩვენი ერისათვის! ამიტომაც არასოდეს უთქვამს ჩემი ქართული ლიტერატურის მასწავლებელს ილიას მკვლეობა, რამეთუ მისი გენიოსის სიდიადე ისაა, რომ ილიასეულ სიბრძნეს დრო-ჟამი ვერაფერს აკლებს, დიახ – „წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა!“ და – „ქვეყანა... სავსეა ხილულითა და არახილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალისათვის, ერთის ბრძენისა არ იყოს „ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგი იმისთანა, თუ არ ირწმუნე ვერ დაინახავ...: ბუნება ადამიანისა იმისთანაა – ამბობს ილია, – რომ სულითა სწრაფთა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საცნაური ორსავ გზით, და მით უფრო, რაც ადამიანი თვალხილულია და გონება-გამოღვიჟებული ნება-უნებლიედ. ამ ორ სამფლობელოში დადის მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა, რომ იპოვოს ბინა და იქ დაღალული სული შეასვენოს გულთაძვრისაგან და მსოფლიო ღელვისაგან...:

– **როგორც თვითონ ბრძანებთ, ცხოვრება მართ-**

ლაც და არ არის გამწირივით სწორი, ალბათ, ამიტომაც არსებობენ ძნელადაღსაზრდელები...

– უკვე აღვნიშნე, ბავშვის აღზრდა დაბადებამდე იწყება, და მაშინ დაშვებული რაღაც უზუსტობით ბოროტებას ბოროტებით არასოდეს უნდა ვუპასუხოთ, თუმც შემდგომში აღზრდის გარემოც ახდენს მოზარდზე თავის ზეგავლენას, სამწუხაროდ უარყოფითს უფრო მალე ითვისებენ, ვიდრე დადებითს!

მილიონობით აღმზრდელის წინაშე ჩნდება უამრავი საკითხი, პრობლემა, ამოცანა, რომლებსაც აღსაზრდელები თავისდაუნებურად და ჩვენდა თავსატეხად აყენებენ. ყოველდღიურად წარმოიქმნება ნაირგვარი სიტუაცია, როცა უფროსმა უნდა შეაფასოს ბავშვის საქციელი, დაიკავოს გარკვეული პოზიცია, გამოიყენოს ზემოქმედების სხვადასხვა ფორმა. საქმე კი სწორედ ის არის, როგორ გადაწყვიტოს ეს ყოველდღიური პედაგოგიური ამოცანები. ხშირად პედაგოგიური ცოდნით აღჭურვილი მშობელიც უძლურია ამ დაბრკოლებათა წინაშე.

აღზრდაში განსაკუთრებულ სიძნელეს იწვევს კონფლიქტები, რომლებიც აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთობაში წარმოიშობა, კონფლიქტები სხვადასხვაგვარია (შინაგანი, აშკარა...) და სწორედ მათი გამოვლენის ნაირგვარი ფორმა ქმნის რთულ პედაგოგიურ სიტუაციას.

რთული პედაგოგიური სიტუაცია ეს არის პირობათა და გარემოებათა ერთობლიობა. იგი აღმზრდელის წინაშე აყენებს ერთ, ორ, ხშირად კი რამდენიმე პრობლემას.

რთული პედაგოგიური სიტუაცია, როგორც წესი, დაძაბულია, ხშირად კონფლიქტურიც. იგი აღმზრდელისაგან მოითხოვს პედაგოგიურად სწორი გადაწყვეტილების მიღებას, ოღონდ აქვე უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: რთული სიტუაციის მარტივად გადაწყვეტა შეუძლებელია, რაკიღა იგი შეიცავს პრობლემებსა და მათი წარმოშობის მიზეზს.

პრაქტიკამ და გამოცდილებამ დაგვანახა: მშობლებს ძირითადად სწორედ რთული პედაგოგიური სიტუაციების გადალახვა-დაძლევა უჭირთ, შექმნილი ვითარებიდან სწორ გამოსავალს ვერ პოულობენ, წამოჭრილ პრობლემებს წარმატებით ვერ ართმევენ თავს; ამიტომაც, ზოგჯერ მშობელთა შორის ვრცელდება აზრი, თითქოსდა აღზრდის წეს-კანონები თავისთავად, თეორიულად არსებობს, ხოლო პრაქტიკულად აღსაზრდელთან ურთიერთობაში მათი ცოდნა არაფრად გამოადგებათ, არაფერში დაეხმარებათ.

ეს მცდარი აზრია. უფროსები არ ითვალისწინებენ აღზრდაში დაშვებულ შეცდომებს, არ ცდილობენ ჩასწვდნენ ბავშვის ამა თუ იმ ქცევის მიზეზებს, გაიცნობიერონ შედეგი, ბავშვის თვალითაც შეხედონ შექმნილ ვითარებას, აქტიურად ეძებონ ახალგაზრდებთან ურთიერთობის სწორი ფორმები.

***

კაბინეტში მეთოდური მუშაობის განყოფილების გამგე შემოვიდა, ძალზე აღელვებული მეჩვენა, ჩემი სამუშაო მაგიდის პარალელურად სავარძელში ჩავსვი და მდივანს ორი ფინჯანი ყავა ვთხოვე.

– იცით, ქალბატონო ლეილა, დღეს დილიდან ისეთი დაკავებული ვარ, რომ... ვუხსნი... როგორი რთული და ამავდროულად რაოდენ საპატიოა აღმზრდელის ამპლუაში ყოფნა, საუბრის საშუალებას არ ვაძლევ, არ მინდა აღელვებული მესაუბროს, ვგრძნობ, რაღაც უნდა მითხრას, ალბათ ვიღაცამ რაღაც დააშავა... ამასობაში ყავიანი ფინჯანიც შემოგვიტანეს, ქალბატონი ლეილა თანდათან დამშვიდდა... ახლა შეიძლება საუბარი და მეც ვაგულიანებ...

– სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის მესამე კურსელებმა თავიანთ აუდიტორიაში მინა ჩაამსხვრიეს! მაგათთან,

რომელ ჰუმანურობაზეა საუბარი! და იცით ვინ? თქვენმა პაპიძემ...

– დამშვიდდით, დამშვიდდით... ჩემი მარტო პაპიძე კი არა, ყველანი არიან! აქ ხომ სასწავლო დაწესებულებაა, ასეთი ლაფსუსი კი ყოველთვის შეიძლება მოხდეს! გაიხსენეთ იულიუს კეისარი (ლეილა ისტორიკოსია), როდესაც მის მიერ შექმნილ სახელმწიფოსი ძარცვა მოხდა და მას ვერ მოახსენეს. ხოლო შემდეგ ახლობელმა ენის ბორძიკით გაუბედა ეთქვა, კეისარის რეაქცია კი ასეთი იყო: – ჩვენ უკვე გვაქვს სახელმწიფო! სახელმწიფოში ყველანაირი ადამიანი უნდა არსებობდეს! – ასევეა ჩვენი სამსახურიც! – ვეუბნები და ვიღიმი... ზარი ირეკება და ლექციაზე შევდივარ, გიორგი გატეხილ მინსთან თავის მერხთან ზის... ამ ყმაწვილს ჩვენმა სასწავლებელმა მართლაც ბევრი რამ გაუკეთა, მრავალშვილიანთა ოჯახის წარმომადგენელია, ეკონომიკურად უჭირთ და ჩვენც ვეხმარებით... ახლა კი ნამდვილად არ ღირს ერთი ჩატეხილი მინისათვის ალიაქოთის ატეხვა, გარეთ კი საოცარი დღეა... სექტემბრის მიწურული, შემოდგომის მათრობელა სურნელი ღვივის... და მეც ცნობილი, დიდი პედაგოგების უტყუაო ალღოს ვესესხები. ეს მოსმენისა და მოთმენის ნიჭია, ამიტომაც არაფერს ვეუბნები სტუდენტს, მსურს მან, თავის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის შეგნების უმაღლესი კრიტერიუმის გამოვლინებით პატიება გვთხოვოს... ასე მიიწურა ოქტომბერიც, ნოემბრის პირველი ნახევარიც და ერთ-ერთ ლექციაზე გიორგი ხელს იწევს „თუ შეიძლება სხვა მერხზე გადავჯდებიო“,

– რატომ? – მიკვირს?

– აქ წვიმის წვეთები ასხამს პატივცემულო, ტაბატაძესთან კი...

– იქ რატომ არ შემოდის წვიმა?

– იქ მინაა...

– მანდაც ხომ იყო?

– დიახ, ჩამემსხვრა...

– მერე?

– ხვალ თვითონვე ჩავსვამ.

მე ნებას ვრთავ სხვა მერხზე გადაჯდეს და ლექციის მსვლელობას ვაგრძელებ! მეორე დღეს გიორგი ჩვეულებრივზე ცოტა ადრე მოვიდა მინით ხელში... ის აღარასოდეს ჩამსხვრევს მინას, უფრო მეტიც, სხვასაც არ მისცემს ამის საშუალებას.

ფსიქოლოგია უფრო და უფრო უახლოვდება მეცნიერების მრავალ დარგს, ვპირველეს ყოვლისა კი პედაგოგიკას. პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში არსებული ცოდნა რომელიც დროთა განმალვობაში მივიწყებული იყო, დღეს ისევ განიცდის აღმასვლას მეცნიერების ამ დარგს აინტერესებს ადამიანის ქცევა სწავლის პროცესში მასწავლებელი მუდმივად რაღაცას ცვლის მოსწავლეში, ახდენს მისი პიროვნების კორექციას. სწავლის უნარ-ჩვევები მემკვიდრეობით არ გადაეცემა ბავშვს, ამიტომ ექცევა ფსიქოლოგიურ ცოდნა-გამოცდილებას დიდი ყურადღება. თუ რატომ გაჩნდა ასეთი ინტერესი განათლების მიმართ, ამ კითხვაზე საკმაოდ მარტივი პასუხი არსებობს ყველაზე ძვირფასი რესურსი, რომელიც გააჩნია ქვეყანას, არის ადამიანური რესურსი, ამიტომაც მისი ოპტიმალური განვითარება და გამოყენება უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისთვის. მრავალი თეორია მიეძღვნა ბავშვთა განვითარების შესწავლას განათლების პროცესში ერთ-ერთი არის დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია. შემდეგი მოსაზრება ნამდვილად ჭეშმარიტია – უზნაძე, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში არ დაბადებულიყო, მის გენიალობას დღეს მსოფლიო უდავოდ აღიარებდა. იგი, მართლაც რომ ღირსეულ აგილს იჭერს ისეთი ცნობილი ფსიქოლოგების გვერდით, როგორებიც არიან პიაჟე,

ერიქსონი, ფროიდი და ა. შ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის როლი პედაგოგიკაში ძალიან დიდია მისი კონცეფცია 1910-1916 წლებში ჩამოყალიბდა. მისი აზრით პიროვნება არის აქტიური არსება, რომელიც ექვემდებარება აღზრდას – ეს იდეა დაედო საფუძვლად განწყობის თეორიას. ის პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელსაც ეწოდა დიმიტრი უზნაძე, დიდი მნიშვნელობის მატარებელია მისი თეორიისთვის. სწორედ ამ გზით მივიდა იგი იმ დასკვნამდე, რომ პედაგოგიკის ძირითადი დანიშნულება აღზრდაში მდგომარეობს, აღზრდა კი თავის თავში გულისხმობს სრულყოფილებისაკენ სწრაფვას. ამ გზაზე ადამიანი ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეიქმნას და მიაღწიოს კეთილდღეობის მაქსიმუმს. წარსული შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ სახელმძღვანელოდ, რომლის მეშვეობითაც ინდივიდი აგებს საკუთარ აწმყოსა და მომავალს. პედაგოგიკის დანიშნულების რეალიზაცია კი მოითხოვს აღზრდის ობიექტს, რომელსაც ბავშვი წარმოადგენს ხშირად ბავშვის ფენომენი არასწორად არის გაგებული, ბავშვი არ უნდა ჩაითვალოს პატარა მოზარდად, ამიტომაც აღზრდისას არ უნდა მოხდეს მოვლენების დაჩქარება და ბავშვს არ უნდა მოვთხოვოთ მოზარდებისთვის დამახასიათებელი ქცევები, არ უნდა წავართვათ ბავშვობა. ცხოვრების ამ ეტაპის არასრულფასოვანი და არაადეკვატურიგავლა განაპირობებს იმას, რომ მოზარდობისას ინდივიდისთვის დამახასიათებელი იქნება ბავშვური ქცევები, ანუ ის დანაკლისი რაც მან საწყის ეტაპზე განიცადა უარყოფითად იჩენს თავს ცხოვრების შემდგომ წლებში, ასევე არასწორად არის გაგებული თამაშის ფენომენი. დღესდღეობით თამაშებით სწავლება საკმაოდ აქტუალურია ბაგა-ბაღებიდან ბავშვი პირდაპირ სასკოლო მერხთან ხვდება. ბაღში კი მას თამაშის მეტი არაფერი უკეთებია, სკოლამდელი აღზრდის დანერგვა

კი გულისხმობს ბავშვის მომზადებას სასწავლო პროცესისათვის სკოლაში კი ბავშვის დიდად შეზღუდვა, თამაშის უფლების ჩამორთმევა, მისი მაქსიმალური გაკონტროლება იწვევს ბავშვის სურვილების ლუსტრაციას. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თამაში ეს არის ბავშვის იდეებისა და ფანტაზიების რეალიზაციის ერთ-ერთი საწყისი ეტაპი – სწორედ ამიტომ ექცევა მას დიდი ყურადღება აღზრდის პროცესში. ნებისმიერი ბავშვი არის უნიკალურით ავისი არსით და მის ინდივიდუალობას კი პედაგოგი უნდა ჩასწვდეს. ამი სგარეშე იგი აღზრდის პროცესში დიდ წარმატებას ვერ მიაღწევს უზზნაძე ასევე საუბრობს იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც თან ახლავს აღმზრდელობით პროცესს, მან ამ ეტაპს „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ უწოდა ბზარი აღმზრდელისა და აღსაზრდელის მისწრაფებებში ჩნდება. ეს პრობლემა აღმოცენდება სწორედ მაშინ, როდესაც პედაგოგი არ აქცევს ყურადღებას მოსწავლის ინდივიდუალობას, მის სურვილებს და მხოლოდ საკუთარი მოტივებით ხელმძღვანელობს. ეს საკითხი მწვავე პრობლემად დგას დღევანდელ სკოლებში. „ის რაც, აღმზრდელის აზრით კეთილდღეობას წარმოადგენს, აღსაზრდელისთვის ხშირად წვალებად ითვლება“ – ამბობს უზნაძე. ამ მდგომარეობის შერბილების ერთ-ერთი გზა არის მოსწავლის განვითარების ეტაპების შესწავლა. თითოეული სტადიისთვის დამახასიათებელი კანონზომიერების ცოდნა. მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიის ათვისება გახდის შესაძლებელს ეს ბზარი შევასოთ. უზნაძე ეწინააღმდეგებოდა აღზრდის ცალმხრივობას. არ მიიჩნევს პედაგოგიკას ხელოვნების ნიმუშად, სადაც მასწავლებელს გარდა აღმზრდელობითი ნიჭისა, სჭირდება პედაგოგიური უნარ-ჩვევები. უმნიშვნელოვანესი აღზრდის პროცესში არის დიციპლინა, სწორედ მისი საშუალებით ვითარდება ნებისყოფა, თუმცა გადამეტება არც აქ ვარგა. ძლიერი ნე-

ბისყოფა შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს. ნებისყოფის შენარჩუნება დამოკიდებულიაგავარჯიშებაზე და სკოლა კი ამის საუკეთესო ადგილი გახლავთ. უზნაძე ასევე საბურობს სასწავლო პროცესიდან ციფრებით შეფასების მეთოდის განდევნაზე. ეს მეთოდი სუბიექტური ხასიათის მატარებელია, რომელიც არის ერთგვარიუ ნდობლობის წყარო მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. ნდობისა და სიყვარულის ატმოსფერო კი არის უმნიშვენლოვანესი, რათა ბავშვი იყოს გახსნილი სწავლების პროცესის მიმართ. განწყობის ფსიქოლოგია ადამიანს მთლიანობაში განიხილავს და არ ყოფს მას ცალკეული პროცესების ჯამად უზნაძის მიხედვით განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიან პიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევისადმი.

„სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული“ განწყობა აიხსნება, როგორც ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევა. ადამიანის ქცევას კი განსაზღვრავს მოთხოვნილება, რომელიც წარმოადგენს რაიმეს დეფიციტს. ადამიანის ქცევისადმი მზაობა იცვლება იმ სიტუაციის შესაბამისად, რომელშიც იგი იმყოფება ანუ სიტუაცია ადამიანის ქცევას მანამ განსაზღვრავს, სანამ ეს ქცევა რეალურია.

მოსწავლის ქცევის განხორციელება აუცილებელია მოხდეს ის გარემოში, სადაც სრულფასოვნად დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნილებები ამ ყველაფრის ცოდნა არის უმნიშვნელოვანესი თითოეული პედაგოგისათვის. სწორად დაგეგმილი აღზრდის პროცესის შედეგად ბავშვი ყალიბდება სრულფასოვან პიროვნებად, რომელმაც იცის თუ რა სურს ცხოვრებაში, რა არის კარგი და რა არის ცუდი, იგი რეალურად აფასებს საკუთარი შესაძლებლობებს, რასაც მივყავართ იქითკენ, რომ ადამიანი სწორად გეგმავს საკუთარ მომავალს და წარმატებაც გარანტირებული აქვს.

ესეთი ინდივიდები კი ქვეყნის განვითარების საწინდარს წარმოადგენენ და მათ ჩამოყალიბებაში თითოეულ ჩვენთაგანს დიდი წვლილის შეტანა შეუძლია.

***

ერთხელ საგამოცდო სესიების წინ, მორიგი დამოძღვრისას, ერთ-ერთმა სტუდენტმა გოგონამ პირდაპირ მითხრა,

– თქვენი საგნის მომზადება, არც თუ რთულია, დღეს ყველანი პოლიტიზებულები ვართ და პოლიტოლოგიის სწავლა რა პრობლემაა...რამოდენიმე წუთი სატელევიზიო გადაცემას მოვუსმენ ან ნებისმიერ გაზეთში ინფორმაციას გავეცნობი: – ეკას მაშინვე დავეთანხმე, მომდევნო ლექციაზე კი აუდიტორიაში უამრავი წიგნით „დახუნძლული“ შევედი. უფრო სწორად გამოვცხადდი, დიახ, ლექციებზე ყოველთვის ისეთი უშუალო ვარ, როგორც სტუდენტობის დროს ვიყავი, ოღონდ უკვე გაზრდილი, დაბრძენებული, ამიტომაც შემიძლია ახალგაზრდების თვალით შევხედო არც თუ შორეულ წარსულს და ერთმანეთს შევუსაბამო სტუდენტთა დღევანდელობა და მომავალი... აუდიტორიას უკვირს, ასეთი არასოდეს ვუნახივარ მათ, ლექციებს ყოველთვის შემოქმედებითი პათოსით ვუძღვები, წიგნი და რვეული არასოდეს დაუნახავთ მათ ჩემს ხელში, ახლა კი... წიგნებს ლექტორის სკამზე ვაწყობ და ლექციას პოლიტოლოგიის მეცნიერების მოკლე ექსკურსით ვიწყებ... პირველად მაგიდაზე ერთ არც თუ სქელიტანიან წიგნს ვდებ, საზოგადოების ისტორიული განვითარების პირველ საფეხურზე ვსაუბრობ, შემდეგ მონათმფლობელურ საზოგადოებაზე... ერთს მეორე წიგნი მივუმატე, შემდეგ მესამე... მაგიდაზე თანდათან მაღლდებოდა წიგნების გროვა, მერე კიდევ რაღც განვმარტე, ვიღაცას რაღაც ვკითხე და ბოლო, ჩემი ავტორობით გამოცემული წიგნი

„ნარკვევები პოლიტოლოგიის ისტორიიდან“ განზრახ ისე დავდე, რომ მთელი გროვა დაიშალა, წიგნები იატაკზე დახვავდა... სტუდენტები მათ აკრეფაში მეხმარებოდნენ, მათ შორის ეკაც! მან უკვე და მასთან ერთად მთელმა აუდიტორიამ იცის, თუ რამდენი წიგნის „დაღეჭვა“ სჭირდება ლექტორს, ერთი რიგითი ლექციის წასაკითხად, მითუმეტეს სტუდენტს რამდენი დრო და ძალისხმევა დასჭირდება საგამოცდო სესიებისათვის...

***

გარდამავალ ასაკში (13-17 წელი ბიჭებისთვის, 12-16 წელი გოგონებისთვის) მთელი რიგი ცვლილებები ხდება მოზარდების ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების თვალსაზრისით მოზარდის მიერ მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარების, სქესობრივი მომწიფების გაცნობიერებას მოჰყვება საკუთარი თავის უკვე მოწიფულ ადამიანად წარმოდგენა. მოწიფულობის გაცნობიერება, მოზარდის მიერ, გამოიხატება იმაში, რომ იგი ახალი ცხოვრებისელი პოზიციის დაკავებას ცდილობს. მას აღარ აკმაყოფილებს ის დამოკიდებულებები, რომლებიც მის მიმართ აქვთ უფროსებს. ისინი მშობლების, მასწავლებლებისა და სხვა უფროსი ადამიანებისაგან თავიანთი მოწიფულობის აღიარებას ითხოვენ იმის გამო, რომ მშობლებს ძალიან უჭირთ შეცვალონ მოზარდებთან დამოკიდებულების სტილი, მათ ისინი ჯერ კიდევ ბავშვებად მიაჩნიათ, მოზარდები უარს ამბობენ ძველებურად მჭიდრო ურთიერთობის შენარჩუნებაზე მშობლებთდან და თავს თანატოლთა წრეს აფარებენ. შვილებს მაგნიტივით იზიდავთ ქუჩა და თანატოლები, რადგან ამ საზოგადოებაში არავინ ითხოვს მათგან მორჩილებას და დაკმაყოფილებულია მათი მთავარი მოთხოვნა, თანასწორად აღიარების შესახებ.

მოზარდი საკუთარ თავს თვლის პიროვნებად და ამი სგამო მოითხოვს, რომ მას ისეთივე უფლებები ჰქონდეს, როგორც უფროსებს. როდესაც მშობლების მხრიდან, ამ საკითხზე, უხეშ წინააღმდეგობას აწყდება, ცდილობს პროტესტი გამოხატოს ამა თუ იმ ფორმით. გამოცდილება იმისა, რომ მშობლები ხშირად უარყოფენ გაიზიარონ მათი შეხედულებები, მოზარდს აიძულებს საერთოდ უარი თქვას მათთან კომუნიკაციაზე და დამოუკიდებლად განახორციელოს საკუთარი სურვილები. უფროსებიხვდებიან, რომ შვილთან ურთიერთობის ძველი ფორმები შესაცვლელია,თ უმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უჭირთ მათთვის მეტი ავტონომიის მიცემა. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი ხშირად არის სიფრთხილე და ზრუნვა შვილებზე, თუმცა აკრძალვას, არც თუ იშვიათად, უარესი შედეგები მოაქვს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური გარემოება იმის შესახებ, რომ მშობლები უარს ამბობენ აღიარონ თავიანთი შვილის მოწიფულობა არის ისიც, რომ ამ ფაქტით ისინი განიცდიან საკუთარი სიბერის ნიშნების მოახლოებას. მათ სურთ შეინარჩუნონ ჰარმონიული მდგომარეობა, როდესაც ისინი ახალგაზრდები, მათი შვილები კი მცირეწლოვნები იყვნენ. თუ უფროსი მოზარდში ვერ შეამჩნევს „უფროსს“ და მას ძველებურად უყურებს, როგორც ბავშვს, არ შეცვლის მასთან ურთიერთობის მბრძანებლურ ფორმებს. იგი კონფლიქტებს თავს ვერ დააღწევს ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ უფროსებსა და მოზარდებს შორის ახალ ურთიერთობაზე გადასვლის ინიციატივა უფროსებისაგან უნდა მოდიოდეს, რადგან მათ გაცილებით მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დადის ყველა პრობლემა მინიმუმამდე.

მეტად საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მშობლებზე ოცნებობენ მოზარდები. პირველ რიგში, ისინი მშობლებისაგან მხარდაჭერას ითხოვენ. მათ სურთ, რომ

მშობლები იჩენდნენ ყურადღებას, მზრუნველობას და უწევ-დნენ მხარდაჭერას. მხარდაჭერა ბადებს ნდობის ატმოსფე-როს და ასეთი ურთიერთობისას მოზარდს მაღალი თვითშე-ფასება უვითარდება. მოზარდების დიდი სურვილია ისიც, რომ მშობლებს მათ მიმართ ჰქონდეთ ემპათია, ე. ი. მშობ-ლებს უნდა შეეძლოთ თავიანთი თავი სწარმოდგენა მოზარ-დების ადგილზე. მათი აზრების და გრძნობების გაზიარება. ზოგიერთი მშობელი, სამწუხაროდ, ძალიან გულგრილია მოზარდის განცდებისა და ემოციების მიმართ ასეთ ოჯახში აღზრდილი ბავშვები, ასევე ძალიან ინდიფერენტულნი იქნე-ბიან მომავალში სხვისი აზრებისა და გრძენობების მიმართ მოზარდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, აგრეთ-ვე მოწონება და აღიარება, მათ უნდათ, რომ მშობლებმა ისი-ნი მიიღონ თავიანთი დადებითი და უარყოფითი თვისებებით, ისე, როგორიც ისინი არიან. ხშირად, მშობელს უნდა, რომ მისი შვილი იყოს ყოველმხრივ სრულყოფილი. ასეთი მშობ-ლები მუდმივად უკმაყოფილონი არიან თავიანთი შვილების საქციელით, მუდმივად აკრიტიკებენ მათ, რაც საბოლოოდ, ბავშვში ავითარებს დაბალი თვითეფექტურობის განცდას და სიმორცხვეს საკუთარი ინიციატივების გამომჟღავნებაში. თითქმის ყველა მოზარდის მოთხოვნაა, რომ მშობლებს ჰქონ-დეთ იუმორის გრძნობა, მოზარდებს უნდათ, რომ ოჯახებში სუფევდეს დადებითი ფსიქლოგიური მიკროკლიმატი. მათ აწუხებთ კონფლიქტები მშობლებს შორის, ოჯახს წევრთა გათიშულობა, იშვიათი მოალერსება, მშობლების მხრიდან ასეთ შემთხვევაში ისინი საკუთარ თავში ჩაკეტილნი ხდე-ბიან და უჭირთ დადებითი ემოციების გამომჟღავნება სხვებ-თან ურთიერთობაშიც. მკვლევრები თვლიან, რომ ნორმალუ-რი აღზრდის პირობებში მშობელმა იმ დოზით უნდა მისცეს შვილს თავისუფლება, რომ მათ გამოხატონ თავიანთი ინდი-ვიდუალური მოთხოვნილებები და გრძნობები, თვითონ მი-

იღონ გადაწყვეტილებები თავიანთი ცხოვრების შესახებ და პასუხიც თვითონ აგონ მათზე. თავისუფლების მინიჭების საკითხში ამგვარი ზღვარის დაცვა ხშირად უჭირთ მშობლებს. არიან მშობლები, რომელთაც არასწორად ესმით ეს საკითხი და მოზარდებს სრულ თავისუფლებას აძლევენ მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ დამახინჯებულიწარმოდგენა კი ზრდის მოზარდებში მაღალი ნარკოტიკების მოხმარებისა და ანტისოციალური ქცევების რისკს.

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ საუკეთესო გზა გარდამავალის ასაკის პრობლემების დასაძლევად არის მშობლების მიერ მოზარდების ჩართვა ოჯახურ ცხოვრებაში, მისი აზრის გათვალისწინება, დამოუკიდებლობის მიცემა, საუფროსი საქმეების ნდობა და თანაცხოვრების თანაბარი პირობების შექმნა.

***

ჭიათურის აკადემიაში, ერთ-ერთი სტუდენტის მშობლები მთელი თვის განმავლობაში შეხვედრას მთხოვდნენ. მთელი ის თვე საზღვარგარეთ გახლდით და ჩამოსვლისთანავე ვიხმე, აღმოჩნდა, რომ მიუხედავად მშობლების სწრაფვისა, მერაბი ძნელადაღსაზრდელი მოზარდების რიცხვს ეკუთვნოდა, აღრიცხვაზეც იყო ნამყოფი არასრულწლოვანთა ინსპექციაში... მეორე დღესვე დავიწყე მასთან ინდივიდუალური მუშაობა, ხან ჩვენი სასწავლებლის მეფუტკრეობის მინიმეურნეობაში წავიყვანე, ხან სათევზაოდ, ხანაც ავტოსკოლაში... მინდოდა რღაც მონდომების ძაფი დამენახა მის თვალებში, ძაფი, რომელიც შემდეგ რწმენას გაუღვივებდა... მაგრამ უშედეგოდ ვიარეთ მთელი ორი თვე. ხან პატარ-პატარა დავალებებს ვაძლევდი, რამეთუ არ გაეგო, რომ ეს ჩემი მეგობრობა, მისადმი მეურვეობა იყო... ერთ დღეს თეატრა-

ლურ ხელოვნებაზე ვესაუბრებოდი ჩემს კაბინეტში, როდესაც ტელეფონმა დარეკა, საქალაქო სტამბიდან მთხოვდნენ, თქვენი აკადემიის გაზეთის გეგმიური გამოშვების თარიღი ზეგის ნაცვლად ხვალისათვის გადავიტანეთობ მაშინვე მძღოლს გამოვუძახე და სტამბისაკენ გავეშურე, მერაბიც თან წავიყვანე, მისვლისთანავე შევუდექი საქმეს, მაშინ პერიფერიებში კომპიუტერული გამომცემლობები ნამდვილად არ გვქონდა, დიდ, ლითონჩამომსხმელ მანქანებზე ვაწყობდით გაზეთს და ბრტყელი ბეჭდვით ვბეჭდავდით... საქმეში ისე გავერთე, რომ მერაბისთვის ყურადღებაც არ მიმიქცევია. დღის ბოლოს ვხედავ, კორექტორთან, ძია თედორესთან ერთად ასწორებს გაზეთის ბოლო გვერდს, გავოცდი, მის თვალებში ასეთი ინტერესი არასოდეს ამომიკითხავს. ეს რწმენა იყო, რწმენა ინტერესთა და შესაძლებლობათა შერწყმისა... მერე ყოველთვის მოუთმენლად ელოდა თვის დასაწყისს და გაზეთის გამოშვების დროს სარედაქციო კოლეგიის მარჯვენა ხელად იქცა... დღეს მერაბი, ერთ-ერთ სტამბას ხელმძღვანელობს დედაქალაქში, ჩვენ ისევ ვმეგობრობთ და ყოველი შეხვედრის დროს მონდომებასა და რწმენაზე მესაუბრება...

– **და როგორც თქვენ ბრძანებთ, ცოდნა რწმენაა...**

– დიახ, ამასწინათ სამსახიობო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებს ერთი უჩვეულო შეკითხვით მივმართე, თუ ვინ ითამაშებდა ჰამლეტს! როგორც დიდ ბალერინებს „მომაკვდავი გედის“ გარეშე არ შესწევთ უნარი ცხოვრების განსჭვრეტისა, ისეა სამსახიობო ხელოვნებაში „ჰამლეტი“! ამიტომაც აუდიტორიაში აჟიოტაჟია, ყველა ხელს იწევს, ყველას სურვილია ჰამლეტის გაცოცხლება სცენაზე... მეორე დღეს იმავე ფაკულტეტის მეოთხე კურსელებს ანალოგიურ შეკითხვას ვუსვამ... სამარისებური სიჩუმე... იციან, როგორი რთულია ეს როლი, იციან და ვერავინ ბედავს მასთან შერკინებას! ხედავთ? – ცოდნა რწმენის ჩამოყალიბების, საკუთარი შესაძ-

ლებლობების სრულყოფის ქვაკუთხედია! ბედნიერია ის, ვინც ჯერ არ იცის, რამეთუ წინა აქვს ცოდნის მიღებით მოსანიჭებელი ბედნიერება... მოგეხსენებათ, ადამიანებს ხუთი გრძნობა გაგვაჩნია: – მხედველობა, ყნოსვა, გემო, შეხება, სმენა! შემდეგ ცოდნის, ხელოვნებისა და შემოქმედების კრიტერიუმი ხსნის მეექვსე, მეშვიდე... გრძნობას! ეს სიამოვნებაა!

გამოყენებული ლიტერატურა

1. გურამ აბესაძე „თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება“, თბ., 1998.
2. შალვა ამირანაშვილი „როდესაც მამა სკოლაში მიდის“, თბ., 1985.
3. ანზორ ბრეგაძე „რა არის ადამიანი“, თბ. 1997.
4. ანზორ ბრეგაძე „შეიცან თავი შენი“, თბ. 1994.
5. დავით გეგეშიძე „ადამიანთა სულის სატკივარი, თბ. 2000.
6. დავით გეგეშიძე „ეთნიკური პრობლემები“, თბ.1999.
7. დავით გეგეშიძე „სიკვდილის აპოლოგია“, თბ. 1999.
8. დავით გეგეშიძე „ დიალოგი სიკვდილთან“, თბ. 2003.
9. მამია დარჩია „საზოგადოებრივი ინსტიტუტი“, თბ. 2000.
10. ალექსი დუბროვსკი „ღია წერილი მასწავლებელს“, თბ. 1989.
11. ჯენი თეიჩმანი „ფილოსოფია“, თბ. 2000.
12. ევგენი ილინი „გაკვეთილის – გაკვეთილი“, თბ. 1987.
13. ალექსანდრე დოპუზინი „ბიბლიური ისტორია“, თბ. 1990.
14. ალექსი ლოსევი „პედაგოგიკა“, თბ.1986.
15. შოთა მალაზონია „პედაგოგიკა“, თბ. 2001.
16. ევგენი მედინსკი „პედაგოგიკის ისტორია“, თბ, 1964,
17. გივი მერაბიშვილი „ბავშვთა ფსიქოპროფილაქტიკა“, თბ. 1999.
18. არტურ პეტროვსკი „კიდევ ერთი პედაგოგიური პოემა“, თბ. 1984.
19. სიმონ სოლოვეიჩიკი „აღუ და ბუა“, თბ.1986.
20. ვასილ რეზომლინსკი „ეკოლოგიური აღზრდა“, თბ. 2001.
21. ვასილ რეზომლინსკი „დედისადმი სიყვარულის აღზრდა“, თბ. 2001.
22. სერგო ყურაშვილი „პოლიტიკა“, თბ.1998.
23. იან შჩეპანსკი „სოციოლოგია“, თბ. 1997.

24. რუდოლფ შტაინერი „ბავშვის აღზრდა“, თბ. 1990.
25. გარი ჩაფიძე „სიკვდილის ეპიცენტრი“, თბ. 2004.
26. გარი ჩაფიძე „პედაგოგიკის ისტორია“, თბ. 2003.
27. გარი ჩაფიძე „მე მოსწავლის ჩინით ვარ და მასწავლებელს მოვთხოვ!“, თბ. 2003.
28. გარი ჩაფიძე „დემოკრატიის მოდელები“, თბ. 1999.
29. გარი ჩაფიძე „ფრთხილად მოზარდია!“, თბ. 2003.
30. გარი ჩაფიძე „პედაგოგიური დიალოგები“, წიგნი II, თბ. 2005.
31. გარი ჩაფიძე „პედაგოგიკა და კულტურა“, თბ. 2001.
32. გარი ჩაფიძე „პოლიტოლოგია“, თბ. 2006.
33. გარი ჩაფიძე „პედაგოგიური დიალოგები“, წიგნი I, თბ. 2004.
34. გარი ჩაფიძე „ნარკვევები პოლიტოლოგიის ისტორიიდან“, თბ. 2004.
35. ილია ჭავჭავაძე, ტ. 4, თბ. 1995.
36. ვლადიმერ ჭანუყვაძე, „პოლიტიკური დიალოგი“, თბ. 2000.
37. მარიამ თაბორიძე, „დიდი მამულიშვილური საზრუნავი“, თბ. 1986.
38. შოთა ქურდაძე „ცნება სწავლა“, თბ. 1980.
39. სოციოლოგია დღეს. მ. 1991.
40. ახალი მიმართულებანი სოციოლოგიაში, მ. 1992.
41. ვლადიმერ დიმოვი, მ. განათლების სოციოლოგია, ჟურნ. „სციალნო-პარტიჩესკოე ნაუკი“, 1991.
42. „განათლების სოციოლოგიურ-კულტუროლოგიური შინაარსი“, თბ. 1991.
43. ბრაიამ საიმონი, საზოგადოება და განათლება, მ. 1989.
44. განათლების საზოგადოებრივ-სოციალური დაკვეთა, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1991, № 4.
45. ჟურნალი „პერსპექტივები“, 1987, № 3.

46. ჟურნალი „კულტურა“, 1984, № 7.
47. „ლექციების კურსი პედაგოგიკაში“, თბ. 1997.
48. რევაზ ბალანჩივაძე, ვიქტორ ასათიანი: – „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები“, თბ. 1997.
49. Абдулатипов Р. «Общество», М. 1991.
50. Алексеев С. «Опыт комплексного исследования», М. 1999.
51. Алмонд Г. Верба С. «Гражданская культура», М. 1994.
52. Ащеев Г. «свободная мысль», М. 1993.
53. Белов Г. «Политология», М. 1994.
54. Бердяев Н. «Философия свободного духа» М. 1992.
55. Багатуров А. Комочин М. «Идеология». М. 1992.
56. Бойцева В. «Правовой институт омбундсмена», М. 1991.
57. Борисенков А. «Политическая жизнь общества», М. 1991.
58. Вебер М. «Объективность социального знания», М. 1990.
59. Вебер М. «Политика как призвание и профессия», М. 1993.
60. Вятер Е. «Социология политических отношений» М. 1979.
61. Головачев «Штрихи к социальному портрету» М. 1996.
62. Гудименко «Политическая культура» К. 1994.
63. Деминдов А. «Основа политики» М. 1995.
64. Евзеров Р. «Глубинные основы интеграции» М. 1997.
65. Ерасов Б. «Религия и цивилизация» М. 1980.
66. Зишмерман Д. «Прямая демократия» М. 1991.
67. Иващов Л. «Коллективная безопасность» М. 1998.

68. Карпухин О. «Социокультурная безопасность» М. 1998.
69. Коволер А. «Права человека» М. 1997.
70. Либминан Г. «Теорий элит» М. 1997.
71. Мельников В. «Зачещание» Минск, 1996
72. Пугачев В. «Идеология» М. 1996.
73. Сахарчук Г. «Социально-экономические взгляды» М. 1983.
74. Сахаров Н. «Современная элита» М. 1994.
75. Трофилов М. «Лидерство» М. 1991.
76. Фетисов А. «Проблемы легитимности» М. 1995.
77. Хермин М. «Стили лидерства» М. 1991.
78. Чапидзе Г. «Осторожно подросток» Тб. 2003.
79. Чапидзе Г. «Политология» Тб. 2003.
80. Чуднова И. «Политическая жизнь» М. 1994.
81. Этингер «Международный опыт» М. 1993.

GARI CHAPIDZE

PEDAGOGICAL DIALOGUES

რედაქტორი: – დარიკო ონიანი
მხატვრული რედაქტორი: – მაკა სამხარაძე
ტექნიკური რედაქტორი: – როზა ქათამაძე
დიზაინერი: – გვანცა მახათაძე

გამომცემლობა – „კოლორი“

პედაგოგებად იბადებიან! – დიახ, ადამიანის საზოგადოებასთან ინტეგრაციის პირველი ეტაპი, შეკითხვების დასმა და მასზე პასუხის გაცემის მოლოდინია, მეორე ეტაპი – მზადყოფნა, დასვა და უპასუხო საკუთარ შეკითხვებს, ხოლო მესამე ეტაპი, პედაგოგად ჩამოყალიბებისაა – როდესაც შეგიძლია ამომწურავად უპასუხო სხვის მიერ დასმულ შეკითხვებს! – ასეთ ფორმულირებას აძლევს პროფესორი გარი ჩაფიძე პედაგოგიურ აზროვნებას და მომავალი თაობის აღზრდას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს...

9 789941 048739